



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

თამარ მახარობლიძე

არასრულწლოვანთა სასჯელების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მაია ივანიძე

თბილისი

2021

## აბსტრაქტი

2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის ძირითადი ნაწილი 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. კოდექსმა ერთ საკანონმდებლო აქტში გააერთიანა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის, სასჯელადსრულებისა და სხვა საკითხების მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც მანამდე სხვადასხვა კანონებში იყო გაბნეული. ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული სპეციალური კანონი, საქართველოს კანონმდებლობისათვის სრულიად ახალი ინსტიტუტია და ქართული მართლმსაჯულებისათვის არა მარტო ინოვაციურ, არამედ რევოლუციურ კოდექსს წარმოადგენს. იგი ბევრ სხვადასხვა ასპექტში არის თანამედროვე კანონმდებლობა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ საჭიროებს გაუმჯობესებასა და სრულყოფას, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის – სასჯელების ირგვლივ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განსაკუთრებული როლი აკისრია სასჯელებს, რომლებიც ნაკლებად არის დამუშავებული ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში. მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი სასჯელის სახე, ისევე როგორც თავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, სიახლეა ქართულ კანონმდებლობაში. დღეს საქართველოში, კანონმდებლის მთავარ გამოწვევას სწორედ სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია წარმოადგენს, რომლის წარმატებული განხორციელებისათვის მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია არასრულწლოვნების სასჯელთა სახეების, ზომებისა და მათთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერული კვლევა.

ნაშრომში განხილულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული სასჯელთა სახეები, მათი ზომები, დანიშვნისა და აღსრულების საკითხები, ასევე, ყველა სასჯელის სახესთან მიმართებით საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება. კვლევაში საუბარია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ არასრულწლოვანთა სასჯელებთან დაკავშირებით არსებულ იმ

ძირითად პრობლემებსა და გამოწვევებზე, მათ შორის, საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში, რომლებზეც ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია სვამს მთავარ აქცენტებს. დისერტაციაში თითოეული სასჯელის საკანონმდებლო ხარვეზის იდენტიფიცირებასთან ერთად, ნაჩვენებია მათი აღმოფხვრის საჭიროება და გზები. კვლევაში გაანალიზებულია ადგილობრივი სასამართლოების გადაწყვეტილებები, ასევე, ევროსასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები. გარდა ამისა, ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული სასჯელებთან დაკავშირებით ისეთ საკითხებზე, რომლებიც კოდექსის მოქმედი ვერსიით არ ან არასრულყოფილად არის შემოთავაზებული.

დისერტაციის მიზანია, არასრულწლოვანთა სასჯელების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა სამართლებრივი და სხვადასხვა ასპექტებით. კვლევის საგანი გაშუქებულია, როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული კუთხით. საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაანალიზებულია არასრულწლოვანთა სასჯელების არსი და მათი გამოყენების თავისებურებები. ნაშრომის მიზანია, ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისა და საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, არასრულწლოვანთა სასჯელების ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ნაშრომი შედგება შესავლის, 10 თავის, 29 პარაგრაფის, 11 ქვეპარაგრაფისა და დასკვნისგან. დისერტაციას თან ერთვის ბიბლიოგრაფია. დისერტაციაში გამოყენებულია ისტორიული, ანალიტიკური, დოგმატური, სისტემური, ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები.

არასრულწლოვანთა სასჯელები ძალზედ აქტუალური და სადისკუსიო თემაა სისხლის სამართალში. ნაშრომში მოყვანილი მოსაზრებები საინტერესო იქნება, როგორც სისხლის სამართლის თეორიით დაინტერესებული პირებისთვის, ასევე, პრაქტიკოსი იურისტებისთვის, ახალგაზრდა მკვლევარებისთვის, სტუდენტებისთვის.

## Abstract

On June 12, 2015, Parliament of Georgia adopted Juvenile Justice Code, which main part went into legal force on January 1, 2016. The code incorporated in one legislation act all norms governing juvenile criminal law, criminal proceedings, administrative liability, penitentiary and other issues, that had previously been scattered in various laws. The special law, focusing on the best interests of the child, is a completely new institution for Georgian legislation and it is not only an innovative, but also a revolutionary code for Georgian justice. It is modern legislation in many different aspects, however, it must be said that it needs to be improved, including around one of the most important issues – penalties.

Penalties play a core role in juvenile justice, but they are not explored on a needed level in Georgian criminal law theory. Especially, one of the penalties, as well as Juvenile Justice Code, is innovation for Georgian legislation. Today in Georgia the main challenge of the legislator is the liberalization of criminal law policy. For the successful implementation of this, scientific research, on the types, measures and related issues of juvenile punishment, is very relevant and important.

The paper discusses the types of sentences provided by Juvenile Justice Code, their measures, issues of appointment and execution, as well as the experience of foreign countries in terms of all types of sentences. The study discusses the main problems and challenges related to the punishment of juveniles under Georgian law, including in terms of international standards, on which the Convention on the Rights of the Child focuses. In the dissertation, along with identifying the legislative gaps in each sentence, there are the need and ways to eliminate them. The study analyzes the decisions of the local courts, as well as important explanations of the European Court of Human Rights. In addition, the paper focuses on issues related to penalties that are not or incompletely proposed in the current version of the code.

The aim of the dissertation is to review the national and international standards of juvenile punishment in legal and various aspects. The subject of the research is covered, both –

theoretically and practically. Based on the experience of foreign countries, the essence of juvenile punishment and the peculiarities of their use are analyzed. The aim of the paper is to improve the national legislation on juvenile punishment and bring it in line with international standards, in accordance with the obligations under the Convention on the Rights of the Child and internationally recognized best practices.

The paper consists of an introduction, 10 chapters, 29 paragraphs, 11 sub-paragraphs and a conclusion. The dissertation is accompanied by a bibliography. The paper uses historical, analytical, dogmatic, systematic, logical and comparative-legal research methods.

Juvenile punishment is a very actual and controversial topic in criminal law. The opinions presented in the dissertation will be interesting for those interested in criminal theory, as well as for practicing lawyers, young researchers, students.

## შინაარსი

<i>ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი.....</i>	<i>10</i>
<i>შესავალი.....</i>	<i>12</i>
<i>1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წარმოშობა და განვითარება .....</i>	<i>21</i>
1.1. არასრულწლოვანთა სასამართლოს შესახებ მოკლე ისტორიული ექსკურსი.	27
1.2. არასრულწლოვანთა სასჯელების შესახებ მოკლე ისტორიული ექსკურსი .....	33
1.3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორია ქართულ სისხლის სამართალში .....	39
<i>2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო საბაზისო ჩარჩო.....</i>	<i>45</i>
2.1. ბავშვის უფლებების დაცვის მთავარი საერთაშორისო დოკუმენტი.....	47
2.1.1. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია სასჯელებთან მიმართებით .....	52
2.2. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთავარი პრინციპი .....	55
2.3. ბავშვის უფლებების დაცვის სხვა საერთაშორისო დოკუმენტები .....	59
<i>3. ჯარიმა, როგორც სასჯელის სახე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში .....</i>	<i>63</i>
3.1. ჯარიმა, როგორც არასრულწლოვნის დამოუკიდებელი შემოსავალი.....	64
3.2. ჯარიმის ზომა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....	66
3.3. ჯარიმის სხვა სასჯელით შეცვლის შესაძლებლობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში .....	71
3.4. ჯარიმის აღსრულება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....	76
3.5. არასრულწლოვანთა ჯარიმა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით	83
3.6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არასრულწლოვანთა ჯარიმასთან დაკავშირებით.....	85

3.7. საქართველოს სასამართლო პრაქტიკა არასრულწლოვანთა მიმართ ჯარიმის დანიშვნის დროს .....	90
<b>4. შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში</b>	<b>95</b>
4.1. შინაპატიმრობის მოკლე ისტორიული ექსკურსი.....	98
4.1.1. შინაპატიმრობის ისტორია ქართულ სისხლის სამართალში .....	100
4.2. შინაპატიმრობა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში .....	107
4.3. შინაპატიმრობის ფორმები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში .....	110
4.4. შინაპატიმრობის ზომა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....	116
4.5. შინაპატიმრობის დანიშვნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში .....	118
4.5.1. შინაპატიმრობის დანიშვნის დროს დამატებითი მოვალეობის დაკისრება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....	119
4.5.2. შინაპატიმრობის დამატებითი სასჯელის სახით დანიშვნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....	122
4.5.3. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა შინაპატიმრობის დანიშვნის დროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში .....	126
4.5.4. საათების განსაზღვრა შინაპატიმრობის დანიშვნის დროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....	136
4.5.5. შინაპატიმრობის დანიშვნა ზოგიერთი დანაშაულის შემთხვევაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....	141
4.6. საქართველოს სასამართლო პრაქტიკა არასრულწლოვანთა მიმართ შინაპატიმრობის დანიშვნის დროს .....	145
4.7. ელექტრონული ზედამხედველობა, როგორც შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....	150

4.7.1. არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული ელექტრონული ზედამხედველობა კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჭრილში .....	156
4.7.2. ელექტრონული ზედამხედველობის მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....	167
4.7.3. ელექტრონული ზედამხედველობის ტექნიკური მახასიათებლები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....	174
<i>5. საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, როგორც სასჯელის სახე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....</i>	<i>185</i>
<i>6. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, როგორც სასჯელის სახე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....</i>	<i>187</i>
6.1. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ზომა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში .....	187
6.2. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში .....	188
6.3. საზოგადოებისათვის სასარგებლოს შრომის აღსრულება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში .....	192
6.4. არასრულწლოვანთა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით .....	198
<i>7. თავისუფლების აღკვეთა, როგორც სასჯელის სახე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....</i>	<i>204</i>
7.1. თავისუფლების აღკვეთის ზომა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ..	207
7.2. თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში	210
7.3. არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით .....	216



7.3.1. არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთა გერმანულ სისხლის სამართალში.....	221
7.4. თავისუფლების აღკვეთის გავლენა არასრულწლოვანზე .....	224
8. კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში .....	229
9. არასრულწლოვანთა სასჯელები 18-დან 21 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდებისთვის .....	232
9.1. 18-დან 21 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდთა სასჯელები საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით.....	236
10. თავისუფლების შეზღუდვა, როგორც სასჯელის სახე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....	239
დასკვნა .....	243
ბიბლიოგრაფია.....	252

## ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი

ა.შ. – ასე შემდეგ;

ამკ – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;

ასოც. – ასოცირებული;

აშშ – ამერიკის შეერთებული შტატები;

გაერო – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია;

გვ. – გვერდი;

დოკ. – დოკუმენტი;

ე.ი. – ესე იგი;

ე.წ. – ეგრეთ წოდებული;

ევროკონვენცია – ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია;

ევროსასამართლო – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო;

იხ. – იხილეთ;

მაგ. – მაგალითად;

პროფ. – პროფესორი;

ჟ. – ჟურნალი;

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

სსკ – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;

სსრ – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა;

სსსკ – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

**Art.** – Article;

**ECHR** – European Court of Human Rights;

**JGG** – Jugendgerichtsgesetz;

**JStG** – Jugendstrafgesetz;

**NJW** – Neue Juristische Wochenschrift;

**No.** – Number;

**Nr** – Numer;

**P.** – Page;

**Para.** – Paragraph;

**Rec** – Recommendation;

**S.** – Seite;

**StGB** – Strafgesetzbuch;

**UK** – United Kingdom;

**UNICEF** – The United Nations Children's Fund;

**USA, U.S.** – United States of America;

**V.** – Versus;

**Vol.** – Volume.

## შესავალი

**კვლევის აქტუალობა:** დანაშაული ნორმალური მოვლენაა და ვერც ერთი საზოგადოება ვერ მოიშორებს თავიდან.<sup>2</sup> საზოგადოებაში გავრცელებულ დანაშაულთა გარკვეულ ნაწილს ხშირად არასრულწლოვნები ჩადიან. გერმანიაში ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ბავშვები და მოზარდები, იმის მიუხედავად, თუ რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნებიან, ერთხელ მაინც არღვევენ კანონს.<sup>3</sup> ვინაიდან არასრულწლოვნები არიან საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი წევრები, ისინი საჭიროებენ დაცვის მაღალ ხარისხს მართლმსაჯულების ეროვნულ სისტემებში.<sup>4</sup> შესაბამისად, თითოეული ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი სტანდარტებისა და მექანიზმების დამკვიდრება, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალიზებულ მიდგომას კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების მიმართ.

იუვენალური იუსტიცია<sup>5</sup> იქმნებოდა როგორც მართლმსაჯულების ორბიტაში მოხვედრილ ბავშვთა და მოზარდთა უფლებების დაცვის ჰუმანისტური ინსტიტუტი,

---

<sup>1</sup> ბავშვის უფლებების დეკლარაცია, გამოცხადებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 1959 წლის 20 ნოემბრის №1386 (XIV) რეზოლუციით.

<sup>2</sup> Clinard M.B., Meier R.F., *Sociology of Deviant Behavior, USA, 2014, P. 13.*

<sup>3</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, 2011, გვ. 18.*

<sup>4</sup> Tinta M. F., *The Landmark Rulings of the Inter-American Court of Human Rights on the Rights of the Child, Protecting the Most Vulnerable at the Edge, International Studies in Human Rights, Vol. 96, Leiden, Boston, 2008, P. 32.*

<sup>5</sup> იუვენალური იუსტიცია – საერთაშორისოდ აღიარებული ტერმინია. სიტყვა „იუსტიცია“ რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება. უმთავრესად იგი განიმარტება როგორც მართლმსაჯულება (ასევე, როგორც

რომელშიც მოიაზრებიან, ერთი მხრივ, დანაშაულთა ჩამდენი, ხოლო – მეორე მხრივ, დანაშაულთა და სხვა კრიმინოგენული სიტუაციების მსხვერპლი არასრულწლოვნები.<sup>6</sup> მსოფლიომ უკვე დიდი ხნის წინ აღიარა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები განცალკევებით უნდა იქნნენ განხილულნი. აღნიშნული მიდგომა ისტორიულად ყალიბდებოდა. მაგ., ნორვეგიის ჯერ კიდევ XIII საუკუნის სისხლის სამართლის კოდექსში ნათქვამი იყო, რომ „უფროსებს ქურდობისათვის შეიძლება მოაჭრან ორივე ხელი, ბავშვებს კი – მხოლოდ ერთი“.<sup>7</sup>

ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მოვლენებმა განაპირობა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის აუცილებლობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. საქართველო, როგორც დემოკრატიულ გზაზე მიმავალი სახელმწიფო, დაადგა სწორედ იმ გზას, რომ საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, შექმნას და განავითაროს იუვენალური იუსტიციის სისტემა ქვეყანაში. ამის პირველი მცდელობა არის სწორედ სპეციალური საკანონმდებლო აქტის მიღება. მაშინ, როდესაც, 2009 წლამდე ქვეყანაში არ არსებობდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგიაც კი, 2015 წელს ძირეული გარდაქმნები მოხდა. კერძოდ, 12 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის ძირითადი ნაწილი 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.

---

*სასამართლო, სასამართლო დაწესებულებათა სისტემა და ა.შ.). შესაბამისად, იუვენალური (მოზარდთა) იუსტიცია ითარგმნება, როგორც არასრულწლოვანთა (მოზარდთა) მართლმსაჯულება (Juvenile Justice).*

<sup>6</sup> *Петрухин И. Л., Уголовно-процессуальное Право Российской Федерации, 2007, 592; იხ. ბოხაშვილი ი., ბენიძე მ., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები (მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მიხედვით)“, ჟ. „სამართლის ჟურნალი“, №2, თბილისი, 2009, გვ. 35.*

<sup>7</sup> *საქართველოს პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭო, გაეროს ბავშვთა ფონდი, არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია, საწვრთნელი მოდულები არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრირების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები, თბილისი, 2003, გვ. 119.*

ახალმა კოდექსმა საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა საერთაშორისო სტანდარტებს დაუახლოვა. საკანონმდებლო აქტი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისთვის პრიორიტეტის მინიჭებას, ნასამართლობის გაქარწყლებას, განრიდების ინსტიტუტს, პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაციასა და მთელ რიგ ცვლილებებს ითვალისწინებს. ამასთან, კანონი დასაშვებად მიიჩნევს მისი ცალკეული დებულების გავრცელებას 18-დან 21 წლამდე პირებზე. ამკ-მა ერთ კოდექსში გააერთიანა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის, სასჯელაღსრულებისა და სხვა საკითხების მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც მანამდე სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში იყო გაბნეული.

მთავარი პრინციპი და ინოვაცია, რაც ამკ-ს შემოაქვს, არის – ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული ინდივიდუალური მიდგომა. ეს იმას ნიშნავს, რომ მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ყველა ბავშვს უნდა მოეპყრონ მისი საჭიროებების მიხედვით. პირველ რიგში, ეს საჭიროებები კარგად უნდა იყოს შესწავლილი მართლმსაჯულების ნებისმიერ ეტაპზე. სწორედ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთავარი ქვაკუთხედი.

ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული სპეციალური კოდექსი არასრულწლოვანთათვის საქართველოს კანონმდებლობისათვის სრულიად ახალი ინსტიტუტია და ქართული მართლმსაჯულებისთვის არა მარტო ინოვაციურ, არამედ რევოლუციურ კოდექსს წარმოადგენს. ამკ ბევრ სხვადასხვა ასპექტში არის თანამედროვე კანონმდებლობა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ საჭიროებს გაუმჯობესებასა და სრულყოფას, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის – სასჯელების ირგვლივ.

ნებისმიერი ქვეყნის მომავალს განსაზღვრავს ახალგაზრდა თაობის აღზრდა. ამაში დიდი როლი, ოჯახისა და სკოლის გარდა, სახელმწიფომაც უნდა შეასრულოს. არასრულწლოვნებზე ზრუნვა მსოფლიო ქვეყნების პრიორიტეტია. შესაბამისად,

კანონმდებლობა უნდა იყოს იმდენად დახვეწილი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, რომ ამ ასაკში ჩადენილმა დანაშაულმა, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაიაროს არასრულწლოვნის ცხოვრებაში. პირიქით, ეს იყოს მაგალითი, რომ არასდროს დაუშვას ის შეცდომა, რის გამოც იქნა მსჯავრდებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განსაკუთრებული როლი აკისრია სასჯელებს.

სისხლის სამართალი, სასჯელების მეშვეობით, იცავს საზოგადოებას, ადამიანს, მათ უფლებებს დანაშაულებრივი ხელყოფისგან.<sup>8</sup> საქართველოში ყოველთვის მეტი ყურადღება ექცეოდა დანაშაულის მოძღვრებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევას, ვიდრე სისხლისსამართლებრივ სანქციებს, მაშინ როდესაც, დანაშაულთან ერთად, სისხლის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცნებაა – სასჯელი. სასჯელი არის, სახელმწიფოს მიერ, სისხლის სამართლის კანონით დადგენილი იძულებითი ღონისძიება, რომელიც დამნაშავის მიმართ გამოიყენება. არასრულწლოვანთა სასჯელები ნაკლებად არის დამუშავებული ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში, მით უმეტეს, რომ სასჯელის ერთ-ერთი სახე, ისევე როგორც თავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, სიახლეა ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობაში.

აუცილებელია, გამართული, საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სასჯელთა სისტემის არსებობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. არასრულწლოვნობის პერიოდი ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მის მომავალზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბავშვობიდან ზრდასრულობის პერიოდი, დანაშაულის ჩადენის თვალსაზრისით, ყველაზე დიდი რისკის შემცველია. დანაშაული კი, ხშირ შემთხვევაში, არის იმპულსებზე დაყრდნობილი, გაუცნობიერებელი ქმედება, ამიტომ, მნიშვნელოვანია სასჯელის სახე და ზომა კანონთან კონფლიქტში მყოფი პირისთვის იყოს მაქსიმალურად ადეკვატური. ეს განაპირობებს იმას, რომ სასჯელის მოხდის

---

<sup>8</sup> გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008, გვ. 49.

პერიოდი არ იყოს მისთვის ძალიან მტკივნეული. სასჯელის მოხდის შემდეგ კი, მისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალოს.

ამჟამა ახალი, უფრო ლიბერალური ხედვები შემოგვთავაზა არასრულწლოვანთა სასჯელების გარშემო. ქვეყნის სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა კარგად ჩანს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელებიდან და მისი გამოყენების საკანონმდებლო რეგულირებიდან.<sup>9</sup> დღევანდელ საქართველოში კი, კანონმდებლის მთავარ გამოწვევას სწორედ სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია წარმოადგენს, რომლის წარმატებული განხორციელებისათვის მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია სასჯელთა სახეების, ზომებისა და მათთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერული კვლევა.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციიდან გამომდინარე, ალტერნატიული სასჯელების როლი თავისებურად წარმოჩინდა. იუვენალურ იუსტიციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიტყვაა *ალტერნატივა*. იგი გულისხმობს სამართლის ჩარევის ნებისმიერ ფორმას, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს თავიდან აარიდებს თავისუფლების აღკვეთას, დაპატიმრებას ან დახურულ დაწესებულებაში მოთავსებას.<sup>10</sup> არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების ტესტი მოითხოვს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ არ გამოიყენოს მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებები, უპირატესობა მიანიჭოს ალტერნატიულ საშუალებებს და ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩამდენი ბავშვების რეინტეგრაციას. ამჟამის ერთ-ერთი ძირითადი არსიც სწორედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული ზომებისათვის უპირატესობის მინიჭებაში მდგომარეობს.

სასჯელის ეფექტურობა არა მისი მკაცრი ხასიათით, არამედ მისი გარდაუვალობით განისაზღვრება. თითოეული დანაშაულის არსსა და მიზეზს თუ

---

<sup>9</sup> ცეტიშვილი თ., *სასჯელი და მისი შეფარდება*, თბილისი, 2019, გვ. 5.

<sup>10</sup> Interagency Panel on Juvenile Justice (IPJJ), Available at: <http://www.ipjj.org/resources/glossary/> [Last seen: 01.02.2021].



ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ ის ზოგადად დანაშაულის დაუსჯელობიდან გამომდინარეობს<sup>11</sup> და არა მისი სიმკაცრიდან. შესაბამისად, ნაკლებად მკაცრმა, ჰუმანურმა სასჯელებმა შეიძლება მეტად შეასრულონ თავისი დანიშნულება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არასრულწლოვნებს ეხება საქმე.

დანაშაულის სიმძიმისა და ხასიათის, დამნაშავის პიროვნული მახასიათებლებისა და მისი წარმოშობის შესაბამისად, საზოგადოების დაცვისა და უსარგებლო თავისუფლების აღკვეთის თავიდან აცილების მიზნით, სისხლისსამართლებრივმა მართლმსაჯულებამ საზოგადოებას უნდა შესთავაზოს – არასაპატიმრო სასჯელები. მათი მოცულობა და ხასიათი უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილ დანაშაულს. ალტერნატიული სანქციების გამოყენების აუცილებლობა გამომდინარეობს სისხლის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპიდან – ჰუმანურობის პრინციპიდან. თუ მსჯავრდებული იგრძნობს კანონისა და სასჯელის ჰუმანურობას, იგი, დიდი ალბათობით, დანაშაულს აღარ ჩაიდენს.

იმისთვის, რომ კონკრეტული სასჯელის არსებობა გამართლებული იყოს სამართლებრივ სახელმწიფოში, იგი, აუცილებლად, მისი მიზნების მიღწევის ადეკვატური საშუალება უნდა იყოს. სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ ქმედებისთვის დაწესებული ნებისმიერი სასჯელი, თუ ის აცდენილი იქნება მის მიზნებს, თავად გახდება მიზანი. ადამიანის დასჯა სასჯელის მიზნების მიღმა, ამ მიზნების მიღწევის აუცილებლობის გარეშე ან მათ არაადეკვატურად, თავად დასჯას აქცევს მიზნად.<sup>12</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება კი არის – აღზრდის და არა დასჯის სამართალი.

როდესაც ისეთ მოწყვლად კატეგორიაზეა საუბარი, როგორც ბავშვებია, არასრულფასოვანი, არასრულყოფილი კანონმდებლობის არსებობა დაუშვებელია. კანონი, რომელიც ძირითადად პრინციპების დეკლარირებით შემოიფარგლება, მათი

<sup>11</sup> მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, თბილისი, 1994, გვ. 119.

<sup>12</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §40.

ცხოვრებაში გატარების რეალური გარანტიების გარეშე, თავისთავად ზიანის მიმყენებელია. შესაბამისად, საკამათო არ უნდა იყოს, რომ ბავშვის უფლებების შესახებ კანონმდებლობაზე მუშაობისას, მაქსიმალისტური მიდგომაა საჭირო. გარდატეხის პერიოდში საქმე გვაქვს ადამიანის არა მარტო სექსუალურ განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან, არამედ, მის სულიერ ღირებულებათა კონფლიქტთან. არასრულწლოვანი, საკუთარი თავის გამოჩენის მიზნით, ხშირად ჩადის ისეთ ქმედებას, რომელიც სცილდება სოციალური ურთიერთობის ნორმებს და სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო, შესაბამისი კანონმდებლობით, მზად იყოს არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის.

ნაშრომში განხილულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელთა სახეები, მათი ზომები, დანიშვნისა და აღსრულების საკითხები, ასევე, ყველა სასჯელის სახესთან მიმართებით საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება. კვლევაში საუბარია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ არასრულწლოვანთა სასჯელებთან დაკავშირებით არსებულ იმ ძირითად პრობლემებსა და გამოწვევებზე, მათ შორის, საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში, რომლებზეც ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია სვამს მთავარ აქცენტებს. დისერტაციაში თითოეული სანქციის საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირებასთან ერთად, ნაჩვენებია მათი აღმოფხვრის საჭიროება და გზები. კვლევაში გაანალიზებულია ადგილობრივი სასამართლოების გადაწყვეტილებები, ასევე, ევროსასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები. გარდა ამისა, ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული სასჯელებთან დაკავშირებით ისეთ საკითხებზე, რომლებიც კოდექსის მოქმედი ვერსიით არ ან არასრულყოფილად არის შემოთავაზებული.

**კვლევის მიზანი:** სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, არასრულწლოვანთა სასჯელების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა სამართლებრივი და სხვადასხვა ასპექტებით. კვლევის საგანი გაშუქებულია, როგორც

თეორიული, ასევე – პრაქტიკული კუთხით, წარმოჩენილია არსებული საკანონმდებლო ხარვეზები და დასმულია მათი გადაჭრის გზები. იურიდიულ ლიტერატურაზე, სასამართლო პრაქტიკასა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაანალიზებულია არასრულწლოვანთა სასჯელების არსი და მათი გამოყენების თავისებურებები. დისერტაციის მიზანია, იუვენალურ იუსტიციაში, ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისა და საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, სასჯელთა ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

**კვლევის მეთოდები:** სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული, ანალიტიკური, დოგმატური, სისტემური, ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები.

**კვლევის ობიექტი:** წინამდებარე დისერტაციის კვლევის ობიექტია არასრულწლოვნის სასჯელის პრობლემა. ნაშრომში დეტალურად არის განხილული ამკ-ში წარმოდგენილი სასჯელები: ჯარიმა, შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, ასევე, თავისუფლების შეზღუდვა, რომელიც დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში ამოღებულ იქნა კოდექსიდან. დასმულია ყველა ის საკითხი, რომელიც არ ან არასათანადოდ გამომდინარეობს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია მოითხოვს, რომ ბავშვებთან დაკავშირებით ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას, საჯარო ან კერძო სოციალური კეთილდღეობის დაწესებულებების, სასამართლოების, საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულ იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.<sup>13</sup> სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს არასრულწლოვნის კეთილდღეობაზე. ბავშვზე ზრუნვის ყველა საჯარო, კერძო თუ მოხალისეობრივი დაწესებულება და სერვისი უნდა შეესაბამებოდეს კონვენციით

---

<sup>13</sup> ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია, 1989, მუხლი 3(1).

დადგენილ სტანდარტებს, შესაბამისად, ნაშრომში ძირითადი აქცენტი გადატანილია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთავარ პრინციპზე. სასჯელის სახეები და ზომები, ბუნებრივია, დაკავშირებულია სასჯელის დანიშვნასთან, რაც, ასევე, განხილულია ნაშრომში. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობის მქონეა სასჯელის აღსრულებისა და ეფექტურობის საკითხები, შესაბამისად, კვლევა წარმოდგენილია მათ ირგვლივაც. დისერტაციაში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი შედარებით-სამართლებრივ ანალიზს, ასევე, სასამართლო პრაქტიკას. ნაშრომში არასრულწლოვანთა თითოეული სასჯელი ცალკე თავად არის გამოყოფილი, მათი დეტალური ანალიზისთვის.

**დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** არასრულწლოვანთა სასჯელები ძალზედ აქტუალური და სადისკუსიო თემაა სისხლის სამართალში. ნაშრომში საკითხები განხილულია როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული თვალსაზრისით. დისერტაციაში მოყვანილი მოსაზრებები საინტერესო იქნება, როგორც სისხლის სამართლის თეორიით დაინტერესებული პირებისთვის, ასევე, პრაქტიკოსი იურისტებისთვის, ახალგაზრდა მკვლევარებისთვის, სტუდენტებისთვის.

**დისერტაციის სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავლის, 10 თავის, 29 პარაგრაფის, 11 ქვეპარაგრაფის და დასკვნისგან. დისერტაციას თან ერთვის ბიბლიოგრაფია.

## 1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წარმოშობა და განვითარება

არასრულწლოვანი, მისი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, ყოველთვის იყო, არის და იქნება სახელმწიფოსა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში. როგორც ისტორიული კვლევები ცხადყოფენ, ჯერ კიდევ რომის სამართალში არსებობდა სწავლება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ, თუმცა, მოგვიანებით, ინკვიზიციურ მართლმსაჯულებაში, არასრულწლოვანთა მდგომარეობა სრულწლოვანთა მდგომარეობას გაუთანაბრდა და ბავშვების მიმართაც გამოიყენებოდა წამება, სიკვდილით დასჯა და სრულწლოვნებისთვის განკუთვნილი სხვა მკაცრი სასჯელები.<sup>14</sup> აშშ-ის ერთ-ერთ შტატში, მასაჩუსეტსში<sup>15</sup> არსებობდა განკარგულება, რომლის მიხედვითაც, 16 წელს მიღწეული არასრულწლოვანი, რომელიც მშობლებს არ დაემორჩილებოდა, სიკვდილით დაისჯებოდა.<sup>16</sup> ასეთი გადაცდომისთვის ალტერნატიული სასჯელი არ არსებობდა. ეს წარმოადგენდა მშობლის ავტორიტეტის აბსოლუტურ პატივისცემას და სურვილს, რომ მკაცრი კანონი აუცილებლად აღსრულებულიყო.<sup>17</sup>

ბავშვები და მოზარდები განვითარებით განსხვავდებიან უფროსებისგან, შესაბამისად, მათი მართლმსაჯულება მეტად უნდა იყოს ორიენტირებული რეაბილიტაციაზე. წინათ ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებების გაგება და შემდგომ მასზე ზრუნვა. მართლმსაჯულებაში არასრულწლოვნის მოხვედრის მიზეზად ასახელებდნენ მშობლების მხრიდან უყურადღებობასა და უკონტროლობას.<sup>18</sup> ბავშვი აღიქმებოდა, როგორც „შემცირებული უფროსი ადამიანი“. მხოლოდ XIX საუკუნეში დაიწყო საუბარი

---

<sup>14</sup> Jensen E. L., Metsger L. K., “A Test of the Deterrent Effect of Legislative Waiver on Violent Juvenile Crime“, *Journal “Crime and Delinquency“*, Vol. 40, United States, 1994, P. 99.

<sup>15</sup> სადაც დღეს ჰარვარდის უნივერსიტეტია, რომელშიც არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სამართლის სკოლა.

<sup>16</sup> Wiley B., *The General Laws and Liberties of the Massachusetts Colony (1672) in Juvenile Offenders for a Thousand Years*, New York, 1970, P. 318-319.

<sup>17</sup> Davis S. M., *Children’s Rights Under and the Law*, Oxford University Press, England, 2011, P. 71.

<sup>18</sup> Schlossman S., *Coalition for Juvenile Justice*, DeKalb, Illinois, United States, 1998, P. 4.

ბავშვის სრულფასოვან ცხოვრებაზე, მის პიროვნებაზე, აღზრდის მნიშვნელობაზე. ამ საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი ბავშვთა და პედაგოგიურ ფსიქოლოგიას.<sup>19</sup>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა პირველად აშშ-ში შეიქმნა. სისტემა მიზნად ისახავდა ძალადობრივი და დესტრუქციული მართლმსაჯულებიდან დაეხსნა ახალგაზრდები და მათთვის შეეთავაზებინა ინდივიდუალურ მიდგომაზე დაფუძნებული სტანდარტები. მთავარი ამოცანა იყო ის, რომ იუვენალური იუსტიცია ყოფილიყო სრულწლოვანთა მართლმსაჯულებისგან რადიკალურად განსხვავებული, სამართალწარმოება ყოფილიყო არაფორმალური, ყურადღება გამახვილებულიყო მოზარდზე და მის საჭიროებებზე და არა იმ ქმედებაზე, რომელიც მან ჩაიდინა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი ქმედება არ უნდა შეფასებულიყო როგორც დანაშაული, იგი უნდა შეფასებულიყო როგორც სამართალდარღვევა. შესაბამისად, ბავშვი არ იყო დამნაშავე, იგი იყო სამართალდამრღვევი. რეფორმატორთა მიდგომით, ბავშვი არ უნდა გაგზავნილიყო ციხეში, არამედ მოთავსებულიყო სპეციალურ სკოლაში ან არასრულწლოვანთა გამოსასწორებელ დაწესებულებაში.<sup>20</sup>

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ მიდგომებს ითვალისწინებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიც. საკანონმდებლო აქტში არ არსებობს დამნაშავე, არამედ არსებობს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი. ამ უკანასკნელი ტერმინის გამოყენებაც მიანიშნებს იმაზე, რომ ბავშვები, რომლებიც ბრალდებულები არიან დანაშაულის ჩადენაში, არ უნდა იყვნენ განხილულნი როგორც ზრდასრული ადამიანები და მათ არ უნდა მოექცნენ ისე, როგორც უფროსებს. ეს განპირობებულია ბავშვების შეზღუდული ინტელექტუალური უნარებით, ფსიქოლოგიური, ემოციური, მორალური და სოციალური განვითარების დონით. საკანონმდებლო აქტში, ასევე, არ არსებობს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,

---

<sup>19</sup> *Chrisman O., Paidology the Science of the Child, The Historical Child, Richard G. Badger Gorham Press, Boston, 1920, P. 11.*

<sup>20</sup> *National Research Council and Institute of Medicine, Juvenile Crime, Juvenile Justice, The National Academies Press, Washington, DC, 2001, P. 154.*

არამედ არსებობს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება.<sup>21</sup> ყოველივე ზემოაღნიშნული წინგადადგმული ნაბიჯია და ტერმინებიდანვე ხაზს უსვამს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების გაზიარებას ქართულ კანონმდებლობაში.

1980-იან წლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები. სახელმწიფოებმა უარყვეს მკაცრი მიდგომა და დასჯა, ყურადღება გაამახვილეს არასრულწლოვნის რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციაზე.<sup>22</sup> აშშ-ის ყველა შტატში სხვადასხვა კანონმდებლობა შეიქმნა არასრულწლოვნებთან მიმართებით, თუმცა, მიდგომა ყველგან ერთი იყო – უპირატესობა მინიჭებოდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს<sup>23</sup> და ალტერნატიულ ღონისძიებებს.<sup>24</sup>

---

<sup>21</sup> მიუხედავად ამისა, ამკ არაერთ ადგილას მოიხსენიებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას (მუხლები 23(2,„გ“), 34(4), 79, 88 და ა.შ.), რაც არ არის მართებული. უმჯობესია, ეს ტერმინი ყველა ადგილას ჩანაცვლდეს – არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებით, რადგან, არასრულწლოვანთათვის, მხოლოდ ეს დაწესებულება არსებობს თავისუფლების აღკვეთის აღსასრულებლად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 1999 წლის „პატიმრობის შესახებ“ კანონით, არასრულწლოვანთა დაწესებულებას – არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება ერქვა. სახელწოდებაც მიუთითებს, რომ სასჯელის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ არასრულწლოვნის აღზრდა იყო. შემდგომ, 2010 წლის პატიმრობის კოდექსში არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას – სპეციალური დაწესებულება ეწოდა, ხოლო 2014 წლიდან – სარეაბილიტაციო დაწესებულება. ამ სახელწოდებებიდანაც ჩანს, რომ ქართველმა კანონმდებელმა, დროთა განმავლობაში, შეცვალა პრიორიტეტები არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის მიზნებისთვის. დღევანდელი მდგომარეობით, ყველაზე მნიშვნელოვანია კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, შესაბამისად, არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას ეწოდება – არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება.

<sup>22</sup> Torbet P., Szymanski L., Griffin P., *Trying Juveniles as Adults in Criminal Court: An Analysis of State Transfer Provisions*, U.S. Department of Justice, Office of Justice Programs, Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention, United States, 1998, P. 10.

<sup>23</sup> არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები რომ უპირატესია იუვენალურ იუსტიციაში, ამას ამოვიკითხავთ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაშიც. სასამართლომ არ დაადგინა მე-8 მუხლის

ტრადიციული იუვენალური იუსტიციის მოდელი ყურადღებას ამახვილებს მსჯავრდებულის რეაბილიტაციაზე, აბალანსებს მსხვერპლის, სამართალდამრღვევისა და საზოგადოების საჭიროებებს.<sup>25</sup> თუმცა, პრაქტიკაში პრობლემა იყო ბალანსის შენარჩუნებაზე სოციალურ კეთილდღეობასა და სოციალურ კონტროლს შორის. ეს კი, ერთი მხრივ, გულისხმობდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებას, ხოლო – მეორე მხრივ, არასრულწლოვნის დასჯასა და საზოგადოების დაცვას გარკვეული დანაშაულებისგან. ეს კონტრადიქციული შეხედულებები დროთა განმავლობაში შეიცვალა და მოექცა ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების ქვეშ,<sup>26</sup> რომელიც დღემდე შემორჩა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პირველი და მთავარი მიზანიც სწორედ მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვაა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებამ სწრაფი განვითარება ჰპოვა XX საუკუნის დასაწყისში როგორც აშშ-ში, ასევე, ევროპაში. წლების განმავლობაში ინსტიტუტმა არაერთი ცვლილება განიცადა, თუმცა, საბაზისო დახასიათება იგივე დარჩა, იუვენალური იუსტიცია – ეს არის აღმზრდელობითი იუსტიცია.

იუვენალური იუსტიცია უმეტესწილად დაკავშირებულია მართლმსაჯულებასთან, რომელიც დამნაშავეს სასჯელისგან ათავისუფლებს, თუმცა, ბევრი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობის ამოცანას კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის სასჯელისგან გათავისუფლება არ წარმოადგენს. კანონი არ

---

*(პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევა საქმეში, სადაც ბავშვების მამას უარი უთხრეს მათ დაბრუნებაზე (ტყუპებს დედა გარდაცვლილი ჰყავდათ და იზრდებოდნენ დედის ბიძაშვილთან), იმ მიზეზით, რომ საქმეში იგრძნობოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა; იხ. Z.J. v. LITHUANIA, ECHR, (Application no. 60092/12), 29 April 2014.*

<sup>24</sup> Orsagh T., Chen J. R., “The Effect of Time Served on Recidivism: An Interdisciplinary Theory“, *Journal “Quantitative Criminology“*, Vol. 4, No. 2, England, 1988, P. 155.

<sup>25</sup> Bazemore G., Umbreit M., “Rethinking the Sanctioning Function in Juvenile Court: Retributive or Restorative Responses to Youth Crime“, *Journal “Crime and Delinquency“*, No. 41(3), United States, 1995, P. 299.

<sup>26</sup> National Research Council and Institute of Medicine, *Juvenile Crime, Juvenile Justice*, The National Academies Press, Washington, DC, 2001, P. 154.



კრძალავს სისხლის სამართლის საქმის წარმოებას, ასევე, დანაშაულის არსებობის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს, რაც სასჯელის შეფარდებითა და აღსრულებით მთავრდება.

ამკ-ის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, კოდექსის ერთ-ერთი მიზანია, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია. ამავე კოდექსის 65-ე მუხლით კი, არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია, არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. სსკ-ისგან განსხვავებით, ამკ-მა უარი თქვა სამართლიანობის აღდგენაზე, როგორც სასჯელის მიზანზე. სამართლიანობის აღდგენა წარსულისკენ არის მიმართული. ბევრ შემთხვევაში, სამართლიანობა იმ მნიშვნელობით ვეღარ აღდგება, როგორც ეს ჩვეულებრივ შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანი (მაგ., მოკლული ვეღარ გაცოცხლდება, თუმცა, მკვლელის დასჯა, მისთვის ერთგვარი სამაგიეროს გადახდა, მოკლული ადამიანის ახლობლებისათვის დამშვიდების საფუძველია).<sup>27</sup> სამაგიეროს მიზლის თეორიაც სასჯელის ლეგიტიმაციის საფუძველს სწორედ წარსულში ჩადენილ დანაშაულში ხედავს. განხორციელებული დანაშაული არის სასჯელის გამოყენების საკმარისი პირობა. იგი ნაკლებად ინტერესდება დამნაშავისგან მომავალში მოსალოდნელი საფრთხით და მის თავიდან ასაცილებლად სასჯელის გამოყენების აუცილებლობით.<sup>28</sup> სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია მოლოდინი, რომ სასჯელი, თავისი შინაარსით, ფორმით, თვისობრივად და არსებითად გასცდება შურისძიების პრიმიტიულ სურვილს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სამართალთან და რომელიც ობიექტურად ვერ შეუწყობს ხელს საზოგადოების დაცულობას, დანაშაულის შემცირებასა და მით უმეტეს, დამნაშავე პირის რესოციალიზაციას. ამასთან, საბოლოოდ ვერ შეუწყობს ხელს სამართლის პროგრესულ და მისი დანიშნულების შესაბამის განვითარებასა და საზოგადოების წევრების ჰარმონიულ

---

<sup>27</sup> გამყრელიძე ო., *სისხლისსამართლებრივი სასჯელის ცნება*, ჟ. „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, №1/2016, გვ. 3, ხელმისაწვდომია:

<http://www.library.court.ge/upload/2016%20wlis%20pirveli.pdf> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021].

<sup>28</sup> ცეციტიშვილი თ., *სასჯელი და მისი შეფარდება*, თბილისი, 2019, გვ. 19.

თანაარსებობას, რის შედეგადაც ვერ უზრუნველყოფს იმ სამართლებრივ წესრიგს, რომლის დაცვისთვისაც უნდა გამოიყენებოდეს სახელმწიფოს იძულების უკიდურესი საშუალებები.<sup>29</sup> სამაგიეროს გადახდა დაუშვებელია იუვენალურ იუსტიციაში, რადგან ეს არის – აღზრდის და არა დასჯის მართლმსაჯულება.

*„სასჯელის ადამიანის უფლებებში შეჭრაა სახელმწიფოს ორგანოების მხრიდან. „ადამიანის უფლებებში“ შეჭრა კი შეიძლება იყოს ორგვარი: 1. სამართლიანი, და 2. უსამართლო“.*<sup>30</sup> არასრულწლოვნისთვის სამართლიანი სასჯელი მხოლოდ ის იქნება, რომელიც დასჯის მაგივრად, მის აღზრდას ემსახურება. კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის ყველა სასჯელის სახე და ზომა უნდა იყოს ისეთი, რომ აღწევდეს სასჯელის მიზნებს, განსაკუთრებით – არასრულწლოვნის რესოციალიზაციას. რესოციალიზაციის პროცესი კი იწყება არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნის მომენტიდან. თუ დანიშნული სასჯელი მიაღწევს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის რესოციალიზაციას, მაშინ სასჯელის მეორე მიზანი – ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, თავისთავად მიღწეული იქნება.<sup>31</sup>

თანამედროვე სისხლის სამართალი პრევენციული სისხლის სამართალია და სამართლიანობის აღდგენაზე მეტად, დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციაზეა ორიენტირებული.<sup>32</sup> ამასთან, სამართლიანობის აღდგენა ერთგვარად დაკავშირებულია სამაგიეროს მიზღვასთან, რაც, დაუშვებელია, იუვენალურ იუსტიციაში. ეს ფაქტიც მნიშვნელოვნად მოწმობს იმას, რომ ამკ ორიენტირებულია დანაშაულის ჩამდენ პირზე და არა ჩადენილ ქმედებაზე, რაც, ასევე, ტრადიციული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მოდელის გამოძახილია.

---

<sup>29</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §43.

<sup>30</sup> გამყრელიძე ო., „სასჯელი სამართლიანი და სასჯელი უსამართლო“, ჟ. „ცხოვრება და კანონი“, №1(22), თბილისი, 2016, გვ. 5.

<sup>31</sup> ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 260-261.

<sup>32</sup> ცეციტიშვილი თ., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მატერიალურსისხლისსამართლებრივი საკითხების რეგულირების ცალკეული ასპექტები“, ჟ. „სამართლის ჟურნალი“, №1, თბილისი, 2019, გვ. 192.

### 1.1. არასრულწლოვანთა სასამართლოს შესახებ მოკლე ისტორიული ექსკურსი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ცენტრი არის არასრულწლოვანთა სასამართლო.<sup>33</sup> თავდაპირველად, ტერმინი – „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ არასრულწლოვანთა სასამართლოს სინონიმად გამოიყენებოდა, თუმცა, დროთა განმავლობაში აღნიშნულმა ტერმინმა ცვლილება განიცადა, რადგან მართლმსაჯულება შეიძლება სასამართლოს გარდა, სხვა დაწესებულებასაც მოიცავდეს, მაგ., პოლიციას, პროკურატურას, ადვოკატურას, პრობაციას, არასრულწლოვანთა პატიმრობის ცენტრებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებს.<sup>34</sup>

არასრულწლოვანთა პირველი სასამართლო ილინოისის არასრულწლოვანთა სასამართლოს კანონით 1899 წელს ჩიკაგოში დაარსდა.<sup>35</sup> სასამართლო მართლმსაჯულებას ახორციელებდა 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებზე. იგი ყურადღებას ამახვილებდა უფრო მეტად რეაბილიტაციაზე, ვიდრე დასჯაზე. სასამართლოს ჩანაწერები, სტიგმის შესამცირებლად, კონფიდენციალური იყო. კანონით არასრულწლოვნები განცალკევებულნი უნდა ყოფილიყვნენ უფროსებისგან. ამასთან, თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, 12 წლამდე ასაკის ბავშვების მიმართ, იკრძალებოდა. კანონი, ასევე, ითვალისწინებდა არაფორმალურობას სასამართლოში არსებულ პროცედურებში.<sup>36</sup> სასამართლოს მიზანი იყო, დახმარებოდა არასრულწლოვანს ოჯახური, სოციალური თუ პირადი პრობლემების მოგვარებაში და ჯანმრთელ, პროდუქტიულ და კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებაში. კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს სასამართლო უნდა მოვლინებოდა როგორც დამცველი და არა

---

<sup>33</sup> Moore M. H., Wakeling S., *Juvenile Justice: Shoring up the Foundations, Crime and Justice: A Review of Research*, Vol. 22, The University of Chicago Press, Chicago, 1997, P. 260.

<sup>34</sup> Rosenheim M. K., Zimring F. E., Tanenhaus D. S., *A Century of Juvenile Justice*, Chicago, Illinois, United States, 1983, P. 18.

<sup>35</sup> Lou H. H., *Juvenile Courts in the United States*, Chicago, Illinois, United States, 1927, P. 14.

<sup>36</sup> Mack J. W., *The Juvenile Court*, Harvard Law Review, Vol. 23, No. 2, Cambridge, MA, United States, 1909, P. 111.

როგორც მტერი,<sup>37</sup> რაც მანამდე არსებულ სისტემაში იგრძნობოდა. წინათ სრულწლოვნები და არასრულწლოვნები განიხილებოდნენ ერთ სიბრტყეზე, ერთნაირი მიდგომებითა და სასჯელებით, მათ შორის, ხანგრძლივი დროის განმავლობაში თავისუფლების აღკვეთის შეფარდებით, ჰქონდათ ერთნაირი უფლებები და სასჯელსაც კი ერთად იხდიდნენ.<sup>38</sup>

არასრულწლოვანთა სასამართლოს იდეა სწრაფად გავრცელდა. 1925 წლისთვის აღნიშნული სასამართლო უკვე არსებობდა აშშ-ის ყველა შტატში, გარდა მაინისა და ვაიომინგისა.<sup>39</sup> იუვენალური სასამართლოს დაარსება იმ პერიოდში მიიჩნეოდა რადიკალურ სიახლედ, თუმცა, ამის მიუხედავად ამ პრაქტიკამ აშშ-ის გარდა, მალევე ჰპოვა განვითარება საზღვარგარეთის ქვეყნებშიც: დიდ ბრიტანეთში (1905), რუსეთში (1910), საფრანგეთსა და ბელგიაში (1912), ესპანეთში (1918), ნიდერლანდებში (1912), გერმანიაში (1922) და ავსტრიაში (1923).<sup>40</sup>

უკვე XX საუკუნის დასაწყისში, არასრულწლოვანთა სასამართლოსადმი მიმართვიანობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, როგორც სამართალდამცავი ორგანოების, ასევე, არასრულწლოვანთა მშობლებისა და ნათესავების მხრიდან. ამის შესაბამისად, უფრო გაიზარდა არასრულწლოვანთა სასამართლოების როლი და აქტუალობა. სასამართლო ისწრაფვოდა თანაგრძნობისკენ, ნდობისკენ და ურთიერთგაგებისკენ<sup>41</sup> და არა შიშისკენ, მუქარისკენ და თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისკენ, როგორც ეს

---

<sup>37</sup> Cintron L. A., *Rehabilitating the Juvenile Court System: Limiting Juvenile Transfers to Adult Criminal Court*, *Northwestern University Law Review*, Vol. 90, Chicago, United States, 1996, P. 1262.

<sup>38</sup> Larsen K. L., *With Liberty and Juvenile Justice for All: Extending the Right to a Jury Trial to the Juvenile Courts*, *William Mitchell Law Review*, Vol. 20, United States, 1994, P. 5-6.

<sup>39</sup> Schlossman S., Sedlak M., *The Chicago Area Project Revisited*, Vol. 29, United States, 1983, P. 400.

<sup>40</sup> საქართველოს პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭო, გაეროს ბავშვთა ფონდი, არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია, საწვრთნელი მოდულები არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრირების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები, თბილისი, 2003, გვ. 120.

<sup>41</sup> Schlossman S., Sedlak M., *The Chicago Area Project Revisited*, Vol. 29, United States, 1983, P. 411.

მანამდე იყო გავრცელებული.<sup>42</sup> იუვენალური სასამართლოს დაარსებით სრულიად შეიცვალა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, მიზნები და პრინციპები.

1910-იანი წლებიდან დაიწყო არასრულწლოვანთა სასამართლოს სამართლიანობისა და ეფექტიანობის კრიტიკა. კრიტიკოსთა ნაწილი, სასამართლოს ადანაშაულებდა არაფორმალურობაში, ზედმეტ ლმობიერებასა და პროცესის არასათანადო ყურადღებაში. მათ არ მოსწონდათ, რომ სასამართლოში მოხვედრილ ყველა ბავშვს ეპყრობოდნენ თანაბრად – ვინც დანაშაული ჩაიდინა და ვისაც არაფერი ჩაუდენია, რაც არ იძლეოდა სათანადო შედეგს.<sup>43</sup> სრულწლოვნისგან განსხვავებით, არასრულწლოვნის საქმე შეიძლება იყოს დასრულებულიყო, რომ არ ყოფილიყო ზეპირი მოსმენა, მსჯავრდებულს არ ჰქონოდა შესაძლებლობა ესარგებლა დაცვის უფლებით ან თუნდაც სათანადოდ ინფორმირებული ყოფილიყო მისი ბრალდების შესახებ.<sup>44</sup>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები XX საუკუნის შუა პერიოდში განხორციელდა. ეს ცვლილებები უკავშირდება ამერიკის უზენაესი სასამართლოს სამ გადაწყვეტილებას.<sup>45</sup> გადაწყვეტილებებმა, იუვენალურ იუსტიციაში, საპროცესო ფორმალობა შემოიღო და კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის სავალდებულო უფლებები დაადგინა.

პირველი გახლდათ საქმე – *“Kent v. United States“*, რომელშიც ამერიკის უზენაესმა სასამართლომ არასრულწლოვან მორის კენტს უარი უთხრა საქმის განხილვაზე, იმ მიზეზით, რომ წინა ინსტანციის სასამართლოში მისი საქმე განხილული იყო ზეპირი მოსმენის გარეშე და მის ადვოკატს არ ჰქონდა წვდომა იმ ინფორმაციაზე, რომელსაც ეყრდნობოდა სასამართლოს გადაწყვეტილება.

---

<sup>42</sup> Schlossman S., *“Love and the American Delinquent“*, Journal *“Juvenile Family Court“*, The University of Chicago Press, Chicago, 1977, P. 63.

<sup>43</sup> Difonzo J. H., *Parental Responsibility for Juvenile Crime*, Vol. 80, No. 1, New York, 2001, P. 4.

<sup>44</sup> Dawson R. O., *The Future of Juvenile Justice: Is it Time to Abolish the System*, Journal of Criminal Law and Criminology, Vol. 81, Chicago, United States, 1990, P. 141.

<sup>45</sup> *პრეცედენტული სამართალი კანონის წყაროა აშშ-ში.*

არასრულწლოვანი მსჯავრდებული ყველაზე ცუდ სიტუაციაში იყო ამ დროს. იგი ვერ სარგებლობდა სათანადო უფლებებით, რომლებითაც შეიძლებოდა ესარგებლა სრულწლოვანთა სასამართლოში, რადგან მის საქმეს განიხილავდა არასრულწლოვანთა სასამართლო, სადაც ამ უფლებებით სარგებლობის საშუალებას არ აძლევდნენ.<sup>46</sup>

მეორე საქმე, რომელიც ერთი წლის შემდეგ განიხილა უზენაესმა სასამართლომ, გახლდათ – *“Gault v. United States“*. ამ გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო მოსთხოვა სასამართლოს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა. 15 წლის ჟერარდდ გაიტს მიესაჯა სასჯელის მოხდა გამოსასწორებელ დაწესებულებაში განუსაზღვრელი ვადით. მისი ქმედება გახლდათ ის, რომ მან განახორციელა უხამსი სატელეფონო ზარი, რომლისთვისაც სრულწლოვნებისთვის მაქსიმალური სასჯელი იყო – ჯარიმა 50\$ ოდენობით ან თავისუფლების აღკვეთა 2 თვის ვადით. ამ საქმეში იყო თითქმის ყველა საპროცესო დარღვევა. კერძოდ, არასრულწლოვანი დააკავა პოლიციამ, რომელმაც მთელი ღამის განმავლობაში ამის შესახებ არ შეატყობინა მშობლებს, პროცესზე არ გამოიძახეს მოწმეები, არ მიმდინარეობდა პროცესის ჩაწერა, არასრულწლოვანს არ ჰყავდა ადვოკატი<sup>47</sup> და ა.შ. უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით არასრულწლოვნებს მიეცათ უფლება მიეღოთ ინფორმაცია მათ მიმართ წაყენებული ბრალდების შესახებ, ჰყოლოდათ ადვოკატი, მოეწვიათ მოწმეები, ასევე, დაეკითხათ ბრალდების მხარის მოწმეები, მიეღოთ სასამართლო სხდომის ჩანაწერი და გაესაჩივრებინათ მოსამართლის ნებისმიერი გადაწყვეტილება.<sup>48</sup>

1970 წელს კი, ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით – *“In re Winship“*, რომელიც ეხება 11 წლის სამუელ ვინშიპს, იუვენალურ იუსტიციაში

---

<sup>46</sup> *“Kent v. United States“*, *United States Supreme Court*, 383 U.S. 541, 1966.

<sup>47</sup> ამ საკითხზე, ასევე, იხ. *SALDUZ v. TURKEY*, ECHR, (Application no. [36391/02](#)), 27 November 2008, §59; ასევე, *ADAMKIEWICZ przeciwko POLSCE*, ECHR, (Skarga nr [54729/00](#)), 2 marca 2010, §49; სასამართლომ ევროკონვენციის მე-6 მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევა დაადგინა აღნიშნულ საქმეებში, სადაც არასრულწლოვნების, რომლებსაც არ მიეცათ ადვოკატით სარგებლობის უფლება, აღიარებითი ჩვენებები გამოიყენეს მტკიცებულებად.

<sup>48</sup> *“Gault v. United States“*, *United States Supreme Court*, 387 U.S. 1, 196.

დამკვიდრდა „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი“. კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით უნდა ცნობილიყო ბრალეულად ამა თუ იმ ქმედების ჩადენაში.<sup>49</sup>

ამერიკის უზენაესმა სასამართლომ მიმდინარე პერიოდში კიდევ რამდენიმე გადაწყვეტილება მიიღო, რომლებმაც, ასევე, არასრულწლოვანთა უფლებების დამკვიდრებას შეუწყო ხელი. „ორმაგის მსჯავრის“ აკრძალვის პრინციპი იუვენალურ იუსტიციაში გაჩნდა საქმით – *“Breed v. Jones“*. სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანი არ უნდა გასამართლდეს ერთი და იგივე ქმედებისთვის არასრულწლოვნობის, ხოლო შემდგომში სრულწლოვნობის დროს. ამით სასამართლომ აღიარა, რომ არასრულწლოვნის საქმე არის სისხლის სამართლის და არა სოციალური კეთილდღეობის საქმე.<sup>50</sup> მიუხედავად ამისა, არასრულწლოვნებს მაინც არ მიეცათ სრულად წვდომა სისხლის სამართლის საპროცესო უფლებებზე. საქმეში *“McKeiver v. Pennsylvania“* სასამართლომ განმარტა, რომ არასრულწლოვნებს არ აქვთ უფლება ნაფიცმსაჯულთა სასამართლოთი ისარგებლონ, რაც მათი საპროცესო უფლებების შეზღუდვაა.<sup>51</sup> მოსამართლეები ბევრ საქმეს განიხილავენ და გარკვეული წარმოდგენები აქვთ მტკიცებულებებისა თუ მხარეების შესახებ. ნაფიცმსაჯულები კი, მხოლოდ ერთ საქმეზე არიან კონცენტრირებულნი. შესაბამისად, შესაძლოა უკეთესი იყოს, რომ არასრულწლოვნის საქმე განიხილოს ნაფიცმსაჯულთა სასამართლომ. ასევე, მსაჯულები ჯგუფურად იხილავენ საქმეს და იღებენ გადაწყვეტილებას, რაც შეიძლება, ასევე, დადებითი იყოს არასრულწლოვნისთვის.<sup>52</sup> ამ გადაწყვეტილების შემდეგ, არასრულწლოვნებსაც მიეცათ ნაფიცმსაჯულთა სასამართლოთი სარგებლობის უფლება.

არასრულწლოვანთა სასამართლო დაარსების დღიდანვე, ასევე, განიხილავდა ისეთ საქმეებს, რომლებიც არ იყო დანაშაული, არამედ იყო „ცუდი საქციელი“. კერძოდ,

---

<sup>49</sup> *“In re Winship“*, United States Supreme Court, 397 U.S. 358, 1970.

<sup>50</sup> *“Breed v. Jones“*, United States Supreme Court, 421 U.S. 519, 1975.

<sup>51</sup> *“McKeiver v. Pennsylvania“*, United States Supreme Court, 403 U.S. 528, 1971.

<sup>52</sup> *Feld B. C., Criminalizing the American Juvenile Court, Crime and Justice, Minnesota, United States, 1993, P. 66.*

ისეთ ქმედებებს, როგორცაა – სახლიდან გაქცევა, სკოლის გაცდენა, ალკოჰოლის მიღება საჯარო ადგილებში ან პროსტიტუციაში ჩაბმა. სასამართლო არასრულწლოვნებს უფარდებდა შესაბამის გამოსასწორებელ ღონისძიებას. მაგ., სასამართლოს ბრძანებით, ისინი შეიძლება განთავსებულიყვნენ ფსიქიატრიულ, ნარკომანიისა და ალკოჰოლის სამკურნალო დაწესებულებებში. ეს ბავშვები იყვნენ არასრულწლოვნები, რომლებიც იყვნენ უკონტროლოები და საჭიროებდნენ დახმარებას, რათა მომავალში დამნაშავეები არ გამხდარიყვნენ.<sup>53</sup>

არასრულწლოვანთა სასამართლო, ასევე, განიხილავდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს. 1960-იან წლებში ბევრმა სახელმწიფომ გადახედა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს და გააუქმა ზოგიერთი სამართალდარღვევა, ხოლო მათ ჩამდენ პირებს სამართალდამრღვევის ნაცვლად მოიხსენიებდნენ სხვა ტერმინებით,<sup>54</sup> ისე როგორც არასრულწლოვნებს, რომლებსაც სჭირდებოდათ მეთვალყურეობა და ზედამხედველობა. ამის შესაბამისად, 1974 წელს ამერიკის კონგრესმა მიიღო კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და დანაშაულის პრევენციის შესახებ“. ასევე შეიქმნა, ამავე სახელწოდების სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც ხელმძღვანელობდა აღნიშნული კანონით. საკანონმდებლო აქტი ვრცელდებოდა როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებზე, ასევე „ცუდი ქცევის“ არასრულწლოვნებზე. 1980-იანი წლების დასაწყისში ასეთი არასრულწლოვნების რიცხვმა მნიშვნელოვნად იკლო.<sup>55</sup> ამავე წელს აღნიშნულ კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ის ვინც არ დაემორჩილებოდა სასამართლოს ბრძანებას, შეეფარდებოდა თავისუფლების აღკვეთა. 1988 წლის ამავე

---

<sup>53</sup> Krisberg B., Schwartz I., “Rethinking Juvenile Justice“, *Journal “Crime and Delinquency“*, Vol. 41, United States, 1983, P. 350.

<sup>54</sup> *Persons, Children or Minors in Need of Supervision (Referred to as PINS, CHINS or MINS)*.

<sup>55</sup> Krisberg B., Schwartz I., “Rethinking Juvenile Justice“, *Journal “Crime and Delinquency“*, Vol. 41, United States, 1983, P. 350.



კანონის კიდევ ერთი ცვლილებით კი, არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა სამკურნალო და საპატიმრო დაწესებულებები გაიმიჯნა.<sup>56</sup>

არასრულწლოვნებისთვის სპეციალური სასამართლოს დაარსება იყო პროგრესული ეპოქის ნაწილი.<sup>57</sup> სახელმწიფოებმა უნდა დაარსონ არასრულწლოვანთა სასამართლო.<sup>58</sup> არასრულწლოვნებთან მოპყრობა, ისე როგორც ზრდასრულ კრიმინალებთან, გადაჭარბებულია. ასეთი სასამართლოს შექმნის მთავარი მიზეზია ბავშვების კრიმინალად ქცევის თავიდან აცილება.<sup>59</sup> შესაბამისად, დასაწყისიდანვე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო – დანაშაულის პრევენცია. სამწუხაროდ, რესურსების არქონისა თუ სხვა მიზეზთა გამო, ჯერჯერობით, არასრულწლოვანთა სასამართლო საქართველოში არ არსებობს.

## 1.2. არასრულწლოვანთა სასჯელების შესახებ მოკლე ისტორიული ექსკურსი

სასჯელი წარმოადგენს სოციალური კონტროლის მეთოდს, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდუალური თავისუფლების მაქსიმუმს სხვადასხვა სფეროში დადგენილი სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში.<sup>60</sup> სისხლისსამართლებრივი სასჯელის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს ქცევის წესების განსაზღვრული სტანდარტის დაწესება და ამ წესების დარღვევისათვის სადამსჯელო ზომების შეფარდება.<sup>61</sup>

---

<sup>56</sup> Schwartz B., *Psychology of Learning and Behavior*, United States, 1989, P. 103.

<sup>57</sup> Schlossman S., Sedlak M., *The Chicago Area Project Revisited*, Vol. 29, United States, 1983, P. 399.

<sup>58</sup> *United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules")*, Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985, Rule 8; *Committee on the Rights of the Child, General Comment No. 10 (2007), Children's Rights in Juvenile Justice*, Para. 93.

<sup>59</sup> Waters M. V., *Parents on Probation*, New York: New Republic Company, 1927, P. 21.

<sup>60</sup> Haney C., *Reforming Punishment, Psychological Limits to the Pains of Imprisonment*, American Psychological Association Washington, DC, 2006, P. 32.

<sup>61</sup> Hart H. L. A., "The Presidential Address: Prolegomenon to the Principles of Punishment", *Journal "Proceedings of the Aristotelian Society"*, New Series, Vol. 60, 1960, Oxford University Press, England, P. 21.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს ნორმებს, რომლებშიც მკაფიოდ იქნება აღნიშნული, რომ საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი, თითოეულ ბავშვთან მიმართებით, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ვრცელდება. გარდა ამისა, კანონმდებლობაში უნდა მიეთითოს, რომ ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის პრინციპი ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ყველა ასპექტს და მის ფარგლებში ნებისმიერ საკითხს,<sup>62</sup> მათ შორის – სასჯელებს.

თავდაპირველად, არასრულწლოვანთა სასჯელები არ ითვალისწინებდა იუვენალური იუსტიციის პრინციპებს. კერძოდ, აშშ-ში XIX საუკუნის დასაწყისამდე, 7 წლიდან იწყებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ისე, რომ მათ შეიძლებოდა შეფარდებოდათ ნებისმიერი სასჯელი, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთა და სიკვდილით დასჯა.<sup>63</sup>

სასჯელები პირობითად უნდა დავყოთ ორ ჯგუფად, ფორმისა და შინაარსის მიხედვით. კერძოდ, სასჯელები, რომლებიც იწვევენ მსჯავრდებულის თავისუფლების შეზღუდვას ან აღკვეთას (შინაპატიმრობა, თავისუფლების შეზღუდვა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა) და სასჯელები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მსჯავრდებულის თავისუფლების შეზღუდვასთან ან აღკვეთასთან (ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა).<sup>64</sup>

---

<sup>62</sup> ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი, ბავშვთა დაცვის განყოფილება, თბილისი, 2011, გვ. 35.

<sup>63</sup> Schlossman S., Sedlak M., *The Chicago Area Project Revisited*, Vol. 29, United States, 1983, P. 399.

<sup>64</sup> ასევე, იხ. ხერხეულიძე ი., „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი)“, ქ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(29), თბილისი, 2011, გვ. 119.

თავისუფლების აღკვეთა, როგორც წესი, განიხილება, როგორც ყველაზე მძიმე სანქცია. აშშ-ში 1996 წელს არასრულწლოვან დამნაშავეთა 18% (320 900 შემთხვევა) იხდიდა სასჯელს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. დანაშაულების ის სახეობა, რომლისთვისაც არასრულწლოვნები იხდიდნენ სასჯელს, ძირითადად იყო ძალადობრივი,<sup>65</sup> ასევე, საკუთრების და ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ.<sup>66</sup> ამ პერიოდში არ იყო ალტერნატიული სასჯელები, რომელთა არსებობაც პირდაპირ კავშირშია მართებულ სისხლის სამართლის პოლიტიკასთან. ალტერნატიული სანქციების გარეშე, იუვენალური იუსტიცია ვერ შეიძენს ჰუმანურ ხასიათს, რაც აუცილებელია დემოკრატიული სახელმწიფოსთვის. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდა კი, კიდევ უფრო უბიძგებდა არასრულწლოვანს დანაშაულისკენ. სწორედ ამიტომ, დღის წესრიგში დადგა ალტერნატიული სასჯელების არსებობის აუცილებლობა.

„Annie E. Casey“ ფონდის<sup>67</sup> ინიციატივით, 1992 წელს აშშ-ში დაიწყო არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივებზე მუშაობა. გრანტი გადაეცა რამდენიმე შტატს,<sup>68</sup> იმ პირობით, რომ ნაცვლად იმისა, რომ უკეთ მოეწყობა და გაეფართოვებინათ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები, თანხა დაეხარჯათ ალტერნატიული სანქციების დანერგვაში. პროექტი წლების განმავლობაში მიმდინარეობდა და საბოლოოდ შეფასება 2000 წელს მოხდა. შეფასების მიხედვით, ალტერნატიულმა სასჯელებმა, მნიშვნელოვნად განტვირთა თავისუფლების აღკვეთის

---

<sup>65</sup> Soringer W. D., Roberts R. A., Brownell P., Torrente M., Lippman P. D. A., Deitch M., *A Brief Historical Overview of Juvenile Justice and Juvenile Delinquency, United States, 2006, P. 10.*

<sup>66</sup> *National Research Council and Institute of Medicine, Juvenile Crime, Juvenile Justice, The National Academies Press, Washington, DC, 2001, P. 186.*

<sup>67</sup> *აშშ-ში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ძლიერი საქველმოქმედო ფონდი ბავშვის კეთილდღეობის საკითხებში, იხ. <https://www.aecf.org/> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021].*

<sup>68</sup> *Cook County, Illinois (Chicago); Milwaukee County, Wisconsin; Multnomah County, Oregon (Portland); New York City; Sacramento County, California.*

დაწესებულებები, ისე რომ დანაშაულის ზრდას არ ჰქონია ადგილი.<sup>69</sup> ალტერნატიული სანქციები იყო შემდეგი: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, სამკურნალო დაწესებულებაში გაგზავნა, კომპენსაციის გადახდა, სახლში ან სხვა განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ვალდებულება, სკოლაში სიარულის მონიტორინგი, ზოგადი ქცევითი ზედამხედველობა, თერაპიული კურსის გავლა, უფროს მეგობართან ურთიერთობა<sup>70</sup> და ა.შ.<sup>71</sup>

---

<sup>69</sup> Kendrick M., *Reducing Disproportionate Minority Contact in the Juvenile Justice System: Promising Practices, Aggression and Violent Behavior, United States, 2007, P. 145.*

<sup>70</sup> უფროს მეგობართან ურთიერთობაში იგულისხმება სახელმწიფო პროგრამა, სადაც ბავშვებს ენიშნებათ სრულწლოვანი ადამიანი, რომელიც მხარს უჭერს მათ და მეგობრულად ეხმარება. მენტორმა უნდა იმოქმედოს არასრულწლოვანისთვის სამაგალითოდ და მას შეიძლება მოთხოვონ რაიმე აქტივობის განხორციელება არასრულწლოვანთან ერთად. მგ., დახმარების გაწევა საშინაო დავალებების შესრულებაში, ზოგადად, ბავშვთან რეგულარულად შეხვედრა და საუბარი და ა.შ; იხ. ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი, ბავშვთა დაცვის განყოფილება, თბილისი, 2011, გვ. 111; ასეთი პროგრამა საქართველოშიც არსებობდა. კერძოდ, 2011 წლის იანვარში საქართველოს გაეროს ასოციაციის (საგა) და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ერთობლივი საგრანტო პროგრამა „ჩემი უფროსი მეგობარი“ ამოქმედდა. პროგრამა მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო საჭიროებათა მქონე მოზარდებისათვის უფრო ადვილად მოეხდინათ სირთულეების დაძლევა და საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია ახალი ურთიერთობებისა და გამოცდილებების შექმნის გზით. აღნიშნული პროექტი გულისხმობდა მოზარდისა და უფროსი ადამიანის დამეგობრებას, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა საერთო ინტერესებსა და მოხალისეობრივ საქმიანობებზე. „უფროსი მეგობარი“ უზრუნველყოფდა „უმცროსი მეგობრის“ ისეთი ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობას, რომელიც მორგებული იქნებოდა მის ინტერესებსა და საჭიროებებზე, რაც ხელს შეუწყობდა მოზარდის ცნობიერების ღონის ამაღლებას, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასა და მისი პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარებას. შესაბამისად, „უფროსი მეგობრის“ მხრიდან პოზიტიური ზეგავლენის მოხდენა უნდა დახმარებოდა მოზარდის სირთულეების დაძლევის უნარების გაუმჯობესებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციაში. პროგრამაში მენტორად მონაწილეობა შეეძლო ნებისმიერ პირს 18 წლის ასაკიდან, რომელიც მზად იყო 8 თვის განმავლობაში, სულ მცირე, კვირაში 2 საათი დაეთმო უმცროსი მეგობრისთვის. სამეგობროდ წყვილებს ხასიათისა და ინტერესების მიხედვით არჩევდნენ. მეგობრები ერთი სქესის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც პირველი შეხვედრის შემდეგ ერთად გეგმავდნენ აქტივობებს. პროგრამა „უფროსი მეგობარი“ 2011 წლის შემდგომ არ განხორციელებულა; იხ. საქართველოს

არასრულწლოვანთა ახალი სანქციები ემყარებოდა დამნაშავეის მოთხოვნილებებს. აქცენტი გაკეთებული იყო ბავშვის კეთილდღეობაზე.<sup>72</sup> ეს იყო ე.წ. „პროპორციული სასჯელები“ (Just Deserts), რომელთა ფილოსოფიასაც ძირითადი ყურადღება გადატანილი აქვს სწორედ ქმედების ჩამდენზე.<sup>73</sup> სასჯელთა მთავარი მიზანი იყო – დამნაშავეის რეაბილიტაცია. დროთა განმავლობაში საკანონმდებლო ცვლილებებმა დააშორა სასჯელები სარეაბილიტაციო მიზნებს. სასჯელი გახდა არა დამნაშავეზე, არამედ დანაშაულზე დაფუძნებული. დანაშაულზე დაფუძნებული სასჯელი კი, მიზნად ისახავს სამაგიეროს გადახდას.<sup>74</sup> ამის საპასუხოდ, აშშ-ის ზოგიერთ შტატში გავრცელებული იყო ე.წ. „შერეული (შერწყმული) სასჯელები“ (Determinate Sentencing), რაც გულისხმობდა, იმას რომ არასრულწლოვანს შეეფარდებოდა სასჯელის მოხდა არასრულწლოვანთა გამოსასწორებელ დაწესებულებაში, თუმცა, ამასთან ერთად კიდევ ერთი სასჯელი, რომელიც გათვალისწინებული იყო სრულწლოვნებისთვის. მეორე სასჯელის აღსრულება ჩერდებოდა მანამ, სანამ არასრულწლოვანი არ მოიხდიდა პირველ სასჯელს და თუ წარმატებით მოიხდიდა, მას მეორე სასჯელი გაუუქმდებოდა. აღნიშნული მოდელის მომხრეები აღნიშნავდნენ, რომ ამ საშუალებით არასრულწლოვანი, განსაკუთრებით

---

*იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ წერილი №638, 20.09.201; ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა ბავშვის ცხოვრებაში არსებობდეს ისეთი ადამიანი, ვინც მისთვის მისაბაძი მაგალითი იქნება. ზოგადად, ეს ინიციატივა ეფუძნება ისეთი ამერიკული აღმზრდელიობითი პროგრამების სამუშაო გამოცდილებას, როგორცაა „Partners Mentoring Youth“ და „Big Brothers Big Sisters of America“.*

<sup>71</sup> Mallett Ch. A., "Predicting Juvenile Delinquency: The Nexus of Childhood Maltreatment, Depression and Bipolar Disorder", *Journal "Criminal Behaviour and Mental Health"*, 19(4), Ohio, United States, 2009, P. 66.

<sup>72</sup> Torbet P., *State Responses to Serious and Violent Juvenile Crime*, U.S. Department of Justice, Office of Justice Programs, Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention, United States, 1996, P. 12.

<sup>73</sup> კრისტი ნ., *ტკივილის საზღვრები, სასჯელის როლი სასჯელაღსრულების პოლიტიკაში, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, თბილისი, 2017, გვ. 64.*

<sup>74</sup> Torbet P., Szumanski L., Griffin P., *Trying Juveniles as Adults in Criminal Court: An Analysis of State Transfer Provisions*, U.S. Department of Justice, Office of Justice Programs, Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention, United States, 1998, P. 11.

მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, შეიძლება არიდებოდა მძიმე სასჯელს, თუმცა, მოწინააღმდეგეები აცხადებდნენ, რომ ეს სისტემა ეწინააღმდეგებოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების არსს. ზრდასრულების სასჯელების გამოყენება იწვევდა პროცედურულ და სამართლებრივ დარღვევებს.<sup>75</sup> შტატების უმეტესობაში შერეული სასჯელების სისტემა მოქმედებდა, თუმცა, ზოგიერთ შტატში მოსამართლეს შეეძლო არასრულწლოვნისთვის შეეფარდებინა მხოლოდ არასრულწლოვნის ან მხოლოდ სრულწლოვნის სასჯელი.<sup>76</sup>

1992 წლიდან დაწესდა სავალდებულო მინიმალური სასჯელები. მაგ., მკვლელობისთვის 14 წლიდან არასრულწლოვანს უნდა შეფარდებოდა მინიმუმ 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. გარდა ამისა, აშშ-ის 23 შტატში დაშვებული იყო სიკვდილით დასჯა არასრულწლოვნებისთვის. უფრო მეტიც, 1989 წელს, საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დაადასტურა, რომ 16 წელს ზემოთ არასრულწლოვნისთვის სიკვდილით დასჯა კონსტიტუციური სასჯელი იყო.<sup>77</sup> ეს პრაქტიკა დაგმო ამავე წელს მიღებულმა ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციამ და სრულიად საპირისპირო დაადგინა – არც ერთმა ბავშვმა არ შეიძლება განიცადოს სიკვდილით დასჯა.<sup>78</sup>

იუვენალური იუსტიციის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი იყო ის, რომ იგი ადეკვატურ სასჯელებს ვერ უფარდებდა არასრულწლოვნებს. კვლევების მიხედვით, მინიმუმ 63% მსჯავრდებულის მიმართ იყო გამოყენებული თავისუფლების აღკვეთა.<sup>79</sup>

---

<sup>75</sup> Feld B. C., "Abolish the Juvenile Court: Youthfulness, Criminal Responsibility and Sentencing Policy", *Journal "Criminal Law and Criminology"*, 1997, Chicago, United States, P. 100.

<sup>76</sup> Redding R. E., *The Effects of Adjudicating and Sentencing Juveniles as Adults: Research and Policy Implications, Youth Violence and Juvenile Justice, United States, 2003, P. 137.*

<sup>77</sup> Torbet P., *State Responses to Serious and Violent Juvenile Crime, U.S. Department of Justice, Office of Justice Programs, Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention, United States, 1996, P. 14.*

<sup>78</sup> ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია, 1989, მუხლი 37(1).

<sup>79</sup> Kinder K., Harland J., Wilkin A., Wakefield A., *Three to Remember: Strategies for Disaffected Pupils, The National Foundation for Educational Research, England, 1995, P. 73.*

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციამ, ასევე, დაგმო ეს პრაქტიკა. თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ, როგორც უკიდურესი ღონისძიება, მაქსიმალურად მცირე პერიოდის განმავლობაში.<sup>80</sup> კონვენცია აღმოჩნდა მთელი მსოფლიოს მთავარი ორიენტირი, რომ სახელმწიფოებს უარი ეთქვათ დრომოჭმულ, სასტიკ სასჯელებზე იუვენალურ იუსტიციაში და დაეწყოთ ფიქრი და მუშაობა ჰუმანურ სანქციებზე. ამკ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ სასჯელებს. ამასთანავე, კოდექსით დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით არის შესაძლებელი. თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ, როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული.

### **1.3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორია ქართულ სისხლის**

#### **სამართალში**

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დიდი ხანია არსებობს სპეციალური ნორმები არასრულწლოვანთათვის, თუმცა, ისინი საკმაოდ მწირი და არალიბერალური გახლდათ. კანონმდებლობაში არ არსებობდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი სპეციალური ნორმატიული აქტი, რომელიც გააერთიანებდა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობის შესახებ არსებულ სპეციფიკურ წესებს და გაამარტივებდა მათ აღქმას. ამის მიუხედავად, სისხლის სამართლის კანონმდებლობა მაინც ითვალისწინებდა სრულწლოვნებისგან განსხვავებულ ნორმებს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც 1928 წლის 26 მარტს მიიღეს და ამავე წლის 1 მაისიდან ამოქმედდა, იცნობდა არასრულწლოვნის ცნებას. კოდექსის მე-5 მუხლის მე-11 ნაწილი,

---

<sup>80</sup> ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია, 1989, მუხლი 37(2).

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა 12-დან 14 წლამდე არასრულწლოვანთათვის მხოლოდ გარკვეული დანაშაულებისთვის (ქურდობა, ძალადობა, სხეულის დაზიანება, დაშავება, მკვლელობა ან მკვლელობის მცდელობა, აგრეთვე, ისეთი მოქმედება, რომელმაც შეიძლება მატარებლის მარცხი გამოიწვიოს (რელსების ხრახნის მოშვება, რელსებზე სხვადასხვა საგნის დაწყობა და სხვა)), ხოლო 14 წლიდან – კოდექსით გათვალისწინებული ყველა დანაშაულისათვის. სასჯელები აღნიშნული საკანონმდებლო აქტით დაყოფილი იყო შემდეგნაირად: მე-20 მუხლი ეხებოდა სასამართლო-გამასწორებელი ხასიათის სოციალური დაცვის ღონისძიებებს (დამნაშავის მშრომელთა მტრად გამოცხადება, საქართველოს სსრ მოქალაქეობისა და ამით სსრ კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევით და სსრ კავშირის ფარგლებიდან სამუდამოდ გაძევებით; თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსებით სსრ კავშირის შორეულ ადგილას; თავისუფლების აღკვეთა საერთო საპატიმრო ადგილას მოთავსებით და ა.შ.); 24-ე მუხლი ეხებოდა სამკურნალო ხასიათის სოციალური დაცვის ღონისძიებებს (იძულებითი წამლობა და სამკურნალო-საიზოლაციო დაწესებულებაში მოთავსება) და 25-ე მუხლი სამკურნალო-საპედაგოგიკო ხასიათის სოციალური დაცვის ღონისძიებებს (არასრულწლოვნის მიცემა მშობლების, ნათესავების ან სხვა პირის, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მზრუნველობაში; სპეციალურ დაწესებულებაში მოთავსება). სპეციალური მიდგომა არასრულწლოვნის მიმართ იკვეთებოდა კოდექსის 22-ე მუხლშიც, რომლის მიხედვითაც, დახვრეტა არ შეიძლებოდა შეფარდებოდა პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენის დროს არ იყო 18 წლის, აგრეთვე, ორსულ ქალს. გარდა ამისა, კოდექსის 45-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით, სოციალური დაცვის უფრო მსუბუქ ღონისძიებას სასამართლო იღებდა, იმ შემთხვევაში, *„უკეთუ დანაშაული ჩადენილია არასრულწლოვნის ან ორსული ქალის მიერ“*.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც 1960 წლის 30 დეკემბერს მიიღეს და 1961 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა, ასევე, იცნობდა არასრულწლოვნის ცნებას. კოდექსის მე-12 მუხლით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იწყებოდა 16 წლიდან, ხოლო 14-დან 16



წლამდე პირებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ხდებოდა კონკრეტული დანაშაულებისთვის, რომელიც ამავე მუხლში იყო ჩამოთვლილი (მკვლელობა, სხეულის განზრახ დაზიანება, რამაც ჯანმრთელობის შერყევა გამოიწვია, გაუპატიურება, ყაჩაღური თავდასხმა, გამარცვა, ქურდობა, ბოროტი ან განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობა, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგები, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებადი ნივთიერების გატაცება, სატრანსპორტო საშუალების გატაცება, აგრეთვე, ისეთი მოქმედების განზრახ ჩადენა, რასაც შეიძლება გამოეწვია მატარებლის მარცხი). საკანონმდებლო აქტში არასრულწლოვნების მიმართ სპეციალური მიდგომის გამოვლინება იყო მე-12 მუხლის მესამე ნაწილი, რომლის მიხედვითაც, თუ სასამართლო დაინახავდა, რომ პირი არ წარმოადგენდა საზოგადოებისათვის დიდ საშიშროებას, მოსამართლეს შეეძლო გამოეყენებინა მხოლოდ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიება, რომელიც სისხლის სამართლის სასჯელს არ წარმოადგენდა. კოდექსის 64-ე მუხლით კი, აღმზრდელობითი ხასიათის იძულებით ღონისძიებებს წარმოადგენდა: დაზარალებულის წინაშე საჯაროდ ან სხვა ფორმით ბოდიშის მოხდა, საყვედურის ან სასტიკი საყვედურის გამოცხადება, გაფრთხილება და ა.შ. ამავე კოდექსით, სიკვდილით დასჯა არ ეხებოდა არასრულწლოვანს, ხოლო თავისუფლების აღკვეთის ზომა შეიძლებოდა ყოფილიყო მაქსიმუმ 10 წელი. საკანონმდებლო აქტი არასრულწლოვნის მიმართ იცნობდა, აგრეთვე, ვადამდე გათავისუფლების, პირობითი მსჯავრისა და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელის სახით შეცვლის შესაძლებლობას. სასჯელი მიზნად ისახავდა არა მხოლოდ დამნაშავის დასჯას, არამედ მის აღზრდას, შრომისადმი, კანონთა ზუსტი შესრულებისადმი, საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის გაღვივებას, დანაშაულის პრევენციას. კერძოდ, 22-ე მუხლით – *„სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოსწორებს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტი შესრულების, საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. აგრეთვე აცდენილ იქნეს ახალ*

*დანაშაულთა ჩადენა როგორც მსჯავრდებულთა, ისე სხვა პირთა მიერ. სასჯელის მიზანი არ არის ფიზიკური ტანჯვის მიყენება ან ადამიანის ღირსების დამცირება“.*

სავარაუდოა, რომ კოდექსის ეს ნორმები ზუსტად ასახავდა იმდროინდელი ხელისუფლების სურვილებს. სახელმწიფოსთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო პატიოსანი მოქალაქის ყოლა, რომელიც ჩაბმული იქნებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვიდრე დამნაშავის, რომელიც იჯდებოდა ციხეში, იქნებოდა სახელმწიფოს კმაყოფაზე და ვერ მოიტანდა სარგებელს სოციალური სახელმწიფოსთვის.

1999 წლის 22 ივლისს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც 2000 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდა, უკვე ითვალისწინებდა ცალკე თავს არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის. საკანონმდებლო აქტის მე-80 მუხლით, არასრულწლოვანი იყო 14 წლიდან 18 წლამდე პირი, რომელსაც შესაძლოა დანიშნონდა სასჯელი ან აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება. კოდექსის 82-ე მუხლით, სასჯელის სახეები გახლდათ: ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, ტუსალობა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. 90-ე მუხლით, არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, სასამართლოს შეეძლო გაეთავისუფლებინა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მიიჩნევდა, რომ მისი გამოსწორება მიზანშეწონილი იყო აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით, რომლებიც 91-ე მუხლით იყო შემდეგი: გაფრთხილება, საზედამხედველოდ გადაცემა, ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება, ქცევის შეზღუდვა, სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება. კოდექსი, ასევე, ითვალისწინებდა სასჯელისაგან გათავისუფლებისა და სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევებს (97-98-ე მუხლები). აღსანიშნავია ისიც, რომ არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნის დროს, სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებთან ერთად, მხედველობაში მიიღებოდა მისი ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, ფსიქიკური განვითარების დონე, ჯანმრთელობის

მდგომარეობა, სხვა პიროვნული თავისებურებანი, მასზე ასაკით უფროსი პირის ზეგავლენა (89-ე მუხლი).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ამკ-ის მიღებამდეც, არ ტოვებდა არასრულწლოვანს ყურადღების მიღმა. ზემოხსენებულ კოდექსებში არსებული ნორმები, დროის შესაბამისად, არასრულწლოვნების მიმართ ზრუნვისა და განსაკუთრებული მიდგომის ამსახველია. სხვადასხვა პერიოდებში არასრულწლოვნების მიმართ მაინც ლმობიერი მიდგომა იყო. რეპრესიული, მკაცრი მმართველობის პერიოდში, სადაც ადამიანის უფლებები ნაკლებად იყო დაცული, არასრულწლოვნის მიმართ სპეციალური ნორმების არსებობა შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებულ შემთხვევად.

საქართველოში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მხრივ, გარდაქმნა 2015 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებით მოხდა, რომლის ძირითადი ნაწილი 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. ამკ ადგენს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა და არასრულწლოვნის მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების, სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებს, სასჯელისა და სხვა ზომების აღსრულების სპეციალურ წესებს. ახალი კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს აწარმოებენ მხოლოდ სპეციალიზებული პირები. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ეს სფერო სრულყოფას ქართულ სინამდვილეში კიდევ საჭიროებს, სულ მცირე, სპეციალიზებული სასამართლოების არსებობით, რომელთან დაკავშირებითაც ისტორია ნაშრომში მიმოხილული არ არის, რადგან საქართველოში არასდროს ყოფილა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურმა საკანონმდებლო აქტმა ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. ამკ ნამდვილად

არის ქართული საკანონმდებლო სივრცის მონაპოვარი, რომელიც ახლებურად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აყალიბებს მთელ რიგ საკითხებს.<sup>81</sup>

---

<sup>81</sup> მახარობლიძე თ., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წარმოშობისა და განვითარების ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები (შედარებითი ანალიზი)“, ჟ. „სამართლის ჟურნალი“, №1, თბილისი, 2020, გვ. 255-266.

## 2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო საბაზისო ჩარჩო

მართლმსაჯულების პროცესში ბავშვის ინტერესების დაცვა სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს თანამედროვე მსოფლიოში. საერთაშორისო კანონმდებლობა ამ ჯგუფს დაცვის განსაკუთრებულ ობიექტად აღიარებს და ხაზს უსვამს ამ პროცესში გასატარებელი ეფექტური ღონისძიებების აუცილებლობას.<sup>82</sup> ბავშვის კანონმდებლობის შექმნაში მნიშვნელოვანია საერთაშორისო და ევროპული სამართლებრივი აქტების, დირექტივებისა და რეკომენდაციების ცოდნა და გათვალისწინება.

1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა გაერთიანდა და შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია – გაერო. გაეროს წევრი ქვეყნების სურვილს წარმოადგენდა მსოფლიოში მშვიდობისა და თავისუფლების დამკვიდრება.

1948 წლის 10 დეკემბერს გაერომ მიიღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. ამ დეკლარაციაში შესულ უფლებებში, რომელიც მსოფლიოში ყველა ადამიანის უფლებებს წარმოადგენს, მოიაზრებოდა ბავშვის უფლებებიც. აღნიშნული დეკლარაცია არის პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც ბავშვის განსაკუთრებული უფლებები იქნა მოხსენიებული.

1950 წელს მომზადდა ბავშვთა უფლებების დოკუმენტის პირველი პროექტი, რომლის შესახებ მსჯელობაც, გაეროს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებს შორის, რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

1959 წლის 20 ნოემბერს გაერომ მიიღო დეკლარაცია ბავშვის უფლებების შესახებ. აღნიშნული დეკლარაცია სახელმწიფოების მხრიდან ვალდებულების შემცველ დოკუმენტს არ წარმოადგენს. იგი ყველა სახელმწიფოსათვის არის რეკომენდაცია, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ პოლიტიკის შემუშავებისას.

---

<sup>82</sup> ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრო, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, გვ. 3, <http://www.library.court.ge/upload/International%20legal%20framwork%20.pdf> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021].

1979 წელი, მსოფლიო მასშტაბით, გამოცხადდა ბავშვის წლად. ბავშვთა უფლებების შესახებ დისკუსიები იმართებოდა ყველგან. დღითიდღე ბავშვების კეთილდღეობით დაინტერესებული სულ უფრო მეტი ადამიანი გამოთქვამდა სურვილს ბავშვთა უფლებები უფრო დეტალურად ყოფილიყო შემუშავებული და რაც ყველაზე მთავარია, სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტის სახე მიეღო.<sup>83</sup>

1989 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო – ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია. ამ დღიდან მოყოლებული, კონვენციას მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფომ მოაწერა ხელი. დოკუმენტზე ხელის მოწერით, სახელმწიფოების მთავრობებმა აიღეს ვალდებულება, ბავშვთა უფლებების შესახებ ინფორმაცია გაეზრცელებინათ თავიანთ ქვეყნებში, დაეცვათ ეს უფლებები და განსაკუთრებული მზრუნველობა გამოეჩინათ ბავშვების მიმართ.

ზემოხსენებული საერთაშორისო სამართლის აქტების მიღება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ბავშვთა უფლებათა დაცვისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული ჩარჩო რეგულაციების მიღების თვალსაზრისით. ამ დოკუმენტებში განმტკიცებული ფუნდამენტური პრინციპებისა და ღირებულებების შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ასახვა და სწორი იმპლემენტაცია არის უკიდურესად მნიშვნელოვანი. აღნიშნული პირდაპირ თანხვედრაშია სამართლებრივი სახელმწიფოს თანამედროვე მოდელთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ბევრად ხანმოკლე გამოცდილების მიუხედავად, ქართული კანონმდებლობა არასრულწლოვანთა შესახებ ბევრ საკითხში თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. ამასთანავე, პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს ის გარემოება, რომ შესაბამისი სამართლებრივი აქტების სრულყოფა და გამოწვევებთან მიმართებით ჰარმონიზაცია კვლავაც გრძელდება.

---

<sup>83</sup> გოლობი რ., კრაფი პ., ბავშვთა უფლებების კვლევა, სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ, წიგნი V, 2007, გვ. 80-83.

## 2.1. ბავშვის უფლებების დაცვის მთავარი საერთაშორისო დოკუმენტი

ბავშვის უფლებების შესახებ არსებულ ყოვლისმომცველ დოკუმენტს წარმოადგენს გაეროს მიერ, 1989 წლის 20 ნოემბერს მიღებული ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს. კონვენცია რატიფიცირებულია ყველა ქვეყნის მიერ, აშშ-ის და სომალის გარდა. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს პირველ ხელშეკრულებას, რომელიც ბავშვის უფლებებს ეხება და „უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის“ თვალსაზრისით, აზროვნებაში მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშანსვეტს წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო კანონიერად აგებს პასუხს ბავშვთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მიმართულებით განხორციელებული არასწორი პოლიტიკისა თუ ქმედებების გამო.

თუ სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ პატივი სცეს ბავშვის უფლებებს, მან უნდა იმოქმედოს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციაზე დაფუძნებული ეროვნული სტრატეგიის მიხედვით.<sup>84</sup> კონვენციის პრეამბულით, ყველა შემთხვევაში, არსებობს ბავშვის უფლებების განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობა.<sup>85</sup> ამ კონვენციას ხელს აწერს უფრო მეტი ქვეყანა, ვიდრე რომელიმე სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვას ემსახურება. 1996 წლის იანვრისათვის, მასზე უკვე 187 ქვეყანას ჰქონდა ხელი მოწერილი ან რატიფიცირებული ჰქონდა აღნიშნული დოკუმენტი.<sup>86</sup>

ბავშვთა უფლებები და ის სტანდარტები, რომლისკენაც უნდა ისწრაფვოდეს ყველა სახელმწიფო, უკლებლივ ყველა ბავშვისთვის ამ უფლებათა რეალიზაციის

---

<sup>84</sup> *Committee on the Rights of the Child, General Comment No. 5 (2003), General Measures of Implementation of the Convention on the Rights of the Child, Arts. 4, 42, 44, Paras. 6, 28.*

<sup>85</sup> იგივე ვალდებულებას აწესებს 1959 წლის 20 ნოემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ბავშვის უფლებათა დეკლარაცია; გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, 1966, (მუხლები 23-24); ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, 1966, (მუხლი 10).

<sup>86</sup> გოლობი რ., კრაფი პ., ბავშვთა უფლებების კვლევა, სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ, წიგნი V, 2007, გვ. 79.

თვალსაზრისით, ყველაზე კონკრეტულად და სრულყოფილად ერთ საერთაშორისო ხელშეკრულებაშია ჩამოყალიბებული, რომელიც არის – ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია. მოცემული დოკუმენტის რატიფიცირებით, სახელმწიფოთა მთავრობები საკუთარ თავზე იღებენ ვალდებულებას, დაიცვან და ყველა შესაძლო საშუალებით უზრუნველყონ ბავშვთა უფლებების დაცვა. აგრეთვე, ისინი თანხმდებიან, ანგარიშვალდებულნი იყვნენ ამ მიმართულებით მათ მიერ გადადგმული ნაბიჯებისა თუ მიღწევების შესახებ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე. გაეროს კონვენციამ შექმნა ახლებური აღქმა, რომლის მიხედვითაც, ბავშვები სარგებლობენ თავიანთი უფლებებით, მათ აქვთ ასაკის შესაბამისი ვალდებულებები და არ წარმოადგენენ მხოლოდ მშობლების საკუთრებას ან კმაყოფაზე მყოფ უსუსურ, დაუცველ არსებებს. აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტი განსაზღვრავს ყველა იმ სტანდარტს, რომელთა მიღწევაც მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვების ჯანსაღ გარემოში აღზრდისა და განვითარების მიზნით.

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია შედგება ოთხი ძირითადი პრინციპისგან:

1. მონაწილეობა: მონაწილეობის უფლება (მუხლი 3. ბავშვების საჭიროებების პრიორიტეტულობა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში, კანონმდებლობასა და იურისდიქციაში; მუხლი 12. შეხედულებების გამოთქმის თავისუფლება და აზრის გამოთქმის უფლება ყველა იმ საკითხზე, რომელიც ბავშვს ეხება; მუხლი 13. გამოხატვის თავისუფლება; მუხლი 14. აზრის, სინდისის და რელიგიური რწმენის თავისუფლება; მუხლი 15. ასოციაციებისა და მშვიდობიანი შეკრებების უფლება; მუხლი 16. პირადი ხელშეუხებლობის დაცვა; მუხლი 17. მედიასაშუალებებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმისაწვდომობა);
2. შესაძლებლობების გამოვლენა: უფლება, ჩამოვყალიბდეთ იმად, ვინც ვართ, მშობელთა უფლებების დაცვა (მუხლი 5. მშობელთა უფლებების დაცვა; მუხლი 7. ბავშვის სახელისა და მოქალაქეობის დაცვა; მუხლი 8. ბავშვის ინდივიდუალობის დაცვა; მუხლი 10. ოჯახის გამთლიანების ხელშეწყობა; მუხლი 21. შვილად აყვანის პროცედურათა დაცვა და კონტროლი; მუხლი 23. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებზე გამორჩეული მზრუნველობა; მუხლი 28. განათლების უფლება);
3. ნორმალური ცხოვრების პირობები: სიცოცხლის



შენარჩუნების უფლება (მუხლი 6. ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნების პირობებისა და ჯანსაღი განვითარების უზრუნველყოფა; მუხლი 9. მშობლებთან კავშირის შენარჩუნების უზრუნველყოფა; მუხლი 18. მშობლებისა და მეურვეების პასუხისმგებლობები; მუხლი 24. ჯანმრთელობის დაცვა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემისა და მომსახურების მისაწვდომობა; მუხლი 26. სოციალური უზრუნველყოფა; მუხლი 27. ცხოვრების სათანადო პირობების უზრუნველყოფა; მუხლი 31. დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება); 4. ზიანისაგან დაცვა: დაცვის უფლება (მუხლი 2. დისკრიმინაციისაგან დაცვის პრინციპი; მუხლი 11. უკანონოდ გადაადგილებისა და გატაცებისაგან დაცვა; მუხლი 19. ძალადობისაგან და მზრუნველობის მოკლებისაგან დაცვა; მუხლი 20. ოჯახის მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დაცვა; მუხლი 22. ლტოლვილი ბავშვების დაცვა; მუხლი 32. ეკონომიკური ექსპლუატაციისაგან დაცვა; მუხლი 33. ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისაგან დაცვა; მუხლი 34. სექსუალური ექსპლუატაციისაგან დაცვა; მუხლი 35. ბავშვთა ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევისა და ბავშვებით ვაჭრობის დაუშვებლობა; მუხლი 36. ყველა სხვა ფორმის ექსპლუატაციისაგან დაცვა; მუხლი 37. წამებისა და სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან დაცვა; მუხლი 38. ომები და შეიარაღებული კონფლიქტები; მუხლი 39. ნებისმიერ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლ ბავშვთა სოციალური რეინტეგრაცია; მუხლი 40. სასჯელადსრულების კანონი ბავშვების მიმართ).<sup>87</sup>

კონვენციამ ბევრი რამ შეცვალა ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში. იგი ხელს უწყობს მონაწილეობას ბავშვის ასაკისა და ზრდასრულობის მიხედვით მოვლენებში, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ბედზე (მაგ., როგორცაა გაშვილების ან სხვა იურიდიული პროცესები, რომლებიც უკავშირდება ოჯახს ან საზოგადოებას). კონვენცია ბავშვს განიხილავს კანონის სუბიექტად და არა ობიექტად. ტრადიციულად, მოზრდილთა უდიდესი ნაწილი დარწმუნებულია, რომ ბავშვი უნდა განიხილებოდეს ობიექტად, რომელიც უპირობოდ უნდა დაემორჩილოს უფროსებს (მასწავლებლებს,

---

<sup>87</sup> გოლობი რ., კრაფი პ., *ბავშვთა უფლებების კვლევა, სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ*, წიგნი V, 2007, გვ. 15.

მოდღვარს, მშობლებს, ექიმებს და ა.შ.). ამის ნაცვლად, კონვენცია ამკვიდრებს იდეას, რომ ბავშვი არის ადამიანი გარკვეული უფლებებით, რომლებსაც პატივი უნდა სცენ უფროსებმა, საზოგადოებამ და ყველა ორგანიზაციამ. ბავშვის ინტერესების დაცვა უნდა მართავდეს ბავშვებთან დაკავშირებით მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას, იქნება ეს იურიდიული, ადმინისტრაციული და ა.შ. ამ კონვენციის განსაზღვრა რთულია და მისი ზუსტი მნიშვნელობის შესახებ არსებობს წინააღმდეგობრივი მიდგომები. პრაქტიკაში, ეს გულისხმობს, რომ მაგ., მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს ვის დაეკისროს ბავშვზე მეურვეობა, მან უნდა შეისწავლოს ბავშვის ცხოვრების და მასთან დაკავშირებული უფროსების რამდენიმე ასპექტი. ყველა შემთხვევაში ბავშვის ინტერესების დაცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უფროსების ინტერესების დაცვა.<sup>88</sup>

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია წარმოადგენს საერთაშორისო მასშტაბით სავალდებულო პირველ ინსტრუმენტს, რომელშიც გაერთიანებულია ადამიანის უფლებათა სრული სპექტრი: სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. გარდა ამისა, შემუშავებულ და მიღებულ იქნა სამი დამატებითი ოქმი: ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“,<sup>89</sup> რომელიც მიღებულია 2000 წელს; მეორე დამატებითი ოქმია – „შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ“,<sup>90</sup> რომელიც, ასევე, 2000 წელს არის

---

<sup>88</sup> ბრანდერი პ., ოლივეირა ბ., გომესი რ., ონდრაჩკოვა ი., კინი ე., სურიანი ა., ლემინერი მ., სუსლოვა ა., კომპასი, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით, 2004, გვ. 39-40.

<sup>89</sup> ოქმის მიხედვით, სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას დაიცვან თითოეული ბავშვი ექსპლუატაციისგან ან ნებისმიერი სამუშაოსგან, რომელიც ბავშვის მიერ განათლების მიღებას ხელს შეუშლის ან შესაძლოა ბავშვის ჯანმრთელობის ან ფიზიკური, გონებრივი, მორალური ან სოციალური განვითარებისთვის საზიანო იყოს. ოქმით სისხლის სამართლის წესით დასჯადად გამოცხადებულია ბავშვებით ვაჭრობა, ბავშვთა პროსტიტუცია და პორნოგრაფია. ოქმი, ასევე, იცავს აღნიშნული დანაშაულების მსხვერპლ ბავშვებს.

<sup>90</sup> ოქმმა სამხედრო ძალებში გაწვევის მინიმალური ასაკი თვრამეტ წლამდე გაზარდა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამაც აკრძალა ბავშვთა შრომის განსაკუთრებული ფორმები, მათ შორის,

მიღებული; ხოლო მესამე დამატებითი ოქმი – „შეტყობინებების პროცედურების შესახებ“<sup>91</sup> მიღებულია 2011 წელს.

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია დღესაც ადამიანის უფლებების ერთადერთი საერთაშორისო ინსტრუმენტია, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ არის რატიფიცირებული. ამ დოკუმენტით ბავშვთა უფლებები მკაფიოდ განმარტებული და საყოველთაოდ აღიარებულია. სახელმწიფოს აქვს ვალდებულება ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია ფართოდ ცნობილი გახადოს და საამისოდ განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება. საქართველოსათვის ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია ძალაშია 1994 წლის 21 აპრილიდან, შესაბამისად, ყველა ის ვალდებულება, რომელიც ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა მითითებულ კონვენციასთან მიერთებით აიღეს, საქართველოზეც ვრცელდება. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას და საქართველოს საკანონმდებლო სისტემის შემადგენელ ნაწილად ითვლება. აღსანიშნავია, რომ

---

*შეიარაღებულ კონფლიქტში იძულებითი ან სავალდებულო გაწვევა ექსპლუატაციის მიზნით. ასევე, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტმა ბავშვების ჩართვა შეიარაღებულ მოქმედებებში ომის დანაშაულად გამოაცხადა.*

<sup>91</sup> ოქმი განაცხადის წარდგენის შესაძლებლობას აძლევს ბავშვებს, ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციისა და მისი ორი დამატებითი ოქმის ფარგლებში, მათი უფლებების დარღვევისთვის. ბავშვებისთვის მიცემული განაცხადის წარდგენის შესაძლებლობა შეესაბამება ბავშვის უფლებას მოუსმინონ მას. აღნიშნული ოქმი ბავშვებს უშუალოდ ბავშვის უფლებების კომიტეტის წინაშე გამოსვლის შესაძლებლობას აძლევს. ოქმის საფუძველზე, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი (რომელიც არის დამოუკიდებელი ექსპერტებისგან (18 დამოუკიდებელი ექსპერტი, რომლებიც აირჩვიან 4 წლის ვადით) შემდგარი ორგანო გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისში და ზედამხედველობას უწევს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის შესრულებას ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ) უფლებამოსილია მიიღოს შეტყობინება ბავშვის უფლებათა დარღვევის შესახებ: იმ ბავშვების (ინდივიდის ან ჯგუფის) კომუნიკაციიდან, რომელთა უფლებებიც დაირღვა კონვენციის თანახმად; სახელმწიფოთაშორისი საჩივრებიდან (სახელმწიფო მხარეებს შეაქვთ საჩივრები სხვა სახელმწიფო მხარეების წინააღმდეგ); საქმის შესწავლის პროცედურებიდან, რომლებიც საშუალებას მისცემს ბავშვის უფლებათა კომიტეტს წამოიწყოს მძიმე და სისტემური დარღვევების გამოძიება, მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა გარედან შეტყობინება ამის შესახებ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიც დაწერილია ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის ფეხდაფეხ და ითვალისწინებს ყველა მის ძირითად დათქმას.

### 2.1.1. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია სასჯელებთან მიმართებით

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია არ ცდილობს გვიკარნახოს სასჯელის კონკრეტული სახე თუ ზომა, რომელიც უნდა შეეფარდოს ბავშვს. ამის ნაცვლად იგი მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა უზრუნველყონ ბავშვთა მიმართ მოპყრობა მათი კეთილდღეობის გათვალისწინებით, არსებული ვითარებისა და დანაშაულის პროპორციულად, ასაკის მხედველობაში მიღებით და ისეთი ქმედებებით, რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვების რეინტეგრაციასა და საზოგადოებაში მათ მიერ სასარგებლო როლის შესრულებას. ამ პრინციპების შესასრულებლად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს სასჯელთა ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ არასრულწლოვნის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში.

სასჯელებთან დაკავშირებით კონვენცია ერთადერთი რასაც გვიკარნახობს არის ის, რომ არასრულწლოვანთათვის თავისუფლების აღკვეთა გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, რაც შეიძლება მცირე პერიოდის განმავლობაში.<sup>92</sup> აქედან გამომდინარე, მოსამართლეებს აკისრიათ ვალდებულება, ბავშვებს თავისუფლების აღკვეთა შეუფარდონ ზემოაღნიშნული პირობების დაცვით. კანონმდებელმა კი, თავისუფლების აღკვეთის ეს შეზღუდვები ნათლად უნდა დაადგინოს კანონში.<sup>93</sup> სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან უშუალოდ დაკავშირებული კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დაწესებულებების დადგენას.<sup>94</sup>

---

<sup>92</sup> ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია, 1989, მუხლი 37(„ბ“).

<sup>93</sup> *United Nations Rules for the Protection of Juveniles Deprived of Their Liberty (Havana Rules), Adopted by General Assembly Resolution 45/113 of 14 December 1990, Rule 2.*

<sup>94</sup> ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია, 1989, მუხლი 40(3).

გარდა ამისა, კონვენცია პირდაპირ მიგვითითებს, რომ არც ერთმა ბავშვმა არ უნდა განიცადოს წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა. ასევე, დაუშვებელია არასრულწლოვნების მიმართ გამოიყენებოდეს სიკვდილით დასჯა და უვალო პატიმრობა,<sup>95</sup> რომელიც გათავისუფლების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა სარგებლობდეს ჰუმანური მოპყრობით და მისი პიროვნების განუყოფელი ღირსების პატივისცემით. ასევე, ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი განცალკევებული უნდა იყოს უფროსებისგან,<sup>96</sup> გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიჩნეულია, რომ ამის გაკეთება არ ღირს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს, ასევე, უფლება აქვს კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან მიმოწერის და პაემნის მეშვეობით, გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა. არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს უფლება გაასაჩივროს თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და უფლება, რომ დაუყოვნებლივ მიიღოს პასუხი.<sup>97</sup>

---

<sup>95</sup> არასრულწლოვნის უვალო პატიმრობასთან დაკავშირებით, საინტერესოა, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები. ევროსასამართლოს ფუნქციას არ წარმოადგენს სასჯელის შეფარდების (სასჯელის სახის და ზომის შერჩევა) შემოწმება, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა. ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისი შემთხვევაა არასრულწლოვნისთვის უვალო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება; იხ. მაგ., *SINGH v. THE UNITED KINGDOM*, ECHR, (Application no. [23389/94](#)), 21 February 1996.

<sup>96</sup> თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნისა და სრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ერთად მოთავსებასთან დაკავშირებით, საინტერესოა, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები. არასრულწლოვანი განმცხადებელი სრულწლოვნებთან ერთად იყო მოთავსებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში 5 წლის განმავლობაში, რაც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რის გამოც ევროსასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი დაექვემდებარა არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას, რითაც დაირღვა ევროკონვენციის მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა); იხ. *GÜVEÇ v. TURKEY*, ECHR, (Application no. [70337/01](#)), 20 January 2009; ასევე, იხ. *NART v. TURKEY*, ECHR, (Application no. [20817/04](#)), 6 May 2008.

<sup>97</sup> ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია, 1989, მუხლი 37(„ა“, „ბ“, „დ“).

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის განხორციელების საკითხში, მოსამართლეებისა და სამართალდამცავი ორგანოების სხვა თანამშრომლების დახმარებისთვის, მთავრობამ უნდა დაგეგმოს, ჩამოაყალიბოს, განავითაროს და დააფინანსოს პატიმრობის ალტერნატიული ზომების გამოყენების საშუალებები სასჯელის შეფარდებამდე და მის შემდეგაც. მოსამართლეთა ქცევის კოდექსი ან პრაქტიკული სახელმძღვანელო უნდა მოითხოვდეს, რომ სერიოზულად იქნეს განხილული იმ არასაპატიმრო ალტერნატივის გამოყენება, რომელიც ლოკალურად ხელმისაწვდომია წინასწარი პატიმრობის ან საპატიმრო სასჯელის შეფარდების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.<sup>98</sup>

დანაშაულის ბუნებისა და სიმძიმის, დამნაშავის პიროვნული თვისებებისა და წარსულის, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვისა და არასაჭირო პატიმრობის თავიდან აცილების მიზნით, შესაბამისი მოქნილობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, სისხლის სამართლის სისტემამ უზრუნველყოს არასაპატიმრო ღონისძიებების ფართო სპექტრის არსებობა აღკვეთის ღონისძიების ეტაპიდან – სასჯელის აღსრულებამდე. ხელმისაწვდომი არასაპატიმრო ღონისძიებების რაოდენობა და ტიპები იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ შესაძლებელი იყოს შესაბამისი სასჯელის გამოყენება.<sup>99</sup>

ამკ-ში, პრინციპის სახით, ვხვდებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომების პრიორიტეტულობას. კოდექსის მე-8 მუხლით, სასჯელის შეფარდებისას, პირველ რიგში, განხილული უნდა იქნას ყველაზე მსუბუქი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა და კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში

---

<sup>98</sup> *ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი, ბავშვთა დაცვის განყოფილება, თბილისი, 2011, გვ. 49-50.*

<sup>99</sup> *United Nations Standard Minimum Rules for Non-custodial Measures (The Tokyo Rules), Adopted by General Assembly Resolution 45/110 of 14 December 1990, Rule 2.3.*

შეეფარდოს უფრო მძიმე ზომა, თუ დადგინდება, რომ მსუბუქი საშუალება მიზანს ვერ მიაღწევს. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნის მიმართ, პირველ რიგში, განიხილება მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და ფასდება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებაზე უკეთ, უზრუნველყოფს თუ არა განრიდება ან სხვა ღონისძიება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. ასევე, ნებისმიერი ზომა, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართ საქმის სასამართლოში განხილვის ნაცვლად გამოიყენება, არასრულწლოვნის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების დაცვას უნდა ემსახურებოდეს. შესაბამისად, ამკ, სასჯელებთან მიმართებით, ითვალისწინებს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის ყველა ძირითად დანაწესს, თუმცა, კოდექსი მაინც საჭიროებს ცვლილებებსა თუ დამატებებს თითოეულ სასჯელთან მიმართებით, რაც მომდევნო თავებში დეტალურად იქნება განხილული.

## **2.2. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთავარი პრინციპი**

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციით, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ თუ არა მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.

„არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესების“ იგივე „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების“ ცნება ახალი არ არის. იგი ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მიღებამდე წარმოიშვა. კერძოდ, ასახული იყო 1959 წლის ბავშვის უფლებათა დეკლარაციაში (მე-2 მუხლი), ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციაში (5(„ბ“) და 161(„დ“) მუხლები), ისევე, როგორც

რეგიონულ ინსტრუმენტებსა და მრავალ ეროვნულ თუ საერთაშორისო სამართლებრივ აქტში.<sup>100</sup>

ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა (Assessing and Determining the Child's Best Interests) ორი ნაბიჯისგან შედგება, რომლებიც უნდა გადაიდგას, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილების მიღება. საუკეთესო ინტერესების შეფასება შედგება ცალკეული ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფისათვის კონკრეტულ სიტუაციაში გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ყველა ელემენტის შეფასებისა და დაბალანსებისგან. იგი ხორციელდება გადაწყვეტილების მიმღები პირისა და მისი თანამშრომლების მიერ, ასევე, თუ შესაძლებელია, მრავალდარგობრივი ჯგუფის მიერ და საჭიროებს ბავშვის მონაწილეობას.<sup>101</sup> საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა წარმოადგენს ოფიციალურ პროცესს მკაცრი საპროცესო გარანტიებით. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრისას, კონკრეტული ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები: 1. საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ კონტექსტში უნდა განისაზღვროს, თუ რომელია შესაბამისი ელემენტები საუკეთესო ინტერესების შეფასებისათვის, მიენიჭოს მათ კონკრეტული შინაარსი და პრიორიტეტი ერთმანეთთან მიმართებით; და 2. ამისათვის დაცული უნდა იყოს ისეთი პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივ გარანტიებსა და უფლების სათანადო გამოყენებას.<sup>102</sup>

„ბავშვის საუკეთესო ინტერესების“ კონცეფცია მიზნად ისახავს კონვენციის მიერ აღიარებული ყველა უფლებით სრულ და ეფექტურ სარგებლობას და ბავშვის კომპლექსურ განვითარებას. არ არსებობს კონვენციაში გათვალისწინებული უფლებების იერარქია. ყველა უფლება ბავშვის საუკეთესო ინტერესებში შედის და არც ერთი უფლების უარყოფა არ შეიძლება ბავშვის საუკეთესო ინტერესების ნეგატიური

<sup>100</sup> *Committee on the Rights of the Child, General Comment No. 14 (2013) on the Right of the Child to Have His or Her Best Interests Taken as a Primary Consideration, Art. 3, Para. 1, I (A. (2)).*

<sup>101</sup> *Smith R. K. M., International Human Rights Law, Oxford University Press, England, 2018, P. 392.*

<sup>102</sup> *Committee on the Rights of the Child, General Comment No. 14 (2013) on the Right of the Child to Have His or Her Best Interests Taken as a Primary Consideration, Art. 3, Para. 1, V.*



განმარტებით.<sup>103</sup> ბავშვებთან დაკავშირებით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, ნაკარნახევი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, მისი საუკეთესო ინტერესებით.<sup>104</sup>

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას სამართალდამცავ ორგანოსთან ბავშვის პირველი კონტაქტიდან – სასჯელის აღსრულების, განსაკუთრებით კი, თავისუფლებააღკვეთილ ბავშვებზე შემდგომი ზრუნვის, ჩათვლით. ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას, გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა გაითვალისწინონ მისი პიროვნება, სურვილები, ვითარება, ოჯახური მდგომარეობა, სავარაუდო შედეგი, რომელსაც განაჩენი მოახდენს მის განვითარებასა და კეთილდღეობაზე და სხვა შესაბამისი საკითხები. რეკომენდირებულია, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა მოუსმინოს ბავშვის პოზიციას, რაც იქნება საფუძველი „ყველაზე საუკეთესო ინტერესების“ დასადგენად. ბავშვის „ყველაზე საუკეთესო ინტერესები“ უნდა იყოს ძირითადი საკითხი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სხვა ინტერესები მოიცავს საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და ბრალდებულის უფლებებს.<sup>105</sup> არასრულწლოვნის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართალწარმოების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს მისი ასაკი, სიმწიფის, ინტელექტუალური და ემოციური განვითარების დონე და შესაძლებლობები. ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ არასრულწლოვანს ესმოდეს და მონაწილეობას იღებდეს სისხლის სამართალწარმოების პროცესში.<sup>106</sup>

---

<sup>103</sup> *Committee on the Rights of the Child, General Comment No. 14 (2013) on the Right of the Child to Have His or Her Best Interests Taken as a Primary Consideration, Art. 3, Para. 1, I (A (4)).*

<sup>104</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ბავშვის უფლებათა კომიტეტის მოხსენება, მეცხრე სესია, 1995, გაეროს დოკ. CRC/C/43, გვ. 64.

<sup>105</sup> ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი, ბავშვთა დაცვის განყოფილება, თბილისი, 2011, გვ. 35.

<sup>106</sup> *T. v. THE UNITED KINGDOM, ECHR, (Application no. 24724/94), 16 December 1999.*

ევროსასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ იმ დავებში, რომლებშიც ბავშვები არიან ჩართულნი, მათი საუკეთესო ინტერესები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ არსებობს სრული კონსენსუსი, მათ შორის, საერთაშორისო სამართალში, იმ იდეის მხარდასაჭერად, რომ ყველა გადაწყვეტილებაში, რომელიც ბავშვებს უკავშირდება, მათი საუკეთესო ინტერესები არის – უპირატესი. გარემოებათა სადავოობის შემთხვევაში, სწორედ არასრულწლოვნის ინტერესებს ენიჭება უდავო მტკიცებულებითი ძალა. ამ მიმართებით, ევროსასამართლო აპელირებს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დებულებებზე და განმარტავს, რომ არასრულწლოვანს უფლება აქვს, მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და მხედველობაში იქნეს მიღებული როგორც უპირატესი ღირებულება ყველა ქმედებასა და გადაწყვეტილებაში, რაც უკავშირდება მას, ორივე – საჯარო და კერძო სფეროში.<sup>107</sup> სიტყვა „ქმედება“ მოიცავს არა მხოლოდ გადაწყვეტილებებს, არამედ მოქმედებებს, ქცევას, წინადადებებს, მომსახურებას, პროცედურებსა და სხვა ღონისძიებებს. უმოქმედობა ან ქმედების განუხორციელებლობა და დაუდევრობა, აგრეთვე, წარმოადგენენ „ქმედებას“.<sup>108</sup>

აღსანიშნავია, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები ამკ-ის ამომავალი პრინციპია. კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საკანონმდებლო აქტის ერთ-ერთი და პირველი მიზანია, მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა. აღნიშნული პრინციპი განიმარტება კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილში – „*არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება*“ და მთელ საკანონმდებლო აქტს გასდევს. ამკ-ით,

---

<sup>107</sup> *ob. S.L. AND J.L. v. CROATIA, ECHR, (Application no. 13712/11), 7 May 2015; ასევე, ob. N. TS. AND OTHERS v. GEORGIA, ECHR, (Application no. 71776/12), 2 February 2016.*

<sup>108</sup> *Committee on the Rights of the Child, General Comment No. 14 (2013) on the Right of the Child to Have His or Her Best Interests Taken as a Primary Consideration, Art. 3, Para. 1, CRC/C/GC/14, IV (A. (1“a“)).*

საქართველოში პირველად განისაზღვრა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა. ამკ-ის მე-4 მუხლით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. ეს ნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა თუ სისხლის სამართლის სხვა პრინციპები მხოლოდ მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული, თუ იგი არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

### 2.3. ბავშვის უფლებების დაცვის სხვა საერთაშორისო დოკუმენტები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებში, არასრულწლოვნების მიმართ, მათი ასაკის გამო, მოპყრობის განსაკუთრებული სტანდარტებია დადგენილი. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ არასრულწლოვანს იმგვარად მოეპყრან, რომ მას პასუხისმგებელ მოქალაქედ ჩამოყალიბების საშუალება მიეცეს, ნაცვლად იმისა, რომ დანაშაულებრივ ცხოვრებაში ჩაეფლოს.<sup>109</sup> ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის გარდა, ამ სტანდარტებს კიდევ ბევრი სხვა საერთაშორისო დოკუმენტი ადგენს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით დედობა და მცირეწლოვანი ბავშვის ასაკი განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას იძლევა. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით.<sup>110</sup>

ბავშვის განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობას ეხება ბავშვის უფლებათა ქენევის 1924 წლის დეკლარაცია. ასევე, ბავშვის უფლებათა გაეროს 1959 წლის დეკლარაცია. ბავშვი, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვასა და მზრუნველობას, შესაბამისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდგომ. აუცილებელია, საკანონმდებლო და სხვა შესაბამისი გზების მოძიება, რათა ბავშვს მიეცეს

---

<sup>109</sup> ალკინი მ., ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო პროკურორებისთვის, პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია, თბილისი, 2008, გვ. 147.

<sup>110</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948, მუხლი 25(2).

შესაძლებლობა და საშუალება განვითარდეს ფიზიკურად, გონებრივად, მორალურად, სულიერად და სოციალურად ჯანსაღი და მისაღები ფორმით, თავისუფლებისა და პატივისცემის ატმოსფეროში. ბავშვი მისი პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის საჭიროებს სიყვარულსა და გაგებას. ბავშვი ნებისმიერ გარემოებაში პირველი იღებს დაცვასა და დახმარებას.<sup>111</sup>

ევროკონვენცია სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ არასრულწლოვანთა მიმართ მიღებული გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადებას.<sup>112</sup>

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი მრავალ დებულებას შეიცავს, რომელიც ბავშვის მზრუნველობას მოითხოვს სისხლის სამართლის პროცესში. არასრულწლოვანი დამნაშავეები განცალკევებულნი უნდა იყვნენ სრულწლოვნებისაგან და უნდა იმყოფებოდნენ პირობებში, რომლებიც შეესაბამება მათ ასაკსა და სამართლებრივ სტატუსს. ისინი უმოკლეს ვადაში უნდა წარდგნენ სასამართლოს წინაშე გადაწყვეტილების მისაღებად. არასრულწლოვანთა მიმართ პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ გათვალისწინებულ იქნას მათი ასაკი და რეაბილიტაციის ხელშეწყობის სურვილი.<sup>113</sup>

ევროპის კავშირის ადამიანის უფლებათა ქარტიით, ბავშვებს უფლება აქვთ უზრუნველყოფილნი იყვნენ ისეთი დაცვით და ზრუნვით, როგორც მათი კეთილდღეობისთვისაა საჭირო. მათ შეუძლიათ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები. ეს მოსაზრებები გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ საკითხებში, რომლებიც მათ ეხება, მათი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად. ბავშვებთან დაკავშირებით, ხელისუფლების ორგანოების თუ კერძო დაწესებულებების მიერ

---

<sup>111</sup> ბავშვის უფლებების დეკლარაცია, გამოცხადებულია გენერალური ასამბლეის 1959 წლის 20 ნოემბრის 1386 (XIV) რეზოლუციით, პრეამბულა, პრინციპები 2, 6, 8.

<sup>112</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950, მუხლი 6(1).

<sup>113</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966, მუხლი 10(2 „b“, 3), 14(4).

განხორციელებული ყველა ქმედების დროს, უპირველესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.<sup>114</sup>

ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ აფრიკული ქარტია, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წელს, მრავალი თვალსაზრისით ასახავს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის<sup>115</sup> მასშტაბსა და პოპულარობას. ბავშვთან დაკავშირებული ყველა ქმედება, პირის თუ ხელისუფლების მიერ განხორციელებული, უპირველეს ყოვლისა უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ყველა სასამართლო თუ ადმინისტრაციულ პროცესში, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ბავშვზე, რომელსაც საკუთარი აზრის გამოხატვის უნარი აქვს, უნდა მოისმინონ ბავშვის აზრი უშუალოდ ან მიუკერძოებელი წარმომადგენლის საშუალებით, როგორც პროცესში მონაწილე მხარისა და ეს მოსაზრებები გათვალისწინებულ უნდა იქნეს სათანადო ორგანოს მიერ, შესაბამისი კანონის დებულებების დაცვით. კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვს უფლება აქვს, უზრუნველყოფილ იქნეს სპეციალური მოპყრობით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ღირსების გრძნობას და განამტკიცებდეს ბავშვის მიერ სხვა პირთა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემას. სასამართლო განხილვის დროს, ბავშვის მიმართ მოპყრობის, ასევე, სისხლის სამართლის კანონის დარღვევის გამო, მისი დამნაშავედ აღიარების ძირითადი მიზანია, არასრულწლოვნის გამოსწორება, ოჯახში რეინტეგრაცია და სოციალური რეაბილიტაცია.<sup>116</sup>

ადამიანის უფლებათა არაბული ქარტია არასრულწლოვანთა მიმართ სპეციალური ზრუნვის მოთხოვნის უფრო ზოგად დებულებებს შეიცავს. სახელმწიფო

---

<sup>114</sup> *Charter of Fundamental Rights of the European Union, 2000, Article 24, Available at:*

[https://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text\\_en.pdf](https://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text_en.pdf) [Last seen: 01.02.2021].

<sup>115</sup> *ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის წევრია ყველა აფრიკული ქვეყანა, გარდა სომალისა.*

<sup>116</sup> *African Charter on the Rights and Welfare of the Child, Adopted by the Organisation of African Unity (OAU), 1990, Articles 4, 17, Available at:*

[https://www.un.org/en/africa/osaa/pdf/au/afr\\_charter\\_rights\\_welfare\\_child\\_africa\\_1990.pdf](https://www.un.org/en/africa/osaa/pdf/au/afr_charter_rights_welfare_child_africa_1990.pdf) [Last seen: 01.02.2021].

ვალდებულია განსაკუთრებული ზრუნვითა და სპეციალური დაცვით უზრუნველყოს ოჯახი, დედები, ბავშვები და ხანდაზმულები.<sup>117</sup>

ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით ზოგად დებულებებს ვხვდებით, ასევე, ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციაში. ბავშვს უფლება აქვს, უზრუნველყოფილი იყოს დაცვის ღონისძიებებით ოჯახისაგან, საზოგადოებისაგან და სახელმწიფოსაგან, როგორც მისი, როგორც მცირეწლოვნის, მდგომარეობა მოითხოვს.<sup>118</sup>

არასრულწლოვნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების საკითხს ეხება კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, როგორებიცაა: გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინის წესები“, 1985), თავისუფლებაადკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის გაეროს წესები („ჰავანის წესები“, 1990), არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები („რიადის პრინციპები“, 1990), არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების შესახებ გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები („ტოკიოს წესები“, 1990) და კიდევ მრავალი სხვა, რომლებიც, საკვლევ თემასთან მიმართებით, სათანადოდაა განხილული ნაშრომის მომდევნო თავებში.

---

<sup>117</sup> Arab Charter on Human Rights, Adopted by the Council of the League of Arab States, 2004, Article 38(„b“), Available at: <http://www.humanrights.se/wp-content/uploads/2012/01/Arab-Charter-on-Human-Rights.pdf> [Last seen: 01.02.2021].

<sup>118</sup> American Convention on Human Rights, Adopted at the Inter-American Specialized Conference on Human Rights, San José, Costa Rica, 1969, Article 19, Available at: [https://www.oas.org/dil/treaties\\_B-32\\_American\\_Convention\\_on\\_Human\\_Rights.pdf](https://www.oas.org/dil/treaties_B-32_American_Convention_on_Human_Rights.pdf) [Last seen: 01.02.2021].

### 3. ჯარიმა, როგორც სასჯელის სახე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

ამკ-ის პირველი და ერთ-ერთი ალტერნატიული სასჯელის სახე არის – ჯარიმა. როგორც სსკ, ასევე, ამკ, ჯარიმას სასჯელთა ჩამონათვალში პირველ ადგილს უთმობს.

ასოც. პროფ. მორის შალიკაშვილი აყალიბებს არასრულწლოვანთა სასჯელების შემდეგ გრადაციას: ჯარიმა, შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, თავისუფლების შეზღუდვა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.<sup>119</sup> ვერ დავეთანხმები აღნიშნულ მოსაზრებას, რასაც ადასტურებს მგ., სსკ-ის 44-ე მუხლი, რომელიც ეხება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. მუხლის მესამე ნაწილით, თუ მსჯავრდებული უარს განაცხადებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე ან ჯიუტად თავს აარიდებს მას, ეს სასჯელი შეიცვლება *ჯარიმით*, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით. ანუ სავარაუდოა, რომ ჩამოთვლილი სასჯელთა სახეები უფრო მძიმეა, ვიდრე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, რადგან სასჯელზე უარის თქმის ან თავის არიდების შემთხვევაში კანონმდებელი მსჯავრდებულს „სჯის“ და უფრო მძიმეს უფარდებს. ამავე კოდექსის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილით კი, თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ეს სასჯელი შეიცვლება *საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით*, გამასწორებელი სამუშაოთი, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით. რა გამოდის ამ ორი ნორმიდან? ჯარიმაა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე უფრო მძიმე სასჯელი თუ პირიქით? ამ კითხვაზე პასუხი კოდექსში არ გვაქვს, რადგან სსკ ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის „დამძიმებას“ ჯარიმით და პირიქით.

ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია დანაშაულთა ერთობლიობის დროს. რა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა რამდენიმე დანაშაული და რამდენიმე სასჯელი? სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილით, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი

---

<sup>119</sup> შალიკაშვილი მ., მიქნაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 82-83.

შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს. რა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა სხვადასხვა სასჯელი? როგორ უნდა გაირკვეს რომელია უფრო მკაცრი და ნაკლებად მკაცრი? გარდა თავისუფლების აღკვეთისა, რომელიც უდავოდ ყველაზე მძიმე სასჯელია. ამ შემთხვევაში, მოსამართლე უნდა ეცადოს დანიშნოს ერთი და იმავე სახის სასჯელი ყველა დანაშაულის დროს, რომ ამ სიტუაციიდან „დაიძვრინოს“ თავი, რადგან სასჯელთა გრადაციას კანონმდებლობა არ გვთავაზობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჯარიმის ადგილმდებარეობა ამკ-ში, ისევე როგორც სხვა სასჯელთა სახეების, უნდა მივაწეროთ შემთხვევითობის პრინციპით განლაგებას და არა მის სიმძიმეს.

ახლა კი, დეტალურად განვიხილოთ ამკ-ის 68-ე მუხლი – ჯარიმა, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება.

### **3.1. ჯარიმა, როგორც არასრულწლოვნის დამოუკიდებელი შემოსავალი**

ამკ-ის 68-ე მუხლის პირველი ნაწილით, *„არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან“*. აღნიშნულ დისპოზიციასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე დასაფიქრებელი საკითხი.

აღსანიშნავია, რომ ამკ-ით გათვალისწინებული ჯარიმის დღევანდელი რედაქციის მსგავს დისპოზიციას ითვალისწინებდა მის ამოქმედებამდე არსებული სსკ-ის 83-ე მუხლის პირვანდელი რედაქცია, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვანს ჯარიმა ენიშნებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ჰქონდა დამოუკიდებელი ხელფასი



ან ქონება, რომელზედაც შეიძლება მიქცეულ ყოფილიყო გადახდევინება. თუმცა, 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებით,<sup>120</sup> აღნიშნული ჩანაწერი ამოღებულ იქნა.

დისპოზიციაში სიტყვა „დამოუკიდებლის“ ჩამატება მისასაღმებელია, რადგან ამით უფრო მეტად გამოიკვეთა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, რომელიც იუვენალურ იუსტიციაში, წლების განმავლობაში პრობლემური საკითხი იყო. ამკ-ის ამოქმედებამდე, სსკ-ის 42-ე მუხლის 5<sup>1</sup> ნაწილით, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნარო იყო, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებდა მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. მშობელი ან ვინმე სხვა პირი არ უნდა იყოს ამ სასჯელის აღსრულების მონაწილე. სასჯელის მიზნები ყველაზე ეფექტურად უშუალოდ მსჯავრდებულზე ზემოქმედებით მიიღწევა, ხოლო იმ პირობებში, როდესაც ჯარიმას არასრულწლოვნის ნაცვლად, მისი მშობელი ან სხვა პირი იხდის, მსჯავრდებულზე სასჯელის ზემოქმედების ხარისხი დაბალია. მეორე მხრივ, ჯარიმამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ოჯახის სხვა წევრების მდგომარეობაზე.<sup>121</sup>

გარდა ამისა, აღნიშნული ნორმა სადავო იყო ადამიანის ღირსეულად ცხოვრებისთვის აუცილებელი სამართლიანი სოციალური პირობებისა და სამართლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფის, აგრეთვე, ადამიანის, როგორც ინდივიდის პიროვნულობის დაცვის თვალსაზრისით. არასრულწლოვნის მშობლისთვის ჯარიმის დაკისრება ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვანსა და მის მშობელს შორის სამართლებრივ თანასწორობას, ასევე, მათ შორის სამართლიანი სოციალური გარემოს შექმნას. პირიქით, მშობელზე ჯარიმის გადატანამ, შეიძლება სოციალური დამაბულობაც კი გამოიწვიოს, რაც სამართლებრივი უთანასწორობის

---

<sup>120</sup> „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

საქართველოს კანონის პროექტი, 29.12.2006, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/22468?publication=0> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021].

<sup>121</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის №3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §12.

ნიადაგზე იქნება წარმოშობილი. ადამიანის ღირსებას შეესაბამება მისი პიროვნული პასუხისმგებლობა, ისევე როგორც, ადამიანი თავისუფალია თავის ქმედებაში. იგი ვალდებულია პირადად აგოს პასუხი საკუთარი ქმედების შედეგზე.<sup>122</sup> სსკ-ის დასახელებული მუხლი კი, არასრულწლოვნის შემთხვევაში, ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა, რასაც ვერ ვიტყვით ამკ-ის 68-ე მუხლზე.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამკ-ის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციას ბუნდოვანებას სძენს სიტყვები „...შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან“. თუ სასამართლოს სურს არასრულწლოვანს შეუფარდოს ეს სასჯელის სახე, მისთვის ცნობილი უნდა იყოს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი დასაქმებული არის თუ არა, სად მუშაობს, რამდენია მისი ანაზღაურება და ა.შ. საქმიანობა, ბუნებრივია, უნდა იყოს კანონიერი, რომ შემოსავალიც ლეგალური იყოს. თუ შემოსავალი კანონის დარღვევის შედეგად არის მოპოვებული, ეს წარმოადგენს ცალკე საკითხს და ბუნებრივია, სასამართლოზე ადრე, სამართალდამცავი ორგანოებისთვის უნდა იყოს ცნობილი, რომლებიც შესაბამის ზომებს მიიღებენ. ამიტომ, გაუგებარია ამ სიტყვების მუხლის დისპოზიციის არსებობა. ასეთი ჩანაწერი არ არის სსკ-ის მსგავს მუხლში (მუხლი 42 – ჯარიმა). კანონმდებელი კანონიერი შემოსავლის ვალდებულებას უნდა აკისრებდეს ყველა ადამიანს. არაკანონიერი შემოსავალი არ უნდა ჰქონდეს, როგორც არასრულწლოვანს, ასევე, სრულწლოვანს.

### **3.2. ჯარიმის ზომა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში**

ამკ-ის 68-ე მუხლის მეორე ნაწილით, „*არასრულწლოვნისთვის ჯარიმის დანიშვნისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი მინიმალური ოდენობა ნახევრდება*“. ამ ჩანაწერთან დაკავშირებით, საინტერესოა, განხილულ იქნეს სსკ-ზე მითითებისა და ჯარიმის მაქსიმალური ზომის განუსაზღვრელობის საკითხები.

---

<sup>122</sup> შალიკაშვილი მ., „*არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების სახეები*“, *არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 109.*

ამკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გამოიყენება ამ კოდექსით დადგენილი ნორმები. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით კი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გამოიყენება საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების დებულებებიც, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ამ კოდექსს ან/და არასრულწლოვნისთვის შეღავათს ითვალისწინებენ. შესაბამისად, იმ საკითხებისთვის, რომლებიც არ არის დარეგულირებული აღნიშნული კოდექსით, გამოიყენება სსკ, სსსკ და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტები.

ამკ-ის VI კარი ეხება არასრულწლოვნის სასჯელს. აღნიშნულ თავში მოცემულია სასჯელის მიზნები, სახეები, ზომები და ა.შ., რომლებიც გამოიყენება არასრულწლოვნის მსჯავრდების დროს. ჯარიმის შემთხვევაში, გაუგებარია, რატომ არის მითითება სსკ-ზე მაშინ, როდესაც აქვე შეიძლება ეწეროს, რომ ჯარიმის მინიმალური ოდენობა არის 1000 ლარი (თუ კანონმდებელი სწორებას იღებს სსკ-ზე, იმის შესაბამისად, რომ სსკ-ით ჯარიმის მინიმალური ოდენობა 2000 ლარია) და თუ სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 250 ლარზე ნაკლები (პროპორციულად იმისა, რომ სსკ-ში ეს თანხა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები).

გარდა ამისა, ჯარიმის ზომიდან გამომდინარე, შეგვიძლია კიდევ ერთხელ ვცადოთ გავარკვიოთ არის თუ არა ჯარიმა ყველაზე მსუბუქი სასჯელი. როგორც უკვე აღინიშნა, არასრულწლოვნებისთვის ჯარიმის მინიმალური ოდენობა 1000 ლარია, ხოლო იმ დანაშაულთათვის, რომლებისთვისაც კანონით სასჯელის მაქსიმალური ზღვარი არ აღემატება სამი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 250 ლარზე ნაკლები. ამკ არ ითვალისწინებს სასჯელის შეცვლის შესაძლებლობას, შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც უნდა ვისარგებლოთ სსკ-ით. სსკ-ის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილით, *„თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ეს სასჯელი*

შეიცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან შინაპატიმრობის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: დაკისრებული ჯარიმის 50 ლარი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ოთხი საათი...“.

სსკ-ის 44-ე მუხლის მე-3 ნაწილით კი, „თუ მსჯავრდებული უარს განაცხადებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე ან განზრახ თავს აარიდებს მას, ეს სასჯელი შეიცვლება ჯარიმით, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება შინაპატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხუთი საათი – შინაპატიმრობის ერთი დღე, თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე“.

ეს უკანასკნელი საუბრობს შინაპატიმრობაზე და თავისუფლების აღკვეთაზე, თუმცა, სამწუხაროდ, არ მიუთითებს, თუ რა გაანგარიშება უნდა იქნეს გამოყენებული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ჯარიმით შეცვლის შემთხვევაში. ასეთ დროს, გამოყენებული უნდა იქნეს კანონის ანალოგია და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ჯარიმით შეცვლის შემთხვევაში, ვიხელმძღვანელოთ სსკ-ის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად. კერძოდ, თუ 50 ლარი უდრის 4 საათს, ხოლო ჯარიმის მინიმალური ოდენობა არის 250 ლარი (თუ საქმე ეხება სსკ-ით გათვალისწინებულ ისეთ დანაშაულს, როდესაც შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით), ეს ტოლფასია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 20 საათისა, რაც ამ სასჯელის მინიმალურ ზღვარზე ნაკლებია. ამკ-ის 71-ე მუხლის პირველი ნაწილით, „არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ენიშნება 40-დან 300 საათამდე ვადით...“.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წელზე მეტი ვადით და ჯარიმის მინიმალური ოდენობა 1000 ლარია, აღნიშნული ტოლფასია – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 80 საათისა.

აღნიშნულ ნორმათა ანალიზის მიხედვით, იმ აზრს, რომ ჯარიმა უფრო მსუბუქი სასჯელია, ვიდრე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, აქვს არსებობის უფლება, თუმცა, ვერც ამას დავეყრდნობით და მივიჩნევთ, როგორც ჭეშმარიტსა და სწორს. ეს საკითხი კანონმდებელს ღიად აქვს დატოვებული.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ამკ-ის 68-ე მუხლი, ისევე როგორც სსკ-ის 42-ე მუხლი, არ განსაზღვრავს ჯარიმის მაქსიმალურ ოდენობას. აღნიშნული ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან – კანონის განსაზღვრულობის პრინციპს, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში სამართლებრივ სტაბილურობას. პასუხისმგებლობის დაწესებისას კანონმდებელი შებოჭილია კანონის განსაზღვრულობის პრინციპით. აღნიშნული პრინციპი კი გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციაში მოცემული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან.<sup>123</sup> „სასჯელი, როგორც სახელმწიფოს რეაქცია ბრალეულ, კრიმინალურ უსამართლობაზე, მისი სახისა და ზომის გათვალისწინებით, ნორმატიულად უნდა განსაზღვროს კანონმდებელმა, ხოლო სახელმწიფოს პასუხი სისხლისსამართლებრივი ნორმის დარღვევაზე პროგნოზირებადი უნდა იყოს ნორმის ადრესატისთვის“.<sup>124</sup>

კანონის არაორაზროვნებისა და განსაზღვრულობის პრინციპი კანონმდებლისგან მოითხოვს გასაგები, არაორაზროვანი და კონკრეტული სისხლისსამართლებრივი ნორმების დადგენას, რათა მოქალაქეთათვის შესაძლებელი იყოს კანონის ნორმათა გაგება და შესაბამისად მოქმედება.<sup>125</sup> „ზოგადად, კონკრეტული კონსტიტუციური უფლების შინაარსის კონსტიტუციით დასაშვებ ფარგლებში განსაზღვრისთვის კანონმდებელი ვალდებულია, მიიღოს ზუსტი, მკაფიო, არაორაზროვანი, განჭვრეტადი კანონმდებლობა (ნორმები), რომელიც პასუხობს კანონის განსაზღვრულობის

<sup>123</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №516-542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §27, 31.

<sup>124</sup> შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, გვ. 372.

<sup>125</sup> კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2008, გვ. 351.

მოთხოვნას. ეს გარემოება ერთ-ერთი გადამწყვეტი კრიტერიუმია ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას.<sup>126</sup> კანონის განსაზღვრულობის პრინციპი, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგადი პრინციპიდან გამომდინარეობს, არ წარმოადგენს ინდივიდის უფლებას, თუმცა, ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იგი ძირითად უფლებებში საჯარო ხელისუფლების ჩარევის ზღვარს აწესებს და ამ ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლების მნიშვნელოვანი მატერიალური საფუძველია.<sup>127</sup>

არასრულწლოვანთა „საჩქები და ზომები ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული და შეფარდებული მინიმალურად აუცილებელი ვადით და მხოლოდ კანონიერი მიზნით“.<sup>128</sup> არასრულწლოვანს უნდა შეეძლოს ზუსტად გაარკვიოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონმდებელი და მიუსადაგოს ამ მოთხოვნას თავისი ქცევა. არსებობს სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტები, რომლებიც შეიძლება პირდაპირ არ იყოს გათვალისწინებული კონსტიტუციის რომელიმე ნორმით, მაგრამ არანაკლები დატვირთვა ჰქონდეს, რადგან მათ გარეშე შეუძლებელია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის რეალიზება. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ამგვარ ელემენტს წარმოადგენს სწორედ – კანონის განსაზღვრულობის პრინციპი, რომლის მოთხოვნებსაც არ აკმაყოფილებს ამკ-ის 68-ე მუხლის მეორე ნაწილი.

---

<sup>126</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბერის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §11.

<sup>127</sup> გოცირიძე ე., „კონსტიტუციის პრინციპებიდან გამომდინარე სხვა უფლებების აღიარება“, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 484.

<sup>128</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2008) 11 წვერი სახელმწიფოებისადმი საჩქებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2008 წლის 5 ნოემბერს მინისტრების მოადგილეთა 1040-ე შეხვედრაზე), მუხლი 3.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონმდებელი ვალდებულია ამკ-ში დაადგინოს ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა. ჯარიმა არის ერთადერთი სასჯელი ქართულ სისხლის სამართალში, რომლის მაქსიმალური ოდენობა განსაზღვრული არ არის.

### 3.3. ჯარიმის სხვა სასჯელით შეცვლის შესაძლებლობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

ამკ არ ითვალისწინებს ჯარიმის სხვა სასჯელით შეცვლის შესაძლებლობას, რაც არ არის მართებული. როგორც უკვე აღინიშნა, ამკ არეგულირებს არასრულწლოვნის სასჯელის საკითხის (კარი VI). შესაბამისად, უმჯობესია, ყველა საკითხი სასჯელის ირგვლივ, ამ კოდექსში იყოს მოქცეული. ამის გარეშე, ჯარიმის სხვა სასჯელით შეცვლის საკითხის გარკვევისას, უნდა ვისარგებლოთ კვლავ სსკ-ით.

სსკ-ის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილით, *„თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ეს სასჯელი შეიცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით...“*. შესაბამისად, კოდექსი ითვალისწინებს იმ შემთხვევას, თუ რა უნდა მოხდეს იმ დროს, როდესაც არასრულწლოვანი ჯარიმას ვერ ან არ გადაიხდის. სსკ-ის 2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი 42-ე მუხლის 5<sup>1</sup> ნაწილით კი, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნარო იყო, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებდა მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. რა უნდა მომხდარიყო ამ შემთხვევაში? პრიორიტეტი რომელ ნაწილს უნდა მინიჭებოდა? ამ კითხვაზე პასუხი კოდექსში არ გვექონდა.

42-ე მუხლის მე-3 ნაწილით, *„ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლით და სხვა გარემოებით“*. ამავე მუხლის 5<sup>1</sup> ნაწილი, ამ ნაწილთანაც წინააღმდეგობაში მოდიოდა.

თუ დადგინდებოდა, რომ არასრულწლოვანს შემოსავალი არ ჰქონდა და ვერ გადაიხდიდა ჯარიმას, შესაბამისად, არც უნდა დანიშნოდა ეს სასჯელი. თუ არ დაენიშნებოდა, ნორმა, რომელიც მის მაგივრად სხვას აკისრებდა ჯარიმის გადახდას, მოკლებული იყო ყოველგვარ სამართლებრივ დატვირთვას. ეს ჩანაწერი არა მარტო სამართლის ზოგად და ფუნდამენტურ პრინციპებთან, არამედ, თავად ამ მუხლთანაც შეუსაბამობაში იყო.

როგორც უკვე აღინიშნა, არასრულწლოვანთა ჯარიმის დღევანდელი რედაქციით, თუ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს არ აქვს საკუთარი მატერიალური შემოსავალი, მას ჯარიმა არ უნდა შეეფარდოს. გარდა იმისა, რომ ეს სასჯელის მიზნებს ვერ მიაღწევს, ასევე, გადაუხდელობის შემთხვევაში, მას სასჯელი დაუმძიმდება. ფაქტი, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს ჯარიმის გადახდა არ შეუძლია, არ უნდა აღმოჩნდეს მკაცრი სასჯელის გამოყენების საფუძველი.<sup>129</sup> სსკ-ის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილით, თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ეს სასჯელი შეიძლება შეიცვალოს – თავისუფლების აღკვეთითაც. სრულწლოვნების შემთხვევაშიც კი, არ არის მართებული ჯარიმის შეცვლის შესაძლებლობა თავისუფლების აღკვეთით, მით უმეტეს, არასრულწლოვნების შემთხვევაში. სსკ-ის აღნიშნული მუხლის 2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებდა ჯარიმის შეცვლის შესაძლებლობას თავისუფლების აღკვეთით. აღნიშნული ცვლილების კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდან<sup>130</sup> არაფერი ირკვევა ნორმის მიზანშეწონილობის შესახებ. სავარაუდოდ, ამ ცვლილებასაც იგივე მოტივი ჰქონდა, რაც ამავე წლის ბოლო ცვლილებას სსკ-ში (42-ე მუხლში 5<sup>1</sup> ნაწილის დამატებას – „თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა,

---

<sup>129</sup> ჰამილტონი ე., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი, ბავშვთა დაცვის განყოფილება, თბილისი, 2011, გვ. 36.

<sup>130</sup> იხ. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი, 28.04.2006, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113482> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021].



სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს“). კერძოდ, შენიღბული ფორმით თანხების ამოღება და ბიუჯეტის შევსება. ჯარიმას, რომელსაც ვერ იხდიდა არასრულწლოვანი, თანხის შეტანას უზრუნველყოფდა მშობელი, მეურვე ან მზრუნველი. ახლა კი, ასეთი პირდაპირი დათქმა არ არის ამკ-ში, თუმცა, თუ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი თანხას ვერ გადაიხდის, მას სასჯელი შეიძლება შეეცვალოს თავისუფლების აღკვეთით, რასაც, ირიბად, კვლავ მივყავართ იქამდე, რომ თანხის შეტანა უზრუნველყოს ოჯახის წევრმა.

როდესაც, ყველაზე მძიმე სასჯელს, თავისუფლების აღკვეთას ეხება საქმე, მსჯავრდებული ყველა ხერხს მიმართავს, რომ ჯარიმის გადახდა შეძლოს. ამან კი შეიძლება მისი ისედაც მძიმე მდგომარეობა, კიდევ უფრო დაამძიმოს. არ შეიძლება სასჯელის მიზანი და საფუძველი ნორმაში მითითებული პირობა კი არა, არამედ ირიბი ფორმით თანხის გადახდევინების იძულება იყოს. ამ ნორმამ ხელი შეუწყო ისეთი განწყობის დამკვიდრებას, თითქოს, თავისუფლება შესაძლებელია იყიდო. ამის ეჭვს აღრმავებს ისიც, რომ სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილით, ჯარიმა შესაძლებელია დამატებით სასჯელად დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული არ არის. მუხლის ამ ნაწილზე მითითებით, პრაქტიკაში ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც საპროცესო შეთანხმების დროს, ჯარიმა სასჯელის სახედ განსაზღვრულა იმ დანაშაულებისთვისაც, რომლებისთვისაც გათვალისწინებული არ არის. ამ დროს სასამართლომ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეამოწმოს საპროცესო შეთანხმების პირობები.

ჯარიმა, თავისი ბუნებით, ისედაც ეკონომიკური ეფექტის მქონე სანქციაა სახელმწიფოსთვის. მართალია, მოსამართლე ითვალისწინებს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მატერიალურ მდგომარეობას და ისე ნიშნავს ამ სასჯელს, თუმცა, შესაძლებელია, მან მაინც ვერ შეძლოს გადახდა სხვადასხვა მიზეზთა გამო. გადამეტებული და უსამართლოა კანონში არსებული ნორმა, რომელიც ჯარიმის შეცვლას თავისუფლების აღკვეთით ითვალისწინებს, განსაკუთრებით არასრულწლოვნების შემთხვევაში, მაშინ როდესაც, ამკ-ით – თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ, როგორც უკიდურესი ღონისძიება.

სსკ-ის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილი და ამავე მუხლის 2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი 5<sup>1</sup> ნაწილი იმ კუთხითაც უნდა იქნეს განხილული სრულწლოვანს არასრულწლოვანთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაში აყენებდა თუ არა. კერძოდ, გადაუხდელობის შემთხვევაში, სრულწლოვანს შეეცვლებოდა ჯარიმა უფრო მძიმე სასჯელით, ხოლო არასრულწლოვნის გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ჯარიმა უნდა გადაეხადა მის მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს, რაც არ არის მართებული. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურება, სრულწლოვანთან შედარებით, სასჯელის დაკისრების განსხვავებულ პირობებს გულისხმობს. საინტერესოა, რა ხდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვნის მშობელი, მეურვე და მზრუნველი ასევე გადახდისუუნაროები იყვნენ? ვინ იხდიდა ამ შემთხვევაში ჯარიმას? უცვლიდნენ არასრულწლოვანს სასჯელს? ამ საკითხს კანონმდებლობა არ არეგულირებდა. არასრულწლოვნის შემთხვევაში რატომ უნდა ყოფილიყო აუცილებლად ჯარიმა გადახდილი? თან სხვა პირის მიერ, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის დარღვევით, რაც სასჯელის მიზნების შეუსრულებლობას იწვევდა. არასრულწლოვნის კი არა, სრულწლოვნის შემთხვევაშიც, შესაძლებელია, ჯარიმის თანხა მშობელმა ან ოჯახის სხვა წევრმა გადაიხადოს. მშობელს თუ აქვს ფინანსური შესაძლებლობა, იგი ხომ ისედაც დაეხმარება თავის შვილს და კანონმდებლის მხრიდან იძულება ყოვლად გაუმართლებელია. აღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციური რანგის, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს. სასჯელის ინდივიდუალიზაცია კი ობიექტურად აუცილებელი და სოციალურად განპირობებულია. იგი სათავეს იღებს სამართლიანობის კატეგორიაში. არ შეიძლება სასჯელი იყოს სამართლიანი, თუ იგი ინდივიდუალიზებული არ არის.<sup>131</sup> სამართლიანობა და ადამიანის ღირსების დაცვა მოითხოვს, რომ პირი მხოლოდ მაშინ დაისაჯოს, როცა არსებობს მისთვის მართლსაწინააღმდეგო ქმედების

---

<sup>131</sup> ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი“, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 196.

ინდივიდუალურად შერაცხვის სამართლებრივი საფუძველი,<sup>132</sup> რაც, ამ შემთხვევაში, ნამდვილად არ არსებობდა. ნორმის ახალი რედაქციით კი, ის არის განსაზღვრული, რომ ჯარიმა არასრულწლოვანს შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი. ეს ჩანაწერი მდგომარეობას აუმჯობესებს, მაგრამ არა სრულიად, რადგან ამ დისპოზიციით მაინც არ არსებობს ჯარიმის განსაზღვრის მკაფიო კრიტერიუმები, მაგ., რომლებზე დაყრდნობითაც მოხდება მსჯავრდებულისათვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობის გამოთვლა.

გარდა ამისა, 2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი სსკ-ის 42-ე მუხლის 5<sup>1</sup> ნაწილთან დაკავშირებით, აღსანიშნავია კიდევ ერთი საკითხი. გადახდისუუნარო არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ჯარიმის გადახდა როგორ შეიძლებოდა დაკისრებოდა მეურვეს, როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1276-ე მუხლით, მეურვეობა წესდება ბავშვზე, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კი, 14 წლის ასაკიდან იწყება. ანუ პირი, რომლის მშობელს, მეურვესა თუ მზრუნველს შეიძლებოდა დაკისრებოდა ჯარიმის გადახდის ვალდებულება, უნდა ყოფილიყო 14-დან 18 წლამდე. 7 წელზე მეტი ასაკის ბავშვს კი, ვერ ეყოლება მეურვე. ეს პირდაპირ წერია ამავე კოდექსის 1302-ე მუხლშიც, რომელიც განსაზღვრავს მეურვეობის შეწყვეტის საფუძველებს.<sup>133</sup> 2015 წლის 20 მარტამდე რედაქციით, მეურვის დანიშვნა, 7 წლამდე არასრულწლოვნის გარდა, შესაძლებელი იყო პირზე, რომელიც სასამართლოს მიერ იყო აღიარებული ქმედუუნაროდ სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, რაც არ ცვლის აღნიშნულ ხარვეზს.

მშობელზე ჯარიმის გადახდის ვალდებულების დაკისრების ნაცვლად, უკეთესი იქნება, ყურადღება გამახვილდეს მშობლების დახმარებასა და ხელშეწყობაზე ბავშვის დანაშაულებრივი ქმედების მართვაში. ჯარიმის დაკისრება კი, უმჯობესია, მხოლოდ

---

<sup>132</sup> ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2010, გვ. 216.

<sup>133</sup> „მუხლი 1302. მეურვეობის შეწყვეტის საფუძველები 1. მეურვეობა შეწყდება: ...ბ) თუ არასრულწლოვანმა სამეურვეო პირმა 7 წლის ასაკს მიაღწია;...“.

მიყენებული ზიანის გამოსწორებისთვის იყოს შესაძლებელი. მსოფლიოში ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაც ითვალისწინებს ჯარიმის დაკისრების ვალდებულებას არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მშობლისთვის, მაგრამ ამგვარი პრაქტიკა განიხილება, როგორც ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეუსაბამო.

მისასაღმებელია, რომ ამკ-მა, ჯარიმის დისპოზიციის ჩამოყალიბებისას, გაითვალისწინა საერთაშორისო სტანდარტი, თუმცა, სასურველია, მუხლი მეტად დაიხვეწოს. ჯარიმა არის ერთ-ერთი ალტერნატიული და სასჯელის მიზნების ორიენტირებული სასჯელის სახე, რომლის არსებობაც აუცილებელია კოდექსში. ამ სასჯელის სახეს ყველა ქვეყანაში აქვს პერსპექტივა, მათ შორის, საქართველოშიც, რომლის ხშირად გამოყენებაც შეამცირებს თავისუფლების აღკვეთის გამოყენების სტატისტიკურ მაჩვენებელს.

### **3.4. ჯარიმის აღსრულება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში**

ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ჯარიმა სისხლის სამართალში დამკვიდრდა, როგორც კლასიკური სასჯელების (თავისუფლების აღკვეთა, სიკვდილით დასჯა და ა.შ.) ალტერნატივა. ჯარიმის, როგორც სანქციის გამოყენება ასოცირდება პირისთვის გარკვეულ ქონებრივ (ფულად) დანაკარგებთან, რაც პირის მიერ ჩადენილ ქმედებაზე სახელმწიფოს მხრიდან საკმარის და ადეკვატურ პასუხად მიიჩნევა. მას უპირატესობა ენიჭება სანქციის სხვა ფორმებს შორის, ვინაიდან მისი აღსრულება შესაძლებელია სახელმწიფო რესურსების ეკონომიით და დამნაშავისთვის შედარებით ნაკლები ტკივილის მიყენებით.<sup>134</sup>

ჯარიმის აღსრულება არ არის დაკავშირებული კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის საზოგადოებისგან იზოლაციასთან, თუმცა, შეიძლება არასრულწლოვანმა აღნიშნული სასჯელის სახე არასწორად გაიგოს, გაუჩნდეს გრძნობა, რომ ცხოვრებაში

---

<sup>134</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის №3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §50.

მთავარი ფულია, რომლითაც ყველაფერს მოაგვარებს, დანაშაულის ჩადენასაც კი. სასჯელის მიზანი კი, ეს სულაც არ არის. სასჯელის მოხდისგან კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს უნდა გაუჩნდეს პასუხისმგებლობის გრძნობა, მიხვდეს თავის დანაშაულს და შეძლოს იმის გაანალიზება, რომ მისი ქმედება დანაშაულია და განმეორების შემთხვევაში კვლავ დაისჯება.

ჯარიმის აღსრულება პრობლემური საკითხია იუვენალურ იუსტიციაში, იმ კუთხითაც, რომ ჩვენს ქვეყანაში არასრულწლოვნის დამოუკიდებელი შემოსავალი ნაკლებად წარმოსადგენია. ასოც. პროფ. მორის შალიკაშვილის აზრით, „დამოუკიდებელი შემოსავლის“ ქვეშ არ იგულისხმება მხოლოდ არასრულწლოვნის მიერ განხორციელებული კონკრეტული დამოუკიდებელი სამუშაოდან/სამსახურიდან გამომჟღავნებული თანხა.<sup>135</sup> არ ვეთანხმები აღნიშნულ მოსაზრებას. სიტყვების ეტიმოლოგიიდან და შინაარსიდან გამომდინარე, სწორედ ის იკვეთება, რომ იგი აუცილებლად მისი შრომით მოპოვებული, მისი შემოსავალი უნდა იყოს. თუ ეს ასე არ არის და როგორც ასოც. პროფ. მოიაზრებს, ეს შეიძლება იყოს კვლავ მშობლებისგან მიცემული თანხა, მაშინ რაში მდგომარეობას ამ ნორმის სიახლე და ხარვეზის აღმოფხვრა? მოსამართლე მშობლების მიერ შვილისთვის მიცემული სახარჯო ფულის შესაბამისად ვერ შეუფარდებს არასრულწლოვანს სასჯელს, რადგან მას ეს ინფორმაცია არც ექნება და არც იქნება სწორი ამაზე დაყრდნობით მოხდეს სასჯელის შეფარდება. გარდა ამისა, შესაძლოა, ჯარიმის ოდენობის მიხედვით, შეიცვალოს არასრულწლოვნისთვის მშობლების მიერ მიცემული თანხის ოდენობა. ყოველივე ეს კი, სსკ-ის 42-ე მუხლის იმ რედაქციასთან დაგვაბრუნებს, რომელიც 2016 წლის 1 იანვრამდე იყო, როდესაც გადახდისუუნარო არასრულწლოვნის შემთხვევაში, ჯარიმის გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.

არასრულწლოვანთა კანონმდებლობის შექმნის პროცესში, საერთაშორისო სტანდარტების გარდა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქვეყანაში არსებული

---

<sup>135</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 131.

რეალობა.<sup>136</sup> ამა თუ იმ ქვეყანაში ღმობიერი თუ მკაცრი სასჯელების არსებობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. არც თუ ისე მცირე ადგილი უკავია საზოგადოების მართლშეგნების დონეს, კულტურულ ტრადიციებს, ეთნიკურ შემადგენლობას, ქვეყანაში არსებულ კრიმინალურ ვითარებასა და უამრავ სხვა ფაქტორს.<sup>137</sup> ამ კუთხით, შესაძლებელია, ჯარიმა არასრულწლოვნებისთვის რეალობას აცდენილი სასჯელის სახე აღმოჩნდეს, რადგან ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოში, ხშირ შემთხვევაში, სრულწლოვნებსაც კი უჭირთ თანხის გადახდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯარიმასთან დაკავშირებული ნორმები არასრულწლოვანთათვის ითვალისწინებს გარკვეულ თანხობრივ ლიმიტებს, მაინც რჩება სერიოზული კითხვები კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისთვის სასჯელის სახედ მისი გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ. ბევრი ახალგაზრდა დამნაშავე ფინანსურად დაუცველია და მათ მიერ დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ სიღარიბეა.<sup>138</sup>

სასურველია, საკანონმდებლო დონეზე იყოს იმის მითითება, რომ მოსამართლემ, სასჯელის შეფარდებისას, გაითვალისწინოს არასრულწლოვნის, როგორც ამჟამინდელი, ასევე, მომავალი ფინანსური შესაძლებლობები. იქნებ შემოსავალი დროებითია? ან სულაც ხანგრძლივია, მაგრამ ამის გამო მომავალში მას შეიძლება სხვა პრობლემები შეექმნას. მაგ., ვეღარ გააგრძელოს სწავლა, ვერ შეიძინოს სკოლისთვის საჭირო ნივთები და ა.შ. ამიტომ, ამ კუთხითაც დასაფიქრებელია ეს სასჯელის სახე.

ჯარიმა აუცილებლად უნდა იყოს ისეთი ოდენობის, რომ არ გამოიწვიოს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის ეკონომიკური მდგომარეობის იმგვარი

---

<sup>136</sup> Farrington D.P., "Cross-national Comparative Research on Criminal Careers, Risk Factors, Crime and Punishment", *Journal "European Journal of Criminology"*, Vol. 12(4), New York, United States, 2015, P. 389.

<sup>137</sup> ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი“, *სიხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 227.*

<sup>138</sup> Cunneen C., White R., *Juvenile Justice: An Australian Perspective*, Oxford University Press, England, 1995, P.

გაუარესება, რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინოს სხვა, ახალი, უფრო საშიში დანაშაული.<sup>139</sup> ამ დროს საქმე გვექნება სასჯელის გამოყენების ისეთ შემთხვევებთან, რომლებიც კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიერ დანაშაულის ჩადენას შეუწყობს ხელს.<sup>140</sup> მაგრამ რა თანხა უნდა იყოს ეს საქართველოში? ძნელი წარმოსადგენია, რომ მინიმუმ 1000 ლარი ან 250 ლარი (თუ განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით) ადვილი გადასახდელი იყოს დღევანდელ პირობებში არასრულწლოვნისთვის. ზოგიერთ სახელმწიფოში მოსახლეობის ეკონომიკური სიდუხჭირე კანონმდებელს საშუალებას არ აძლევს სასჯელის სახედ ჯარიმა შემოიღოს.<sup>141</sup> შესაძლებელია, ამ ეტაპზე, არასრულწლოვანთა შემთხვევაში, საქართველო სწორედ ასეთი ქვეყნების რიცხვში იყოს.

ამ მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია, კანონმდებელმა, ჯარიმის გადახდის დროს, არასრულწლოვნებისთვის შემოიღოს ე.წ. „განაწილვადების წესი“, რომელიც გულისხმობს შემდეგს: თუ სასამართლო ჩათვლის, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს, მისი პირადი ან ქონებრივი მდგომარეობის გამო, არ შეუძლია ჯარიმის ერთიანად გადახდა, იგი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ჯარიმის განაწილვადების – ნაწილ-ნაწილ გადახდის შესახებ. თუ მსჯავრდებული ზედიზედ სამჯერ დაარღვევს ჯარიმის გადახდისთვის დადგენილ ვადას, სასამართლოს შეუძლია მას დააკისროს ჯარიმის გადაუხდელი ნაწილის ერთიანად გადახდა.

---

<sup>139</sup> Eisenberg, U., *Jugendgeichtsgesetz. Kommentar. 11. Aufl., München 2006. S. 201*; იხ. შალიკაშვილი მ., „არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“, *ოთარ გამყრელიძე 80, საიუბილეო სამეცნიერო კრებული, თბილისი, 2016, გვ. 345.*

<sup>140</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, 2011, გვ. 70.*

<sup>141</sup> პრადელი ჟ., *შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი., 1999, გვ. 426.*

ჯარიმის გადახდის გადანაწილებას მსოფლიოში ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს.<sup>142</sup> ეს არის ჯარიმის გადახდის ე.წ. პრევენტული წესი.<sup>143</sup> ასეთი წესის შემოღების მიზეზია მოსახლეობის სოციალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინება. თუ ასეთ დროსაც არ გადაიხდის მსჯავრდებული ჯარიმას, განიხილება უფრო მკაცრი სასჯელით შეცვლის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი დადებითი ეფექტი ექნება ამ წესის შემოღებას იუვენალურ იუსტიციაში. აღნიშნული დისპოზიციით, არასრულწლოვანს კიდევ უფრო მეტი შანსი მიეცემა შეძლოს ან მძიმე შედეგების გარეშე მოახერხოს ჯარიმის გადახდა. კანონმდებელი უფრო მეტად მისცემს სასამართლოს საშუალებას გამოიყენოს ალტერნატიული სასჯელის სახე – ჯარიმა. შეიძლება კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მატერიალური მდგომარეობა არ იძლევა ჯარიმის ერთიანად გადახდის საშუალებას, თუმცა, ნაწილ-ნაწილ ეს სავსებით შესაძლებელი იყოს. ამ წესის შემოღებით, საპატიმრო სასჯელი უფრო ნაკლებად იქნება გამოყენებული. ასევე, იმის გარანტიაც მეტად იქნება, რომ სასჯელი ნამდვილად აღსრულდება და არ დადგება მისი შეცვლის აუცილებლობა, სხვა უფრო მძიმე სასჯელით, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთით.

გარდა ამისა, არსებობს მოსაზრება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ალტერნატიული სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენებას შეუძლია შეამციროს საპატიმრო სასჯელის გამოყენება, ჯარიმის შეფარდება ზღუდავს რეინტეგრაციის მიზნისა და ეფექტის მიღწევას. ასევე, აღსანიშნავია, რომ ფინანსურ ჯარიმებს, არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის თვალსაზრისით, შეზღუდული ღირებულება

---

<sup>142</sup> აღსანიშნავია, რომ არსებობს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც 2014 წელს მომზადდა, თუმცა, გერჯერობით საქართველოს პარლამენტში ინიცირებულიც კი არ არის. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს ჯარიმის განაწილვადების წესს; იხ. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, 30.06.2014, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2383542?publication=0> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021].

<sup>143</sup> პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 478.



აქვს. უმჯობესია, ჯარიმის დანიშვნის ნაცვლად, მოსამართლეს ჰქონდეს უფლებამოსილება არასრულწლოვანს დააკისროს მცირე საკომპენსაციო თანხის გადახდა აღმდგენითი ზომის სახით. ეს თანხა უნდა იყოს ისეთი ოდენობის, რის გადახდასაც არასრულწლოვანი რეალურად შეძლებს. მიზანშეწონილია, კანონთან კონფლიქტში მყოფმა პირმა, თავისი სურვილით, ჩადენილი ქმედების საკომპენსაციოდ, დაზარალებულს სხვაგვარი დახმარება გაუწიოს მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელიც არ იქნება დაკავშირებული ფულად თანხასთან. მაგ., ფიზიკური ან გონებრივი შრომით. ეს უმჯობესი იქნება როგორც მსჯავრდებულისთვის, ასევე დაზარალებულისთვის. დაზარალებულმა კი, სამართლიანობის განცდა რომ არ დაკარგოს, საჭიროა, დამნაშავესთან კონფლიქტის მოგვარება, რაც, ასევე, ხელს უწყობს, თავიდან იქნეს აცილებული ახალი დანაშაული და დაზარალებული ხელმეორედ არ გახდეს იმავე დამნაშავეს მსხვერპლი. სწორედ შერიგება განაპირობებს დამნაშავეს რესოციალიზაციას, მის მიერ ჩადენილი ქმედების მონანიებასა და გამოსწორებას. ეს დამნაშავეს აძლევს შესაძლებლობას დაფიქრდეს საკუთარ საქციელზე, აილოს პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებაზე და პატივი სცეს საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს, რაც, თავის მხრივ, გაუჩენს სურვილს, რომ მომავალში დაემორჩილოს ამ წესებს.<sup>144</sup>

დაზარალებული, სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილეა. მართალია, დაზარალებული არ წარმოადგენს მხარეს სისხლის სამართლის პროცესში, მაგრამ სამართლიანი სასამართლოს პრინციპის მოთხოვნაა, რომ დაბალანსდეს როგორც მხარეთა, ასევე, დაზარალებულის ინტერესები.<sup>145</sup> შესაძლოა, დაზარალებულს კომპენსაციის მიღების ინტერესი არ ამოძრავებდეს, თუმცა, მისთვის მიყენებული ზიანის ფაქტი და შესაბამისად კომპენსაციის მიღების უფლება, მას

---

<sup>144</sup> ასევე, იხ. შალიკაშვილი მ., *არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები*, თბილისი, 2013, გვ. 29-31.

<sup>145</sup> *DOORSON v. THE NETHERLANDS*, ECHR, (Application no. [20524/92](#)), 26 March 1996.

სამართლიანი სასამართლოს უფლების სუბიექტად აქცევს.<sup>146</sup> სასჯელი მხოლოდ დანაშაულით გამოწვეული უბრალოდ შედეგი როდია, მას წაყენება მოთხოვნა, რომ დააკმაყოფილოს დაზარალებულის ინტერესებიც.<sup>147</sup> „ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან“.<sup>148</sup> ამით დაზარალებულს გაუქარწყლდება დაუცველობის განცდა, გამოირიცხება მისი შემდგომი ვიქტიმიზაცია და ამ გზით უზრუნველყოფილი იქნება მართლმსაჯულებისადმი მისი ნდობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჯარიმის აღსრულების საკითხის ირგვლივ, საკანონმდებლო ცვლილებები უნდა განხორციელდეს. საქართველოში ფაქტობრივად შეუძლებელია 14-18 წლამდე მსჯავრდებულმა ჯარიმის თანხის გადახდა შეძლოს. სიტყვა „დამოუკიდებლის“ ჩაწერამ, ერთი მხრივ, გამოასწორა მანამდე არსებული ხარვეზი, მაგრამ, მეორე მხრივ, მოგვცა ისეთი მდგომარეობა, რომელიც რეალობას აცდენილია. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, უნდა ვიფიქროთ აღსრულების სხვა შესაძლებლობებზე, მგ., ისეთზე როგორცაა ე.წ. „განაწილვადების წესი“, რომ სასჯელმა მიაღწიოს თავის მიზნებს და კვლავ უზრუნველყოს თავისუფლების აღკვეთის გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლის შემცირება. საკანონმდებლო დონეზე უნდა იყოს იმის მითითება, რომ მოსამართლემ გაითვალისწინოს არასრულწლოვნის, როგორც ამჟამინდელი, ასევე, პირის მომავალი ფინანსური შესაძლებლობები.

---

<sup>146</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §41.

<sup>147</sup> ცეტიშვილი თ., სასჯელი და მისი შეფარდება, თბილისი, 2019, გვ. 16.

<sup>148</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §II(3).

### 3.5. არასრულწლოვანთა ჯარიმა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით

შვეიცარიაში ჯარიმა შეიძლება გამოყენებული იყოს იმ არასრულწლოვნის მიმართ, რომელსაც ქმედების ჩადენის მომენტისთვის შეუსრულდა 15 წელი. ჯარიმის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 2000 ფრანკს. ჯარიმის დაკისრება ხდება აუცილებლად არასრულწლოვნის მდგომარეობის გათვალისწინებით. დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, იგი შეიძლება შეიკავლოს 30 დღემდე თავისუფლების აღკვეთით.<sup>149</sup>

ავსტრიაში ჯარიმის გამოყენება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ არასრულწლოვანი მას საკუთარი სახსრებით გადაიხდის. ჯარიმა განისაზღვრება დღიური შენატანებით, რომლის ოდენობა შეიძლება იყოს 4-დან 5000 ევრომდე. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში კი, იგი იცვლება თავისუფლების აღკვეთით. თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე უდრის, დღეებით განსაზღვრული ჯარიმის ორ დღეს.<sup>150</sup>

ავსტრიის მსგავსად, ესტონეთის კანონმდებლობითაც ჯარიმის დაკისრება შეიძლება მხოლოდ იმ არასრულწლოვნისთვის, რომელსაც აქვს საკუთარი შემოსავალი.<sup>151</sup>

ლატვიის სისხლის სამართლის კოდექსი არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილ სასჯელებად გამოყოფს თავისუფლების აღკვეთას, *ჯარიმას*, იძულებით სამუშაოს და კანონით განსაზღვრულ სხვა ღონისძიებებს.<sup>152</sup> სხვა სახის სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები შეიძლება გამოყენებულ იქნას 11-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების

---

<sup>149</sup> *Jugendstrafgesetz, 2003, Art 24, Available at: <https://www.admin.ch/opc/de/classified-compilation/20031353/index.html> [Last seen: 01.02.2021].*

<sup>150</sup> *StGB, 1974, §19, Available at: <https://www.jusline.at/gesetz/stgb/paragraf/19> [Last seen: 01.02.2021]; JGG, 1988, §8, Available at: <https://www.jusline.at/gesetz/jgg/paragraf/7> [Last seen: 01.02.2021].*

<sup>151</sup> *Penal Code of Estonia, 2001, §65(4), Available at: [https://www.legislationline.org/download/id/8244/file/Estonia\\_CC\\_am2019\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/8244/file/Estonia_CC_am2019_en.pdf) [Last seen: 01.02.2021].*

<sup>152</sup> *Krimināllikums, 1998, 65.Pants, Available at: <http://likumi.lv/doc.php?id=88966> [Last seen: 01.02.2021].*

მიმართ.<sup>153</sup> არასრულწლოვანთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას, ასევე, იძულებითი სახის შემდეგი ღონისძიებები (სასჯელები): გაფრთხილება, ბოდიშის მოხდის ვალდებულების დაკისრება, სამეურვეოდ გადაცემა, რესტიტუცია, *ჯარიმა*, ქცევის შეზღუდვა, საზოგადოებრივი სამუშაო და საგანმანათლებლო ტიპის დაწესებულებაში მოთავსება.<sup>154</sup> რესტიტუცია არის სწორედ ის, რაზეც ზემოთ იყო საუბარი. ეს გულისხმობს ბავშვის დავალდებულებას, შრომით აღადგინოს მის მიერ მიყენებული ზიანი. ქცევის შეზღუდვა გულისხმობს განსაზღვრულ ადგილებში მისვლის, კონკრეტული პირების ნახვისა და სხვა აქტივობების აკრძალვას.<sup>155</sup>

დაახლოებით ასეთი მიდგომა აქვს სერბეთის კანონმდებლობას. უფრო მეტიც, კანონი არასაკატიმრო სასჯელებად ითვალისწინებს საგანმანათლებლო და დაცვით ღონისძიებებს. საგანმანათლებლო ზომებია: გაფრთხილება, მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ მეთვალყურეობის დაწესება, საგანმანათლებლო, რეაბილიტაციის ან გამოსასწორებელ დაწესებულებაში მოთავსება. გაფრთხილება გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ეს საკმარისია ბავშვის ქცევაზე ზეგავლენის მოსახდენად. მეთვალყურეობა ინიშნება, თუ ბავშვის განათლებისა და აღზრდისთვის აუცილებელია კონტროლის გაზრდა, მაგრამ არაა საჭირო საცხოვრებლისგან მოშორება. თუ ეს უკანასკნელი საჭიროა, ბავშვი თავსდება სპეციალურ დაწესებულებაში. რომელიმე ამ სასჯელის გამოყენებასთან ერთად, სასამართლომ არასრულწლოვანს შეიძლება დააკისროს დამატებითი ვალდებულებები, როგორცაა – ბოდიშის მოხდა, კომპენსაციის გადახდა, სკოლის ან სამუშაოს გაცდენის აკრძალვა, საზოგადოებრივ ან სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა, შემოწმების გავლა და ა.შ.<sup>156</sup>

---

<sup>153</sup> *Par Audzinoša Rakstura Piespiedu Līdzekļu Piemērošanu Bērniem, 2002, 3.Pants, Available at: <https://likumi.lv/ta/id/68489-par-audzinos-a-rakstura-piespiedu-lidzeklu-piemerosanu-berniem> [Last seen: 01.02.2021].*

<sup>154</sup> *იქვე, 6.Pants.*

<sup>155</sup> *იქვე, 9-10.Pants.*

<sup>156</sup> *Law on Juvenile Criminal Offenders and Criminal Protection of Juveniles os Serbia, 2005, Articles 9, 11, 13-14, Available at:*

### 3.6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არასრულწლოვანთა ჯარიმასთან დაკავშირებით

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ჯარიმაზე საუბრისას, აუცილებელია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების განხილვა, რომელიც ეხება უკვე არა ერთხელ ნახსენებ 2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედ სსკ-ის 42 მუხლის 5<sup>1</sup> ნაწილს, რომელიც ითვალისწინებდა გადახდისუუნარო არასრულწლოვნის ჯარიმის გადახდის დაკისრებას მშობელზე, მეურვეზე ან მზრუნველზე.

2007 წლის 16 თებერვალს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველმა, რომელიც ითხოვდა სსკ-ის 42-ე მუხლის 5<sup>1</sup> ნაწილის შესაბამისობის დადგენას სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპთან მიმართებით, რომელიც, მართალია, საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირ არ არის დეკლარირებული, მაგრამ გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.

სისხლის სამართალში პირი დამნაშავედ შეიძლება იქნეს ცნობილი მხოლოდ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას, აუცილებლად აფასებს, თუ რა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა პირმა, მოქმედებდა თუ არა იგი ბრალეულად და შესაბამისად, გამოაქვს განაჩენიც. მოსარჩელის განცხადებით, სასჯელის დანიშვნა უნდა მომხდარიყო მხოლოდ იმ პირის მიმართ, ვინც ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება. სადავო ნორმის თანახმად კი, სასჯელის დაკისრება ხდებოდა არა იმ პირის მიმართ, ვინც დამნაშავედ იქნა ცნობილი, არამედ მისი კანონიერი წარმომადგენლის მიმართ. სწორედ აღნიშნული არღვევდა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს.

---

[https://www.refworld.org/pdfid/4b56c9952.pdf?\\_cf\\_chl\\_jschl\\_tk\\_=2a4fe24bd69962c8f8fca22c61a85d8af2f81db2-1581253827-0-AdSKmCOzxsKxGzw2y9DqSMA1il47rCplfHp6KIpiCWiR7qFX5PhqiiJzVrP3bzPYTC1YxwgaEpi-Pxji5ROJLpLLV4Uk12tRX0MC1pAv8S5N5uHZK1ZX9kTJ8VNjCtVKGx2gOY5sdEj3VuwigQEyzcDCIFMj-TYJQAIGAmugvpg9s5LyZMXDbuw77xKYplZEbA9JNTzJ7KFCHhmmo2jX9FwxzOq0f\\_k056q2k6SYT9arvqOjingEHzOUtvlkiexu3ly8Xoval8YBhLUi8X6pTgDGvZ8iAvk06CBMawJMUfXc](https://www.refworld.org/pdfid/4b56c9952.pdf?_cf_chl_jschl_tk_=2a4fe24bd69962c8f8fca22c61a85d8af2f81db2-1581253827-0-AdSKmCOzxsKxGzw2y9DqSMA1il47rCplfHp6KIpiCWiR7qFX5PhqiiJzVrP3bzPYTC1YxwgaEpi-Pxji5ROJLpLLV4Uk12tRX0MC1pAv8S5N5uHZK1ZX9kTJ8VNjCtVKGx2gOY5sdEj3VuwigQEyzcDCIFMj-TYJQAIGAmugvpg9s5LyZMXDbuw77xKYplZEbA9JNTzJ7KFCHhmmo2jX9FwxzOq0f_k056q2k6SYT9arvqOjingEHzOUtvlkiexu3ly8Xoval8YBhLUi8X6pTgDGvZ8iAvk06CBMawJMUfXc) [Last seen: 01.02.2021].

სადავო ნორმით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა გადახდისუუნარო არასრულწლოვნის მშობელს (მეურვეს, მზრუნველს), მაშინ, როდესაც სახეზე არ იყო მათი ბრალეული ქმედება. პასუხისმგებლობა ეკისრებოდა დანაშაულის ჩადენისა და გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე მხოლოდ იმიტომ, რომ არასრულწლოვან შვილს დამოუკიდებელი შემოსავალი არ ჰქონდა.<sup>157</sup>

მოპასუხის განმარტებით კი, სადავო ნორმის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის სუბიექტი იყო არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომლის მიმართ გამოტანილი იყო გამამტყუნებელი განაჩენი. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი სასჯელის, ჯარიმის დაკისრება ხდებოდა მხოლოდ მის მიმართ. კანონმდებელს მშობელი არ შეჰყავდა სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში. სისხლისსამართლებრივი წესით პასუხისმგებელი პირი რჩებოდა კვლავ არასრულწლოვანი. მოპასუხის აზრით, არასრულწლოვნისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდაზე მშობლის დავალდებულება არ შეიძლება განხილული ყოფილიყო მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებად, ვინაიდან მშობლის მიმართ არ ხდებოდა სასჯელის შეფარდება. იგი პროცესის არც ერთ ეტაპზე არ იყო სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი და არც გამამტყუნებელი განაჩენი დგებოდა მის მიმართ. მოპასუხე მხარე სადავო ნორმით დაკისრებულ ვალდებულებას განიხილავდა მშობლის ვალდებულებად, რომელიც დაკავშირებული იყო შვილის ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობასთან.<sup>158</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე მხარის არგუმენტები და დაადგინა, რომ სადავო ნორმის შესაბამისად, მსჯავრდებული იყო არასრულწლოვანი და არა მშობელი (მეურვე, მზრუნველი). კანონიერი წარმომადგენელი სისხლის სამართლის პროცესის წარმოების არც ერთ ეტაპზე არ იყო სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი. სადავო ნორმის რეგულირებიდან არ

---

<sup>157</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის №3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §6, 8.

<sup>158</sup> იქვე, §19-20.

იკვეთებოდა, რომ ხდებოდა მშობლის (მეურვის, მზრუნველის) დადანაშაულება რომელიმე სისხლისსამართლებრივად აკრძალული ქმედების ჩადენაში. გარდა ამისა, იურიდიული თვალსაზრისით, დანაშაული ჩადენილია მხოლოდ მაშინ, თუ იგი დადასტურებულია პირის მიმართ გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით (უდანაშაულობის (არაბრალეულობის) პრეზუმფცია). სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი კი გამოტანილი იყო არასრულწლოვნის მიმართ. ამასთან, მშობლის (მეურვის, მზრუნველის) მიმართ არც ის სამართლებრივი შედეგები ვრცელდებოდა, რაც მოჰყვებოდა გამამტყუნებელ განაჩენს (პირის ნასამართლობა, დანაშაულის რეციდივი და სხვა). სასჯელს აქვს მკაცრად პერსონალური ხასიათი. სასჯელი შეეფარდება მხოლოდ დამნაშავეს და არა სხვა პირს. სადავო ნორმა მკაფიოდ მიუთითებდა, რომ სასჯელი ეკისრება გადახდისუუნარო არასრულწლოვან მსჯავრდებულს. შესაბამისად, სისხლის სამართლის კანონის მიზანს არ წარმოადგენდა გადახდისუუნარო არასრულწლოვნის მშობელზე (მეურვეზე, მზრუნველზე) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. გადახდისუუნარო არასრულწლოვან მსჯავრდებულზე დაკისრებული ჯარიმის კანონიერი წარმომადგენლის მიერ გადახდის დაკისრების ვალდებულება, არ შეიძლება გაგებული ყოფილიყო ჯარიმის დაკისრებად.<sup>159</sup>

ვერ დავეთანხმები სასამართლოს გადაწყვეტილებას. სასჯელი სამართლიანი მხოლოდ მაშინ არის, როდესაც მას წინ უძღვის სისხლის სამართლის კანონით აღწერილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.<sup>160</sup> ამის შესაბამისად, მშობლის დასჯა იმ ქმედებისთვის, რომელიც მას არ ჩაუდენია, არის უსამართლო დასჯა. „თუ სასჯელის არსს გამოხატავს გაკიცხვა წარსულში ჩადენილი კონკრეტული ქმედებისათვის, ცხადია, ეს გაკიცხვა უნდა შეეხოს სწორედ იმას, ვინც იგი დაიმსახურა

---

<sup>159</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის №3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §45-46, 52.

<sup>160</sup> გამყრელიძე ო., „სასჯელი სამართლიანი და სასჯელი უსამართლო“, ჟ. „ცხოვრება და კანონი“, №1(22), თბილისი, 2016, გვ. 6.

და არ შეიძლება გავრცელდეს სხვაზე, ვინც ის არ დაიმსახურა“.<sup>161</sup> საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილით, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება...“. სსკ-ის 42-ე მუხლის 5<sup>1</sup> ნაწილის შემთხვევაში კი, არ იკვეთებოდა რა სახის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება ჩაიდინა არასრულწლოვნის მშობელმა (მეურვემ, მზრუნველმა), რომელსაც ჯარიმის გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა. არ შეიძლება სასჯელის დაკისრება ინდივიდუალური ბრალის დადგენის გარეშე. მოსამართლეს მხოლოდ მაშინ შეუძლია პირის გაკიცხვა, როდესაც მის ბრალეულობას დაადგენს. საბედნიეროდ, ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზე უკვე გადაჭრილია და ასეთ დათქმას ამკ-ში არ ვხვდებით.

ამ უკანასკნელი მოსაზრების გასამყარებლად, საინტერესო იქნება, თუ განვიხილავთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთ გადაწყვეტილებას, რომელიც ხაზს უსვამს სასჯელის დანიშვნის დროს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ძალიან დიდ მნიშვნელობას, რაც ნიშნავს იმას, რომ სასჯელი უნდა დაენიშნოს და მოიხადოს მხოლოდ დამნაშავემ.

1997 წელს ჩუღურეთის რაიონის სასამართლომ წარდგინებით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამატებით სასჯელად ქონების კონფისკაციის ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე. კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება. საკუთრების შეზღუდვა კი დასაშვებია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. ქონების კონფისკაცია კი გულისხმობს მსჯავრდებულისა და მისი ოჯახის წევრების საკუთრების გაუქმებას ან შეზღუდვას, რომელიც არ არის გამოწვეული საზოგადოებრივი საჭიროებისათვის და არ ხდება მისი ანაზღაურება“. სწორედ ამიტომ გახდა სსკ-ის ეს ნორმა სადავო. სხდომაზე სპეციალისტად მოწვეული

<sup>161</sup> გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბილისი, 2013, გვ. 46.



პროფ. გიორგი ტყეშელიაძის აზრით, სადავო სასჯელის შეფარდებისას მსჯავრდებულს შეიძლება ჩამოერთვას მხოლოდ კანონიერად შეძენილი ქონება ანუ პირადი საკუთრება. მრავალ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტში ხაზგასმულია დებულება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს და სასჯელი დაედოს სწორედ დამნაშავეს და არა უდანაშაულოს. ქონების კონფისკაცია კი, ჩვეულებრივ, უდიდეს მატერიალურ ზიანს აყენებს დამნაშავის უდანაშაულო ახლობლებს, ოჯახის წევრებს. პროფ. ლადო ჭანტურიას აზრით, ზოგადად, კონფისკაცია არ არის კონსტიტუციის საწინააღმდეგო. კონსტიტუციის საწინააღმდეგო შეიძლება იყოს მისი შინაარსი, უფრო ზუსტად, კონფისკაციის გავრცელების ფარგლები ანუ რამდენად კონსტიტუციურია კონფისკაციის გავრცელება მსჯავრდებულის მთელ ქონებაზე და არა მხოლოდ დანაშაულის საგანსა და იარაღზე. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმა, რადგან ქონების კონფისკაცია,<sup>162</sup> თავისი შედეგებით, არ შეესაბამება სასჯელის ინდივიდუალობის ძირითად პრინციპს, რადგანაც იგი, ჩვეულებრივ, მიმართულია არა მხოლოდ დამნაშავის, არამედ მისი უდანაშაულო ოჯახის წინააღმდეგ.<sup>163</sup>

იგივე შეიძლება ითქვას ჯარიმაზე, რომელიც თავისთავად არ არის არაკონსტიტუციური სასჯელი, თუმცა, ჯარიმა, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი სასჯელი, შეიძლება ბადებდეს ანტიკონსტიტუციურობის ილუზიას. თითოეული

---

<sup>162</sup> ამასთან, გაუგებარია, რატომ არ არის გათვალისწინებული ამკ-ში სასჯელის სახე – ქონების ჩამორთმევა. სსკ-ის 52-ე მუხლით, „ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას“. ბუნებრივია, კანონთან კონფლიქტში მყოფ პირსაც, შესაძლებელია, ჰქონდეს დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება, რაც უნდა ჩამოერთვას. შესაბამისად, ეს სასჯელიც უნდა არსებობდეს ამკ-ში; ასევე, ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით, დამატებით შეგიძლიათ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 14 მაისის 1/2/575 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>163</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 1997 წლის 21 ივლისის №1/51 გადაწყვეტილება ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებაზე.

სასჯელი აშკარად ზღუდავს ან სრულიადაც კრძალავს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, მაგრამ სასჯელის თავისებურებაც სწორედ ამაშია, რომ ე.წ. სამაგიეროს მიზლვაა სახელმწიფოს მხრიდან. ამრიგად, ჯარიმა, ბუნებრივია, არ არის არაკონსტიტუციური სასჯელი, მაგრამ არაკონსტიტუციური იყო მისი გავრცელების ფარგლები, ანუ მისი დაკისრება მშობელზე, მეურვეზე ან მზრუნველზე. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ნორმა საკონსტიტუციო სასამართლომ არ ცნო არაკონსტიტუციურად.

### **3.7. საქართველოს სასამართლო პრაქტიკა არასრულწლოვანთა მიმართ ჯარიმის დანიშვნის დროს**

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაში, არც ისე ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსამართლე სასჯელის სახით იყენებს – ჯარიმას.<sup>164</sup> ეს

---

<sup>164</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოში – 2016 წელს, 71 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირიდან – 2 პირს შეეფარდა ჯარიმა; 2017 წელს, 99 პირიდან – 3 პირს; 2018 წელს, 84 პირიდან – 2 პირს; 2019 წელს, 151 პირიდან – 3 პირს; 2020 წელს, 114 პირიდან – არც ერთს; თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი №1-0412/1296-1297, 26.01.2021; რუსთავის საქალაქო სასამართლოში – 2016 წელს, 5 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირიდან – 1 პირს შეეფარდა ჯარიმა; 2017 წელს, 12 პირიდან – არც ერთს; 2018 წელს, 3 პირიდან – 1 პირს; 2019 წელს, 11 პირიდან – არც ერთს; 2020 წელს, 3 პირიდან – 1 პირს; რუსთავის საქალაქო სასამართლოს წერილი №12/გ, 18.01.2021; ბათუმის საქალაქო სასამართლოში – 2016 წელს, 17 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირიდან – 1 პირს შეეფარდა ჯარიმა; 2017 წელს, 20 პირიდან – 1 პირს; 2018 წელს, 15 პირიდან – არც ერთს; 2019 წელს, 32 პირიდან – 2 პირს; 2020 წელს, 14 პირიდან – არც ერთს; ბათუმის საქალაქო სასამართლოს წერილი №16გ/კ, 22.01.2021; ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, 2016-2020 წლებში არც ერთი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართ (ამ წლებში სასამართლოში მსჯავრი დაედო 84 არასრულწლოვანს) არ გამოყენებულა ჯარიმა; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წერილი №648-2, 28.01.2021; ზუგდიდის რაიონურ სასამართლოში, 2016-2020 წლებში, 35 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირიდან – მხოლოდ ერთს შეეფარდა ჯარიმა, 2019 წელს; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს წერილი №12, 20.01.2021; გორის რაიონურ სასამართლოში, 2016-2020 წლებში არც ერთი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართ (ამ წლებში სასამართლოში მსჯავრი დაედო 7 არასრულწლოვანს) არ გამოყენებულა ჯარიმა; გორის რაიონული სასამართლოს წერილი №გ/გ-205, 27.01.2021.

ადასტურებს ჯარიმასთან დაკავშირებით განვითარებულ მსჯელობას, იმის შესახებ, რომ საქართველოში არასრულწლოვანს არ აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი. საინტერესო იქნება, განხილულ იქნეს რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სასამართლოს პრაქტიკიდან.

სისხლის სამართლის საქმეში არასრულწლოვან ბრალდებულს ბრალი ედებოდა სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში (სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია). არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გაუფრთხილებლობით დააზიანა საკანში არსებული ტელევიზორი, რითაც საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტს მიაყენა მატერიალური ზიანი. იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულმა აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, მხარეებს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება ბრალზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში წარმოდგენილ იქნა საქართველოს მთავარი პროკურატურის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორის შუამდგომლობა ბრალდებულთან დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ. სასამართლომ სხვადასხვა გარემოებების, მათ შორის, შუამდგომლობაში მოთხოვნილი კანონიერი და სამართლიანი სასჯელის გათვალისწინებით, დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება. არასრულწლოვანი ცნობილ იქნა დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. აღნიშნული სასჯელი ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობით 2 წლის გამოსაცდელი ვადით და ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.<sup>165</sup>

---

<sup>165</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 იანვრის განაჩენი, საქმე №1/340-16.

დამატებით გაანალიზებას საჭიროებს ზემოხსენებული განაჩენის მართებულობა. ამკ-ის 68-ე მუხლის პირველი ნაწილით, „არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან“. როგორც უკვე აღინიშნა, ძნელი წარმოსადგენია საქართველოში კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს ჰქონდეს დამოუკიდებელი შემოსავალი, რომ შემლოს ჯარიმის გადახდა. კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი, რომელიც არის ახალი გათავისუფლებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან, არის ნასამართლელი, იმყოფებოდა გამოსაცდელი ვადის პერიოდში, როგორ შეძლებს დასაქმებას და შესაბამისად, ჯარიმის გადახდას? ამ პერიოდისთვის მსჯავრდებული გათავისუფლებული რომ არ ყოფილიყო, მოსამართლე იგივე გადაწყვეტილებას მიიღებდა? ამ შემთხვევაშიც კვლავ ოჯახის წევრის მიერ ჯარიმის გადახდის ინსტიტუტთან გვაქვს საქმე, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ამკ-ში არსებულ დისპოზიციას. შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, რომ ჯარიმა ეფექტური სასჯელია, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი, როგორც ყველა სხვა სასჯელის სახე, ჩადენილი ქმედების პროპორციული უნდა იყოს, სასჯელის მიზნების შესრულებას უნდა ემსახურებოდეს და დანიშნული იქნეს ყველა იმ წესის გათვალისწინებით, რასაც ამკ გვთავაზობს. ჩამოთვლილ გარემოებებს წარმოდგენილი განაჩენი ვერ აკმაყოფილებს.

ასეთი გადაწყვეტილების გამართლება ვერ იქნება კანონმდებლობის ხარვეზი იმასთან დაკავშირებით, რომ ამკ-ის 102-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი („4. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის შემდეგ სტადიებზე: ... ბ) სასჯელის დანიშნისას;...“) ამოქმედდა 2016 წლის 1 მარტიდან ანუ სასჯელის დანიშვნის დროს მოსამართლეს არ ჰქონდა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენების ვალდებულება, თუმცა, ჰქონდა უფლებამოსილება. კანონი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ არასრულწლოვანს ჯარიმის დანიშვნის დროს დამოუკიდებელი შემოსავალი უნდა ჰქონდეს. ამის გარეშე, აღნიშნული სასჯელის გამოყენება დაუშვებელია. საიდან უნდა გაიგოს ეს ინფორმაცია მოსამართლემ თუ არა

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშიდან. კვლევების<sup>166</sup> მიხედვით, ამ თუ სხვა ინფორმაციის გაგება, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია მხარეებისგან. მოსამართლე ვალდებულია პროპორციული და სამართლიანი სასჯელი შეუფარდოს პირს, მით უმეტეს, რომ ინფორმაციის მოპოვების პრობლემა, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის დახმარებით, მას აღარ აქვს.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ზუსტად მსგავსი შინაარსის სისხლის სამართლის საქმეზე იგივე განაჩენია დადგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ამკ-ის ამოქმედებამდე.<sup>167</sup> ამკ ახლებურად აყალიბებს ჯარიმის დისპოზიციას, ისევე როგორც არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის თავისებურებებს. მიუღებელია ასეთი განაჩენების არსებობა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში, მას შემდეგ, რაც ამკ-ის წყალობით, საქართველოში იუვენალური იუსტიცია სრულიად ახალ რეალობაშია.

საინტერესოა, ამკ-ის ამოქმედებამდე განხილული კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე. არასრულწლოვანს ბრალი ედებოდა სსკ-ის 178-ე მუხლით პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში (მარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რომელიც ისჯებოდა ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორიდან სამ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე). ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან და ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე, სასამართლომ ბრალდებულს სასჯელის სახით განუსაზღვრა ჯარიმა. მსჯავრდებული აღმოჩნდა გადახდისუუნარო, მისი კანონიერი წარმომადგენელი კი – დედა, რომელსაც ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები და არ ჰქონდა არანაირი შემოსავალი. საქმეში წარმოდგენილი იყო არასრულწლოვანის ოჯახის სოციალურად დაუცველი ოჯახების

---

<sup>166</sup> „...მოსამართლე აღნიშნავს, რომ პროკურატურას არ მოაქვს ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა პიროვნული მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია; დაცვის მხარეც პასიურია, იშვიათია, რომ პიროვნული მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს სასამართლოს ადვოკატმა...“; იხ. ციმაკურიძე ე., ბრალდებულის უარი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე, საპროცესო შეთანხმების შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2019, გვ. 36.

<sup>167</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/486-15.

ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ცნობა. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ოჯახი ვერ გადაიხდიდა ჯარიმის მინიმალურ ოდენობასაც კი. სასამართლომ, იმ პერიოდში მოქმედი სსკ-ის 97-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს შეეძლო ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული არასრულწლოვანი გაეთავისუფლებინა სასჯელისგან აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით, გაათავისუფლა მსჯავრდებული სასჯელისგან. აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების სახედ კი, განუსაზღვრა გაფრთხილება და მშობლისათვის საზედამხედველოდ გადაცემა.<sup>168</sup>

სხვა სისხლის სამართლის საქმეებში, თუ მოსამართლე შემოსავლის გარეშე მყოფი მსჯავრდებულის ჯარიმას მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს გადაულოცავდა, ამ შემთხვევაში, მას ანალოგიურ სიტუაციაში (გადახდისუუნარო) დახვდა მშობელი. კანონი არ არეგულირებდა ასეთ შემთხვევას. მოსამართლემ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც იმ პერიოდში კანონმდებლობით შეეძლო. სასამართლოს ხელი შეუწყო იმანაც, რომ ჩადენილი დანაშაული იყო ნაკლებად მძიმე კატეგორიის და მსჯავრდებულს სასჯელის სახით არ შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ან ჯარიმა, სასჯელისგან გათავისუფლების გარეშე, რადგან ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვნის და მისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, მას სასჯელი მაინც შეეცვლებოდა უფრო მძიმე სასჯელით, რომელიც, შესაძლებელია, თავისუფლების აღკვეთაც ყოფილიყო. ამ გადაწყვეტილებით კი, სასამართლომ არასრულწლოვანი აარიდა საპატიმრო სასჯელს.

---

<sup>168</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 ივლისის განაჩენი, საქმე №1/5040-14.

#### 4. შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

XVIII საუკუნეში ფიზიკური სასჯელების (სიკვდილით დასჯა, წამება, კატორღა...) ზეობის პერიოდი დასრულდა და დაიწყო XIX საუკუნის ყველა პოპულარული სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის აღზევა. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მიღებული ყველა კოდექსი, მასობრივად იყენებდა თავისუფლების აღკვეთას უმცირესი დანაშაულისთვისაც კი. ამ სასჯელის გამოყენებამ ფატალური შედეგები გამოიწვია. შემდგომ დაიწყო მესამე ფაზა. კერძოდ, თავისუფლების აღკვეთა შეცვალა ანგლო-საქსურმა პრობაციამ და ფრანკო-ბელგიურმა გადავადებამ. XX საუკუნის შუა წლებიდან განვითარება დაიწყო თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულმა სასჯელებმა. ეს იყო სასჯელების განვითარების მეოთხე ფაზა მსოფლიოში. ხოლო მეხუთე ფაზა დაიწყო 1980-1990 წლებში, აშშ-ში. კერძოდ, შეიქმნა თავისუფლების აღკვეთის და პრობაციის შუალედური სასჯელები (Intermediate Punishments). ციხეების გადატვირთულობის გამო, მსჯავრდებულზე დაწესებულ მეთვალყურეობას უნდა შეექმნა თავისუფლების აღკვეთის ილუზია.<sup>169</sup> სწორედ ასეთ სასჯელის სახეს მიეკუთვნება – შინაპატიმრობა.

ამკ-ის 69-ე მუხლის პირველი ნაწილით, შინაპატიმრობა ნიშნავს დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში მსჯავრდებულის თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულებას. ამავე მუხლის მეოთხე ნაწილით, არასრულწლოვანს შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს ისე, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. აღნიშნული ჩანაწერით, ამკ იზიარებს ამ სფეროში საერთაშორისო აქტების ძირეულ პრინციპებს. ე.წ. „პეკინის წესების“ მიხედვით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვანი დამნაშავის ცხოვრება იყოს შინაარსიანი, დროის იმ პერიოდში, როდესაც ყველაზე მეტად არის მიდრეკილი არასწორი საქციელისკენ, ხელი შეუწყოს პიროვნების განვითარებისა და განათლების მიღების პროცესს.<sup>170</sup> ამ სასჯელის მიზანია, მსჯავრდებულს საშუალება

<sup>169</sup> პრადელი ჟ., *შედარებითი სისხლის სამართალი, 1999, თბილისი, გვ. 419-420.*

<sup>170</sup> *United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"), Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985, Rule 1.2.*

ჰქონდეს იაროს სასწავლო დაწესებულებაში, სამსახურში, მივიდეს პრობაციის ცენტრებში, შეასრულოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან გაიაროს სამკურნალო კურსი ნარკოტიკზე<sup>171</sup> ან ალკოჰოლზე დამოკიდებულების შემთხვევაში.

ამკ-ის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, რომ გათვალისწინებული იყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, რაც მოიცავს იმას, რომ სასჯელის მიზანი იყოს არა მისი დასჯა, არამედ გამოსწორება. მნიშვნელოვანია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი მაქსიმალურად იყოს არიდებული პენიტენციურ დაწესებულებას. შინაპატიმრობა არ ნიშნავს იმას, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი 24 საათის განმავლობაში სახლის პირობებში უნდა იყოს. მოსამართლე, გამომდინარე არასრულწლოვნის ყოველდღიური ცხოვრებიდან, განუსაზღვრავს მას საათებს, რომელთა განმავლობაშიც უნდა იყოს სახლში. დანარჩენ დროს კი, იგი თავისუფალია იმისთვის, რომ იაროს სპორტზე, სკოლაში, ჰქონდეს ურთიერთობა სოციალურ და მაქსიმალურად შეეწყოს ხელი, რომ არ დაუმვას ის შეცდომა, რის გამოც იქნა მსჯავრდებული. კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი არ არის ოჯახისგან და საზოგადოებისგან მოწყვეტილი. იგი აგრძელებს ჩვეულ ცხოვრებას და საქმიანობას თავის თანატოლებთან ერთად. არასრულწლოვანი აგრძელებს თვითრეალიზაციასა და განვითარებას, სწავლობს იმ სკოლაში, რომელშიც მანამდე სწავლობდა, მეგობრობს იმ ადამიანებთან, რომლებთანაც მანამდე მეგობრობდა და აკეთებს იმ საქმეს, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს და გამოსდის. მსგავსი არჩევანის ფუფუნება, რა თქმა უნდა, გისოსებს მიღმა არ არის. სახლის გარემო არის ყველაზე სტაბილური ადგილი, რომელშიც არასრულწლოვანი უფრო ადვილად გადალახავს სასჯელს.<sup>172</sup> „ბავშვზე ზრუნვის ეროვნული პოლიტიკის პირველი და უმნიშვნელოვანესი ელემენტი უნდა იყოს ბავშვის ოჯახთან განშორების პრევენცია“.<sup>173</sup> შინაპატიმრობა, სწორედ იმის

<sup>171</sup> პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 431.

<sup>172</sup> მახარობლიძე თ., „შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში“, გურამ ნაჭყეია – 75, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016, გვ. 281.

<sup>173</sup> დოევი ი., კვლევის ანგარიში, რეკომენდაციები მუნიციპალიტეტებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი, თბილისი, 2018, გვ. 2.



შესაძლებლობას იძლევა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფმა პირმა არ შეიცვალოს გარემო. მიუხედავად ამისა, აღნიშნული სასჯელი მაინც დიდი რისკის შემცველია და აუცილებელია დიდი სიფრთხილე. პრობლემების მოგვარება კი, კანონმდებლობაში ხარვეზების აღმოფხვრით უნდა დაიწყოს.

შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე, სიახლეა ქართულ სისხლის სამართალში, შესაბამისად, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. იგი პირველად სწორედ ამკ-ით დამკვიდრდა. ამჟამად, სსკ-შიც ვხვდებით. 2017 წლის 1 ივნისიდან სსკ-ის დაემატა შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე, რომელიც 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. ამ სანქციის დამატებისას, გაუქმდა სხვა სასჯელის სახე, კერძოდ, თავისუფლების შეზღუდვა. შინაპატიმრობა და თავისუფლების შეზღუდვა თავისი ბუნებით ჰგავს ერთმანეთს, თუმცა, თავისუფლების შეზღუდვისგან განსხვავებით, შინაპატიმრობის აღსრულება ხდება სახლში და არა სხვა რომელიმე სპეციალური ინსტიტუციის პირობებში. პირი სასჯელს იხდის საცხოვრებელ ადგილას, ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით და არა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. აქედან გამომდინარე, იგი მოწყვეტილია იმ გარემოს, სადაც მაღალია ალბათობა იმისა, რომ მოხდება პირის ფსიქოლოგიური დეგრადაცია, განსაკუთრებით არასრულწლოვნის შემთხვევაში, რომელიც, ამ მხრივ, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია.

შინაპატიმრობა, როგორც არასაპატიმრო სასჯელის ერთ-ერთი სახე, მსოფლიოს სამართლის სისტემებში სისხლის სამართლის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს. დღევანდელ მსოფლიო ტენდენციას თუ დავუკვირდებით, თანდათანობით ხორციელდება სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაცია. შინაპატიმრობის ინსტიტუტი ლიბერალიზაციის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს, არა მხოლოდ არასრულწლოვანთა მიმართებით, არამედ სრულწლოვან პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაშიც. დადებითად უნდა შეფასდეს სსკ-ში ამ კუთხით განხორციელებული ცვლილებაც. ამკ-ის მსგავსად, სსკ-შიც მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება, მეტი და ეფექტური ალტერნატიული სასჯელების არსებობა. მისასაღამებელია, რომ კანონმდებლობაში გაჩნდა კიდევ ერთი ალტერნატიული სასჯელის სახე,

განსაკუთრებით არასრულწლოვნებისთვის, რაც კიდევ უფრო გაზრდის იმის შესაძლებლობას, რომ თავისუფლების აღკვეთა ნაკლებად იქნეს გამოყენებული.

#### 4.1. შინაპატიმრობის მოკლე ისტორიული ექსკურსი

შინაპატიმრობა, ე.წ. „House Arrest“, მსოფლიო სისხლის სამართლის ისტორიაში სასჯელის ახალი სახე არ არის. იგი პირველად XVII საუკუნეში გამოიყენეს ცნობილი მეცნიერის, გალილეო გალილეის მიმართ. 1633 წელს, მას „წმინდა ინკვიზიციამ“ ყოველკვირეული მონანიების ფსალმუნების კითხვისა და კოპერნიკის სწავლების უარყოფის გამო, სამუდამო პატიმრობა შეუფარდა, რომელიც შინაპატიმრობით შეეცვალა. აღნიშნული სასჯელი მას უვადოდ ჰქონდა შეფარდებული და 1642 წლამდე ანუ გარდაცვალებამდე იხდიდა.<sup>174</sup> მას შემდეგ, ბევრმა ცნობილმა ადამიანმა სიცოცხლის ბოლომდე თუ მის განმავლობაში მოიხადა სასჯელი შინაპატიმრობაში.

საკუთარ რეზიდენციაში, ქალაქ რამალაში, შინაპატიმრობაში გაატარა სიცოცხლის ბოლო წლები პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარემ და ეროვნული მთავრობის პრეზიდენტმა იასირ არაფატმა.<sup>175</sup> ქართლის სამეფო ტახტის დაუფლების მოლოდინში, სმოლენკსში გადასახლებულმა უფლისწულმა ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონმაც შინაპატიმრობაში დაასრულა სიცოცხლე.<sup>176</sup> შინაპატიმრობაში სამჯერ იყო მიანმელი პოლიტიკოსი, ადამიანის უფლებათა დამცველი აუნ სან სუ ჩი 1989-1995, 2000-2002 და 2003-2010 წლებში.<sup>177</sup>

---

<sup>174</sup> *The Trial of Galileo Galilei*, Available at: <http://chnm.gmu.edu/history/faculty/kelly/wciv/science/galileo.htm>  
[Last seen: 01.02.2021].

<sup>175</sup> *Stack M. K., Israel Once More Forces Arafat into House Arrest, Los Angeles Times, 2002, Available at: <https://www.latimes.com/archives/la-xpm-2002-jun-11-fg-izpals11-story.html>* [Last seen: 01.02.2021].

<sup>176</sup> *ჯავახიშვილი დ., „უფლისწულ ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონის წინაპრები და მისი პირდაპირი შთამომავლები“, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 15(2), 2014, გვ. 15.*

<sup>177</sup> *Pletcher K., Aung San Suu Kyi, 2019, Available at: <https://www.britannica.com/biography/Aung-San-Suu-Kyi>*  
[Last seen: 01.02.2021].

ადამიანის უფლებათა აქტივისტმა ანდრეი სახაროვმაც, ანტისაბჭოთა საქმიანობის გამო, შვიდი წელი შინაპატიმრობაში გაატარა ქალაქ გორკში.<sup>178</sup> ცნობილი კინემატოგრაფისტი რომან პოლანსკიც შვეიცარიაში, სქესობრივი დანაშაულის გამო, შინაპატიმრობაში იხდიდა სასჯელს<sup>179</sup> და ა.შ. ასეთი ადამიანების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ფაქტია, რომ მსოფლიო ისტორიაში შინაპატიმრობას, როგორც სასჯელის სახეს, საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს.

შინაპატიმრობა აშშ-ში პირველად 1983 წელს, ნიუ-მექსიკოს შტატში გამოიყენეს. ამის შემდეგ აღნიშნული სასჯელი ისე სწრაფად გავრცელდა, რომ 1988 წლისთვის აშშ-ში, 32 შტატის მასშტაბით, შინაპატიმრობაში მყოფი 2300 მსჯავრდებული იყო,<sup>180</sup> ხოლო ათი წლის შემდეგ, 1998 წლის იანვრისთვის, მათი რაოდენობა 95 000 მსჯავრდებულს აჭარბებდა. სხვა ქვეყნებში კი, კერძოდ, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, სინგაპურში, სამხრეთ აფრიკაში, შვედეთსა და ჰოლანდიაში, ყოველ წელს მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთაც შინაპატიმრობა ჰქონდათ შეფარდებული, ცვალებადი იყო.<sup>181</sup> ამ სასჯელის იდეის წარმოშობას უკავშირებდნენ სატრანსპორტო დანაშაულს. კერძოდ, თავდაპირველად, ეს სასჯელი გამოიყენებოდა ალკოჰოლზე დამოკიდებული მძღოლებისთვის, რადგან დღის გარკვეულ საათებში არ ყოფილიყვნენ გარეთ, შესაბამისად, არ ემართათ საჭე ნასვამ მდგომარეობაში.<sup>182</sup>

იუვენალურ იუსტიციაში შინაპატიმრობის ძირითადი მიზანია, არასრულწლოვანთათვის ციხის მანკიერი ზემოქმედების აცილება. აშშ-ში ამ სასჯელს

---

<sup>178</sup> Wade S., *Nizhny Novgorod: Soviet "Closed City" Teems with Tourists*, 2018, Available at: <https://apnews.com/847f81d25c7d4743b9e7ae2ff6070789/Nizhny-Novgorod:-Soviet-%27closed-city%27-teems-with-tourists> [Last seen: 01.02.2021].

<sup>179</sup> Roman Polanski *Begins House Arrest in Swiss Chalet*, *The Guardian*, 2009, Available at: <https://www.theguardian.com/film/2009/dec/04/roman-polanski-house-arrest-switzerland> [Last seen: 01.02.2021].

<sup>180</sup> Schmidt A., "Electronic Monitoring: What Does the Literature Tell Us?"; *Federal Probation*, Vol. 62, No. 2, Washington, DC, 1998, P. 10.

<sup>181</sup> Dodgson K., Mortimer E., "Home Detention Curfew – The First Year of Operation", *Research Findings*, Vol. 49, London, 2000, P. 110.

<sup>182</sup> იქვე, P. 111.

ხშირად ემატება დაცვის ღონისძიება, დაზარალებულისთვის ზიანის კომპენსირების ჩათვლით. ამერიკელები სიამაყით მიუთითებენ 1981 წლის აგვისტოში კუიატოგას საგრაფოში (ოჰაიო) ჩატარებული ექსპერიმენტის იმედის მომცემ და წარმატებულ შედეგებს რეციდივის თავიდან აცილების თვალსაზრისით. შინაპატიმრობის მისჯის შემდეგ აქცენტი გადადის სწავლაზე, სპორტზე და თავისუფალი დროის გატარებაზე. ამით კი, კანონმდებლები ცდილობენ მაქსიმუმამდე შეზღუდონ თავისუფლების აღკვეთა.<sup>183</sup>

#### 4.1.1. შინაპატიმრობის ისტორია ქართულ სისხლის სამართალში

შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე, როგორც უკვე აღინიშნა, ქართული სამართლებრივი სივრცისთვის ნოვაციას წარმოადგენს, თუმცა, როგორც ინსტიტუტი ახალი არ არის. პირიქით, მას დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი გამოიყენებოდა, როგორც აღკვეთი ღონისძიების ერთ-ერთი სახე. შესაბამისად, მიზანშეწონილია, მისი განხილვა ძველად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების მიხედვით.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეოთხე სესიამ №53 დადგენილებით, 1923 წლის 17 აგვისტოს, დაამტკიცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 1923 წლის 1 სექტემბრიდან. კოდექსის მე-12 თავის 144-ე მუხლში, სხვა აღკვეთის ღონისძიებებთან ერთად, გათვალისწინებული იყო *შინადატუსაღება*. ეს ღონისძიება გულისხმობდა ბრალდებულის თავისუფლების აღკვეთას საკუთარ სახლში იზოლაციის სახით დარაჯის მიჩენით ან უიმისოდ. შინადატუსაღება არის ანალოგია შინაპატიმრობის, რომელიც გაუქმდა გასული საუკუნის სამოციან წლებში. 1960 წლის 30 დეკემბერს მიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უკვე გათვალისწინებული აღარ იყო.

---

<sup>183</sup> პრადელი ჟ., *შედარებითი სისხლის სამართალი*, თბილისი, 1999, გვ. 484.

ქართულ სისხლის სამართალში შემდგომ შინაპატიმრობა გზდება 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც 2010 წლის 10 იანვრამდე მოქმედებდა. აღნიშნული კოდექსი შინაპატიმრობას იცნობდა, ასევე, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახეს, რომელიც პატიმრობის შემდეგ, ყველაზე მკაცრ აღკვეთის ღონისძიებად მიიჩნეოდა. კოდექსის 166-ე მუხლით, შინაპატიმრობა გამოიყენებოდა იმ პირის მიმართ, რომლის სრული იზოლაციაც აუცილებელი არ იყო. ამასთან, მხედველობაში მიიღებოდა ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, ბრალდებულის ნასამართლობა და სხვა გარემოებები. სრულ იზოლაციაში, ალბათ, იგულისხმებოდა პატიმრობა, ხოლო რაც შეეხება აუცილებლობის საკითხს – შეფასებითია, რაც სავარაუდოდ, პრობლემებს იწვევდა პრაქტიკაში და ზედმეტ დისკრეციას ანიჭებდა პროცესის მწარმოებელ ორგანოს. იმ ბრალდებულის დადგენა, რომლის სრული იზოლაციაც აუცილებელი არ არის, ბუნებრივია, ძალიან რთულია. სავარაუდოდ, ამ არგუმენტით, კანონმდებელმა მალევე, კოდექსის მიღებიდან ერთ თვეში, აღნიშნულ მუხლში დააკონკრეტა სუბიექტთა წრე, რომელთა მიმართაც შეიძლება გამოიყენებულიყო შინაპატიმრობა. კერძოდ, მისი გამოყენება შეიძლება: პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდის, მძიმე ქრონიკული ან ინფექციური სნეულებით დაავადებული პირის, 12 კვირაზე მეტი ხნის ორსული ქალის, აგრეთვე, ბრალდებულის მიმართ, რომელსაც მძიმე ოჯახური მდგომარეობა ჰქონდა. კანონმდებელმა ბუნდოვანება მუხლის ახლებულ დისპოზიციაშიც შემოიტანა. ასევე შეფასების საკითხია და სირთულეს წარმოადგენს ისეთი ბრალდებულის დადგენა, რომელსაც მძიმე ოჯახური მდგომარეობა აქვს. აღსანიშნავია, რომ შინაპატიმრობა გაცილებით მეტი ხარისხით ზღუდავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, ვიდრე სხვა აღკვეთის ღონისძიებები (გარდა პატიმრობისა), ამიტომ საკანონმდებლო რეგულაციები შინაპატიმრობასთან დაკავშირებით უნდა იყოს, რაც შეიძლება, მკაფიო და ნათელი, არ უნდა იწვევდეს ორაზროვნებას და არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რათა შინაპატიმრობის პრაქტიკული გამოყენებისას გამოირიცხოს მოსამართლეთა მხრიდან სუბიექტური მიდგომის შესაძლებლობა და მაქსიმალურად

იქნეს დაცული კანონმდებლის ნება.<sup>184</sup> „მძიმე ოჯახური მდგომარეობა“ – რა იგულისხმება აღნიშნულ ჩანაწერში, გაუგებარია, თუმცა, სიტყვების მნიშვნელობა იძლევა ისეთი ვარაუდის საშუალებას, რომ ცუდი, უარყოფითი, გაუსაძლისი პირობები მოვიაზროთ. თუ ასეთი პირობები აქვს სახლში ბრალდებულს, მათ შორის, არასრულწლოვანს, შინაპატიმრობა ხომ მისთვის, პირიქით, უარესი შედეგის მომტანია, რადგან, გაუსაძლის პირობებში აღკვეთი ღონისძიების მიზნები ვერ მიიღწევა. ასევე, ბრალდებულმა შეიძლება ჩაიდინოს ახალი დანაშაული. როგორც ჩანს, კანონმდებელმა აღნიშნული შემთხვევები არ გაითვალისწინა.

1998 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, პატიმრობა და შინაპატიმრობა საპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებს მიეკუთვნებოდნენ. აღნიშნულ კოდექსში შინაპატიმრობა, მართალია, საპატიმრო აღკვეთ ღონისძიებად ითვლებოდა, თუმცა, დავა ამის შესახებ მაშინაც არსებობდა.<sup>185</sup> ზოგადად, მსოფლიოში, ერთიანი აზრი, იმის შესახებ შინაპატიმრობა არის თუ არა საპატიმრო სასჯელის თუ აღკვეთი ღონისძიების ალტერნატივა, არ არსებობს. როგორც უკვე აღინიშნა, შინაპატიმრობას თავისუფლების აღკვეთისა და პრობაციის შუალედურ სასჯელსაც უწოდებდნენ (Intermediate Punishments). ამ შუალედური სასჯელის მიზანი კი არის თავისუფლების აღკვეთის ილუზიის შექმნა.<sup>186</sup> საპროცესო კოდექსით, სასამართლო ბრძანებაში, განჩინებაში ან დადგენილებაში აღკვეთის ღონისძიებად შინაპატიმრობის შერჩევის შესახებ, აღნიშნული უნდა ყოფილიყო სახელდობრ რა უფლებები ეზღუდებოდა დაპატიმრებულს. სასამართლო ბრძანების შესაბამისად, მას შეიძლება აკრძალვოდა გარკვეულ პირებთან ურთიერთობა, სატელეფონო საუბრები,

---

<sup>184</sup> ჯორბენაძე ო., „აღკვეთის ღონისძიების სახით შინაპატიმრობის შერჩევის ზოგიერთი საკითხი“, ჟ. „სამართლის ჟურნალი“, №7-8, თბილისი, 2002, გვ. 60.

<sup>185</sup> იხ. გაბისონია ი., „დაკავების, მისი დაპატიმრებად ტრანსფორმირებისა და აღკვეთის სხვა ღონისძიებათა გამოყენების პრობლემები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, სამართალგამოყენებითი პრაქტიკისა და ახალი კოდექსის პროექტის მიხედვით“, ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 7, №4, თბილისი, 2004, გვ. 714.

<sup>186</sup> პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 419-420.

კორესპონდენციის გაგზავნა და მიღება, სახლიდან გასვლა. ასევე, საცხოვრებელ ადგილს შეიძლება მიჩენოდა პოლიციის დაცვა ან/და მის ქცევაზე დაწესებულიყო პოლიციის ზედამხედველობა. ორივე აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობისა და შინაპატიმრობის, დანიშვნის შესაძლებლობა ერთი და იმავე ვადით იყო შესაძლებელი. ვადის გაგრძელების წესი და პროცედურა, ასევე, მსგავსი იყო. რაც შეეხება შინაპატიმრობის ვადის ჩათვლას პატიმრობის ვადაში, კოდექსის 162-ე მუხლის მე-7 ნაწილით, ბრალდებულის პატიმრობის ვადაში ითვლებოდა შინაპატიმრობაში ყოფნის დრო და პირიქით. შინაპატიმრობა და პატიმრობა, ფაქტობრივად, გაიგივებული იყო ერთმანეთთან. პოლიციის მუშაკები ვალდებულნი იყვნენ, ბრალდებულის მიერ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, შეედგინათ ოქმი და დაუყოვნებლივ გადაეცათ იმ ორგანოს ან თანამდებობის პირისთვის, რომლის წარმოებაშიც იყო აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე, უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების შერჩევის საკითხის გადასაწყვეტად. ბრალდებულს ევალებოდა არ დამალვოდა გამოძიებას და სასამართლოს, გამოცხადებულიყო გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს გამომახებით. ამასთან, 503-ე მუხლის მე-4 ნაწილით, მოსახდელი სასჯელის დანიშვნით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას, სასამართლოს ზუსტად უნდა განესაზღვრა სასჯელის სახე, ზომა და სასჯელის მოხდის ვადის დაწყება. პირის დაკავებისა და წინასწარ პატიმრობაში, აგრეთვე, შინაპატიმრობასა და სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის დრო ითვლებოდა სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადაში.

საინტერესოა, სასამართლო პრაქტიკა როგორი იყო იმ წლებში, როდესაც საქართველოში შინაპატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით მოქმედებდა. ძნელი წარმოსადგენია ეფექტური ყოფილიყო, რადგან სათანადოდ ვერ აღსრულდებოდა. დღევანდელი კანონმდებლობით, შინაპატიმრობის აღსრულება, როგორც წესი, ელექტრონული მონიტორინგის დახმარებით ხდება, რაც მსოფლიოში აღიარებულია, როგორც ეფექტური საშუალება. კანონი ითვალისწინებს არასრულწლოვნის კონტროლს ადამიანური რესურსის გამოყენებითაც, რაც ბუნებრივია, არ არის სანდო და ეფექტური და გამოიყენება, მხოლოდ მცირე ხნით, გამოუვალი მდგომარეობის დროს. ადრე

არსებული კანონმდებლობიდან კი ირკვევა, რომ სასამართლოს დისკრეცია ჰქონდა ბრალდებულის ქცევაზე არ დაეწესებინა პოლიციის ზედამხედველობა. ფაქტობრივად, ეს აღკვეთის ღონისძიება, უმეტესად, ბრალდებულის ნდობაზე იყო დამყარებული.

ასევე, სადავო საკითხია რას მოიცავდა სახლის ტერიტორია, მართო საცხოვრებელ სახლს, სახლთან ერთად შემოგარენს, სახლთან მდებარე სხვა კუთვნილ ფართობსაც და ა.შ.<sup>187</sup> საცხოვრებელი ადგილის დატოვების აკრძალვა, გარდა დადგენილი საათებისა, შინაპატიმრობის ინსტიტუციური ნიშანია. საცხოვრებელი ადგილი შესაძლებელია გავიგოთ ფართო მნიშვნელობით, მაგ., როგორც საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი, იზოლირებული ან არაიზოლირებული ბინა, აგარაკი, სადარბაზო, ეზო და ნებისმიერი სხვა იმ პერიოდისათვის უპირატესი საცხოვრებელი ადგილი, მნიშვნელობა არ აქვს ეს სადგომი მსჯავრდებულის ან მისი რომელიმე ოჯახის წევრის საკუთრებაა თუ დროებით მფლობელობაში აქვს, სასყიდლით თუ უსასყიდლოთ და ა.შ. ამჟამად, ელექტრონული მონიტორინგის საშუალებით ამის გაკონტროლება ბევრად მარტივია, თუმცა, ეს საკითხი ბოლომდე ნათელი მაინც არ არის. „საცხოვრებელი ადგილის“ ზუსტი განსაზღვრა დღევანდელი კანონმდებლობითაც შეუძლებელია.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2000 წელს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე სასამართლოების მიერ განხილული 9864 შუამდგომლობიდან, შინაპატიმრობაზე მოდის 113, რომელთაგან დაკმაყოფილდა 108 შუამდგომლობა. 2001 წელს სულ განხილული 9774 პირველადი შუამდგომლობიდან შინაპატიმრობას შეეხებოდა 152, რომელთაგან დაკმაყოფილდა 143, ხოლო 2002 წელს განხილული 9963 შუამდგომლობიდან შინაპატიმრობის შერჩევას შეეხებოდა 182, რომელთაგან 169 დაკმაყოფილდა.<sup>188</sup> როგორც აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, შინაპატიმრობის

---

<sup>187</sup> ბენიძე ვ., დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბილისი, 2003, გვ. 113.

<sup>188</sup> გაბისონია ი., აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2003, გვ. 138-139.



გამოყენების პრაქტიკა საკმაოდ მცირე იყო, რისი სავარაუდო მიზეზებიცაა არაეფექტური აღსრულების საშუალება, ასევე, შეზღუდული პირთა წრე, რომელთა მიმართაც შეიძლებოდა გამოყენებულიყო ეს აღკვეთის ღონისძიება.

თავდაპირველად, შინაპატიმრობის გამოყენება შეიძლებოდა 9 თვის ვადით, ისევე როგორც, პატიმრობის. ამით კანონმდებელი გამოხატავდა იმას, რომ სიმძიმის ხარისხით, იგი ისეთივე აღკვეთის ღონისძიება იყო, როგორც პატიმრობა. ამ ვადის გასვლის შემდეგ, აღკვეთის ღონისძიება უნდა შეცვლილიყო ან გაუქმებულიყო. მოგვიანებით, 2005 წლიდან კი, აღნიშნული ვადა 4 თვემდე შემცირდა. 2005 წლის 16 დეკემბერს კი, აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება გაუქმდა. როგორც ჩანს, შინაპატიმრობა წარუმატებელი აღკვეთის ღონისძიების სახე იყო. წარუმატებლობის მიზეზი, ალბათ, იყო კანონის აღსასრულებლად შესაბამისი პირობებისა და რეალური მექანიზმების არარსებობა. აქედან გამომდინარე, იგი ფორმალურად იყო მკაცრი, თორემ რეალურად არ განსხვავდებოდა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებებისგან, რის გამოც ბევრი დამნაშავე, სავარაუდოდ, მარტივად აღწევდა თავს პასუხისმგებლობას და აღკვეთის ღონისძიებების მიზნებიც ნაკლებად სრულდებოდა.

ამ პერიოდში კანონმდებლობა აღკვეთის ღონისძიების ფართო არჩევანს სთავაზობდა მოსამართლეებს. უმეტესწილად, პრაქტიკაში პატიმრობა გამოიყენებოდა. მოსამართლე მექანიკურად იღებდა შაბლონურ გადაწყვეტილებას, რასაც მხოლოდ ბრალდების არგუმენტაციის კოპირებით ამყარებდა, თითქოს, არსებობდა ბრალდებულის მხრიდან მიმალვის, გაქცევის ან გამოძიებისათვის ხელის შეშლის საფრთხე. აღნიშნული პრაქტიკა ევროსასამართლომ დაგმო საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ რამდენიმე გადაწყვეტილებაში<sup>189</sup> და აღნიშნა, რომ პატიმრობის ავტომატური შეფარდების პრაქტიკა მხოლოდ კანონით დადგენილი იმ პრეზუმფციით, რომელიც ემყარება ბრალდების სიმძიმეს, მიმალვის, დანაშაულის ხელახლა ჩადენის ჰიპოთეტურ საფრთხეს, შეუსაბამოა ევროკონვენციასთან.

---

<sup>189</sup> მგ., იხ. *PATSURIA v. GEORGIA*, ECHR, (Application no. [30779/04](#)), 6 November 2007; ასევე, იხ. *GIORGI NIKOLAISHVILI v. GEORGIA*, ECHR, (Application no. [37048/04](#)), 13 January 2009.

აუცილებელია, საქართველომ მოახდინოს ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის სტანდარტების დანერგვა ქვეყანაში. შესაბამისად, იგი ვალდებულია, ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა მოიყვანოს შესაბამისობაში ევროკონვენციასთან, რათა ადამიანის უფლებათა დაცვა ქვეყანაში გაუმჯობესდეს. მიზანშეწონილია, შინაპატიმრობა ისევ გახდეს აღკვეთის ღონისძიების სახე, მათ შორის, არასრულწლოვნების შემთხვევაში, რადგან ამით საპატიმრო ღონისძიება უფრო ნაკლებად შეეფარდებათ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებს. დღეისათვის საქართველოში უკვე არსებობს ეფექტური აღსრულების მექანიზმი – ელექტრონული ზედამხედველობა, რომელიც აღიარებულია მსოფლიოს მიერ და რომელიც აღმოფხვრის იმ ხარვეზებს, რომლებიც არსებობდა შინაპატიმრობის აღსრულების დროს. მონიტორინგის ეს ფორმა ეხმარება სამართალდამცავ ორგანოებს სრულყოფილად განახორციელონ პირზე ზედამხედველობა, რაც არასაპატიმრო ღონისძიებების სანდოობასა და ეფექტურობას უწყობს ხელს.

საქართველოს გარდა, სხვა ქვეყნებიც იყებნენ და დღესაც იყენებენ შინაპატიმრობას, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახეს. მაგ., რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსით, შინაპატიმრობის ყოფნის დრო ითვლება წინასწარი პატიმრობის ვადაში. ამ ქვეყანაში შინაპატიმრობის გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველად იგი გამოიყენეს 1795 წელს. რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობით, მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მძიმე დანაშაულში ბრალდებულებისთვის, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისთვის გათვალისწინებულია საპრობილეში მოთავსება. ასეთი დანაშაულისათვის ბრალდებული შეიძლება გაათავისუფლონ მხოლოდ საიმედო თავდებობის წარმოდგენის შემთხვევაში. ასევე, პირს შეიძლება დაუწესდეს გარკვეულ პირებთან ურთიერთობის აკრძალვა, კორესპონდენციის მიღება-გაგზავნა და ა.შ.<sup>190</sup>

---

<sup>190</sup> Петрухин И.Л. Неприкосновенность личности в уголовном процессе М., Наука 1989, с. 130; იხ. ბენიძე ვ., დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბილისი, 2003, გვ. 108.

ბელორუსიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით, შინაპატიმრობა არის ბრალდებული პირის საზოგადოებისგან იზოლაციის ღონისძიება ისე, რომ არ იქნეს გამოყენებული პატიმრობა. შინაპატიმრობის აღსრულება შესაძლებელია ელექტრონული მონიტორინგის ან ადამიანური რესურსის გამოყენებით, ასევე, სხვა ანალოგიური ღონისძიებებით, რომელიც უზრუნველყოფენ დამნაშავეს საზოგადოებისგან იზოლაციასა და სათანადო ქცევას. კოდექსში პირდაპირ არის მითითებული, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით შინაპატიმრობის გამოყენების, შეცვლის, გაუქმებისა და ვადის გაგრძელების დროს გამოიყენება საკანონმდებლო აქტის ის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ანალოგიურ საკითხებს პატიმრობასთან დაკავშირებით.<sup>191</sup> ფაქტობრივად, ბელორუსიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსითაც, შინაპატიმრობა გათანაბრებულია პატიმრობასთან.

#### **4.2. შინაპატიმრობა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში**

ამკ-ის 69-ე მუხლის შესამე ნაწილით, არასრულწლოვანს შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში არსებული რეალობის შესაბამისად, შესაძლებელია აღნიშნული სასჯელის სახე მეტად გაფართოვდეს. კერძოდ, შინაპატიმრობა გამოყენებულ იქნეს მძიმე კატეგორიის დანაშაულებზეც.

მსოფლიოში შინაპატიმრობით მსჯავრდებულთა მიზნობრივი ჯგუფის დადგენა ფაქტობრივად შეუძლებელია.<sup>192</sup> აშშ-ის სხვადასხვა შტატში ის გამოიყენება, როგორც

---

<sup>191</sup> *Criminal Code of Republic of Belarus, 1999, Article 125, Available at: <https://cis-legislation.com/document.fwx?rgn=1977> [Last seen: 01.02.2021].*

<sup>192</sup> *Lapidos J., "You're Grounded! How Do You Qualify for House Arrest?", Journal "Slate", 2009, <https://slate.com/news-and-politics/2009/01/how-do-you-qualify-for-house-arrest.html> [Last seen: 01.02.2021].*

დაბალი, ისე მაღალი რისკის მქონე დამნაშავეების მიმართ.<sup>193</sup> შინაპატიმრობა ყველაზე მძიმე სასჯელის სახის – თავისუფლების აღკვეთის ელემენტებს შეიცავს.<sup>194</sup> „როგორც პატიმრობა, ისე შინაპატიმრობა ტოლფასია პირის თავისუფლების აღკვეთისა“.<sup>195</sup>

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსი თავისუფლების აღკვეთის სასჯელების თავში ითვალისწინებს სასჯელს, რომლის არსიც არის ბრალდებულის ადგილმდებარეობის მუდმივი ცოდნა (Permanent Traceability). ეს სასჯელი გამოიყენება 6 თვემდე ვადით და გულისხმობს მოსამართლის მიერ განსაზღვრულ ადგილზე პირის მუდმივ ყოფნას.<sup>196</sup> საკანონმდებლო აქტი არ აკონკრეტებს, თუ რომელი კატეგორიის დანაშაულისთვის შეიძლება იქნეს გამოყენებული ეს სასჯელი.

შვეიცარიის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ“ კანონი, ასევე, არ განსაზღვრავს დანაშაულის რომელი კატეგორიის შემთხვევაში ხდება კონკრეტული არასაპატიმრო სასჯელის გამოყენება.<sup>197</sup> სავარაუდოდ ამის მიზეზია ის, რომ სასამართლოს ჰქონდეს ფართო დისკრეცია ჩადენილი ქმედების სიმძიმიდან და გარემოებებიდან გამომდინარე, ასევე, არასრულწლოვნის პიროვნების

---

<sup>193</sup> U.S. Department of Justice, “Electronic Monitoring Reduces Recidivism“, Washington, DC, 2011, P. 1, Available at: <https://www.ncjrs.gov/pdffiles1/nij/234460.pdf> [Last seen: 01.02.2021].

<sup>194</sup> იტალიის კანონმდებლობით, შინაპატიმრობაში მყოფი პირი მიიჩნევა პატიმრად სასამართლო განხილვის დაწყებამდე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას აქვს საქმიანობის უფლება. შინაპატიმრობა წარმოადგენს პატიმრობის ერთ-ერთ ღონისძიებას. ევროსასამართლომ ერთხმად დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის (თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა) დარღვევა საქმეში, სადაც მომჩივანი იყო უკანონო პატიმრობაში. კერძოდ, პატიმარს მოხდილი ჰქონდა რუმინეთის სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა, იტალიაში შინაპატიმრობის სახით, რაც უნდა ჩათვლიდა თავისუფლების აღკვეთის ვადაში, რადგან შინაპატიმრობა წარმოადგენს პატიმრობის ერთ-ერთ ღონისძიებას; იხ. CIOBANU c. ROUMANIE ET ITALIE, ECHR, (Requête no 4509/08), 9 juillet 2013.

<sup>195</sup> MANCINI v. ITALY, ECHR, (Application no. 41812/04), 13 October 2005.

<sup>196</sup> Criminal Code of Spain, 1995, Articles 35, 37, Available at: [https://www.legislationline.org/download/id/6443/file/Spain\\_CC\\_am2013\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/6443/file/Spain_CC_am2013_en.pdf) [Last seen: 01.02.2021].

<sup>197</sup> JStG, §3. Abschnitt: Strafen, 2003, Available at: <https://www.admin.ch/opc/de/classified-compilation/20031353/index.html> [Last seen: 01.02.2021].

გათვალისწინებით, თავად გადაწყვიტოს გამოიყენებს თუ არა არასაპატიმრო სასჯელს. არასაპატიმრო სასჯელის გამოყენება კონკრეტული კატეგორიის დანაშაულებზე, არც შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსითაა<sup>198</sup> განსაზღვრული.

გერმანიის კანონმდებლობაც არ განსაზღვრავს დანაშაულის რომელ კატეგორიაზე ხდება არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენება. მოსამართლე მხედველობაში იღებს როგორც არასრულწლოვნის პიროვნულ განვითარებას, ასევე, დანაშაულის ჩადენის გარემოებებს. არასრულწლოვანთა სასჯელები, სრულწლოვანთა სასჯელებისგან, პირველი რიგში განსხვავდება ზომებით. გერმანიის კანონმდებლობაში არასრულწლოვნებისთვის სასჯელების მთავარი მახასიათებელია სანქციის საგანმანათლებლო ხასიათი.<sup>199</sup>

ყოველივე ზემოაღიწნულის გათვალისწინებით, მართებული იქნება, შინაპატიმრობის გამოყენება, ნაკლებად მძიმე კატეგორიის გარდა, მძიმე კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაშიც იყოს შესაძლებელი. აღნიშნული სასჯელი არც ისე ლიბერალურია და მძიმე კატეგორიის დანაშაულის საშიშროებისთვისაც შესაბამისი იქნება. მართალია, სახლში და დღის განსაზღვრულ მონაკვეთში, მაგრამ მაინც, ამ სასჯელით, პირს აქვს ერთ ადგილზე ყოფნის ვალდებულება. ანუ ამ სასჯელის შეფარდებით მართლმსაჯულება არ გამოკეტავს ციხეში არასრულწლოვანს და ენდობა ისე, რომ მისი თავისუფლების აღკვეთა შესაძლებელია განხორციელდეს სახლის პირობებში. მეტი სიფრთხილისთვის შეიძლება გაკეთდეს დათქმა, რომ ამ სასჯელის გამოყენება შეიძლება კანონთან კონფლიქტში მყოფი იმ პირის მიმართ, რომელმაც პირველად ჩაიდინა მძიმე კატეგორიის დანაშაული, არ აქვს ჩადენილი ძალადობრივი დანაშაული და ა.შ.

---

<sup>198</sup> *Swiss Criminal Code, 1937, Available at:*

[https://www.legislationline.org/download/id/8561/file/Swiss\\_CC\\_1937\\_am112019\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/8561/file/Swiss_CC_1937_am112019_en.pdf) [Last seen: 01.02.2021].

<sup>199</sup> *Heinrich B., Kherkheulidze I., Perfection of the Trends in Juvenile Justice Systems on the Basis of Comparison of German, Georgian and the U.S. Juvenile Law, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, 12/2014, P. 617, Available at: [http://www.zis-online.com/dat/artikel/2014\\_12\\_871.pdf](http://www.zis-online.com/dat/artikel/2014_12_871.pdf) [Last seen: 01.02.2021].*

#### 4.3. შინაპატიმრობის ფორმები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

შინაპატიმრობას, ზოგადად, აქვს სამი ფორმა და მათ შემდეგნაირად მოიხსენიებენ: ყველაზე მკაცრი და თავისუფლების აღკვეთასთან ყველაზე დაახლოებული შინაპატიმრობის ფორმა – „Home Incarceration“, რომელიც ავალდებულებს დამნაშავეს მუდმივად სახლში ყოფნას, გარდა სამედიცინო დაწესებულებაში ვიზიტისა და რელიგიურ ცერემონიებში მონაწილეობისა. ნაკლებად მკაცრია – „Home Detention“, რომლის დროსაც მსჯავრდებულს შეუძლია დატოვოს სახლი მხოლოდ სამსახურში, სასწავლო დაწესებულებაში და ექიმთან წასვლის დროს, ხოლო შინაპატიმრობის ყველაზე ლიბერალური ფორმაა – „Curfew“, როდესაც მსჯავრდებული ვალდებულია გარკვეული საათების განმავლობაში სახლში იყოს. ძირითადად, ეს ეხება ღამის საათებს.<sup>200</sup>

ზემოთ ჩამოთვლილი ფორმებიდან, ამკ-ში ვხვდებით მეორე ფორმას. კოდექსის 69-ე მუხლის მე-4 ნაწილით, არასრულწლოვანს აღნიშნული სასჯელი ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. საკანონმდებლო აქტში ამ ფორმის არსებობა მისასაღმებელია, თუმცა, ამ სასჯელის მეტად გაფართოება უფრო უკეთეს შედეგებს მოგვიტანს. ამკ-ის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარიც ხომ სწორედ ის არის, რომ თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ იქნეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება. არასრულწლოვნის პიროვნების, გარემოცვის, ასაკის, ოჯახის წევრების, სწავლების, სამუშაო ადგილისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გარდა აღნიშნულისა, გამოიყენოს შინაპატიმრობის სხვა ფორმები.

სასჯელის სამართლებრივი ჩარჩო უნდა იყოს ისეთი ფართო, რომ ხელს უწყობდეს სასამართლოს სასჯელის დანიშვნისას მოახდინოს მისი ინდივიდუალიზაცია ქმედებისა და დამნაშავე პიროვნების მახასიათებლებიდან

<sup>200</sup> პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 430.

გამომდინარე.<sup>201</sup> მსოფლიოში უკვე დიდი ხანია აღიარებულია ალტერნატიული სასჯელების საჭიროება, თუმცა, ამის გარდა, უკვე გამოვლინდა სასჯელთა ახალი ვარიანტების არსებობის აუცილებლობა.<sup>202</sup>

შინაპატიმრობის ასეთი გაფართოებით, ეს სასჯელი უფრო მეტად გამოყენებადი გახდება.<sup>203</sup> მოსამართლეს სასჯელის დანიშვნისას მიეცემა უფრო მეტი ლავირების საშუალება და მეტი შესაძლებლობა თავი შეიკავოს თავისუფლების აღკვეთის სასჯელის სახით დანიშვნისგან. განსაკუთრებით, მძიმე კატეგორიის დანაშაულთან თუ გვეყნება საქმე, მიზანშეწონილია, სასჯელის სახედ შინაპატიმრობის სხვადასხვა

---

<sup>201</sup> Ifrim J., "Various Techniques of Individualising Punishments in the New Criminal Law, Proceedings of the Challenges of the Knowledge Society Conderence", Journal "Challenges of the Knowledge Society", Romania, 2011, P. 101.

<sup>202</sup> Hofer P. J., Meierhoefer B. S., Home Confinement: An Evolving Sanction in the Federal Criminal Justice System, Federal Judicial Center, Washington, DC, 1987, P. 7.

<sup>203</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოში – 2016 წელს, 71 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირიდან – 8 პირს შეეფარდა შინაპატიმრობა; 2017 წელს, 99 პირიდან – 25 პირს; 2018 წელს, 84 პირიდან – 13 პირს; 2019 წელს, 151 პირიდან – 25 პირს; 2020 წელს, 114 პირიდან – 6 პირს; თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი №1-0412/1296-1297, 26.01.2021; რუსთავის საქალაქო სასამართლოში – 2016 წელს, 5 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირიდან – 1 პირს შეეფარდა შინაპატიმრობა; 2017 წელს, 12 პირიდან – 3 პირს; 2018 წელს, 3 პირიდან – 1 პირს; 2019 წელს, 11 პირიდან – 5 პირს; 2020 წელს, 3 პირიდან – არც ერთს; რუსთავის საქალაქო სასამართლოს წერილი №12/გ, 18.01.2021; ბათუმის საქალაქო სასამართლოში, 2016-2020 წლებში, არც ერთი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართ (ამ წლებში სასამართლოში მსჯავრი დაედო 97 არასრულწლოვანს) არ გამოყენებულა შინაპატიმრობა; ბათუმის საქალაქო სასამართლოს წერილი №16გ/კ, 22.01.2021; ქუთაისის საქალაქო სასამართლოში – 2016 წელს, 7 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირიდან – არც ერთ პირს არ შეეფარდა შინაპატიმრობა; 2017 წელს, 9 პირიდან – არც ერთს; 2018 წელს, 26 პირიდან – 2 პირს; 2019 წელს, 24 პირიდან – 2 პირს; 2020 წელს, 19 პირიდან – 1 პირს; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წერილი №648-2, 28.01.2021; იგივე წლებში, ზუგდიდის რაიონურ სასამართლოში, 35 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირიდან, 2017 წელს – 4 პირს, ხოლო 2018 წელს – 2 პირს შეეფარდა შინაპატიმრობა; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს წერილი №12, 20.01.2021; გორის რაიონურ სასამართლოში, 2016-2020 წლებში, არც ერთი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართ (ამ წლებში სასამართლოში მსჯავრი დაედო 7 არასრულწლოვანს) არ გამოყენებულა შინაპატიმრობა; გორის რაიონული სასამართლოს წერილი №გ/ვ-205, 27.01.2021.

ფორმის გამოყენება. არასრულწლოვანს მაქსიმალურად უნდა ავარიდოთ პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრა. „მეტი მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნით და გამოსასწორებელ დაწესებულებაში მოთავსებისაგან შეძლებისდაგვარად თავიდან ასაცილებლად ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს უნდა გააჩნდეს საქმის გადაწყვეტისას ზემოქმედების ზომების ფართო კომპლექსი“.<sup>204</sup> ხელისუფლების ორგანოში, ამ შემთხვევაში, მოიაზრება სასამართლო ანუ სასჯელის შემფარდებელი ორგანო. აღნიშნული სასჯელის ასეთი გაფართოებით კი, მოსამართლეს მიეცემა ზემოქმედების ზომების უფრო ფართო კომპლექსი. არასრულწლოვნის მოთავსება რომელიმე გამასწორებელ დაწესებულებაში, ყოველთვის უნდა იყოს უკიდურესი ზომა, რომელიც გამოიყენება მინიმალურად აუცილებელი დროის განმავლობაში.<sup>205</sup>

რაც შეეხება შინაპატიმრობის პირველ ფორმას, აუცილებელია, ამ ფორმას ახლდეს გარკვეული დათქმები, მაგ., არ იქნეს გამოყენებული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის დროს, გამოიყენებოდეს ძალადობრივი დანაშაულის დროს და ა.შ. რამდენადაც შესაძლებელი იქნება, უნდა გამოირიცხოს ის ღონისძიება, რომელიც გულისხმობს დამნაშავის მუდმივად საცხოვრებელ ადგილას ყოფნას, მისი დატოვების უფლების გარეშე, რათა პირის მარტო ცხოვრების შემთხვევაში, თავიდან ავიცილოთ იზოლაციის ნეგატიური ეფექტი, სხვა შემთხვევაში კი, დაცული იყოს მესამე პირთა უფლებები, ვისთან ერთადაც შეიძლება კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი ცხოვრობდეს.<sup>206</sup> გარდა ამისა, „Home Incarceration“-თან მიმართებით პრობლემას წარმოადგენს სკოლაში ან უნივერსიტეტში სიარულის შეუძლებლობა. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნის დროსაც კი უნარჩუნდება სწავლის უფლება

---

<sup>204</sup> *United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"), Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985, Rule 18.1.*

<sup>205</sup> იქვე, Rule 19.1.

<sup>206</sup> *ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (2014) 4 წვერი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2014 წლის 19 თებერვალს, მინისტრთა მოადგილეების 1192-ე შეხვედრაზე), მუხლი 21.*



მსჯავრდებულს.<sup>207</sup> შინაპატიმრობის ამ ფორმით კი, გაუგებარია, მსჯავრდებულმა როგორ უნდა შეძლოს სწავლა. არასრულწლოვანს არ უნდა შეეფარდოს სასჯელის ისეთი ფორმა, რომლის მოხდის დროსაც, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა არ ექნება. სწავლასთან ერთად, არც მუშაობის შესაძლებლობა ექნება (გამონაკლისების გარდა, როდესაც სახლიდანაც შესაძლებელია სწავლა ან/და მუშაობა), რომ თანხა გამოიმუშავოს, რომელიც, შესაძლოა, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყოს. თუ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს სახელმწიფო უზრუნველყოფს სასიცოცხლოდ ყველა საჭირო პირობით (მსჯავრდებულს არ ჭირდება კვების, კომუნალური გადასახადების და ა.შ. თანხის გამოიმუშავება), ამ ფორმის დროს, კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს არც სახელმწიფო არჩენს და არც აძლევს იმის საშუალებას, რომ თავად გამოიმუშავოს ფული.

გარდა ამისა, საზოგადოებისგან თითქმის სრული იზოლაცია, არასრულწლოვნის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება იყოს,<sup>208</sup> რომელიც ვერც სასჯელის

---

<sup>207</sup> საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მსჯავრდებულს უფლება აქვს მიიღოს ზოგადი და პროფესიული განათლება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მსჯავრდებული დამატებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სარგებლობს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში. უფრო მეტიც, კოდექსის 271-ე მუხლის მე-11 ნაწილით, მსჯავრდებულს, რომელიც სარგებლობს ამ კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებით და რომლის მიმართაც არ მოქმედებს დისციპლინური სახდელი ან რომელსაც შეფარდებული არ აქვს დისციპლინური პატიმრობა, სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, შეიძლება წელიწადში დამატებით ორჯერ, მიეცეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება უმაღლესი განათლების მიღების უფლებით სარგებლობის ხელშეწყობის მიზნით. გარდა ამისა, კოდექსის XVIII თავი ეხება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განათლებას, რომლის მიხედვითაც, მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის დროს, შეუძლია მიიღოს ზოგადი, პროფესიული თუ უმაღლესი განათლება.

<sup>208</sup> Kerber-Ganse W., *Children Living Together in a Home: Korczak and Kohlberg's Concept of "Just Community"*, *The Year of Janusz Korczak 2012, There Are No Children, There Are People, Warszawa, 2012, P. 284.*

ერთ-ერთ მიზანს – არასრულწლოვნის რესოციალიზაციას<sup>209</sup> უზრუნველყოფს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მუდმივად ჩაკეტილ სივრცეში პირის რესოციალიზაცია შეუძლებელია. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შინაპატიმრობის პირველი და ყველაზე მძიმე ფორმა, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისთვის, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა იქნეს გამოყენებული.

ციხის გადატვირთულობა და ფინანსური შეღავათები არის შინაპატიმრობის გამოყენების დადებითი მხარე. თუ მსჯავრდებულებს შენარჩუნებული ექნებათ მუშაობის უფლება, მათ ექნებათ შესაძლებლობა დარჩნენ ან გახდნენ ქვეყნის პროდუქტიული და გადასახადების გადამხდელი მოქალაქეები. ამკ, როგორც უკვე აღინიშნა, გვთავაზობს შინაპატიმრობას ე.წ. „საქმიანობის უფლებით“, თუმცა, დამატებით გაანალიზებას საჭიროებს ის საკითხი, რამდენად შესაძლებელია ამ პერიოდში არასრულწლოვნის დასაქმება, რაც, შესაძლოა, მისი შემოსავლის ერთ-ერთი ან ერთადერთი წყარო იყოს.

ელექტრონული სამაჯური, რომელიც არის შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი, არის ხილვადი და ყველა დამსაქმებელი მოერიდება კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის დასაქმებას. საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკით, ამის მაგალითები ბევრია. აშშ-ში შინაპატიმრობის შეფარდებამდე დასაქმებულ არასრულწლოვნებსაც კი ათავისუფლებენ სამსახურიდან, სწორედ იმიტომ, რომ ელექტრონული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან და ბუნებრივია, სამსახურის დაწყება ამ პერიოდში გაცილებით უფრო რთული, ფაქტობრივად შეუძლებელია. დამსაქმებლებს არ სურთ დაასაქმონ მსჯავრდებული პირები, განსაკუთრებით ისეთ სამსახურებში, რომლებიც სერვისს ან პროდუქციას გასცემენ. ფიქრობენ, რომ თუ მომხმარებელი შეამჩნევს, რომ პირი დამნაშავეა, მოერიდება მასთან კონტაქტს, იმ ადგილას ვიზიტს და ა.შ. იგივე არის მოსალოდნელი საქართველოს პირობებშიც. ქვეყანა, რომელიც

---

<sup>209</sup> პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება არის – ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღება.

უმუშევრობის პრობლემას ბევრი წელია ებრძვის, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის დასაქმებას, ფაქტობრივად, ვერ შეძლებს.<sup>210</sup> საჭიროა, მთავრობამ ამ კუთხით იმუშაოს და შექმნას ისეთი პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც განსაკუთრებული მატერიალური საჭიროების მქონე შინაპატიმრობით მსჯავრდებული არასრულწლოვნები მაინც შეძლებენ დასაქმებას, რადგან ამის გარეშე ეს დათქმა ფაქტობრივად მკვდარია. ამ საკითხის მოგვარება სასჯელის მიზნების აღსრულებას მეტად შეუწყობს ხელს, რადგან თუ სასამართლო პრაქტიკას გადავხედავთ, არასრულწლოვნების შემთხვევაში, მატერიალური მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის მიზეზი ხშირად არის.<sup>211</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს (2009 წლიდან 2015 წლამდე) სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა დაახლოებით ნახევარი არის პირი, რომელიც არც სწავლობს და არც მუშაობს. განსაკუთრებით შემაშფოთებელია 2015 წლის მონაცემები, რომლის თანახმადაც 292 არასრულწლოვანი დამნაშავედან 224 არის სწორედ ასეთი.<sup>212</sup> ამიტომ, აუცილებელია, სახელმწიფომ, ამ მხრივ, ყურადღება გაამახვილოს. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ სექტორში ხორციელდება ისეთი პროგრამები, რომლებიც ახალგაზრდებისთვის შემოსავლის მიღების შესაძლებლობას იძლევა. კვლევები ცხადყოფს, რომ სწორედ არამოსწავლე და არამომუშავე არასრულწლოვნები არიან დაკავშირებული კრიმინალურ სამყაროსთან. ისინი ჩადიან კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა დანაშაულის მნიშვნელოვან ნაწილს. შესაძლოა, მომავალშიც არასრულწლოვანთა უსწავლელობისა და დაუსაქმებლობის პრობლემის

---

<sup>210</sup> ასევე, იხ. შალიკაშვილი მ., „ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში“, მზია ლეკვეიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014, გვ. 99.

<sup>211</sup> მახარობლიძე თ., „შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში“, გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016, გვ. 282-285.

<sup>212</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, მართლმსაჯულება საქართველოში – 2015 წლის სტატისტიკა, ნაწილი III – სისხლის სამართლის საქმეები, გვ. 117, ხელმისაწვდომია:

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2015-weli-wigni-sisxli.pdf> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021].

კრიმინოლოგიურმა ასპექტმა მიიპყროს სწორედ საზოგადოების სერიოზული ყურადღება.<sup>213</sup> არასრულწლოვან მსჯავრდებულებსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეთ შესაბამის პროგრამებზე წვდომის უფლება, რომლებიც მათ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის მოამზადებს და რომელთა პროცესშიც ყურადღება გამახვილებული იქნება ბავშვის ემოციურ და ფიზიკურ საჭიროებებზე, ოჯახურ ურთიერთობებზე, საცხოვრებელ პირობებზე, განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობებზე და სოციო-ეკონომიკურ სტატუსზე.<sup>214</sup> ეს მნიშვნელოვანია დანაშაულის პრევენციისთვისაც. „უმჯობესია დანაშაული თავიდან ავიცილოთ, ვიდრე დავსაჯოთ მისი ჩამდენი“.<sup>215</sup> ხშირია შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანთა გარკვეული ნაწილი, დაბალი აკადემიური მოსწრებისა და სხვადასხვა მიზეზის გამო, თავს ანებებს სწავლას და თავის საუკეთესო წლებს უაზრო ხეტიალში ატარებს.<sup>216</sup> საბოლოოდ კი, ეს დანაშაულის ჩადენით მთავრდება.

#### 4.4. შინაპატიმრობის ზომა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა – მისი გამოყენება მოკლევადიანი სასჯელის სახით.<sup>217</sup> ამკ-ის 69-ე მუხლის მეორე ნაწილით, არასრულწლოვანს შინაპატიმრობა შესაძლებელია შეეფარდოს 6 თვიდან 1 წლამდე. გადასახედია ამ სასჯელის როგორც მინიმალური, ასევე, მაქსიმალური ზომა.

შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი მუდმივ ელექტრონულ მონიტორინგს გულისხმობს, რომლის ხანგრძლივად გამოყენება, როგორც არასრულწლოვანი, ისე

---

<sup>213</sup> წულაია ზ., *კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი)*, თბილისი, 2005, გვ. 291.

<sup>214</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 17 ნოემბერს, მინისტრთა მოადგილეების 1098-ე შეხვედრაზე), მუხლი 21(გ).

<sup>215</sup> ბეკარია ჩ., *დანაშაულისა და სასჯელისათვის*, 2003, გვ. 197.

<sup>216</sup> ასევე, იხ. წულაია ზ., *კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი)*, თბილისი, 2005, გვ. 322.

<sup>217</sup> Lindenberg M., *Elektronisch Unerwünschte Hausarrest auch in Deutschland, Germany, 1999, S. 14.*

სრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ, მიზანშეუწონელია. ამან შესაძლოა, გამოიწვიოს ფსიქოლოგიური გადახრა ან სხვა მძიმე შედეგი. ფსიქოლოგების მიერ დადგენილია, რომ ელექტრონული ბორკილის მატარებელ სრულწლოვან და ფსიქიკურად მდგრად დამნაშავესაც კი, 6 თვის შემდეგ, ფსიქიკური გადახრები აღენიშნება.<sup>218</sup> ამის გამო, საფრანგეთმა საპილოტო პროექტში, სრულწლოვანთა მიმართ, ელექტრონული ბორკილის გამოყენება 6 თვემდე შეზღუდა.<sup>219</sup>

1991 წლის ინგლისური კანონით, ბრალდებული სულ ცოტა 16 წლის უნდა იყოს, რომ შინაპატიმრობა ელექტრონული მონიტორინგით შეეფარდოს. ეს გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს რამდენიმე ადგილს, მათ შორის, სახლს, ასევე, რამდენიმე დღისგან შემდგარ პერიოდს, მაგრამ არა უმეტეს ექვსი თვისა.<sup>220</sup>

რაც შეეხება შინაპატიმრობის მინიმალურ ზომას, აღსანიშნავია, რომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არის შერჩეული 6 თვე. ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში, შესაძლებელია, უფრო ნაკლები ვადითაც მიღწეულ იქნეს სასჯელის მიზნები. ამ სასჯელის მინიმალური ვადა იგივეა, რაც სრულწლოვნების შემთხვევაში. სსკ-ის 47<sup>1</sup> მეორე ნაწილით, შინაპატიმრობა ენიშნება ნასამართლობის არმქონე პირს ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით. ეს ვადა, ასევე, იგივეა, რაც თავისუფლების აღკვეთისთვის დადგენილი მინიმალური ზომა. სსკ-ის 50-ე მუხლის მეორე ნაწილით, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ინიშნება ექვსი თვიდან. ჩვენზე კანონმდებლობის ანალიზითაც დგინდება, რომ შინაპატიმრობის მინიმალური ზომა ამკ-ში ნაკლები

---

<sup>218</sup> ელექტრონული სამაჯურის გამოყენების მაქსიმალური ხანგრძლივობა ევროპის ქვეყნებში ერთი წელია, თუმცა, პრაქტიკაში მაქსიმალური ხანგრძლივობის მხოლოდ ნახევარს ვხვდებით; იხ. Önel, S. 12 *Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel“*, in: *Jahrbuch deasKriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, Band 1, 2012*; იხ. მკედელიშვილი-ჭედრიხი ქ., „შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე“, ქ. „სამართალი და მსოფლიო“, №2, თბილისი, 2015, გვ. 60.

<sup>219</sup> *Elektronische Fußfessel*, Available at: [https://de.wikipedia.org/wiki/Elektronische\\_Fu%C3%9Ffessel](https://de.wikipedia.org/wiki/Elektronische_Fu%C3%9Ffessel) [Last seen: 01.02.2021].

<sup>220</sup> პრადელი ქ., *შედარებითი სისხლის სამართალი*, თბილისი, 1999, გვ. 431.

უნდა იყოს, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვნებისთვის უფრო მსუბუქი ზომები უნდა იყოს დადგენილი, ვიდრე სრულწლოვნებისთვის, ამასთანავე, შინაპატიმრობა არის თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელი.

#### 4.5. შინაპატიმრობის დანიშვნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

სასჯელის მოძღვრებაში სასჯელის შეფარდება ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. მისი სწორად შეფარდება პირდაპირ კავშირშია მსჯავრდებულის უფლებების დაცვასთან. შეფარდებული სასჯელის სამართლიანობა დამოკიდებულია როგორც კანონმდებელზე, ასევე მოსამართლეზე.<sup>221</sup> მოსამართლე ვერ დაეყრდნობა სამართლიანობის იდეას, მაგრამ მას შეუძლია დაეყრდნოს სამართლიანობის მასშტაბს, რომელიც დადგენილი აქვს კანონმდებელს.<sup>222</sup> სამართლიანობა შეფასებითი ცნებაა.<sup>223</sup> სასჯელის ინდივიდუალიზაციის პროცესში სამართლიანი სასჯელის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის სწორად შერჩევის პრინციპს, რაც სამართლიანობის პრინციპის ცხოვრებაში გატარების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.<sup>224</sup> აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სასჯელის დანიშვნისას შინაპატიმრობის გამოყენების თავისებურებები.

უპირველესად, აღსანიშნავია, რომ ამკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „არასრულწლოვნის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში სასამართლო აცხადებს, რომ არასრულწლოვანი დამნაშავედ იქნა ცნობილი და მას განაჩენში შეაქვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო

<sup>221</sup> ცქიტიშვილი თ., „სასჯელის შეფარდების საკითხისთვის“, გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016, გვ. 122.

<sup>222</sup> ხუბუა გ., „contra legem საქართველოს სახელით?“, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“, 2015, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/340147-contra-legem-sakartvelos-saxelit/> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021].

<sup>223</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 67.

<sup>224</sup> ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(43), თბილისი, 2011, გვ. 22.

კოდექსის 272-ე მუხლის, 273-ე მუხლის პირველი ნაწილის, 274-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებისა და მე-2 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისი გარემოებები. ამასთანავე, გამამტყუნებელი განაჩენის გამოცხადებისთანავე სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს სასჯელის დანიშვნის სხდომის თარიღს. სასჯელის დანიშვნის სხდომა უნდა გაიმართოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 7 დღისა“. ანუ მოსამართლე ჯერ განაჩენს აცხადებს და შემდგომ მართავს სასჯელის დანიშვნის სხდომას. იმისთვის, რომ ამ საკითხზე უკეთ იმსჯელოს სასამართლომ, მოსამართლე კანონით ვალდებულიც კი არის, რომ ცალკე დანიშნოს სხდომა. ამ ჩანაწერით კანონმდებელი ხაზს უსვამს არასრულწლოვნისთვის სასჯელის შეფარდების მნიშვნელობას.

შინაპატიმრობასთან დაკავშირებით, საინტერესო იქნება, განხილულ იქნეს აღნიშნული სასჯელის დანიშვნის დროს დამატებითი მოვალეობის დაკისრებისა და მისი დამატებითი სასჯელის სახით დანიშვნის შემთხვევები იუვენალურ იუსტიციაში.

#### **4.5.1. შინაპატიმრობის დანიშვნის დროს დამატებითი მოვალეობის დაკისრება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში**

შინაპატიმრობის დანიშვნის დროს „სწორი (მოწესრიგებული) ცხოვრება“ არის ერთ-ერთი ფუნდამენტური პირობა, რომელიც უნდა შესრულდეს დამნაშავეს მიმართ, იმის დასამტკიცებლად, რომ არ არის აუცილებელი სასჯელის ციხეში მოხდა. „მოწესრიგებული ცხოვრების“ ცნება, მართალია, ძალიან ზოგადია, მაგრამ მოსამართლემ ამ სასჯელის შეფარდებით და გარკვეული მოვალეობების დაკისრებით სამართლებრივი ნდობა უნდა გამოუცხადოს მსჯავრდებულს.<sup>225</sup>

ამკ-ის 75-ე მუხლის მეორე ნაწილით, არასრულწლოვნისთვის არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნისას, მოსამართლე უფლებამოსილია, არასაპატიმრო სასჯელთან

<sup>225</sup> ასევე, იხ. ივანიძე მ., „ალტერნატიული სასჯელები (შედარებითი ანალიზი)“, მზია ლეკვეიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014, გვ. 36.

ერთად, მას დააკისროს ამ კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე მოვალეობა. დაუშვებელია, არასრულწლოვნისთვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც, დიდი ალბათობით, არ შესრულდება ან რომლის შესრულება არასრულწლოვნის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს აღემატება. აღნიშნული მოვალეობები, ხელს უწყობს სასჯელის მიზნების შესრულებას. კერძოდ, როგორცაა სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყება ან განახლება, სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით მუშაობის დაწყება, საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი ან/და სამკურნალო პროგრამის გავლა, თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენება და ა.შ.

აშშ-ის ზოგიერთ შტატში მოსამართლეები უფლებამოსილნი არიან შინაპატიმრობისას დააწესონ დამატებითი ვალდებულებები, მათ შორის, მსჯავრდებულს შეუზღუდონ ან აუკრძალონ ზოგიერთ ადამიანთან ურთიერთობა. ვალდებულებაზე კონტროლს უზრუნველყოფს პრობაციის დაწესებულება.<sup>226</sup> მსგავს ჩანაწერს ითვალისწინებს ამკ-ის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიც – არასრულწლოვანს შეიძლება აეკრძალოს განსაზღვრული ადგილის ან/და პირის/პირების მონახულება. ამ ღონისძიებით კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი კიდევ უფრო მეტად იქნება არიდებული თავისუფლების აღკვეთას. მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ ან რამდენიმე ადამიანთან არის საშიში არასრულწლოვნის ურთიერთობა, იგი ამის გამო ციხეში არ უნდა იქნეს გამოკეტილი. ეს ნორმა კი, ამ საფრთხის თავიდან აცილებას უწყობს ხელს და უბიძგებს მოსამართლეს, ალტერნატიული სასჯელის სახე – შინაპატიმრობა გამოიყენოს.

ამკ-ის 45-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოვალეობა გახლავთ – დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლის აკრძალვა. შინიდან გასვლის აკრძალვა სხვა არაფერია თუ არა შინაპატიმრობა. სასჯელის სახე და სასჯელთან ერთად

---

<sup>226</sup> Hofer P. J., Meierhoefer B. S., *Home Confinement: An Evolving Sanction in the Federal Criminal Justice System*, Federal Judicial Center, Washington, DC, 1987, P. 17.



დასანიშნი მოვალეობა, რომ იდენტური შინაარსისაა, არ არის სწორი. ორივე ინსტიტუტი სხვადასხვა დანიშნულებისაა. ერთი არის სასჯელი, ხოლო მეორე ისეთი ღონისძიება, რომელიც სასჯელს უნდა დაეხმაროს, რომ მისი მიზნები უკეთ შესრულდეს. კოდექსით, მოსამართლეს დამატებითი სასჯელის სახით შინაპატიმრობის დანიშვნის შესაძლებლობა ისედაც აქვს და ეს, ამ მხრივაც, წინააღმდეგობრივია. სასჯელის და დამატებით დასანიშნი მოვალეობის შინაარსის იდენტურობა არ არის მართებული.

გარდა ამისა, ამკ-ის 45-ე მუხლში მოცემულ აკრძალვებისა და ვალდებულებების ვადას კანონმდებელი არ განსაზღვრავს. ნორმა მეტად განჭვრეტადი იქნებოდა, ეს ვადა დაკონკრეტებული რომ იყოს, მაქსიმუმი ზღვარი მაინც, რადგან, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა, შინაპატიმრობა და შინიდან გასვლის აკრძალვა იდენტურია თავისი შინაარსით. შინაპატიმრობა კი არასრულწლოვანს შეიძლება დაენიშნოს 6 თვიდან 1 წლამდე ვადით. შესაბამისად, შინიდან გასვლის აკრძალვაც მაქსიმუმ ამ ვადით უნდა იქნეს გამოყენებული. უმჯობესია, ეს პირდაპირ იყოს მითითებული კოდექსში.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ამკ-ის 45-ე მუხლში მოცემული აკრძალვებისა და ვალდებულებების დაკისრება არ უკავშირდება დანაშაულთა კატეგორიას, მაშინ როდესაც არასრულწლოვანს შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

საინტერესოა, ასევე, აღსრულების საკითხი. შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი არის ელექტრონული მონიტორინგი, მაშინ როდესაც მსგავსი შინაარსის ვალდებულება არ ითვალისწინებს ელექტრონულ ზედამხედველობას. უფრო მეტიც, არც სხვა აღსრულების მექანიზმს გვთავაზობს. ამკ-ის 45-ე მუხლის მესამე ნაწილით, „ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების კონტროლს უზრუნველყოფს სააგენტო“, რაც ძალიან ზოგადი ჩანაწერია. მიზანშეწონილია, კოდექსში გაზიარებულ იქნეს საერთო მიდგომები და ერთი და იგივე შინაარსის

საკითხები სხვადასხვანაირად არ იყოს დარეგულირებული. შესაბამისად, დასახელებული დამატებითი ღონისძიების აღსრულებისთვის, კანონმდებელი უნდა გვთავაზობდეს ელექტრონულ მონიტორინგს.

დამატებითი ღონისძიებების დაკისრების დროს, კოსოვოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებს სამი ტიპის ინტენსიური მეთვალყურეობის ღონისძიებას: ინტენსიური კონტროლი მშობლის, მშვილებლის ან მეურვის მხრიდან; ინტენსიური ზედამხედველობა სხვა ოჯახის მხრიდან; და ინტენსიური კონტროლი მეურვეობის ორგანოს მხრიდან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მეურვეობის ორგანოს მოვალეობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ.<sup>227</sup> ამკ-ის შემთხვევაშიც, მიზანშეწონილია, რესურსების დაზოგვის მიზნით, ზოგიერთი მოვალეობის განხორციელებაზე კონტროლი დაეკისროს სააგენტოსთან ერთად ან მისგან დამოუკიდებლად, სხვა პირს, როგორცაა მშობელი, მეურვე და ა.შ.<sup>228</sup>

#### 4.5.2. შინაპატიმრობის დამატებითი სასჯელის სახით დანიშვნა

##### არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

ამკ-ის 67-ე მუხლით განისაზღვრება ძირითადი და დამატებითი სასჯელები. მუხლის პირველი ნაწილით, არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად, ხოლო მეორე ნაწილით – ჯარიმა, შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება დაენიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ამავე მუხლის მესამე ნაწილით კი, ძირითად სასჯელთან ერთად შეიძლება მხოლოდ ერთი დამატებითი სასჯელის დანიშვნა.

---

<sup>227</sup> *Juvenile Justice Code of Kosovo, 2004, Article 23, Available at: <https://md.rks.gov.net/desk/inc/media/B5AFE545-3908-4F63-98E0-0A8DD593B499.pdf> [Last seen: 01.02.2021].*

<sup>228</sup> მახარობლიძე თ., „შინაპატიმრობის დანიშვნის სადავო საკითხები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“, ჟ. „სამართლის მაცნე“, №1, თბილისი, 2020, გვ. 70-72.

თავისუფლების აღკვეთა ყველაზე მძიმე სასჯელის სახეა. სიმძიმის მიხედვით, ლოგიკურია, თუ მის შემდეგ ისეთი სასჯელები მოიაზრება, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ელემენტებს შეიცავს. მოქმედი კოდექსით ასეთია – შინაპატიმრობა. როდესაც ადამიანს გადაადგილების თავისუფლება ეზღუდება და აქედან გამომდინარე, ავტომატურად სხვა უფლებებიც, ვერ ჩაითვლება უფრო მსუბუქ სასჯელად, ვიდრე ის სასჯელები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული თავისუფლების შეზღუდვასთან.

შინაპატიმრობა, როგორც დამატებითი სასჯელი, რა შემთხვევაში შეიძლება დაენიშნოს არასრულწლოვან მსჯავრდებულს, კოდექსით დარეგულირებული არ არის. დამატებით გაანალიზებას საჭიროებს ეს საკითხი. სასჯელი, რომელიც თავისუფლების აღკვეთის ელემენტებს შეიცავს, რამდენად შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც დამატებითი სასჯელი?

თავისუფლების შეზღუდვა, რომელიც, ასევე, თავისუფლების აღკვეთის ელემენტებს შეიცავს, სანამ გაუქმდებოდა, გამოიყენებოდა მხოლოდ, როგორც ძირითადი სასჯელი. შესაბამისად, გამოდიოდა ისე, რომ თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული სასჯელები (თავისუფლების აღკვეთა და თავისუფლების შეზღუდვა) მსჯავრდებულს ენიშნებოდა, მხოლოდ, როგორც ძირითადი სასჯელი. მსგავსი მიდგომა უნდა იქნეს გაზიარებული შინაპატიმრობასთან მიმართებითაც. გაურკვეველია კანონმდებლის მიზანი, თუ რატომ უნდა იქნეს გამოყენებული შინაპატიმრობა, როგორც დამატებითი სასჯელი. გარდა ამისა, სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების შეზღუდვასთან, თავისი არსით უფრო მსუბუქია, ვიდრე შინაპატიმრობა. შესაბამისად, თუ ძირითად სასჯელად გამოვიყენებთ, ჯარიმას, საქმიანობის უფლების ჩამორთმევას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, დამატებითი სასჯელის სახით შინაპატიმრობის დანიშვნა არ არის მართებული, რადგან ძირითად სასჯელად უფრო მსუბუქის დანიშვნა, ვიდრე დამატებით სასჯელად, გაუმართლებელია.

შინაპატიმრობა, რომ უფრო მძიმე სასჯელია, ვიდრე ჯარიმა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ამას მოწმობს სსკ-ის მუხლებიც. კერძოდ, 42-ე

მუხლის მე-6 ნაწილით, „თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ეს სასჯელი შეიცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით“. 44-ე მუხლის მესამე ნაწილით, „თუ მსჯავრდებული უარს განაცხადებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე ან განზრახ თავს აარიდებს მას, ეს სასჯელი შეიცვლება ჯარიმით, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით“. შესაბამისად, ჩამოთვლილი სასჯელთა სახეები უფრო მძიმეა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე, რადგან სასჯელზე უარის თქმის ან თავის არიდების შემთხვევაში კანონმდებელი მსჯავრდებულს „სჯის“ და უფრო მძიმეს უფარდებს. ამას მოწმობს სსკ-ის 47<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილიც, „თუ მსჯავრდებული განზრახ თავს აარიდებს შინაპატიმრობას, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით – განაჩენით დანიშნული შინაპატიმრობის ვადით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: შინაპატიმრობის ერთი დღე – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე“. აქედანაც ირკვევა, რომ შინაპატიმრობაზე მძიმე სასჯელი არის მხოლოდ – თავისუფლების აღკვეთა.<sup>229</sup>

აქვე აღსანიშნავია, რომ სასჯელის შეცვლასთან დაკავშირებით ნორმებს ვერ ვხვდებით ამკ-ში, შესაბამისად, შინაპატიმრობასთან დაკავშირებით უნდა ვისარგებლოთ სსკ-ის 47<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, თუმცა, შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე, 2017 წლის 1 ივნისამდე, არ იყო გათვალისწინებული სსკ-ში, შესაბამისად, მანამდე ვერ ვხვდებოდით ვერც ერთ ნორმას მის შესახებ. ეს ნიშნავს იმას, რომ 2017 წლის 1 ივნისამდე შინაპატიმრობის სხვა სასჯელის სახით შეცვლის შესაძლებლობა არ არსებობდა, რაც კანონმდებლობის ხარვეზი იყო. როდესაც სსკ-ის სასჯელის სახით დაემატა შინაპატიმრობა, ეს ხარვეზი ავტომატურად აღმოიფხვრა.

---

<sup>229</sup> მახარობლიძე თ., „შინაპატიმრობის დანიშვნის სადავო საკითხები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“, ჟ. „სამართლის მაცნე“, №1, თბილისი, 2020, გვ. 73-74.

ამჟამად, „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით, პრობაციის ბიუროს უფროსი სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მიმართავს წარდგინებით მსჯავრდებულისათვის დანიშნული შინაპატიმრობის სხვა სახის სასჯელით შეცვლის შესახებ. მიმართვის საფუძვლები გაწერილია „შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 28 დეკემბრის №146 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში. კერძოდ, ესენია: მსჯავრდებულის მიერ რეჟიმის არასაპატიო მიზეზით დარღვევა, რაც გამოიხატა ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით (შინაპატიმრობის აღსრულების რეჟიმი გულისხმობს სამართლებრივი აქტით დადგენილ, დღე-ღამის შესაბამის პერიოდში, მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე მის უწყვეტად ყოფნის ვალდებულებას) გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისთვის სამი გაფრთხილების მიღებით; მსჯავრდებულის მიერ რეჟიმის არასაპატიო მიზეზით ერთ საათზე მეტი ვადით დარღვევა; მსჯავრდებულის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების დაკარგვა ან მისი ბრალეული ქმედებით დაზიანება; მსჯავრდებულის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების დამაგრებაზე უარის თქმა ან ამისთვის სხვაგვარად თავის არიდება; მსჯავრდებულის მიერ შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულებისათვის ამ წესით დადგენილი პირობებით შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარანტიის გამოუყენებლობა.

როგორც უკვე აღინიშნა, ამკ-ის 69-ე მუხლის მესამე ნაწილით, არასრულწლოვანს შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ბუნდოვანია, დამატებით სასჯელად შინაპატიმრობის გამოყენების შემთხვევაში, ვრცელდება თუ არა ეს შეზღუდვა თუ ეს ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც შინაპატიმრობა ინიშნება, როგორც ძირითადი სასჯელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შინაპატიმრობის გამოყენება დამატებით სასჯელად არ არის მართებული.

#### **4.5.3. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა შინაპატიმრობის დანიშვნის დროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში**

ინდივიდუალური შეფასების მიზანია, ბავშვის უსაფრთხოებასთან, განათლებასთან, ცოდნასთან და სოციალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული განსაკუთრებული საჭიროებების წარმოჩენა, რათა მოხდეს მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დადგენა.<sup>230</sup>

ამკ-ის 27-ე მუხლი ეხება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში პროკურორის დადგენილებით ან მოსამართლის მიმართვის საფუძველზე მზადდება. ამ მუხლის მეექვსე ნაწილით, სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ამზადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, ხოლო მეცხრე ნაწილით, სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალურ შეფასებას სააგენტოს უფლებამოსილი პირი ახორციელებს მოსამართლის მიმართვის საფუძველზე. ანგარიშის მომზადება ხორციელდება არასრულწლოვანთან, მისი ოჯახის წევრებთან და მასთან დაკავშირებული სოციალური გარემოს სხვა წარმომადგენლებთან.

აღსანიშნავია, რომ ამკ-ის 102-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც ეხება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისა და მისი გათვალისწინების სავალდებულობას სასჯელის დანიშვნისას, ამოქმედდა 2016 წლის 1 მარტიდან, მაშინ, როდესაც კოდექსი ამოქმედდა 2016 წლის 1

---

<sup>230</sup> Directive (EU) 2016/800 of the European Parliament and of the Council of 11 May 2016 on Procedural Safeguards for Children Who Are Suspects or Accused Persons in Criminal Proceedings, Articles 35-36.

იანვრიდან, ხოლო შინაპატიმრობა უფრო ადრე, 2015 წლის 1 სექტემბრიდან. რა ედო საფუძვლად აღნიშნულ ნორმას, რატომ ანიჭებდა კანონი მოსამართლეს 2016 წლის 1 მარტამდე დისკრეციას სურვილისამებრ გადაეწყვიტა გამოეყენებინა თუ არა ინდივიდუალური შეფასების ანგარიში სასჯელის დანიშვნისას, გაუგებარია.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მართებული შეხედულების თანახმად, სანქციის არჩევა და განსაზღვრა სამართლებრივად შებოჭილი გადაწყვეტილებაა.<sup>231</sup> „იმის მიხედვით თუ რამდენად იძლევა ამის შესაძლებლობას ეროვნული სამართლებრივი სისტემა, პრობაციის ორგანოებს შეუძლიათ მოამზადონ ანგარიში ცალკეული ბრალდებული პირის შესახებ, რათა, საჭიროებისამებრ, დაეხმარონ სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს გადაწყვეტილების მიღებაში სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების ან შესაბამისი სასჯელის ან სხვა ღონისძიების შეფარდების თაობაზე...“<sup>232</sup> ამკ-ის ამოქმედებამდე არსებულ სასამართლო პრაქტიკაში, პიროვნების დახასიათება ხშირად ამოიწურებოდა მისი სამსახურიდან, მეზობლებიდან მიღებული მოკლე დახასიათებით, რაც, ხშირ შემთხვევაში, ფორმალურ ხასიათს ატარებდა.<sup>233</sup> ამჟამად არსებული კანონმდებლობა კი, იძლევა იმის საშუალებას, რომ მომზადდეს არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, რომელიც შეიცავს დიდ ინფორმაციას და ეხმარება მოსამართლეს სწორი სასჯელის განსაზღვრაში.

მოსამართლემ აუცილებლად უნდა იცოდეს არასრულწლოვნის შესახებ ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში არის ასახული.

---

<sup>231</sup> Jescheck H.-H., Weigend Th., *Lehrbuch des Strafrechts Allgemeiner Teil*, 5. Aufl., Berlin, S. 871; იხ. ცქიტიშვილი თ., „სასჯელის შეფარდების საკითხისთვის“, *გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული*, თბილისი, 2016, გვ. 123.

<sup>232</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010) 1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 20 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 1075-ე სხდომაზე), მუხლი 42.

<sup>233</sup> ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი“, *სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში*, თბილისი, 2016, გვ. 196.

კერძოდ, მისი განვითარების დონე, ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც მისი ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ამ ინფორმაციის გარეშე, ყოვლად წარმოდგენელია არასრულწლოვნისთვის შინაპატიმრობის შეფარდება. მოსამართლემ ხომ უნდა იცოდეს რა პირობებში ცხოვრობს არასრულწლოვანი? იქნებ ისეთ მშობლებთან იზრდება, ისეთ სკოლაში სწავლობს, რომ არსებული გარემო, პირიქით, უარესია მისთვის?<sup>234</sup> არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისთვის მნიშვნელოვანია მათ იქონიონ ხშირი კონტაქტი ოჯახთან და ახლობლებთან, მათ შორის თანატოლებთან, მაგრამ ამის აუცილებელი წინაპირობა არის ის, რომ ისინი ნეგატიურ გავლენას არ ახდენდნენ მასზე. ოჯახურ მდგომარეობას, ხშირად, მჭიდრო კავშირი აქვს დანაშაულთან. არსებობს მთელი რიგი რისკ-ფაქტორები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, არასრულწლოვანმა შესაძლოა ჩაიდინოს დანაშაული. ესენი შეიძლება იყოს: ინდივიდუალური რისკ-ფაქტორები, ოჯახური რისკ-ფაქტორები და ა.შ., რაც გულისხმობს დაბალ ინტელექტსა და მიღწევებს, იმპულსურობას, დამნაშავე და ანტისაზოგადოებრივ, უყურადღებო და მოძალადე მშობლებს და ა.შ.<sup>235</sup>

კანონთან კონფლიქტში მყოფი უამრავი ბავშვი სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირის მსხვერპლია, რის გამოც, მათ არ აქვთ განათლების, ჯანმრთელობის, თავშესაფრის, ზრუნვისა და დაცვის უფლების განხორციელების შესაძლებლობა. ზოგი არასრულწლოვანი სახლიდან გარბის, ვინაიდან ქუჩაში ცხოვრება ურჩევნია ოჯახში

---

<sup>234</sup> სასამართლო დაინტერესებული უნდა იყოს იმით, რომ, მისი შესაძლებლობების ფარგლებში, არასრულწლოვან დამნაშავეს ჯანსაღ გარემოში ყოფნას შეუწყოს ხელი. არასრულწლოვანი არ უნდა დაბრუნდეს იმ გარემოში, რომლის გამოც ჩაიდინა დანაშაული. ამასთან, არასრულწლოვანი არ უნდა დაშორდეს თავის მშობლებს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი დაშორება ემსახურება მის საუკეთესო ინტერესებს, სასამართლომ აუცილებლად უნდა მიიღოს ეს გადაწყვეტილება; იხ. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია, 1989, მუხლი 9(1).

<sup>235</sup> Mague M., Morgan R., Reiner R., *The Oxford Handbook of Criminology*, New York, 2007, P. 608-613.



ძალადობის პირობებში ცხოვრებას.<sup>236</sup> ზოგს აიძულებენ ქუჩაში გასვლას და იქ ცხოვრებას გადარჩენის მიზნით,<sup>237</sup> ზოგი მშობლებისგან იღებს ცუდ მაგალითს, არასწორი აღზრდის მსხვერპლია, რაც მომავალში დაღს ასვამს მის ცხოვრებას<sup>238</sup> და ა.შ. სწორედ ასეთი არასრულწლოვნები ხდებიან დამნაშავეები. ეს არის დღევანდელი მსოფლიოს რეალობა, ამიტომ ეს საკითხი მეტად ყურადსაღებია.

ბევრ ქვეყანაში შინაპატიმრობა, თავისუფლების აღკვეთის შემდეგ, ყველაზე მკაცრ სასჯელად მიიჩნევა. მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილები განსხვავებულია. ზოგი ქუჩაში ცხოვრობს,<sup>239</sup> ზოგიც შემჭიდროვებულ პირობებში. იმ პირთა ყოფა, რომლებიც დღის ძირითად ნაწილს შინაპატიმრობაში ატარებენ, ხშირად

---

<sup>236</sup> დღევანდელ მსოფლიოში ძალიან გავრცელებულია ე.წ. „Battered Child Syndrome“ (შერყეული ბავშვის სინდრომი), რომლის მიხედვითაც, ბავშვთა ძალადობა არ აისახება მარტო სისხლჩაქცევებზე და სხვა ფიზიკურ დაზიანებებზე, არამედ იგი აისახება ბავშვის პიროვნებასა და ცხოვრებაზე. ეს არის ერთგვარი გამოძახილი იმისა, რომ ბავშვი ჩამოყალიბდეს კრიმინალად. ძალადობა შობს ძალადობას; იხ. McGillivray A., *Governing Childhood*, Dartmouth, USA, 1997, P. 18-19.

<sup>237</sup> შაჰოვიჩი ნ. ვ., დოევი ი. ე., ცერმატენი ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში: ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ, თბილისი, 2015, გვ. 349.

<sup>238</sup> მოსულიშვილი მ., „არასრულწლოვანთა დანაშაულისა და ზედამხედველობის პროფილაქტიკის ზოგიერთი საკითხი“, ჟ. „სამართალი“, №4-5, თბილისი, 2000, გვ. 86.

<sup>239</sup> კვლევები აჩვენებს, რომ დიდ ბრიტანეთში არსებობს მრავალი ათასი ქუჩის ბავშვი, ძირითადად დიდ ქალაქებში. ქუჩის ბავშვები თანაბრადაა გაყოფილი, გოგონებად და ბიჭებად. გამოთვლების მიხედვით, ყოველწლიურად დაახლოებით 40 000 ბავშვი გარბის სახლიდან. საფრანგეთში, 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, ქუჩის ბავშვების ფენომენი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ზოგიერთი ორგანო მიიჩნევს, რომ შეიძლება არსებობდეს 10 000 ქუჩის ბავშვი, თუმცა, სხვა გამოთვლების მიხედვით, ეს რიცხვი გაცილებით დაბალია. ზოგადად, არსებობს უსახლკარო ახალგაზრდების მზარდი რაოდენობა, რომლებიც ქუჩებში ცხოვრობენ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. მხოლოდ ბუქარესტში, დაახლოებით 1500 ბავშვი და ახალგაზრდა ცხოვრობს ქუჩაში; იხ. ბრანდერი პ., ოლივეირა ბ., გომესი რ., ონდრაჩკოვა ი., კინი ე., სურიანი ა., ლემინერი მ., სუსლოვა ა., კომპასი, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით, 2004, გვ. 40.

გაუსაძლისია, როგორც მათთვის, ასევე, მათი ოჯახის წევრებისთვის. ფაქტობრივად, მათთვის, სახლი ხდება ციხე.<sup>240</sup>

ბევრ შემთხვევაში, შეიძლება, აღნიშნული სასჯელის აღსრულებამ ცუდი გავლენა მოახდინოს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის ოჯახის წევრებზე. აშშ-ში არსებობს რამდენიმე მეცნიერის მოსაზრება იმის შესახებ, რომ შინაპატიმრობის შეფარდება პირისთვის ახალი დანაშაულის ჩადენას უდებს საფუძველს. კერძოდ, ოჯახში ძალადობას.<sup>241</sup> აგრესიულები ხდებიან, მსჯავრდებულთან ერთად, მისი ოჯახის წევრებიც, აღიზიანებთ პირის თითქმის სულ სახლში ყოფნა, მისი დამნაშავეის სტატუსი და ა.შ. ფლორიდაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დამნაშავეთა 43%-ს მეუღლეებთან, შვილებთან და მეგობრებთან ურთიერთობაში პრობლემები შეექმნათ სწორედ იმიტომ, რომ ელექტრონული მონიტორინგის ქვეშ იმყოფებოდნენ. ეს ქმნის გარკვეულ უხერხულობას ურთიერთობებში და ხდება კონფლიქტის მიზეზი. აშშ-ში ერთ-ერთი მსჯავრდებულის შვილი იმდენად განიცდიდა მამის ასეთ მდგომარეობას, რომ მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მისი მშობელი ატარებდა

---

<sup>240</sup> *Handbook of Basic Principles and Promising Practices on Alternatives to Imprisonment, Criminal Justice Handbook Series, United Nations, New York, 2007, P. 38.*

<sup>241</sup> *არასრულწლოვნის ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, საინტერესოა, ევროსასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება. 2001 წელს აპლიკანტმა მიმართა სასამართლოს მისი და შვილების მიმართ ჩადენილი ძალადობის გამო. მოგვიანებით, განმცხადებლის ქმარი გაასამართლეს ფიზიკური თავდასხმისა და სექსუალური ძალადობის ბრალდებით. განმცხადებლის თხოვნა კი, ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, რომ ქმარს დაეტოვებინა სახლი, არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ განმარტა, რომ მას უფლება არ ჰქონდა აეკრძალა განმცხადებლის ქმრისათვის ესარგებლა მისი საკუთრებით. შესაბამისად, განმცხადებელი და მისი შვილები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ სახლი, მეგობრები, ნათესავები და შეეცვალათ სკოლა. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დაეცვა განმცხადებელი და მისი შვილები ძალადობისგან, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მუხლების დარღვევას; იხ. *E. S. AND OTHERS v. SLOVAKIA, ECHR, (Application no. 8227/04), 15 September 2009.**

ელექტრონულ სამაჯურს, ისიც ატარებდა ფეხზე დამაგრებულ საათს.<sup>242</sup> გარდა ამისა, როცა ოჯახის წევრები სახლიდან გადიან და მსჯავრდებული სახლში რჩება, ეს იწვევს არასასიამოვნო გრძნობას<sup>243</sup> ორივე მხარისთვის.

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსით, „Elektronisch Überwachte Hausarrest“-ის გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობაა მსჯავრდებულთან მცხოვრები პირების თანხმობა.<sup>244</sup>

იტალიაში შინაპატიმრობა ნაკლებად გამოყენებადი სასჯელია. ამას განაპირობებს ის, რომ კანონით დაუშვებელია შინაპატიმრობის დანიშვნა იმ არასრულწლოვნებისთვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ კანონით დადგენილ სტანდარტებს. კერძოდ, ის არ ენიშნება ემიგრანტ არასრულწლოვანს, აგრეთვე დამნაშავეს, რომლის ოჯახს არ აქვს შინაპატიმრობის ზომების ხელმისაწვდომობისთვის საჭირო ეკონომიკური და პიროვნული შესაძლებლობები.<sup>245</sup>

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსით, „Elektronisch Überwachte Hausarrest“-ის გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობაა მსჯავრდებულის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.<sup>246</sup>

---

<sup>242</sup> U.S. Department of Justice, “Electronic Monitoring Reduces Recidivism“, Washington, DC, 2011, P. 1, Available at: <https://www.ncjrs.gov/pdffiles1/nij/234460.pdf> [Last seen: 01.02.2021].

<sup>243</sup> არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 168.

<sup>244</sup> Schmoller K., *Strafrechtliche Sanktionen in Österreich*, 2<sup>nd</sup> Criminal Law Reforms Congress, Istanbul, Band 1, 2015, S. 382; იხ. ფუტკარაძე ე., „სასჯელი და მისი დანიშვნის საკითხი საზღვარგარეთის ქვეყნებში (ზოგიერთი პრობლემის შედარებითი ანალიზი)“, ჟ. „ცხოვრება და კანონი“, №1(22), თბილისი, 2016, გვ. 11.

<sup>245</sup> *Observations on the Third and Fourth Periodic Reports of Italy to the Committee on the Rights of the Child*, P. 11, Available at: <http://www.unionedirittiumani.it/wpcontent/uploads/2012/07/UFTDU-alternative-report.pdf> [Last seen: 01.02.2021].

<sup>246</sup> Schmoller K., *Strafrechtliche Sanktionen in Österreich*, 2<sup>nd</sup> Criminal Law Reforms Congress, Istanbul, Band 1, 2015, S. 382; იხ. ფუტკარაძე ე., „სასჯელი და მისი დანიშვნის საკითხი საზღვარგარეთის ქვეყნებში (ზოგიერთი პრობლემის შედარებითი ანალიზი)“, ჟ. „ცხოვრება და კანონი“, №1(22), თბილისი, 2016, გვ. 11.

აშშ-ის „თავდებით გათავისუფლების რეფორმის შესახებ“ 1984 წლის კანონი კი, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, პირს, რომელსაც შეეფარდება შინაპატიმრობა და არ აქვს საცხოვრებელი ადგილი, თავდები მესამე პირები იღებენ ვალდებულებას საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე. აგრეთვე, ისინი ვალდებულნი არიან პროცესის მწარმოებელ ორგანოს მისცენ თავიანთი სატელეფონო ხაზების გამოყენების საშუალება დამნაშავეს მიმართ ელექტრონული მონიტორინგის განსახორციელებლად.<sup>247</sup> მთავარია, თავიდან იქნეს აცილებული იმ ვითარებაში დაბრუნება, რომლის შედეგადაც არასრულწლოვანმა ჩაიდინა დანაშაული. მნიშვნელოვანია დახმარების მიღება იმ სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოცემული პირების რესოციალიზაციას. მაგ., თეირანში უსახლკარო მსჯავრდებულების პრობლემის მოსაგვარებლად ცდილობენ მიტოვებული და სხვა უსარგებლო სახელმწიფო ქონებაში არსებული შენობები გადააკეთონ არასრულწლოვანი მსჯავრდებულების საცხოვრებელ ადგილად, სადაც მათ შეუძლიათ გარკვეული ვადით იცხოვრონ.<sup>248</sup>

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს იმის პრაქტიკაც, რომ როდესაც მსჯავრდებულს შინაპატიმრობა აქვს მისჯილი 24/7-ზე და ცხოვრობს მარტო, ამ შემთხვევაში, აუცილებელი ნივთების შეძენაში, მას ეხმარება სოციალური მუშაკი.<sup>249</sup>

არასრულწლოვნებზე ყველაზე დიდ ზემოქმედებას ახდენს მიკროგარემო ანუ ოჯახი, მეგობრები, ნაცნობები. მათი ზემოქმედებით ყალიბდებიან დადებით ან

---

<sup>247</sup> აშშ-ისთან დაკავშირებით მიმოხილვა გაკეთებულია საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის ფარგლებში ჩატარებული ერთ-ერთი სემინარისთვის კოლორადოსა და ვაიომინგის შტატების ფედერალური სახალხო დამცველის ასისტენტის, ჯენინე იუნკერის მიერ მომზადებული მასალების მიხედვით; იხ. ჯორბენაძე ო., „აღკვეთის ღონისძიების სახით შინაპატიმრობის შერჩევის ზოგიერთი საკითხი“, ჟ. „სამართლის ჟურნალი“, №7-8, თბილისი, 2002, გვ. 60-61.

<sup>248</sup> კოელი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისთვის, თბილისი, 2007, გვ. 138.

<sup>249</sup> Nellis M., *Standards and Ethics in Electronic Monitoring, Handbook for Professionals Responsible for the Establishment and the Use of Electronic Monitoring, Glasgow, United Kingdom, 2015, P. 35.*

უარყოფით პიროვნებებად. თუ მიკროგარემო მოიცავს დადებითი ხასიათის მატარებელ ადამიანებს, მაშინ მათი ზემოქმედება არასრულწლოვნებზე ასეთივე ასახვას პოულობს და მათი ფორმირებაც სასურველი მიმართულებით მიდის და პირიქით, თუ მიკროგარემო კრიმინოგენურია, მაშინ არასრულწლოვანთა ფორმირება კრიმინალური ხაზით პოულობს განვითარებას. არასრულწლოვნის პიროვნების ჩამოყალიბებაში წამყვანი როლი ეკუთვნის ოჯახს, ვინაიდან მისი გავლენა ხანგრძლივია და ხორციელდება ადრეული ბავშვობიდან. ამდენად, ქცევის სტერეოტიპები, ურთიერთობის ნორმები, ოჯახურ გარემოში მიღებული ფასეულობათა სისტემა და ა.შ. აითვისება ძალიან მყარად. მთელ რიგ ოჯახებში სკანდალი, შვილებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ლოთობა, აღმზრდელობითი ფუნქციების შეუსრულებლობა და სხვა, რა თქმა უნდა, კრიმინოგენურ მნიშვნელობას იძენს და საზიანოა არასრულწლოვნისთვის.<sup>250</sup>

ცნობილია, რომ მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირის არსის შეცნობას საფუძვლად უდევს მატერიალისტური გაგება, რომლის თანახმადაც, მიზეზობრიობა არის ობიექტური კავშირი ორ მოვლენას შორის, რომელთაგან ერთი (მიზეზი), გარკვეული პირობების შემთხვევაში, წარმოშობს მეორეს (შედეგს).<sup>251</sup> შესაბამისად, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი ქმედებები პირდაპირ კავშირშია მის ოჯახურ ცხოვრებასთან. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანს ოჯახში აქვს არახელსაყრელი პირობები, მას მხოლოდ სამი გამოსავალი რჩება: დაემორჩილოს, აუმბოხდეს ან შეეგუოს არსებულ სიტუაციას. თუ არასრულწლოვანი ირჩევს ამბოხებას, იგი ძირითად შემთხვევაში ტოვებს ოჯახს, არჩევს ხეტიალს და არღვევს სამართალს.<sup>252</sup>

კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა მიმართ გამოყენებული სასჯელები და ზომები ყოველთვის ინდივიდუალიზებული და კონსტრუქციული უნდა იყოს და

---

<sup>250</sup> წულაია ზ., *კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი)*, თბილისი, 2005, გვ. 295-296.

<sup>251</sup> გაბუნია მ., *შესავალი კრიმინოლოგიაში*, თბილისი, 2011, გვ. 41.

<sup>252</sup> ნაცვლიშვილი შ., *მოსწავლეთა სამართალდარღვევების მიზეზები და მათი პროფილაქტიკა*, თბილისი, 1988, გვ. 7.

გათვალისწინებული უნდა იქნას თანაზომიერების პრინციპი, ბავშვის ასაკი, მისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, განვითარების დონე და საქმის კონკრეტული გარემოებები. გარანტირებული უნდა იყოს განათლების, დასაქმების, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის უფლებები.<sup>253</sup> სავსებით სამართლიანია სასჯელის მიმართ იმ მეცნიერთა მიდგომა, რომლებიც სასჯელში გულისხმობენ დამნაშავეობის კონტროლირების ოპტიმალური დონის მიღწევას. სასჯელმა უნდა შეაკავოს ზიანის მომტანი ქმედება იმაზე მეტი ზიანის გამოწვევის გარეშე, რის პრევენციასაც ის თავად ახდენს.<sup>254</sup> სასჯელის სახისა და ზომის შერჩევა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვისი მისამართით ხორციელდება იგი. სასჯელის ინდივიდუალიზაციის არსს წარმოადგენს სასჯელის პროვინებაზე ზუსტი მორგება, როგორც მისი მომავლის საფუძველი, მისი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიღწევის შესაძლებლობის აღიარება. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელება, სასჯელის არჩევასთან დაკავშირებით, დამნაშავე პირის ყოველმხრივ შესწავლას ეფუძნება. სასჯელის ინდივიდუალიზაციის განსასაზღვრად სასამართლო უნდა ფლობდეს პროვინების უამრავ მახასიათებელს, როგორც დადებითს, ასევე, უარყოფითს. მოსამართლისთვის ამ პრინციპის გამოყენება არ არის რეკომენდაცია, ეს მისი ვალდებულებაა, რისგანაც თავის არიდება არ შეუძლია. სასამართლომ დამნაშავე არ უნდა განიხილოს, როგორც აბსტრაქტული დანაშაულის სუბიექტი, რომელიც ყველა ფორმალური პირობების გათვალისწინებით პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით, არამედ ცოცხალი ადამიანი თავისი ინდივიდუალური ნიშნებით.<sup>255</sup>

---

<sup>253</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 17 ნოემბერს, მინისტრთა მოადგილეების 1098-ე შეხვედრაზე), მუხლი 82.

<sup>254</sup> ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(43), თბილისი, 2011, გვ. 21.

<sup>255</sup> ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი“, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 196.

ყველა შემთხვევაში, ნაკლებად მძიმე სამართალდარღვევის გამოკლებით, განაჩენის გამოტანამდე უნდა მომზადდეს სოციალური მოკვლევის ანგარიში,<sup>256</sup> რადგან განაჩენის დადგენისას აუცილებლად იქნეს გამოყენებული. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გარეშე დანიშნული სასჯელი ქმნის იმის საფრთხეს, რომ შინაპატიმრობამ, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულმა სასჯელმა, ვერ შეასრულოს თავისი მიზნები. თავისუფლების აღკვეთის, როგორც უკიდურესი ზომის, მინიმალური ჩარევისა და ინდივიდუალიზაციის პრინციპები უნდა იყოს გამოყენებული სასჯელის დანიშვნის დროს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ არასრულწლოვნის მიმართ შესაბამისი ღონისძიებისა თუ სასჯელის განსაზღვრისას არასრულწლოვნის სრულფასოვანი შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გამოყენების უზრუნველყოფა.<sup>257</sup> მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ განაჩენში უშუალოდ, დეტალურად ასახოს ინდივიდუალური ანგარიშით მოპოვებული ინფორმაცია, რომელზე დაყრდნობითაც მიიღო ესა თუ ის გადაწყვეტილება სასჯელის სახესთან, ზომასთან დაკავშირებით და ეს მითითება არ უნდა იყოს მხოლოდ ზედაპირული და შაბლონური, რადგან, ზოგიერთ არასრულწლოვანს შეიძლება არ აქვს სახლი ან შესაბამისი ოჯახური პირობები. ასეთ შემთხვევაში, სასჯელის აღსრულება ძალიან გართულდება და შესაბამისად, სასჯელი ვერც მის მიზნებზე ორიენტირებული იქნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუშვებელია, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გარეშე შინაპატიმრობის შეფარდება და გაუგებარია, რატომ არ იყო ამის ვალდებულება დადგენილი 2016 წლის 1 მარტამდე. საბედნიეროდ, ამ არასწორ დათქმას მძიმე შედეგები, დიდი ალბათობით, არ გამოუწვევია, რადგან 2016 წლის 1 მარტამდე შინაპატიმრობის გამოყენების პრაქტიკა სულ რამდენიმე განაჩენს

---

<sup>256</sup> *United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules")*, Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985, Rule 16.

<sup>257</sup> *ოიკე*, Rules 17, 19; *United Nations Rules for the Protection of Juveniles Deprived of Their Liberty (Havana Rules)*, Adopted by General Assembly Resolution 45/113 of 14 December 1990, Rules 27-30.

ითვლის, თუმცა, ნორმა ცალსახად არასწორია, რადგან კანონმდებელმა შექმნა ცუდი შედეგის დადგომის საფრთხე.<sup>258</sup>

#### 4.5.4. საათების განსაზღვრა შინაპატიმრობის დანიშვნის დროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

შინაპატიმრობის დანიშვნისას მნიშვნელოვანია კიდევ ერთი საკითხი. ჩვენ მხოლოდ თეორიულად ვიცით, რომ მოსამართლემ უნდა განუსაზღვროს არასრულწლოვანს შინაპატიმრობის საათები. ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზე არ არის გაწერილი, რაც დაუშვებელია. ამკ-ში, აუცილებელია, პირდაპირ იყოს დათქმა, რომ შინაპატიმრობის საათებს არასრულწლოვანს განუსაზღვრავს მოსამართლე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკის შესწავლისას, ერთ-ერთ განაჩენში საათების განსაზღვრისას, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უთითებს ამკ-ის 69-ე მუხლის პირველ ნაწილზე – „შინაპატიმრობის პერიოდში 69-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მას დაეკისროს თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულება 23:00 საათიდან 06:00 საათამდე“.<sup>259</sup> საათებთან დაკავშირებით სასამართლოს მხოლოდ ეს უწერია განაჩენში. მოსამართლის გადაწყვეტილებაში უნდა იყოს მითითებული ის გარემოებები, რომელიც მოსამართლემ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინა. გარემოებების მითითებასთან ერთად, ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი განხილვა და იმის აღნიშვნა, თუ რაში გამოიხატა იგი.<sup>260</sup> რის საფუძველზე განსაზღვრა სასამართლომ დროის ეს მონაკვეთი, რამდენად იქნა გათვალისწინებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიში ან საერთოდ, იქნა თუ არა გათვალისწინებული, ეს განაჩენიდან არ ირკვევა.

<sup>258</sup> მახარობლიძე თ., „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“, ჟ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, თბილისი, 2017, გვ. 83-86.

<sup>259</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 10 თებერვლის განაჩენი, საქმე №1ა/გ-26-16.

<sup>260</sup> ცქიტიშვილი თ., „სასჯელის შეფარდების საკითხისთვის“, გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016, გვ. 149.



შინაპატიმრობის საათებთან დაკავშირებით, ასევე, არ არის მსჯელობა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენშიც, რომელიც არის პირველი განაჩენი საქართველოში, რომელშიც სასამართლომ სასჯელის სახით შინაპატიმრობა გამოიყენა. არასრულწლოვანს, რომელიც ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 258-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (საფლავში ჩატანებული ან საფლავზე არსებული ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ჩადენილი ჯგუფურად), მოსამართლემ სასჯელის სახედ და ზომად შეუფარდა შინაპატიმრობა ექვსი თვის ვადით, ხოლო რაც შეეხება საათებს – „*არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის შესაბამისად არასრულწლოვანს დაევალოს დღე-ღამის 18:00 საათიდან 08:00 საათამდე თავის საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის ვალდებულება*“.<sup>261</sup> რის საფუძველზე განსაზღვრა მოსამართლემ აღნიშნული საათები განაჩენიდან არ ირკვევა. მსჯავრდებულს უფლება აქვს ცხადად გაიგოს, თუ რატომ შეეფარდა განსაზღვრული საათები და არა სხვა დრო.<sup>262</sup>

სასჯელის შეფარდებისას, მეტად მნიშვნელოვანია, მოსამართლის მიერ მსჯავრდებულისთვის შეფარდებული სასჯელის ზომის მართებულობის დასაბუთება.<sup>263</sup> სასამართლოს განაჩენში ასახული უნდა იყოს მოსამართლის ნააზრევი

---

<sup>261</sup> ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 28 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/431-2015.

<sup>262</sup> Bruns H-J., *Das Rechts der Strafzumessung*, 2. Aufl., Köln, 1985, S. 268; იხ. ციტირებული თ., „სასჯელის შეფარდების საკითხისთვის“, გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016, გვ. 149.

<sup>263</sup> დასაბუთებასთან დაკავშირებით, საინტერესოა, ევროსასამართლოს განჩინება არასრულწლოვანის პატიმრობასთან დაკავშირებით. საჩივარში მომჩივანი დავობდა, 2009 წლის 11 აგვისტოდან – 2010 წლის 7 იანვრამდე პერიოდში, ეროვნული სასამართლოების მიერ, მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის ხანგრძლივობის დაუსაბუთებლობას. კერძოდ, მომჩივანი 2009 წლის 8 აგვისტოს ქურდობის ბრალდებით დააკავეს. ამავე წლის 11 აგვისტოს კი, შეუფარდეს პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი იმ დროისთვის იყო არასრულწლოვანი, ამავდროულად, მას ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები, რაც დადასტურებული იყო სამედიცინო დოკუმენტაციით, მისი წარმომადგენლების მოთხოვნა, პატიმრობა შეცვლილიყო სხვა უფრო ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების სახით, არ დაკმაყოფილდა ეროვნული სასამართლოების მიერ. მომჩივანმა წინასწარ პატიმრობაში გაატარა დაახლოებით 5 თვე და 2010 წლის 7 იანვარს გათავისუფლდა

და არგუმენტირებული მსჯელობა. მოსამართლის დასკვნა შესაბამის მსჯელობას უნდა ეფუძნებოდეს.<sup>264</sup> სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, რომლებიც ბავშვებზე ახდენენ ზეგავლენას, სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული.<sup>265</sup>

საქმის გარემოებათა ღრმა ანალიზის საფუძველზე, ჯეროვნად უნდა დასაბუთდეს, თუ რამ განაპირობა ამ დამნაშავესათვის პრიორიტეტის მინიჭება, მის მიმართ დასჯისადმი დიფერენცირებული მიდგომა, რეპრესიული ხასიათისა და

---

*საპროცესო შეთანხმების საფუძველზე. ევროსასამართლოში წარდგენილ საჩივარში იგი სასამართლოსგან მის მიმართ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის (ამ მუხლის 1-ლი ნაწილის „ც“ ქვეპუნქტით („ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად და გარდა შემდეგი შემთხვევებისა: ...პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს ამ პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა“) გათვალისწინებულ დებულებათა შესაბამისად დაკავებული თუ დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და იგი აღჭურვილია უფლებით, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. ასეთი გათავისუფლება შეიძლება პირობადებული იყოს სასამართლოში მისი გამოცხადების რაიმე გარანტიით) დარღვევის დადგენას ითხოვდა წინასწარ პატიმრობაში 5 თვის განმავლობაში დაუსაბუთებლად ყოფნის გამო. 2016 წლის 1 ივნისს საქართველოს მთავრობამ აღნიშნულ საქმეზე მეგობრული მორიგების პირობები წარადგინა. წარდგენილი მეგობრული მორიგების თანახმად, მთავრობამ, მომჩივნის მიმართ, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა აღიარა. ამასთან, ევროსასამართლოს მიერ მიღებული განჩინებით, საქართველოს მთავრობას მომჩივნის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა დაეკისრა; იხ. ABASHIDZE v. GEORGIA, ECHR, (Application no. [6926/10](#)), 13 September 2016.*

<sup>264</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015, გვ. 41.

<sup>265</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 17 ნოემბერს, მინისტრთა მოადგილეების 1098-ე შეხვედრაზე), მუხლი 49.

ხარისხიდან გამომდინარე, სასჯელის ზომის გაძლიერება თუ შემცირება.<sup>266</sup> მოსამართლის მიერ კანონის მოთხოვნათა გათვალისწინება და სასჯელის სწორად დანიშვნა არ არის საკმარისი, თუ განაჩენში, სასჯელის დასაბუთების ნაწილში, არ არის არგუმენტირებული სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის გამოყენება.<sup>267</sup> გაერთიანებულ სამეფოში სახელმძღვანელო მითითებებიც კი არსებობს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართ სასჯელის დანიშვნის თაობაზე, რომლის მიხედვითაც, თუ მოსამართლე საპატიმრო სასჯელს იყენებს, არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებლობაც კი უნდა დაასაბუთოს.<sup>268</sup>

აქვე, აღსანიშნავია, რომ სწორედ სასამართლო გადაწყვეტილებაში მოყვანილი დასაბუთება აძლევს საშუალებას მსჯავრდებულს გაიგოს მისი მსჯავრდების განმაპირობებელი მიზეზები. დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიზანია, იმის დემონსტრირება, რომ მხარეების არგუმენტები მოსმენილი და გათვალისწინებული იქნა და შესაბამისად, მხარეებისათვის სასამართლო გადაწყვეტილება უფრო მისაღები ხდება. გარდა ამისა, მოცემული პრინციპი ავალდებულებს მოსამართლეებს თავიანთი მსჯელობა ობიექტურ არგუმენტებზე დაამყარონ და დაცვის უფლებები გაითვალისწინონ. გადაწყვეტილება ნათელი დემონსტრირება უნდა იყოს იმისა, რომ საქმის არსებითი გარემოებები განხილული და გათვალისწინებული იქნა.<sup>269</sup> ეს მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ზედა ინსტანციაში გასაჩივრების შემთხვევაში, დაცვის მხარე ინფორმირებული იყოს იმ საფუძვლების შესახებ, რომელთა

---

<sup>266</sup> ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(43), თბილისი, 2011, გვ. 28.

<sup>267</sup> ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი“, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 194.

<sup>268</sup> ვინტერი რ., „არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის გამოყენებისას გასათვალისწინებელი ზოგიერთი საერთაშორისო სტანდარტის შესახებ“, სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015, გვ. 229-230.

<sup>269</sup> TAXQUET v. BELGIUM, ECHR, (Application no. [926/05](#)), 13 January 2009.

გათვალისწინებითაც შეეფარდა სასჯელის სახე და ზომა. განაჩენში, რომელიც მსჯავრს დებს არასრულწლოვანს, უნდა იქნეს ახსნილი, რა იქნა მიჩნეული ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებად, რა კრიტერიუმებს დაეფუძნა ასეთი მსჯელობა და როგორ გამოვლინდა ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

განვიხილოთ კიდევ ერთი საქმე სასამართლო პრაქტიკიდან, რომელიც უჩვეულო შემთხვევაა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთ განაჩენში, პალატამ მსჯავრდებულს სასჯელის სახით განუსაზღვრა შინაპატიმრობა 8 თვის ვადით. ამკ-ის 77-ე მუხლის საფუძველზე კი, თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე ჩაუთვალა შინაპატიმრობის ერთ დღეში და საბოლოოდ განუსაზღვრა შინაპატიმრობა 3 თვისა და 27 დღის ვადით.<sup>270</sup> აღნიშნულ განაჩენში არ არის მითითებული შინაპატიმრობის საათები. გაუგებარია, რა უნდა მოხდეს ამ შემთხვევაში, ვინ განუსაზღვრავს ამ შემთხვევაში საათებს მსჯავრდებულს ან საერთოდ როგორ უნდა მოხდეს ამ სასჯელის აღსრულება.

აღსანიშნავია, ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი განაჩენი, სადაც მოსამართლემ სასჯელის დანიშვნის დროს შინაპატიმრობა გამოიყენა. მართალია, მოსამართლე სათანადოდ არ ასაბუთებს რის საფუძველზე განუსაზღვრა მსჯავრდებულს საათები, თუმცა, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის დასაწყისში, ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციასთან, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ წესებთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან და სისხლის სამართლის კოდექსთან ერთად, უთითებს არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, რომელთა საფუძველზეც იხელმძღვანელა და დაადგინა განაჩენი,<sup>271</sup> რაც კარგია, მაგრამ არასაკმარისი. მხოლოდ საერთაშორისო თუ ადგილობრივი აქტების ჩამოთვლა შაბლონურად არაფერს გვაძლევს. რომელი ნორმებისა თუ გარემოებების საფუძველზე დაადგინა მოსამართლემ განაჩენი, შეძლებისდაგვარად, დეტალურად უნდა იქნეს განხილული.

<sup>270</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის განაჩენი, საქმე №18/1052-15.

<sup>271</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის განაჩენი, საქმე №1/571-16.

#### 4.5.5. შინაპატიმრობის დანიშნა ზოგიერთი დანაშაულის შემთხვევაში

##### არასრულწლოვანთა მართმსაჯულებაში

საინტერესო იქნება, განხილულ იქნეს სსკ-ის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ზოგიერთი დანაშაული, რომლებშიც არის საკანონმდებლო ხარვეზი იმ კუთხით, რომ სასამართლოს არ აქვს შესაძლებლობა სასჯელის სახედ გამოიყენოს შინაპატიმრობა.

სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილი (ქურდობა ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში – წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; არაერთგზის; ბინაში უკანონო შეღწევით; სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ) სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე, შესაბამისად, მძიმე კატეგორიის დანაშაულია. შინაპატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა, ამ შემთხვევაში, არ არის, რაც არ არის მართებული. აღნიშნული დანაშაული არასრულწლოვნებში ფართოდ არის გავრცელებული.<sup>272</sup> მაკვალიფიცირებელ გარემოებებში ჩადენილი ქურდობა, რა თქმა უნდა, ამძიმებს დანაშაულს, თუმცა, ამ შემთხვევაში, მაინც არ უნდა იყოს ეს შინაპატიმრობის გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორი. მაგ., ჯგუფურობის დროს, არასრულწლოვნები ერთმანეთს უბიძგებენ დანაშაულის ჩადენისკენ, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილი ქურდობაც ძალიან ხშირია და 177-ე მუხლის პირველი ნაწილისგან, საშიშროების თვალსაზრისით, დიდად არ განსხვავდებიან. სწორედ, რომ დროის გარკვეული პერიოდის სახლში გატარების შესაძლებლობა და ზოგიერთ თანატოლთან კავშირის შეზღუდვა იქნებოდა სასჯელის მიზნების მიღწევის კარგი საშუალება. ამის ნაცვლად კი, დღევანდელი რედაქციით, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არასრულწლოვნის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი

<sup>272</sup> 2016-2019 წლების სტატისტიკით, არასრულწლოვნებში ქურდობა არის ყველაზე გავრცელებული დანაშაული; იხ. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი; ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021].

განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა და არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა – ამკ-ის 76-ე მუხლი) მხოლოდ – თავისუფლების აღკვეთა.

გარდა ამისა, ამკ-ის 74-ე მუხლით, „*თუ არასრულწლოვანმა, რომელიც განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი პირობით მსჯავრად ჩაითვალოს*“. თუ ამ ნორმით იხელმძღვანელა სასამართლომ და დანიშნული სასჯელი ჩაუთვალა პირობით, ვერც ეს იქნება გამოსავალი. სასჯელის მიზნების მიღწევის შანსი, ამ შემთხვევაშიც, მცირდება, რადგან კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი თავისუფალია, მისი თავისუფალი დრო უკონტროლოა, რაც ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს ისევ წარმოშობს. იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს უფლება აქვს მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირს, ამ შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთა, პირობითი მსჯავრით შეუცვალოს, საერთოდ არ იქნება გადაჭარბებული თუ შინაპატიმრობის დანიშვნის შესაძლებლობა ექნება. ეს საკანონმდებლო ხარვეზია და აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

საინტერესოა, განხილულ იქნეს სსკ-ის კერძო ნაწილის კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია მხოლოდ ჯარიმა და გამასწორებელი სამუშაო. ასეთი მუხლი კოდექსში არის, მაგ., 124-ე მუხლი – „*ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე*“. ამკ, სასჯელის სახით, არ ითვალისწინებს გამასწორებელ სამუშაოს, ამიტომ მას საერთოდ ვერ გამოვიყენებთ. რაც შეეხება ჯარიმას, არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი. როგორც ზემოთ არა ერთხელ აღინიშნა, უმეტეს შემთხვევაში ასეთი შემოსავალი არასრულწლოვანს არ აქვს. როგორ უნდა მოიქცეს ამ დროს მოსამართლე? რომელი სასჯელი უნდა შეეფარდოს ამ დროს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს? თუ ამკ-ის 76-ე მუხლზე დავფიქრდებით, რომლითაც მოსამართლე უფლებამოსილია არასრულწლოვანს დაუნიშნოს უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი

არ ყოფილა და არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, ესეც არ გამოგვადგება, რადგან ასეთი გარემოებები შეიძლება არ არსებობდეს. ასევე, რთულია იმის დადგენა, თუ რომელია ჯარიმაზე უფრო მსუბუქი სასჯელი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირისთვის. არის ასეთი სასჯელი შინაპატიმრობა? არა, რადგან თავისუფლების აღკვეთის ელემენტებს შეიცავს. შესაბამისად, სასურველია, შინაპატიმრობა ამ და მსგავს მუხლებში პირდაპირ კოდექსში იყოს გათვალისწინებული.

გარდა ამისა, სსკ-ის კერძო ნაწილში არსებობს ისეთი მუხლებიც, მაგ., 142-ე მუხლი (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა), რომელიც სასჯელის სახედ ჯარიმისა და გამასწორებელი სამუშაოს გარდა, ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. ამ შემთხვევაში, მოსამართლემ შეიძლება გამოიყენოს თავისუფლების აღკვეთა, მაშინ როდესაც ეს სასჯელი შეიძლება არ იყოს მსჯავრდებულის პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების თანაზომიერი. ასევე, ვერ უძლებდეს იმ ტესტს, რომელიც ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციაში გვაქვს მოცემული – უკიდურესი ზომა შეძლებისდაგვარად მოკლე პერიოდის განმავლობაში. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, სასურველია შინაპატიმრობა გათვალისწინებული იყოს სასჯელის სახედ.

უფრო რთული მდგომარეობაა მაშინ, როდესაც მოსამართლე არასრულწლოვანს დამნაშავედ ცნობს ისეთ დანაშაულში, რომელიც არის ნაკლებად მძიმე კატეგორიის და თავისუფლების აღკვეთის გარდა, სხვა ამკ-ში არსებულ არც ერთ სასჯელის სახეს არ ითვალისწინებს. მაგ., სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი – სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ჩადენილი: „ა) ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით; ბ) არაერთგზის, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ“. ამკ-ის 76-ე მუხლი, როგორც უკვე განხილულ იქნა, ამ შემთხვევაშიც, არ გამოგვადგება, რადგან მოსამართლემ რომ დანიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, კუმულატიურად ორი პირობა უნდა არსებობდეს – კანონთან კონფლიქტში

მყოფი პირის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი არ უნდა იყოს გამოტანილი და უნდა არსებობდეს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა. ამ შემთხვევაში კი, დამამძიმებელ გარემოებებთან გვაქვს საქმე.<sup>273</sup> როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე ამ დროს? ამაზე პასუხი ამკ-ში არ გვაქვს. ამ შემთხვევაში, ყველაზე სწორი იქნება მოსამართლემ იხელმძღვანელოს ზოგადი დანაწესით, რომელიც ამკ-ის 75-ე მუხლის პირველ ნაწილშია მოცემული, გაითვალისწინოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში და ისე შეუფარდოს ამკ-ის 66-ე მუხლში მოცემული რომელიმე სასჯელი. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილისგან<sup>274</sup> განსხვავებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში აუცილებელი არ არის სასამართლომ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს სამართლიანი სასჯელი დაუნიშნოს კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში. აქ მთავარია, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში იქნას გათვალისწინებული. ასეთი მდგომარეობის თავიდან ასარიდებლად, მიზანშეწონილია, სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილში და სხვა მსგავს შემთხვევებში, სასჯელის სახით გათვალისწინებული იყოს შინაპატიმრობა.<sup>275</sup>

---

<sup>273</sup> იხ., ასევე, თოდუა ნ., „არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის ზოგიერთი სადავო საკითხი“, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, გვ. 92-93.

<sup>274</sup> „მუხლი 53. სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები 1. სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას...“.

<sup>275</sup> მახარობლიძე თ., „შინაპატიმრობის დანიშვნის სადავო საკითხები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“, ჟ. „სამართლის მაცნე“, №1, თბილისი, 2020, გვ. 74-77.



#### 4.6. საქართველოს სასამართლო პრაქტიკა არასრულწლოვანთა მიმართ შინაპატიმრობის დანიშვნის დროს

შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე, ნოვაციას ქართულ სისხლის სამართალში, მათ შორის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, შესაბამისად, სასჯელის ამ სახის დანიშვნის საკანონმდებლო თავისებურებებთან ერთად, საინტერესოა, სასამართლო პრაქტიკაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ დანაშაულით გათვალისწინებული სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ჩადენილი არაერთგზის), რომელზეც განაჩენი 2016 წლის 2 თებერვალს გამოიტანა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის განაჩენით, არასრულწლოვანი ცნობილი იქნა დამნაშავედ 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, რაც სსკ-ის 2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა, რომელმაც მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა. საქმის სააპელაციო წესით განხილვისას, მსჯავრდებულმა და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა დააზუსტეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ითხოვეს, იმ შემთხვევაში, თუ პალატის მიერ არ იქნებოდა გაზიარებული დაცვის მხარის მოთხოვნა მსჯავრდებულის გამართლების თაობაზე, მაშინ, ამკ-ის მე-12 მუხლის პირველი ნაწილიდან (არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე) გამომდინარე, მსჯავრდებულს წინა ნასამართლობა გაქარწყლებოდა და მისი ქმედება გადაკვალიფიცირებულიყო სსკ-ის 177-ე მუხლის პირველ ნაწილზე

(ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით), რომელიც მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს. ამასთან, ვინაიდან ამავე კოდექსის თანახმად, არასრულწლოვნის მიმართ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის სახედ და ზომად განსაღვრულიყო შინაპატიმრობა 6 თვის ვადით. პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მსჯავრდებულისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის სააპელაციო საჩივარი, კერძოდ, მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე არასრულწლოვანი ცნო დამნაშავედ 177-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით) და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა შინაპატიმრობა 8 თვის ვადით.<sup>276</sup>

სააპელაციო პალატა აღნიშნულ გადაწყვეტილებას ასაბუთებს, იმით, რომ მსჯავრდებულმა, წინა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს, 2013 წლის 31 ოქტომბრის განაჩენით, საბოლოოდ დანიშნული სასჯელი – 8 თვით თავისუფლების აღკვეთა მოიხადა და 2014 წლის 1 აპრილის საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, პირობით ვადამდე, 1 თვით და 15 დღით ადრე გათავისუფლდა. 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ამკ, რომლის მე-12 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე. ამდენად, ვინაიდან მსჯავრდებულს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი მთლიანად მოხდილი ჰქონდა, ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, ბოლო დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის მას ნასამართლობა გაქარწყლებულად უნდა ჩაეთვალოს, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მისი ქმედების კვალიფიკაციაზე. კერძოდ, მსჯავრდებულის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან (ქურდობა, ჩადენილი არაერთგზის) უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველ ნაწილზე. ამკ-ის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილის

<sup>276</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის განაჩენი, საქმე №18/1052-15.

თანახმად, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შეიძლება სასჯელის სახედ დაენიშნოს შინაპატიმრობა. პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას და აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, მსჯავრდებულს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, სასჯელის სახედ განესაზღვროს შინაპატიმრობა.<sup>277</sup>

დამატებით გაანალიზებას საჭიროებს ზემოხსენებული განაჩენის მართებულობა. მსჯავრდებულს წარსულში ჩადენილი აქვს 177-ე-186-ე, 224-ე, 231-ე, 237-ე ან 263-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედება, რადგან მეორე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მის ქმედებას არაერთგზისობის კვალიფიკაცია მიეცა. ამკ-ის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე. შესაბამისად, რადგან მსჯავრდებულმა პირველი განაჩენით დადგენილი სასჯელი სრულად მოიხადა, მეორე დანაშაულის ჩადენამდე იგი ითვლებოდა ნასამართლეობის არმქონედ. კოდექსის მე-12 მუხლის მეორე ნაწილით, პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არ მოქმედებს, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს ნასამართლობა გაუქარწყლდება დადგენილ ვადებში. მეორედ ჩადენილი დანაშაულის დროს, პირი ნასამართლევად ითვლება სისხლისსამართლებრივი მიზნებისთვის, სანამ არ გავა დადგენილი ვადები. ამ შემთხვევაში, არასრულწლოვანმა მეორედ ჩაიდინა დანაშაული, შესაბამისად, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა მე-12 მუხლის მე-2 ნაწილით და ამის მიხედვით დაედგინა, პირს პირველი დანაშაულისთვის ეთვლება თუ არა ნასამართლეობა გაქარწყლებულად. განაჩენიდან არ ირკვევა პირი სასჯელს ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის იხდიდა თუ მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის. თუ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის, იგი მართლაც ითვლება ნასამართლობის არ მქონედ მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მითითებით და არა მე-12 მუხლის პირველი ნაწილით. თუ მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის, მაშინ

---

<sup>277</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის განაჩენი, საქმე №18/1052-15.

არ ითვლება ნასამართლობის არ მქონედ, რადგან ამავე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, საჭიროა, სასჯელის მოხდიდან გასული იყოს 3 წელი. ასეთ შემთხვევაში კი, ვინაიდან, მან მეორედ ჩაიდინა სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, მისი დანაშაული გამოდის ჩადენილი არაერთგზის. აქედან გამომდინარე, მუხლის გადაკვალიფიცირების საფუძველი არ გვაქვს. შესაბამისად, ვინაიდან შინაპატიმრობა გამოიყენება მხოლოდ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში – აღნიშნული სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობაც ვერ გვექნება. ამის საფუძველია ამკ-ის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვები – „ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არ მოქმედებს, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს...“. ანუ ნორმის პირდაპირი განმარტებით თუ არასრულწლოვანი კვლავ (ხელახლა, ისევ, კიდევ), მეორედ ჩაიდენს დანაშაულს. ამ განაჩენით სასამართლო ნორმას განმარტავს იმგვარად, თითქოს, პირველად ჩადენილი დანაშაული არ წარმოშობს არანაირ ნასამართლობას. პირველი გამამტყუნებელი განაჩენი ნასამართლობას მართლაც არ წარმოშობს, მაგრამ კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილით, ასეთი შეღავათი არ მოქმედებს თუ არასრულწლოვანი კიდევ ჩაიდენს დანაშაულს და სასჯელის მოხდიდან არ არის გასული ამ ნაწილით დადგენილი ვადა. ნორმა დაყრდნობილია „ერთი შანსის“ პრინციპს.

იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს კიდევ ერთი განაჩენში, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვანს, რომელიც მსჯავრდებული იყო სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და 19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელისგან გათავისუფლდა 2014 წლის 1 მაისს. 2014 წლის 8 აგვისტოს ჩაიდინა ახალი დანაშაული და მისი ქმედება დაკვალიფიცირდა 19, 177-ე მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ჩადენილი არაერთგზის). თბილისის სააპელაციო სასამართლომ კი, იმ მოტივით, რომ ნასამართლობა გაქარწყლებული ჰქონდა, მსჯავრდებულს

ამოურიცხა მაკვალიფიცირებელი ნიშანი – ქურდობის ჩადენა არაერთგზის.<sup>278</sup> ნორმის ამ განმარტებას ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ყველა პალატა.<sup>279</sup>

რაც შეეხება, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, ერთ-ერთი განაჩენით, არასრულწლოვანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით. სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, საიდანაც კოდექსის 50-ე მუხლის გამოყენებით 3 წელი განესაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი ერთი წელი 63-64-ე მუხლების თანახმად, ჩათვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი, დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, საიდანაც 3 წელი განესაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 1 წელი ჩათვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით. გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 8 ნოემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი – თავისუფლების აღკვეთა სამი წლის ვადით, რაც მთლიანად შთანთქა მოცემული განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით მსჯავრდებულს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, საიდანაც 3 წელი განესაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 1 წელი ჩათვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით. სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაპატიმრების მომენტიდან – 2014 წლის 15 აგვისტოდან. 2016 წლის 25 იანვარს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა, რომელმაც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა ამკ-ის შესაბამისად. პალატამ დაადგინა, რომ არასრულწლოვანს

<sup>278</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 18 თებერვლის განაჩენი, საქმე №1ა/გ-143-16.

<sup>279</sup> მაგ., იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 თებერვლის განაჩენი, საქმე №1ა/გ-213-16.

მსჯავრი დაედო 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც განეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. ახალი კოდექსით კი, ნაკლებად მძიმე დანაშაულზე არასრულწლოვანს არ შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა, შესაბამისად, უნდა შეეცვალოს სასჯელი. კერძოდ, შინაპატიმრობით, 1 წლის ვადით. რაც შეეხება 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებს, პალატამ სასჯელი იგივე დატოვა, ვინაიდან მძიმე კატეგორიის დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება. პალატამ არ იმსჯელა კვალიფიკაციის ნაწილზე, რადგან მსჯავრდებულმა დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის პერიოდში, შესაბამისად, არაერთგზისობის შემადგენლობა სახეზეა.<sup>280</sup>

პროფ. ნონა თოდუას აზრით, ნასამართლობის გაქარწყლებასთან დაკავშირებული შედეგათი არაა უპირობო, არამედ იგი პირობადადებულია იმით, რომ არასრულწლოვანმა სასჯელის მოხდის შემდეგ კიდევ არ უნდა ჩაიდინოს დანაშაული, ხოლო თუ ჩაიდენს ნასამართლობა გაქარწყლდება დადგენილ ვადებში.<sup>281</sup> სრულად ვეთანხმები პროფესორს. ნორმის ორმაგი ინტერპრეტაციის, რაც უკვე სახეზე გვაქვს, ასევე, არაერთგვაროვანი პრაქტიკის თავიდან აცილების მიზნით, სასურველია, ამ საკითხზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტება გააკეთოს.

#### **4.7. ელექტრონული ზედამხედველობა, როგორც შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში**

მსოფლიო ქვეყნების სისხლის სამართლის პოლიტიკის ტენდენციას წარმოადგენს ისეთ სასჯელებზე გადასვლა, რომელიც არ არის დაკავშირებული საზოგადოების სრულ იზოლაციასთან. აღნიშნული პოლიტიკის ფეხდაფეხ, უფრო და უფრო ფართოდ ხდება ელექტრონული საშუალებების გამოყენება მონიტორინგის

<sup>280</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 მარტის განაჩენი, საქმე №1ა/გ-39-2016.

<sup>281</sup> თოდუა ნ., „არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2016, გვ. 632.

განსახორციელებლად. ამკ-ის მიხედვითაც, შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი არის – ელექტრონული ზედამხედველობა.

„ელექტრონული ზედამხედველობა“ არის ზოგადი ტერმინი მეთვალყურეობის ყველა ფორმისთვის, რომლის მეშვეობითაც ხდება ადამიანთა ადგილმდებარეობის, გადაადგილებისა და კონკრეტული ქცევის მონიტორინგი სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში. მისი თანამედროვე ფორმები ეფუძნება რადიოტალღებს, თვალყურის დევნების ბიომეტრიულ ან სატელიტურ ტექნოლოგიებს. ჩვეულებრივ, ეს გულისხმობს მოწყობილობის მიმაგრებას ადამიანზე და დისტანციურ მეთვალყურეობას. იგი შეიძლება გამოიყენებოდეს: სისხლის სამართალწარმოების წინასასამართლო ეტაპზე, როგორც პირობა სასჯელის გადავადების ან თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსასრულებლად; როგორც საზოგადოებაში სისხლისსამართლებრივი სანქციის ან ღონისძიების აღსრულებაზე ზედამხედველობის დამოუკიდებელი საშუალება, პრობაციის სხვა საშუალებებთან კომბინაციაში; როგორც გათავისუფლებამდელი ღონისძიება მათთვის, ვინც ციხეშია; როგორც ინტენსიური მეთვალყურეობისა და ზედამხედველობის ღონისძიება ზოგიერთი კატეგორიის დამნაშავესათვის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ; როგორც ციხეში ან/და ღია ტიპის დაწესებულების პერიმეტრზე დამნაშავეთა შიდა გადაადგილების მონიტორინგის საშუალება; და ასევე, როგორც გარკვეული დანაშაულის მსხვერპლის ექვმიტანილთა თუ დამნაშავეთაგან დაცვის საშუალება.<sup>282</sup> ძირითადად, ელექტრონული ზედამხედველობა არის მონაცემთა ავტომატური დამუშავება, რომელიც პირს ხდის „ტელეპრეზენტულს“. იგი შექმნილია იმისთვის, რომ ადგილი, მოძრაობა და ქცევის ასპექტები წყვეტილი ან უწყვეტი მონიტორინგის საფუძვლად აქციოს.<sup>283</sup>

---

<sup>282</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (2014) 4 წვერი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2014 წლის 19 თებერვალს, მინისტრთა მოადგილეების 1192-ე შეხვედრაზე).

<sup>283</sup> არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 154.

ელექტრონული მონიტორინგის მოწყობილობა გამოიგონა ჰარვარდის ფსიქოლოგმა რალფ შვიტცგებელმა (Ralph Schwitzgebel) 1960 წელს.<sup>284</sup> ეს მოწყობილობა 20 წლის განმავლობაში იცვლებოდა, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი ყოფილიყო. შვიტცგებელის მიზანი იყო, ეს ინოვაცია ყოფილიყო პატიმრობის შემცვლელი მექანიზმი. პირველად ელექტრონული მონიტორინგის პროგრამა აშშ-ში, კანადასა და დიდ ბრიტანეთში გაიცნეს. იგი შეიძლება გამოიყენებოდეს, როგორც მსჯავრდებულებისთვის, ასევე, ბრალდებულებისთვის და იმ პირებისთვის, რომლებიც არიან საექვო ჯგუფებიდან და წარმოადგენენ პოტენციურ დამნაშავეებს. ადრეული პერიოდიდანვე ელექტრონული მონიტორინგი განიხილებოდა, როგორც მკაცრი ზედამხედველობის საშუალება. კვლევებმა აჩვენა, რომ იგი ეფექტური იყო ნაწილი დამნაშავეებისთვის, ხოლო ამის საწინააღმდეგოდ, ნაწილ დამნაშავეებში რეციდივს ჰქონდა ადგილი.<sup>285</sup> აშშ-ის ტექსასის შტატში, 2002 წელს 242 არასრულწლოვანი მსჯავრდებულისგან, რომლებსაც შეფარდებული ჰქონდათ შინაპატიმრობა ელექტრონული ზედამხედველობით, 85%-ის შემთხვევაში რეციდივის შემთხვევა არ ყოფილა, ხოლო 2004 წელს ჩრდილოეთ კაროლინას შტატში 75% მსჯავრდებულის შემთხვევაში წარმატებული იყო აღნიშნული ფორმით სასჯელის მოხდა.<sup>286</sup> 1992 წლისათვის ელექტრონული ზედამხედველობა უკვე აშშ-ის თითქმის ყველა შტატში გამოიყენებოდა და ამ ფორმით დაახლოებით 7 000 პირი იხდიდა სასჯელს.<sup>287</sup> დღევანდელი მდგომარეობით, მსოფლიოში ძალიან გახშირებულია ელექტრონული

---

<sup>284</sup> Gomme I. M., "From Big House to Big Brother: Confinement in the Future", *The Canadian Criminal Justice System*, Toronto, Canadian Scholars' Press, 1995, P. 489.

<sup>285</sup> Cooperider, K.W., Kerby J., "A Practical Application of Electronic Monitoring at the Pretrial Stage", *Federal Probation*, 54(1), Illinois, United States, 1990, P. 28.

<sup>286</sup> Sklaver L. S., "The Pros and Cons of Using Electronic Monitoring Programs in Juvenile Cases", *American Bar Association, Juvenile Justice Committee Newsletter*, United States, 2004, P. 2.

<sup>287</sup> Taylor F., Ariel B., "Protocol: Electronic Monitoring of Offenders: A Systematic Review of Its Effect on Recidivism in the Criminal Justice System", *Oslo, Norway*, 2012, P. 2.



მონიტორინგის გამოყენება არასრულწლოვნებში. ამის მთავარი მიზანი არის ის, რომ მათ მიეცეთ სწავლის საშუალება.<sup>288</sup>

ელექტრონულ ზედამხედველობას აქვს ორი სქემა: ციხის კარამდელი ე.წ. “Front Door“ და ციხის კარის უემდგომი – “Back Door“. პირველი ნიშნავს ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებას იმ პირების მიმართ, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს დანაშაული, ხოლო მეორე სქემით სარგებლობენ პირები, რომლებმაც საპატიმრო სასჯელისგან დროზე ადრე გათავისუფლდნენ.<sup>289</sup> ზოგიერთი ქვეყანა, მაგ., ჰოლანდია, სარგებლობს ორივე მოდელით.<sup>290</sup>

აღსანიშნავია, რომ შინაპატიმრობა არის ერთადერთი სასჯელი, რომლის აღსრულების მექანიზმი მითითებულია კოდექსებში, როგორც ამკ-ში, ასევე, სსკ-ში. ამკ-ის 69-ე მუხლის მეხუთე ნაწილით, შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო. ამავე კოდექსის 75-ე მუხლის მესამე ნაწილით კი, არასაპატიმრო სასჯელის აღსასრულებლად, არასრულწლოვნის და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ელექტრონული ზედამხედველობა 1 წლამდე ვადით. ეს წესი არ მოქმედებს ამ კოდექსის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხოლო მეოთხე ნაწილით, ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებების გამოყენების წესი და მეთოდოლოგია განისაზღვრება „ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 31 დეკემბრის №178

---

<sup>288</sup> Albrecht H. J., “Electronic Monitoring in Europe“, (A Summary and Assessment of Recent Developments in the Legal Framework and Implementation of Electronic Monitoring), Freiburg, 2005, P. 7.

<sup>289</sup> Taylor F., Ariel B., “Protocol: Electronic Monitoring of Offenders: A Systematic Review of Its Effect on Recidivism in the Criminal Justice System“, Oslo, Norway, 2012, P. 3.

<sup>290</sup> Beolens R., “Electronic Monitoring in The Netherlands“, In: Mayer M., Haverkamp R., Levy R., “Will Electronic Monitoring Have a Future in Europe?“, Freiburg, 2002, P. 81-88.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით. აღნიშნული ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით, ელექტრონული ზედამხედველობა გულისხმობს ელექტრონული აპარატურის საშუალებით მსჯავრდებულის კონტროლს, ხოლო სასჯელის სახით შინაპატიმრობის გამოყენებისას – სასამართლოს მიერ დადგენილ პერიოდში ელექტრონული აპარატურის გამოყენებით მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის უწყვეტ კონტროლს.

როგორც უკვე აღინიშნა, ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო. იგივე ჩანაწერია „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44<sup>8</sup> მუხლის მე-6 პუნქტში, რაც არ არის მართებული. გადაწყვეტილება ელექტრონული მონიტორინგის დაწესების ან მოხსნის შესახებ უნდა მიიღოს სასამართლომ ან ეს გადაწყვეტილება, სულ მცირე, უნდა ექვემდებარებოდეს მაინც მის გადასინჯვას.<sup>291</sup> აღსრულების საშუალების უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად, უმჯობესია, კანონმდებელმა მოსამართლეს მისცეს უფლებამოსილება, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გათვალისწინებით, სასჯელთან ერთად, განსაზღვროს მისი აღსრულების მექანიზმი. საქმის განხილვის პროცესიდან გამომდინარე, მოსამართლე უკეთ იცნობს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს. დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოვალეობა უნდა იყოს მხოლოდ ის, რომ დადგენილი რეჟიმით გააკონტროლოს მსჯავრდებულის ადგილსამყოფელი.

საინტერესოა, საკითხის ირგვლივ, გავეცნოთ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას. ელექტრონულ მონიტორინგს ითვალისწინებს ესტონეთის კანონმდებლობაც. ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსით, თუ სასამართლოს

---

<sup>291</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (2014) 4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2014 წლის 19 თებერვალს, მინისტრთა მოადგილეების 1192-ე შეხვედრაზე), მუხლი 2.

მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით პირს შეეფარდება თავისუფლების აღკვეთა 6 თვემდე, სასამართლო უფლებამოსილია თავისუფლების აღკვეთა შეცვალოს ელექტრონული ზედამხედველობით, სადაც თავისუფლების აღკვეთის 1 დღე შეესაბამება ელექტრონული მონიტორინგის 1 დღეს. ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ დამნაშავის თანხმობით. თუ იგი დაარღვევს ზედამხედველობის პირობას ან უარს განაცხადებს ზედამხედველობის განხორციელებაზე, პრობაციის ოფიცრის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სასამართლო გამოიტანს განჩინებას განაჩენის თავისუფლების აღკვეთით აღსრულების თაობაზე. თუ პირი ჩაიდენს ახალ დანაშაულს, ეს გამოიწვევს ელექტრონული მონიტორინგის გაუქმებას, წინა განაჩენის აღსასრულებლად მიქცევას და ამასთან, ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების პერიოდი არ ჩაითვლება ძველი განაჩენით გათვალისწინებული სასჯელის მოხდილ ნაწილად.<sup>292</sup>

სლოვაკეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ არსებობს სპეციალური ნორმა ელექტრონული ზედამხედველობის შესახებ. აღნიშნული საკითხი ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია. დამნაშავეების კონტროლი ხორციელდება პრობაციისა და მედიაციის ოფიცრების მიერ სახლში ვიზიტების გზით. არსებობს მრავალი საკითხი, რომელიც საჭიროებს მოგვარებას. კერძოდ, თუ რა სახის ელექტრონული მოწყობილობებით განახორციელებენ ელექტრონულ მონიტორინგს, როგორი იქნება დამნაშავისა და მისი ოჯახის კონფიდენციალურობის ფარგლები და ა.შ.<sup>293</sup>

---

<sup>292</sup> *Penal Code of Estonia, 2001, §69<sup>l</sup>, Available at:*

[https://www.legislationline.org/download/id/8244/file/Estonia\\_CC\\_am2019\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/8244/file/Estonia_CC_am2019_en.pdf)

<sup>293</sup> *Tobiasova L., Development and Construction of the European Legal System, Alternative Penalties, Bratislava, 2007, P. 271; იხ. ივანიძე მ., „ალტერნატიული სასჯელები“, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 355.*

#### 4.7.1. არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული ელექტრონული ზედამხედველობა კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჭრილში

მიზანშეწონილია, ხელისუფლების ორგანოებმა სამართლიანად, პროპორციულად და ქმედითად გამოიყენონ ელექტრონული მონიტორინგის სხვადასხვა ფორმა სისხლის სამართლის პროცესის ჩარჩოებში შესაბამის პირთა უფლებების სრული დაცვით.<sup>294</sup> საინტერესო იქნება, განხილულ იქნეს, არღვევს თუ არა ელექტრონული ზედამხედველობა კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის კონსტიტუციურ უფლებებს.

როდესაც ელექტრონული მონიტორინგი პირველად გააცნეს საზოგადოებას, ხშირად ისმოდა მოსაზრება, რომ სასჯელის აღსრულების ეს ფორმა იქნებოდა ადამიანის კონსტიტუციური უფლებების შემლახავი,<sup>295</sup> მაგ., ხელყოფდა პირადი ცხოვრების უფლებას.<sup>296</sup> საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ზავშეშვებს აქვთ პირადი ცხოვრების სრული პატივისცემის უფლება საქმის განხილვის ყველა სტადიაზე.<sup>297</sup> „საქმის განხილვის ყველა სტადია“ კი მოიცავს პერიოდს – სამართალდამცავ ორგანოებთან პირველი კონტაქტიდან, პატიმრობიდან/თავისუფლების აღკვეთისგან გათავისუფლებამდე.<sup>298</sup>

ამკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილით, არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია საჯარო არ არის. მისი გამჟღავნება ლახავს პირადი ცხოვრების უფლებას. ელექტრონული სამაჯური ხილვადია, შესაბამისად, ინფორმაციაც არასრულწლოვნის

---

<sup>294</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (2014) 4 წვერი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2014 წლის 19 თებერვალს, მინისტრთა მოადგილეების 1192-ე შეხვედრაზე), მუხლი 1.

<sup>295</sup> Warren S. D., Brandeis L. D., *The Right to Privacy*, *Harvard Law Review*, Vol. 4, No. 5, 1890, P. 193.

<sup>296</sup> Petersilia J., “A Man's Home is his Prison“, *Criminal Justice (American Bar Association)*, Vol. 2, No. 4, United States, 1988, P. 17-19.

<sup>297</sup> *Committee on the Rights of the Child, General Comment No. 10 (2007), Children's Rights in Juvenile Justice, Paras. 53-54.*

<sup>298</sup> იქვე, Para. 64.

ნასამართლობის შესახებ. ეს ხელს შეუწყობს კი არა, პირიქით, ხელს შეუშლის პირის რესოციალიზაციას. კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი მოერიდება საზოგადოებაში გამოჩენას, ადამიანებთან ურთიერთობას და ა.შ. „სანქციებისა და ზომების აღსრულებას არ უნდა მოჰყვეს მათი ისედაც მტკივნეული ხასიათის კიდევ უფრო დამძიმება ან ფიზიკური და მორალური ზიანის მიყენების საფრთხე“.<sup>299</sup> არასაპატიმრო სასჯელი არ უნდა ახდენდეს არასრულწლოვნის სტიგმატიზაციას, ზოგადად, არ უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული ზეგავლენა მისი ცხოვრების ჩვეულ რიტმზე.

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების მიზანია, იმ ზიანის თავიდან აცილება, რომელიც შეიძლება მიადგეს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს საქმის გაუმართლებელი საჯაროობით. საქმის გასაჯაროებამ შეიძლება მოახდინოს არასრულწლოვნის სტიგმატიზაცია, რაც, სავარაუდოდ, უარყოფითად აისახება მის შესაძლებლობაზე მომავალში მიიღოს განათლება, დაიწყოს მუშაობა და ა.შ.<sup>300</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფმა პირმა საზოგადოების ყურადღება შეიძლება მიიქციოს იმითაც, რასაც აკეთებს და იმითაც, რასაც ვერ აკეთებს.<sup>301</sup> შესაბამისად, ყურადღება მის მიმართ ისედაც ძალიან დიდია.

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ფართოდ განმარტა. სახელმწიფოებმა მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ კანონმდებლობაში რომ, როდესაც მიმდინარეობს ბავშვის გასამართლება დანაშაულის ჩადენის გამო, განხილვა უნდა გაიმართოს დახურულ კარს

---

<sup>299</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია *Rec (2008) 11* წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2008 წლის 5 ნოემბერს მინისტრების მოადგილეთა 1040-ე შეხვედრაზე), მუხლი 8.

<sup>300</sup> *United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules")*, Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985, Rule 8; *Committee on the Rights of the Child, General Comment No. 10 (2007), Children's Rights in Juvenile Justice, Article 64.*

<sup>301</sup> *Kelly A., Introduction to the Scottish Children's Panel, Waterside Press, United Kingdom, 1996, P. 13.*

მიღმა.<sup>302</sup> ამკ-ის 29-ე მუხლის პირველი ნაწილით, „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება“. შესაბამისად, გამოდის ისე, რომ საქმის განხილვის დროს არასრულწლოვნის სტიგმატიზება არ ხდება, რადგან მისი პროცესი დახურულ კარს მიღმა განიხილება, მაგრამ საქმის განხილვის დასრულების შემდეგ, სასჯელის აღსრულებისას, შესაძლებელია მოხდეს, თუ სასჯელის სახით შეეფარდა შინაპატიმრობა, რადგან აღნიშნული სასჯელის აღსრულების მექანიზმი არის ისეთი, რომ ამის დიდი საფრთხეა. ელექტრონული სამაჯური პირდაპირ ახდენს იმის იდენტიფიცირებას, რომ არასრულწლოვანი დამნაშავეა.<sup>303</sup>

ასევე, აღსანიშნავია, რომ ამკ-ით, შინაპატიმრობის ელექტრონული მონიტორინგის აღსრულებისას, არ არის გათვალისწინებული კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის თანხმობა. კოდექსის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილით, არასაპატიმრო სასჯელის აღსასრულებლად ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების შესახებ არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა საჭიროა, გარდა იმ

---

<sup>302</sup> *Committee on the Rights of the Child, General Comment No. 10 (2007), Children's Rights in Juvenile Justice, Article 66.*

<sup>303</sup> როგორც აღინიშნა, ამკ-ის 29-ე მუხლის პირველი ნაწილით, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება, თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ, ამ შემთხვევაშიც, არ არის არასრულწლოვანი ბოლომდე დაცული. კოდექსი არაფერს ამბობს განაჩენის გამოცხადების შესახებ, შესაბამისად, უნდა გამოვიყენოთ სსსკ, რომლის მიხედვითაც, განაჩენი ცხადდება საჯაროდ. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მესამე პუნქტით, განაჩენი ცხადდება საქვეყნოდ. ამ შემთხვევაში, თავიდან რომ ავიცილოთ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფა, სასურველია, კანონმდებლობაში იყოს დათქმა, რომლის მიხედვითაც, მხარეს ექნება უფლება სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით განაჩენის გამოცხადების სხდომის დახურვის თაობაზე, ისევე როგორც, მაგ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351-ე მუხლის პირველი ნაწილით არის გათვალისწინებული, როდესაც სასამართლო, განმცხადებლის თხოვნით, შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას საჯაროდ არ აცხადებს. ამ შემთხვევაშიც, არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება გადაწონის საჯარო ინტერესს, მისი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციით (მუხლი 40(2)VII), სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების პატივისცემა საქმის განხილვის ყველა სტადიაზე.

შემთხვევისა, როდესაც არასრულწლოვანს სასჯელის სახით შეფარდებული აქვს შინაპატიმრობა. რამდენად ქმედითია ეს ნორმა? რომელი სასჯელის აღსრულება ხდება ელექტრონული მონიტორინგით შინაპატიმრობის გარდა, რომ არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა იყოს საჭირო? არც ერთის. შესაბამისად, ეს დათქმა მკვდარია. სასჯელის აღსრულების კუთხით, დღესდღეისობით ელექტრონული ზედამხედველობით შეიძლება აღსრულდეს მხოლოდ შინაპატიმრობა, რომლის მიმართაც კანონი არ ითვალისწინებს არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას. ელექტრონული მონიტორინგის დროს აღნიშნული თანხმობის არსებობა რომ აუცილებელია, ამას კანონმდებელიც აღიარებს ამ ჩანაწერით, მაგრამ შინაპატიმრობის გამოკლებით, რაც არ არის მართებული. სწორედ აქ ირღვევა არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება.

გასათვალისწინებელია, რომ დაუშვებელია ელექტრონული მონიტორინგის მოწყობილობის გამოყენება დამნაშავეს ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის ან ტანჯვის განზრახ მისაყენებლად.<sup>304</sup> თანხმობის გარეშე კი, იმის ალბათობა, რომ ელექტრონული ზედამხედველობით კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს ფიზიკური თუ არა ფსიქიკური ზიანი ან ტანჯვა მიადგეს ძალიან დიდია. თუ ერთმანეთს შევადარებთ მსჯავრდებულის მიერ საკუთარ სხეულზე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდის ან კრიმინალური სუბკულტურის წევრობის დამადასტურებელ ტატუს გაკეთებას და ელექტრონულ სამაჯურს, შედეგად მივიღებთ – პირველ შემთხვევაში ნებაყოფლობით სტიგმატიზაციას ანუ მსჯავრდებული საკუთარი ნებით იკეთებს ტატუს, ხოლო მეორე შემთხვევაში – სახელმწიფოს მხრიდან არასრულწლოვნის სტიგმატიზებას, რადგან კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის სურვილის მიუხედავად, უმაგრებს სხეულზე ელექტრონულ მოწყობილობას.<sup>305</sup>

---

<sup>304</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (2014) 4 წვერი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2014 წლის 19 თებერვალს, მინისტრთა მოადგილეების 1192-ე შეხვედრაზე), მუხლი 27.

<sup>305</sup> არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 166.

პირადი ცხოვრების უფლება იცავს ადამიანს ხელისუფლებისა და გარეშე პირთა ჩარევისაგან მის ინტიმურ, პირად ურთიერთობებსა და საქმიანობაში. აგრეთვე, ინდივიდის თავისუფლებას, გააკეთოს არჩევანი ნებისმიერ საკითხზე, რომელიც შეეხება პირადად მას, მის ოჯახსა და ურთიერთობებს სხვა პირებთან. ეს არის ადამიანის უფლება, საკუთარი თავი, პირადი ცხოვრება და საკუთრება მოაქციოს საზოგადოებრივი კონტროლისა და მეთვალყურეობისგან თავისუფალ სივრცეში, თავისივე არჩევანის შესაბამისად.<sup>306</sup> „მართლმსაჯულების ნებისმიერმა სისტემამ, რომელსაც საქმე აქვს არასრულწლოვნებთან უნდა უზრუნველყოს მათი აქტიური მონაწილეობა სანქციებისა და ზომების როგორც შეფარდების, ასევე აღსრულების პროცედურებში“.<sup>307</sup>

ელექტრონული სამაჯურის ტარებით, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი, შესაძლოა, დროის უმოკლეს ვადაში იქნეს ეტიკეტირებული. ადამიანთა სტიგმატიზაცია უამრავი მიზეზით შეიძლება განხორციელდეს, რაც შემდგომში ეტიკეტირებული ინდივიდის ქმედებებს განაპირობებს. იგი იწყებს ცხოვრებას იმ სახით, რომელიც მას სხვა ადამიანებმა შეურჩიეს.<sup>308</sup> ეტიკეტირებული ადამიანებისთვის ძნელია სამსახურის პოვნა, ნორმალური ადამიანური ურთიერთობების დამყარება, ცხოვრებაში მათი შესაძლებლობები არის ძალიან შეზღუდული და ხშირად, ამის საპასუხოდ, ისინი დანაშაულებრივ გარემოცვაში ექცევიან.<sup>309</sup>

---

<sup>306</sup> გოცირიძე ე., „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა; ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 95.

<sup>307</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2008) 11 წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2008 წლის 5 ნოემბერს მინისტრების მოადგილეთა 1040-ე შეხვედრაზე), მუხლი 13.

<sup>308</sup> Moncrieffe J., Eyben R., *The Power of Labelling: How People Are Categorized and Why It Matters*, UK and USA, 2007, P. 20

<sup>309</sup> Williams P. F. III, McShane D. M., *Criminology Theory, Selected Classic Readings, Second Edition*, United States, 2015, P. 183.



ცნობილი ამერიკელი კრიმინოლოგ ფრენკ ტანბენბაუმის სიტყვების თანახმად, „მოზარდის იუსტიციის საქმიანობის ორბიტაში ჩართვის მომენტიდან იწყება სტიგმატიზაციის ადრეული პროცესი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს არასრულწლოვნის დანაშაულებრივ და დელინკვენტური კარიერის განვითარებაში“<sup>310</sup> ე.ი. არასრულწლოვნის შემხებლობა მართლმსაჯულებასთან ისედაც, არა მარტო არ ახდენს გამოსწორებით ზემოქმედებას, არამედ, პირიქით, აღრმავებს მის მდგომარეობას და ხელს უწყობს მისი დანაშაულებრივი გადახრების განვითარებას. კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი აღმოჩნდება, როგორც „გასვრილი, რომელსაც დაედება სტიგმა და ოფიციალურად გარდაიქმნება დელინკვენტის რანგში“<sup>311</sup> არასრულწლოვანი კი, ცდილობს გაამართლოს თავისი სტატუსი და კვლავ ჩაიდინოს დანაშაული.

პირადი ცხოვრების უფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლებაა, რომელსაც ფართო და მრავალმხრივი შინაარსი აქვს და უამრავი უფლებრივი კომპონენტისგან შედგება. კონსტიტუციით დაცულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორცაა ადამიანის პირადი საქმიანობის ადგილი, კერძო სფეროში განხორციელებული კომუნიკაცია და ა.შ. პირადი ცხოვრების უფლებით დაცულია პირების კერძო სივრცე, მათ შორის, საცხოვრებელი სახლი, პირადი ავტომანქანა და ა.შ.<sup>312</sup> შინაპატიმრობის ელექტრონული მონიტორინგით აღსრულებისას კი, ხდება ამ უფლების შეზღუდვა. თუ არ იქნება კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის თანხმობა, გამოდის ისე, რომ პირის ნების საწინააღმდეგოდ სახელმწიფო იჭრება მის პირად ცხოვრებაში, ბინაში აყენებს აპარატურას, უწესებს შეზღუდვებს და ა.შ. აღნიშნული უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს სასამართლოს გადაწყვეტილება ან

---

<sup>310</sup> დაუთაშვილი პ., „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესი და პრობაციის კანონი სტიგმათა და ზოგიერთი თეორიის კრილიში“; ჟ. „სამართლის ჟურნალი“, №1-2, თბილისი, 2003, გვ. 60.

<sup>311</sup> იქვე.

<sup>312</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, გვ. 55.

კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა. ამ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს სასამართლო გადაწყვეტილებასთან, თუმცა, სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა აპრიორი უფლებაში თანაზომიერ ჩარევას არ გულისხმობს. კონსტიტუცია სასამართლო გადაწყვეტილებაში გულისხმობს მხოლოდ დასაბუთებულ და სწორ გადაწყვეტილებას.<sup>313</sup> არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლებათა განხორციელებაში უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის ხელყოფის ობიექტი.<sup>314</sup> არასრულწლოვანს უფლება აქვს კანონით იყოს დაცული მსგავსი ჩარევისა და ხელყოფისგან. კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით, „არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ“. ელექტრონული მონიტორინგის შემთხვევაში აპარატურის დამონტაჟების დროს კი, პირის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებულ ადგილებში შესვლა, ბუნებრივია, გარდაუვალია და აქ მესაკუთრის ან მფლობელის ნება ვერ იქნება გათვალისწინებული. სახელმწიფოს ჩარევა შეიძლება გამოიხატებოდეს არა მარტო ამ დაცულ სფეროებში უხეში ჩარევით (მაგ., ოჯახური ან სხვა ურთიერთობებისათვის დაბრკოლებების შექმნით), არამედ, თუნდაც ამ ურთიერთობების კონტროლითა და მათზე თვალყურის დევნებით.<sup>315</sup>

არ არსებობს სასჯელის ნებაყოფლობითი ხასიათი, ყველა იძულებითია, ამიტომაც უწოდებენ იძულებითი ზემოქმედების მექანიზმს, ოღონდ ლეგიტიმურს, თუმცა, მართებული იქნებოდა თუ არასრულწლოვნების შემთხვევაში მეტ დათმობაზე წავიდოდა კანონმდებელი. შინაპატიმრობა ეფექტური რომ იყოს, სასურველია, არ იყოს იძულებითი. გარდა იმისა, რომ არასრულწლოვანი კარგად უნდა იცნობდეს ელექტრონული ზედამხედველობის მოწყობილობას და მის ყველა ვალდებულებას,

<sup>313</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე კვატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §24.

<sup>314</sup> ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია, 1989, მუხლი 16.

<sup>315</sup> MALONE v. THE UNITED KINGDOM, ECHR, (Application no. [8691/79](#)), 2 August 1984.

(კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებს უნდა განემარტოთ, თუ რა მოეთხოვებათ მათ, როგორია პრობაციის პერსონალის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები და როგორი იქნება პირობების შეუსრულებლობის შედეგები).<sup>316</sup> ამასთანავე, აუცილებლად თანახმა უნდა იყოს ამაზე.<sup>317</sup> მართალია, სასჯელი არის იძულებითი ხასიათის ღონისძიება, რომელსაც სახელმწიფო იყენებს პირის ქმედების საკომპენსაციოდ, მაგრამ ამ შემთხვევაში, უმჯობესია, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად იყოს მსჯავრდებულის კონსტიტუციური უფლებები დაცული. შესაბამისად, ელექტრონული ზედამხედველობის შემთხვევაში, სავალდებულო იყოს არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. აუცილებელია, სასჯელი ასრულებდეს თავის მიზნებს. ამ შემთხვევაში კი, მსჯავრდებულის თანხმობის გარეშე, სასჯელი ნაკლებად ან ვერ შეასრულებს თავის მიზნებს.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსით, ელექტრონული ზედამხედველობა პირს შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ მისი თანხმობით და ადვოკატის წინასწარი კონსულტაციის შედეგად. ელექტრონული ზედამხედველობის დანიშვნა წარმოადგენს სავალდებულო დაცვის ერთ-ერთ საფუძველს. თუ ბრალდებული არასრულწლოვანია და არ არის ემანსიპირებული, მაშინ აუცილებელია მისი მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლების თანხმობაც.<sup>318</sup>

რაც შეეხება პატივისა და ღირსების უფლებას, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით, ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო. დაუშვებელია

---

<sup>316</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010) 1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 20 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 1075-ე სხდომაზე), მუხლი 86.

<sup>317</sup> Petersilia J., "A Man's Home is his Prison", *Criminal Justice (American Bar Association)*, Vol. 2, No. 4, United States, 1988, P. 20.

<sup>318</sup> Code Pénal Français, 1992, Paras. 723-727, Available at:

[https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070719&fbclid=IwAR1ol9nWyVu1svL8V25gbnGUT51yT6xTk\\_3QuDWcnkiAFbdaaX2nIS4oM9o](https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070719&fbclid=IwAR1ol9nWyVu1svL8V25gbnGUT51yT6xTk_3QuDWcnkiAFbdaaX2nIS4oM9o) [Last seen: 01.02.2021].

ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.<sup>319</sup> ღირსება არის ის უფლება და ამავე დროს, ის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება ძირითადი უფლებები.<sup>320</sup> ადამიანის ღირსება ყველა ძირითადი უფლების საფუძველია.<sup>321</sup>

შინაპატიმრობის აღსრულებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ღირსების უფლების დარღვევაც. კერძოდ, ფეხზე სამაჯურის დამაგრება,<sup>322</sup> ხელისგან განსხვავებით, მართალია, ნაკლებად შესამჩნევია, მაგრამ აუზზე სიარულის დროს ან ზაფხულში, ისიც თითქმის ისეთივე შესამჩნევი ხდება, როგორც ხელზე. ეს არის ერთგვარი სტრესი არასრულწლოვნისთვის. მას ყოველ წუთას ახსენდება ან ახსენებენ, რომ იგი დამნაშავეა, მუდმივად იმის შიშში უნდა იყოს, რომ არ გამოუჩნდეს სამაჯური,

---

<sup>319</sup> ასევე, *ib. General Comment No. 8, The Right of the Child to Protection from Corporal Punishment and Other Cruel or Degrading Forms of Punishment, Arts. 19; 28, Paras. 2, 37, inter alia, 2006.*

<sup>320</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/2-389 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, §31.

<sup>321</sup> გოცირიძე ე., „პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა; წამების ან სხვაგვარი არაკუმანური მოპყრობის აკრძალვა“, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 107.

<sup>322</sup> სამაჯურის ფეხზე დამაგრებასთან დაკავშირებით, გერმანიაში ერთ-ერთი საპილოტო პროექტის გამოსაცდელ პირთა 27% ელექტრონული სამაჯურის ტარებისას ფიზიკური ჩივილები, კუნთის დასიება, კანის გადაყვლევა და ტკივილები აღენიშნებოდა. ელექტრონული სამაჯურის ტარებისას შეუძლებელია ისეთი ფეხსაცმლის ჩაცმა, რომელიც პირს კოჭამდე წვდება. ხოლო თუ მისი პროფესია სპეციალური ფეხსაცმლის ტარებას მოითხოვს, მის მიერ ამ სამუშაოს შესრულება შეუძლებელია; *ib. Bräuchle/Kinzing, Die Elektronische Aufenthaltsüberwachung im Rahmen der Führungsaufsicht, S. 14, [https://www.bmfv.de/SharedDocs/Downloads/DE/PDF/BereichMinisterium/Kurzbericht\\_elektronische\\_Aufenthalt\\_sueberwachung\\_im\\_Rahmen\\_der\\_Fuehrungsaufsicht.pdf? blob=publicationFile&v=1](https://www.bmfv.de/SharedDocs/Downloads/DE/PDF/BereichMinisterium/Kurzbericht_elektronische_Aufenthalt_sueberwachung_im_Rahmen_der_Fuehrungsaufsicht.pdf?blob=publicationFile&v=1) (19.03.2017);* *ib. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ე., „შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში – ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება“, ე. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, თბილისი, 2017, გვ. 67.*

სოციუმთან ნაკლებად ჰქონდეს ურთიერთობა, რომ არ დაუწყონ მისთვის მტკივნეულ თემაზე საუბარი და ა.შ. სწორედ ეს შეიძლება აღმოჩნდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირისთვის პატივისა და ღირსების შემლახავი და მის ფსიქიკაზე დიდი კვალი დატოვოს.

არასრულწლოვანი განეკუთვნება ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლის ფსიქიკაც არამდგრადი და ჩამოუყალიბებელია.<sup>323</sup> ყველა კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვს აქვს უფლება, ღირსების შესაბამისად მოექცნენ, ასაკის გათვალისწინებით და ასევე, გაითვალისწინონ მისი საზოგადოებაში რეინტეგრაციის ამოცანა.<sup>324</sup> არასრულწლოვნის ღირსება რამდენიმე პრინციპს ეფუძნება, მათ შორის, საუკეთესო ინტერესების პრინციპს.<sup>325</sup>

საინტერესოა, ევროსასამართლოს მიდგომაც არასრულწლოვნის ღირსების უფლებასთან დაკავშირებით. ერთ-ერთ საქმეში, 15 წლის ბიჭი სკოლაში ფიზიკურად დასაჯეს უფროსი კლასის მოსწავლეზე თავდასხმისა და სხეულის დაზიანების გამო. სასამართლოს მიერ განხილული საქმის არსი იყო, წარმოადგენდა თუ არა არასრულწლოვნის გაწვევლა ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. კერძოდ, შეადგენდა თუ არა ეს ქმედება ღირსების შემლახავ სასჯელს. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განვითარებისა და ზოგადად დამკვიდრებული სტანდარტების გათვალისწინებით, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ გაწვევლა არის ღირსების შემლახავი სასჯელი და შესაბამისად, მიიჩნია, რომ არასრულწლოვნის გაწვევლით დაირღვა ევროკონვენციის მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა). მოპყრობამ ან სასჯელმა უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ დონეს, რათა ჩაითვალოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად. მართალია, ევროსასამართლოს

<sup>323</sup> მახარობლიძე თ., „შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში“, გურამ ნაჭყეია – 75, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016, გვ. 286-288.

<sup>324</sup> ევროპის საბჭოს სტრატეგია ბავშვთა უფლებების შესახებ (2016-2021), (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2016 წლის 3 მარტს, მინისტრთა მოადგილეების 1249-ე შეხვედრაზე), მუხლი 5.

<sup>325</sup> Guidelines for Action on Children in the Criminal Justice System, Recommended by Economic and Social Council Resolution 1997/30 of 21 July 1997, Article 8("a").

აზრით, ასეთი სასჯელი (გაწკეპვლა) არ აღწევს წამების ან არაადამიანური მოპყრობისათვის აუცილებელი სისასტიკის დონეს, მაგრამ ასეთი მოქმედება აღწევს დამამცირებელი მოპყრობისათვის აუცილებელ სისასტიკეს. სასამართლომ დაადგინა, რომ სხეულებრივი სასჯელის გამოყენება (მათ შორის, სისხლისსამართლებრივი) დამამცირებელი მოქმედებაა,<sup>326</sup> რაც არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს.

---

<sup>326</sup> არასრულწლოვნის დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებით, ასევე, იხ. *BOUYID v. BELGIUM*, ECHR, (Application no. [23380/09](#)), 28 September 2015; ევროსასამართლომ კონვენციის დარღვევა დაადგინა სახეში გარტყმის ფაქტზე. პოლიციელებმა პოლიციის განყოფილებაში დაბარებულ ძმებს გაარტყეს სილა სახეში, რომელთაგან ერთი ძმა არასრულწლოვანი იყო. სასამართლომ ხაზი გაუსვა სამართალდამცავი პირების განსაკუთრებულ სტატუსს, მათ ვალდებულებებსა და მათი კონტროლის ქვეშ მყოფი პირების მოწყვლადობას. მოცემულ საქმეში, სასამართლოს დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონდა არც არაადამიანურ მოპყრობას და არც, მით უმეტეს, წამებას, თუმცა, ადგილი ჰქონდა დამამცირებელ მოპყრობას; არასრულწლოვანთა ფიზიკურ სასჯელს ეხება ევროსასამართლოს კიდევ ერთი გადაწყვეტილება. ცხრა წლის „ძნელად აღსაზრდელი“ ბავშვი რამდენჯერმე ძლიერად ჯოხით ცემა მამინაცვალმა, რასაც მოჰყვა სისხლჩაქცევები და ტკივილი. მამინაცვალს ადრე ბრალად ედებოდა თავდასხმა, მაგრამ სასამართლომ გაამართლა, რადგან იმ პერიოდში ინგლისური სამართლით დაშვებული იყო ე.წ. „გონივრული დასჯა“. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვები და სხვა მოწყვლადი ინდივიდები განსაკუთრებით საჭიროებდნენ დაცვას, იმ მიზნით, რომ აღიკვეთოს ამგვარი არაადამიანური მოპყრობის ფორმები. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევა, რადგან ინგლისურმა კანონმდებლობამ ადეკვატურად ვერ დაიცვა ბავშვი ძალადობისგან; იხ. *A. v. THE UNITED KINGDOM*, ECHR, (Application no. [100/1997/884/1096](#)), 23 September 1998; ამ და სხვა, მსგავსი გადაწყვეტილებებისა და განჩინებების საფუძველზე გაერთიანებული სამეფოს ყველა სკოლაში აკრძალა ფიზიკური დასჯა; ამასთან, ფიზიკური დასჯა ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში პირდაპირ კანონით არის აკრძალული. „ბავშვზე ზრუნვისა და უფლებების შესახებ“ ფინეთის კანონით, ბავშვი უნდა აღიზარდოს ურთიერთგაგების, უსაფრთხოებისა და სიყვარულის გარემოცვაში. დაუშვებელია, მისი ფიზიკური დასჯა ან სხვა სახის ძალადობრივი მოპყრობა. მას ხელი უნდა შეუწყონ, რომ ჩამოყალიბდეს პასუხისმგებლიან და დამოუკიდებელ პიროვნებად; იხ. *Laki Lapsen Huollosta ja Tapaamisoikeudesta*, §1, 1983, Available at: <https://www.finlex.fi/fi/laki/ajantasa/1983/19830361> [Last seen: 01.02.2021]; მსგავსი ჩანაწერია „მშობელთა უფლება-მოვალეობებისა და მეურვეობის შესახებ“ შვედეთის კანონში; იხ. *Kod för Föräldrarnas Rättigheter och Skyldigheter och Förmyndarskap*, §1, 1979, Available at: [166](https://e-</a></p></div><div data-bbox=)

ევროკონვენციის პირველი მუხლი, მე-3 მუხლთან ერთად, მოითხოვს სახელმწიფოებისაგან, გაატარონ ღონისძიებები, რათა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი პირები არ დაექვემდებარონ ადამიანის წამებას, არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას. ამ ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი დაცვა, განსაკუთრებით ბავშვებისა და სხვა დაუცველი პირებისა.<sup>327</sup> შესაბამისად, ამ კუთხითაც დასაფიქრებელია შინაპატიმრობა, რადგან მისი აღსრულების მექანიზმიდან გამომდინარე, იკვეთება იმის ნიშნები, რომ ღირსების შემლახველია არასრულწლოვნისთვის.

#### 4.7.2. ელექტრონული ზედამხედველობის მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

ელექტრონული ზედამხედველობის ერთ-ერთ დადებითი მხარე არის ის, რომ მისი გამოყენებისას სახელმწიფო ზოგავს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების შენახვისათვის საჭირო თანხებს. ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრიმინოლოგიისა და სახელმწიფო პოლიტიკის ცენტრის კვლევით, ელექტრონული მონიტორინგის ღირებულება აშშ-ში არის ექვსჯერ ნაკლები, ვიდრე პატიმრის შენახვის ხარჯი პენიტენციურ დაწესებულებაში.<sup>328</sup> აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სტატისტიკით, მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში შენახვა სახელმწიფოს უჯდება 62\$ დღეში, მაშინ, როდესაც ელექტრონული ზედამხედველობის ღირებულება არის 10\$. მოსამართლეს შეუძლია აღნიშნული თანხის ანაზღაურება დაავალოს მსჯავრდებულს. თუ მსჯავრდებულს არ შეუძლია ამ თანხის გადახდა, მაშინ ამის საფასურად მან უნდა იმუშაოს საზოგადოებრივ სერვისებში. თანხის შეფარდების დროს მოსამართლემ უნდა

---

[justice.europa.eu/content\\_parental\\_responsibility-302-se-sv.do?member=1](https://justice.europa.eu/content_parental_responsibility-302-se-sv.do?member=1) [Last seen: 01.02.2021]; სამწუხაროდ, ამკ, ამ მხრივ, ყურადღებას არ ამახვილებს.

<sup>327</sup> TYRER v. UNITED KINGDOM, ECHR, (Application no. 5856/72), 25 April 1978.

<sup>328</sup> U.S. Department of Justice, “Electronic Monitoring Reduces Recidivism“, Washington, DC, 2011, P. 1, Available at: <https://www.ncjrs.gov/pdffiles1/nij/234460.pdf> [Last seen: 01.02.2021].

გაითვალისწინოს მსხვერპლი მატერიალურად ხომ არ არის დამოკიდებული მსჯავრდებულზე, მაგ., ხომ არ იხდის ალიმენტს და ა.შ.<sup>329</sup> კოლუმბიის ერთ-ერთი უნივერსიტეტის კვლევით, 2012 წელს, ელექტრონული მონიტორინგის წყალობით, ვაშინგტონში მსჯავრდებულის შენახვის ხარჯი გახდა 580 დოლარით ნაკლები, ვიდრე თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის შენახვის ხარჯი.<sup>330</sup> თუმცა, მიუხედავად თავისუფლების აღკვეთასთან შედარებით მისი ეკონომიურობისა, ელექტრონული მონიტორინგი მაინც საკმაო თანხებს მოითხოვს.<sup>331</sup>

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 სექტემბრის №1853 განკარგულებით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ“, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისთვის, 520 000 აშშ დოლარის ღირებულების 200 ერთეული შინაპატიმრობის აღსრულების მოწყობილობის (სტაციონარი და სამაჯური, სამაჯურის ერთჯერადი სამაგრები), სპეციალური მონაცემთა ბაზის, სერვერისა და მომსახურების გამარტივებული შესყიდვის უფლება მიიღო. 2015 წლის 8 ოქტომბერს კი, პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და კომპანია „M3 Electronic Monitoring“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანია „3M Electronic Monitoring“-ისგან<sup>332</sup> სპეციალიზირებული აპარატურა შეისყიდა.

---

<sup>329</sup> Brown M. L. T., McCabe A. S., Wellford C., “Global Positioning System (GPS) Technology for Community Supervision: Lessons Learned“, Center of Criminal Justice Technology, United States, 2007, P. 47-64.

<sup>330</sup> Roman K. J., Leberman A. M., Taxy S., Downey P. M., “The Costs and Benefits of Electronic Monitoring for Washington, D.C.“, 2012, P. 3.

<sup>331</sup> მაგ., ბრიტანეთში 90 დღიანი მონიტორინგის ღირებულება 1250 გირვანქაა; იხ. Fletcher H., “Electronic Tagging a Flawed System“, 2012, P. 1, Available at:

<https://www.napo.org.uk/sites/default/files/Electronic%20Tagging%20a%20flawed%20system.pdf> [Last seen: 01.02.2021].

<sup>332</sup> „3M Electronic Monitoring“ ელექტრონული ზედამხედველობის სფეროში ერთ-ერთი ლიდერი კორპორაციაა. მათ მიერ წარმოებულ ელექტრონული მონიტორინგის ტექნოლოგიებს მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყანა წარმატებით იყენებს; იხ. სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის



პრობაციის ეროვნულ სააგენტოში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვა ელექტრონული მონიტორინგის ცენტრი, დაინსტალირდა სპეციალური სერვერი, სადაც განთავსდა მონაცემთა ბაზა. ამავდროულად, სააგენტოს გადაეცა ელექტრონული ზედამხედველობისთვის საჭირო აპარატურა.

რაც შეეხება ამ მოწყობილობის ფუნქციონირებას, ესეც გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამ მიზეზით, ზოგიერთ ქვეყანაში თანადაფინანსება ხდება. ავსტრიის იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, ერთი ელექტრონული ბორკილის დაფინანსება დღეში 22 ევრო ჯდება, რის გადახდაშიც, რამდენადაც შეუძლია, მსჯავრდებულებს მონაწილეობს.<sup>333</sup> თუ დამნაშავე იხდის ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების საფასურს, მისი წილი პროპორციული უნდა იყოს მისი ფინანსური მდგომარეობის და რეგულირდებოდეს კანონით.<sup>334</sup>

თანადაფინანსების შემოღება, არასრულწლოვნების შემთხვევაში, ქართულ რეალობას ვერ მოერგება. ეს მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს სასჯელის აღსრულებას. ნაკლებად სავარაუდოა, რომ არასრულწლოვანმა შეძლოს სასჯელის აღსრულებისთვის საჭირო თანხის გადახდა. ამით იქამდე მივა საქმე, რომ საჭირო თანხის გადახდის ვალდებულება დაეკისრება არასრულწლოვანი მსჯავრდებულის კანონიერ წარმომადგენელს. ისედაც, ამჟამინდელ კანონმდებლობაში უკვე არის მსგავსი ნორმა. კერძოდ, „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44<sup>8</sup> მუხლის მე-7 პუნქტით, „შინაპატიმრობის აღსრულებისას მსჯავრდებულის მიერ ელექტრონული

---

ეროვნული სააგენტოს“ ოფიციალური ვებ-გვერდი, 08.10.2015, ხელმისაწვდომია: <http://probation.moc.gov.ge/eng/main/index/1303> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021].

<sup>333</sup> Die Österreichische Justiz, Elektronisch Überwachter Hausarrest, Available at: <https://www.justiz.gv.at/home/wwwjustizgvat/strafvollzug/elektronisch-ueberwachter-hausarrest~2c94848544ac82a60144c0789c900912.de.html?highlight=true> [Last seen: 01.02.2021].

<sup>334</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (2014) 4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2014 წლის 19 თებერვალს, მინისტრთა მოადგილეების 1192-ე შეხვედრაზე), მუხლი 11.

ზედამხედველობის საშუალების დაკარგვის ან მსჯავრდებულის ბრალეული ქმედებით ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების დაზიანების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მას, ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებულის შემთხვევაში – მის კანონიერ წარმომადგენელს“. ასევე, „შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 28 დეკემბრის №146 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანების მე-8 მუხლის მე-6 პუნქტით, „მსჯავრდებულს, ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებულის შემთხვევაში მის კანონიერ წარმომადგენელს, ოფიცერი წერილობით აფრთხილებს (დანართი №6) მსჯავრდებულის მიერ, აპარატურის დაკარგვის ან მსჯავრდებულის ბრალეული ქმედებით აპარატურის დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ. გაფრთხილება დასტურდება მსჯავრდებულის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით. თუ მსჯავრდებული/კანონიერი წარმომადგენელი უარს აცხადებს გაფრთხილების ხელმოწერაზე, დგება ოქმი ხელმოწერაზე უარის თქმის თაობაზე. მსჯავრდებულის/კანონიერი წარმომადგენლის უარი ხელმოწერაზე არ ათავისუფლებს მას ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან“. ამავე ბრძანების V თავი ეხება შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარანტიებს. კერძოდ, მე-12 მუხლის პირველი პუნქტით, აპარატურა წარმოადგენს უცხოური წარმოების, სპეციფიკურ, ძვირადღირებულ აპარატურას, რომლის დაზიანებამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, რაც არასრულწლოვანი მსჯავრდებულის შემთხვევაში, ექვემდებარება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ სრულად ანაზღაურებას. მეორე პუნქტში მოცემულია აპარატურის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარანტიის სამი ალტერნატივა – აპარატურის სრული ღირებულების ოდენობით ფულადი თანხის – 5000 ლარის განთავსება სააგენტოს სპეციალურ სადეპოზიტო ანგარიშზე აპარატურის დამაგრებიდან 7 დღის განმავლობაში; აპარატურის დაზღვევის შესახებ შესაბამისი სადაზღვევო პოლისის წარმოდგენა ბიუროში, ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან (სადაზღვევო პირობებით აპარატურის ნებისმიერი სახის დაზიანებისას უზრუნველყოფილი უნდა

იყოს დამდგარი ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურება) აპარატურის დამაგრებიდან 7 დღის განმავლობაში; და ლიცენზირებული საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულებიდან აპარატურის ღირებულების ოდენობაზე გაცემული საბანკო გარანტიის წარმოდგენა აპარატურის დამაგრებიდან 7 დღის განმავლობაში. მე-6 პუნქტით კი, აპარატურის დაზიანების გარეშე, შინაპატიმრობის მოხდის ან შინაპატიმრობის აღსრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, შინაპატიმრობის მოხდის/შინაპატიმრობის აღსრულების ვადამდე შეწყვეტის შემდეგ, თანხის შემომტან პირს, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, სრულად უბრუნდება სააგენტოს დეპოზიტზე განთავსებული თანხა.

„შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 28 დეკემბრის №146 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანების IV თავი, რომელიც შედგება მხოლოდ ერთი მუხლისგან, ეხება შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულების საფასურს, გადახდის წესსა და პირობებს. მე-11 მუხლის მეორე პუნქტით, საფასურის ოდენობა შეადგენს თვეში 100 ლარს, რომელსაც მსჯავრდებული იხდის სააგენტოს შესაბამის ანგარიშზე შეტანით, ყოველი მომდევნო თვის პირველ რიცხვამდე. მესამე პუნქტით, საფასურის პირველი გადახდა უნდა განხორციელდეს შინაპატიმრობის ელექტრონული საშუალების დამაგრებიდან 7 დღის ვადაში, რომლის ათვლა იწყება აპარატურის დამაგრების მომდევნო დღიდან. ასევე, აღსანიშნავია, ამავე მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, *„საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელის სახედ შეეფარდა შინაპატიმრობა ან დანიშნული სასჯელი შეეცვალა შინაპატიმრობით...“*.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით, შინაპატიმრობის აღსრულების საფასური არასრულწლოვნებს არ ეკისრებათ, თუმცა, სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის შეტანა ყველა მსჯავრდებულს ეხება, რაც არ არის მართებული. აღნიშნული თავისი სულისკვეთებით ჰგავს სასჯელის ერთ-ერთი სახის – ჯარიმის ძველ რედაქციას,

როდესაც თანხის გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა არა დამნაშავეს, არამედ კანონიერ წარმომადგენელს. სწორედ, ეს არღვევდა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს. არ შეიძლება პირმა აგოს პასუხი იმ ქმედებისთვის, რომლის ჩადენაშიც მისი ბრალეულობა არ დგინდება. ამ შემთხვევაშიც, აპარატურის დაზიანებაში კანონიერ წარმომადგენელს არ მიუძღვის ბრალი, თუმცა, სათანადო თანხის გადახდა მაინც მას ეკისრება. მიყენებული ზიანი აუცილებლად არასრულწლოვანმა თავად უნდა აანაზღაუროს, რაც მისი პასუხისმგებლობის გრძნობას საზოგადოების წინაშე ერთიორად გაზრდის.<sup>335</sup> ამასთან, სასჯელის აღსრულების ხარჯები არ უნდა გაიღონ არასრულწლოვნებმა ან მათმა ოჯახებმა.<sup>336</sup>

შეიძლება არსებობდეს მოსაზრება, რომ აღნიშნული საფასურის გადახდა არის სამოქალაქო სამართლით დადგენილი ვალდებულება. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის მეხამე ნაწილით, „ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი, პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. იმ შემთხვევაში, როცა ამ პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებით პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც“. აღნიშნული მოსაზრება არ არის მართებული, რადგან განხილული შემთხვევა ეხება სასჯელის აღსრულებას. გარდა ამისა, თუ ეს არის სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, რატომ არ არის მითითება სამოქალაქო კოდექსის აღნიშნულ მუხლზე? ან საერთოდ რატომ არის ეს შემთხვევა „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დარეგულირებული? რადგან ეს შემთხვევა ცალკე არის გაწერილი კანონმდებლობაში, ე.ი სამოქალაქო კოდექსის მუხლი არ ვრცელდება მასზე.

---

<sup>335</sup> გომიაშვილი ი., კრიმინოლოგია, თბილისი, 1998, გვ. 195.

<sup>336</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2008) 11 წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2008 წლის 5 ნოემბერს მინისტრების მოადგილეთა 1040-ე შეხვედრაზე), მუხლი 37.

თუ მსჯავრდებული განზრახ დააზიანებს სამაჯურს, უნდა განიხილებოდეს სასჯელის ვადის გაგრძელების ან შეცვლის ვარიანტები. ამის ერთ-ერთი მაგალითია საფრანგეთის კანონმდებლობა. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსით, თუ პირი დაარღვევს განაჩენით დადგენილ რომელიმე ვალდებულებას ან მოიხსნის ან გაანადგურებს სამაჯურს, რის შედეგადაც შეუძლებელია მისი ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა, პირის მიმართ გამოყენებული სასჯელი შეიცვლება ჯარიმით (100 000 ევრო) ან თავისუფლების აღკვეთით (7 წლამდე).<sup>337</sup> ასევე, ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსით, განაჩენით დადგენილი ზედამხედველობის პირობის დარღვევის შემთხვევაში, პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას 6 თვიდან 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.<sup>338</sup>

აქვე აღსანიშნავია, „ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №178 ბრძანების 2016 წლის 1 ნოემბრის ცვლილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეუსაბამობაშია კანონთან. ასევე, უფრო ართულებს მდგომარეობას ამ მხრივ. კერძოდ, ბრძანების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით, „მსჯავრდებულის მიერ ელექტრონული აპარატურის დაზიანების შემთხვევაში, თუ არსებობს ახალი ელექტრონული აპარატურის დაზიანების რისკი, პრობაციის ბიუროს უფროსის მიმართვის საფუძველზე, სააგენტოს უფროსი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში შინაპატიმრობის აღსრულებისას ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებლობის თაობაზე. შინაპატიმრობის აღსრულებისას ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებლობის თაობაზე

---

<sup>337</sup> Code Pénal Français, 1992, Paras. 434-29 à 434-30, Available at:

[https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070719&fbclid=IwAR1ol9nWyVu1svL8V25gbnGUT51yT6xTk\\_3QudWCnkiAFbdaaX2nIS4oM9o](https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070719&fbclid=IwAR1ol9nWyVu1svL8V25gbnGUT51yT6xTk_3QudWCnkiAFbdaaX2nIS4oM9o) [Last seen: 01.02.2021].

<sup>338</sup> Criminal Code of Spain, 1995, Article 468, Available at:

[https://www.legislationline.org/download/id/6443/file/Spain\\_CC\\_am2013\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/6443/file/Spain_CC_am2013_en.pdf), [Last seen: 01.02.2021].

გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შინაპატიმრობის აღსრულება ხორციელდება „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44<sup>ბ</sup> მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით“. რას ნიშნავს „ელექტრონული აპარატურის დაზიანების რისკი“? თუ მსჯავრდებული ერთხელ დააზიანებს ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებას და მის ზიანს ანაზღაურებს კანონიერი წარმომადგენელი, ამის შემდეგ შეიძლება პრობაციის ბიუროს უფროსმა მიიღოს გადაწყვეტილება შინაპატიმრობის ადამიანური რესურსის გამოყენებით აღსრულების თაობაზე? რისკის საკითხი შეფასებითია და არავინ იცის, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი კიდევ როდის ან საერთოდ დააზიანებს თუ არა აპარატურას. ასეთი მსჯელობით, იქნებ თავიდანვეც არ ღირდეს ზოგიერთ მსჯავრდებულთან აღნიშნული წესით სასჯელის აღსრულება.

გარდა ამისა, არსებობს იმის რისკიც, რომ არასრულწლოვნებმა მართლაც ცადონ აპარატურის განზრახ დაზიანება, რათა მათი სასჯელის აღსრულება ელექტრონული მონიტორინგის გარეშე გაგრძელდეს. ბუნებრივია, სახლში პრობაციის ოფიცრის ვიზიტი თვეში მინიმუმ 6-ჯერ უფრო მარტივი იქნება მათთვის, ვიდრე, ელექტრონული სამაჯურის მუდმივად ტარება და უწყვეტ კონტროლში ყოფნა. ამით მსჯავრდებულები ერთგვარად თავს „დაიძვრენ“. გარდა ამისა, ამ ნორმაში მითითებაა „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44<sup>ბ</sup> მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესზე, რომელიც, ასევე, არასწორია, რადგან აღნიშნული პუნქტის შინაარსი ითვალისწინებს შინაპატიმრობის აღსრულებას ელექტრონული ზედამხედველობის გარეშე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგი ტექნიკურად შეუძლებელია.

#### **4.7.3. ელექტრონული ზედამხედველობის ტექნიკური მახასიათებლები**

##### **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში**

შინაპატიმრობა არის სრულიად ახალი სასჯელის სახე ქართულ საკანონმდებლო სივრცეში და ბუნებრივია, ინფორმაციული და ტექნიკური ხასიათის კითხვებიც

მრავლად არის მის აღსრულებასთან დაკავშირებით. თუ დანიშნული სასჯელი სათანადოდ არ აღსრულდა, ის ვერ მიაღწევს თავის მიზნებს. როგორც უკვე არა ერთხელ აღინიშნა, შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არის – ელექტრონული ზედამხედველობა.

ელექტრონული მონიტორინგის დროს დამნაშავეს ფეხზე, კოჭთან ან ხელზე, მაჯაზე უკეთდება დაახლოებით 2,5სმ სისქის შავი ფერის სამაგრი, რომელშიც ჩამონტაჟებულია 8x3სმ სიდიდის მქონე ნაცრისფერი „გული“.<sup>339</sup> წარსულშიც, ძირითადად, ასე იყო გავრცელებული.<sup>340</sup> ამჟამად, ტექნიკურად მისი დამაგრება შესაძლებელია ყელზეც.<sup>341</sup> სამაგრი გარეგნულად საათს წააგავს და იგი შეიცავს რამდენიმე ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელს, რომელსაც შეუძლია სამაგრის მოშორების ან გადაჭრის მცდელობის დადგენა. ამ კაბელების დაზიანების გარეშე, მოწყობილობის მოხსნა შეუძლებელია. მოწყობილობა „ფეთქავს“ ყოველ ნახევარ წუთში ერთხელ და მაკონტროლებელ ცენტრს აწვდის ინფორმაციას პირის ადგილმდებარეობის შესახებ. თითოეულ მოწყობილობას აქვს უნიკალური სერიული ნომერი და ასევე, მაკონტროლებელ ცენტრთან დამაკავშირებელი ნომერი, რომლითაც პირს შეუძლია ისარგებლოს საჭიროების შემთხვევაში. თუ პირს არ აქვს მობილური ტელეფონი, მაშინ მას უსასყიდლოდ გადაეცემა, რომლის საშუალებითაც მხოლოდ მაკონტროლებელ ცენტრთან დაკავშირებაა შესაძლებელი.<sup>342</sup> ასევე, შესაძლებელია, ცენტრთან

---

<sup>339</sup> G4S, UK, Available at: [http://www.g4s.uk.com/en-](http://www.g4s.uk.com/en-GB/What%20we%20do/Services/Care%20and%20justice%20services/Electronic%20monitoring/Tagging/)

[GB/What%20we%20do/Services/Care%20and%20justice%20services/Electronic%20monitoring/Tagging/](http://www.g4s.uk.com/en-GB/What%20we%20do/Services/Care%20and%20justice%20services/Electronic%20monitoring/Tagging/) [Last seen: 01.02.2021].

<sup>340</sup> Taylor F., Ariel B., “Protocol: Electronic Monitoring of Offenders: A Systematic Review of Its Effect on Recidivism in the Criminal Justice System“, Oslo, Norway, 2012, P. 2.

<sup>341</sup> Dahs, Im Banne der Elektronischen Fußfessel, NJW 1999, 3469 (3470); იხ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., „საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთ ქვეყნებში“, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 697.

<sup>342</sup> G4S, UK, Available at: [http://www.g4s.uk.com/en-](http://www.g4s.uk.com/en-GB/What%20we%20do/Services/Care%20and%20justice%20services/Electronic%20monitoring/Tagging/)

[GB/What%20we%20do/Services/Care%20and%20justice%20services/Electronic%20monitoring/Tagging/](http://www.g4s.uk.com/en-GB/What%20we%20do/Services/Care%20and%20justice%20services/Electronic%20monitoring/Tagging/) [Last seen: 01.02.2021].

დამაკავშირებელი ფუნქციაც მოწყობილობამ შეითავსოს.<sup>343</sup> მისი ტარება პირისთვის არ არის რაიმე პრობლემის შემქმნელი. მოწყობილობის ტარება შესაძლებელია ტანსაცმლის ქვეშ, მასთან ერთად ბანაობა და ა.შ.<sup>344</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენება მოწესრიგებულია „ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 31 დეკემბრის №178 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით. ამ წესის მიზანია, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართ, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების პერიოდში, ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების პროცედურებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრა. ბრძანების მეორე მუხლის მეორე პუნქტით, ისევე როგორც, „შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 28 დეკემბრის №146 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, სამაჯური, იგივე გადამცემი, როგორც წესი, დამაგრებულია მსჯავრდებულის ქვედა კიდურზე, ისე რომ დაზიანების გარეშე შეუძლებელია მისი მოშორება. თუ ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება სამაჯურის დამაგრება ფეხზე, მაშინ, სამაჯური არასრულწლოვანს უმაგრდება მაჯაზე. იგივე ბრძანებების იგივე მუხლები განსაზღვრავენ ზემოქმედებებს, რომელთა შემთხვევაშიც ელექტრონული ზედამხედველობის სისტემაში, შეტყობინების სახით, აისახება მიმღებსა და გადამცემ ელექტრონულ აპარატურაზე: 6 საათის განმავლობაში გადამცემის უმოქმედო მდგომარეობა; გადამცემზე ტემპერატურის ცვალებადობა; გადამცემის/მიმღების დაზიანება; მიმღების გადაადგილება; მიმღების ელექტროენერჯის წყაროდან გათიშვა; ორი გადამცემის ერთმანეთთან მიახლოება; და სხვა გარემოებები.

---

<sup>343</sup> Pitsch M., “State Budget Committee Rejects GPS Monitoring Expansion“, 2013, Available at:

[http://host.madison.com/news/local/govt-and-politics/state-budget-committee-rejects-gps-monitoring-expansion/article\\_17f6213e-5584-5d90-9e57-81b4f147a89b.html](http://host.madison.com/news/local/govt-and-politics/state-budget-committee-rejects-gps-monitoring-expansion/article_17f6213e-5584-5d90-9e57-81b4f147a89b.html) [Last seen: 01.02.2021].

<sup>344</sup> Serwer A., Beyond Bars, Journal “The American Prospect“, 2009, Available at:

<http://prospect.org/article/beyond-bars-0> [Last seen: 01.02.2021].



აქვე აღსანიშნავია, რომ „შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 28 დეკემბრის №146 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება არის „ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 31 დეკემბრის №178 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანების დუბლირება. ეს ორი ბრძანება თითქმის ერთი და იგივე შინაარსისაა. პირველი ბრძანება მიღებულია მას შემდეგ, რაც სსკ-ის სასჯელის სახით დაემატა შინაპატიმრობა, თუმცა, ეხება როგორც სრულწლოვნებს, ასევე არასრულწლოვნებს. ხოლო მეორე ბრძანება მიღებულია ამკ-ის მიღების შემდეგ და ეხება მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებს. „შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 28 დეკემბრის №146 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებას, რომელიც ყველა მსჯავრდებულს ეხება, მართებული იქნება, თუ ბრძანების გამოცემის საფუძველში დაემატება – ამკ, როგორც ეს მეორე ბრძანებაშია მოცემული. გარდა ამისა, სასურველია, რომ ეს ბრძანება ძალადაკარგულად აცხადებდეს „ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 31 დეკემბრის №178 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებას, რადგან ფაქტობრივად იდენტური შინაარსის ორი ბრძანების არსებობა, მართებული არ არის.

შინაპატიმრობის აღსრულებისთვის საჭირო აპარატურა საქართველოში განთავსებულია პრობაციის ეროვნულ სააგენტოში მდებარე ზედამხედველობის მართვის ცენტრში, რომელიც არის სათანადო წესით დაცული ოთახი. ზედამხედველობა ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში, 24 საათის განმავლობაში. ელექტრონულ მონიტორინგს სჭირდება ინფრასტრუქტურა, რაც გულისხმობს სერვერს, რომელზეც განთავსებულია სრული ინფორმაცია თითოეულ მოწყობილობაზე. მოწყობილობა მონტაჟდება პირის სახლში უფლებამოსილი პირის მიერ. აპარატურას აქვს მანძილის გაზომვის რამდენიმე რეჟიმი. მითითებული არის რადიუსი, რომელსაც არ უნდა გასცდეს კონკრეტულ დროს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი. რადიუსი ყველა შემთხვევაში სხვადასხვაა და დამოკიდებულია იმ ტერიტორიაზე, რომელიც

არის პირის საცხოვრებელი ადგილი. ეს ტერიტორია შესაძლოა მოიცავდეს სახლის გარდა ეზოს და ა.შ.

ელექტრონული სამაჯური მსუბუქი და კომფორტულია. ნებისმიერი სახის ზემოქმედება როგორც სამაჯურზე, ასევე, სახლში დამონტაჟებულ მოწყობილობაზე, მათი გამოძრავება, დავარდნა, გაფუჭება და ა.შ. აისახება პროგრამაზე. პროგრამული უზრუნველყოფა იძლევა საშუალებას სააგენტოში მიხვდნენ რა სახის ზემოქმედება მოხდა მოწყობილობაზე. საინტერესოა, იმ შემთხვევაში, თუ გაითიშა ელექტროენერგია, როგორ ხდება მსჯავრდებულის კონტროლი? ცენტრალური სერვერი დაცულია ისე, რომ მასზე ელექტროენერგიის გათიშვა არ მოქმედებს. რაც შეეხება ადგილზე დაცვის მექანიზმს, სამაჯურს იმდენად ნაკლები ელექტროენერგია სჭირდება და იმდენად ძლიერი ელემენტით არის აღჭურვილი, რომ 5 წლის განმავლობაში მუშაობს დენის წყაროს გარეშე, ხოლო სახლში დამონტაჟებული მოწყობილობა შეერთებულია დენის წყაროსთან, რომელიც მუშაობს 48 საათი მისგან გამორთვის შემდეგ. თუ ელექტროენერგიის მიწოდება ისე დაზიანდა, რომ დიდი ხნის განმავლობაში არ აღდგა, პრობაციის ოფიცერს შეუძლია დარეკოს იმ ტელეფონზე, რომელიც აპარატურას აქვს დამაგრებული. თუ ტექნიკური კავშირი ელექტროენერგიის გამო შეფერხდა, პრობაციის ბიუროს წარმომადგენელი ადგილზე ამოწმებს მოწყობილობას და თუ საჭიროება მოითხოვს შეცვლის ტექნოლოგიას. იმ შემთხვევაში, თუ გამოუვალ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, ვუბრუნდებით კანონის იმ დათქმას, რომლის მიხედვითაც, შინაპატიმრობის წესების დაცვის გაკონტროლება ხდება ადამიანური რესურსის გამოყენებით. კერძოდ, „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44<sup>8</sup> მე-8 პუნქტით, *„იქ, სადაც შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით კონტროლი ტექნიკურად შეუძლებელია, კონტროლი ხორციელდება მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე პრობაციის ოფიცრის გაუფრთხილებელი ვიზიტით თვეში არანაკლებ ექვსჯერ...“*. „შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 28 დეკემბრის №146 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებს მესამე მუხლის მესამე

პუნქტით, ოფიცრის პერიოდული საკონტროლო ვიზიტები გულისხმობს მსჯავრდებულთან შინაპატიმრობის მოქმედების საათებში, სასჯელის აღსრულების ადგილზე თვეში არანაკლებ ექვსი გაუფრთხილებელი ვიზიტის განხორციელებას.

„ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №178 ბრძანებით მესამე მუხლით, თუ სასჯელის აღსრულების ადგილას, ტექნიკურად შეუძლებელია ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით სასჯელის აღსრულება, ბიუროს უფროსი მიმართავს სააგენტოს უფროსს მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის აღსრულებისას ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებლობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, თუმცა, პროცედურული რეგულაციის გარეშე იყო დარჩენილი ისეთი შემთხვევები, როდესაც ტექნიკურად შეუძლებლობის გარდა, არსებობდა სხვა მიზეზები, რომელთა გამოც შეუძლებელი იყო ელექტრონული მონიტორინგის გამოყენება. კერძოდ, ამც და „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი შინაპატიმრობის დროს ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებლობის შესახებ გადაწყვეტილების უფლებამოსილებას სააგენტოს ანიჭებს, რომელსაც წარმოადგენს სააგენტოს უფროსი. ხოლო, ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად ვინ უნდა მიმართოს და რა ვადაში უნდა იქნას შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული ბრძანებით განსაზღვრული არ იყო. 2016 წლის 1 ნოემბრის ცვლილებით, „ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №178 ბრძანების მე-3 მუხლს დაემატა 6<sup>1</sup> ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, პრობაციის ბიუროს უფროსს მიენიჭა უფლებამოსილება, შესაბამისი დასაბუთებით, მიმართოს სააგენტოს უფროსს მსჯავრდებულის მიმართ შინაპატიმრობის აღსრულებისას ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებლობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. შესაბამის გადაწყვეტილებას სააგენტოს უფროსი მიიღებს მიმართვის მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს. ამ ჩანაწერით,

ბრძანებითაც პირდაპირ განისაზღვრა შინაპატიმრობის აღსრულების შესაძლებლობა ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების გარეშე, ასევე, გაიწერა აუცილებელი პროცედურული რეგულაციები.

კანონში არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც მსჯავრდებულს საპატიოდ ჩათვლება დადგენილი რეჟიმის დარღვევა. კერძოდ, „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონით 12<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, ეს შემთხვევებია: ჯანმრთელობის მდგომარეობა, ახლო ნათესავის ან მასთან მუდმივად მცხოვრები პირის გარდაცვალება, პროფესიული მივლინება, ფორსმაჟორული გარემოებები, ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება, სარეზერვო სამსახურში ყოფნის დრო და ა.შ. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, ყველა ამ შემთხვევას უნდა ადასტურებდეს ოფიციალური დოკუმენტი. ასევე, „ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №178 ბრძანების მეოთხე მუხლის პირველი პუნქტით, პრობაციის ოფიცერი უფლებამოსილია მსჯავრდებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის დასაბუთებული თხოვნის საფუძველზე, პრობაციის ბიუროს უფროსთან შეთანხმებით, მსჯავრდებულს დროებით მოხსნას სამაჯური ჯანმრთელობის მდგომარეობის, სამსახურებრივი ან პროფესიული, ან/და სპორტული, კულტურული ან საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული მივლინების დროს და ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდებისას, აგრეთვე, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილ საპროცესო მოქმედებებსა და სამართალდამცავი ორგანოების „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობის დროს, რასაც უნდა ადასტურებდეს შესაბამისი დოკუმენტი.<sup>345</sup> მისასაღმებელია ასეთი შეღავათების არსებობა, რაც კიდევ ერთხელ

<sup>345</sup> ასევე, იხ. მახარობლიძე თ., „შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში“, გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016, გვ. 289-291.

უსვამს ხაზს იმას, რომ არასრულწლოვანთა კანონმდებლობა კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის საუკეთესო ინტერესებზეა ორიენტირებული, თუმცა, ზოგიერთი მათგანი გაუგებარია. მაგ., ჩანაწერს ბუნდოვანებას სძენს „პროფესიული მივლინება“. საეჭვოა, არასრულწლოვანს მივლინება ჰქონდეს. რა ტიპის პროფესიულ საქმიანობას შეიძლება ეწეოდეს არასრულწლოვანი, რომ მივლინება ჰქონდეს? გარდა ამისა, საინტერესოა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ თუ შიგნით იგულისხმება მივლინება. მაგ., სსკ-ის 47<sup>1</sup> მე-7 ნაწილით, შინაპატიმრობის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს ეკრძალება საქართველოს საზღვრის გადაკვეთა, რაც არ წერია ამკ-ში, ამიტომ არასრულწლოვნის შემთხვევაში შეიძლება ორივე იგულისხმებოდეს. ამასთან, კრიტიკას იმსახურებს ეს ჩანაწერი სასჯელის აღსრულების კუთხით. მივლინების დროს, როდესაც კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს, მოვხსნით სამაჯურს, როგორ განხორციელდება მასზე კონტროლი? ქვეყნის ფარგლებს შიგნითაც, არათუ გარეთ, ამ სასჯელის აღსრულება, შეუძლებელი იქნება თუ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი ადგილსამყოფელს შეიცვლის. ეს მოითხოვს ძალიან დიდ რესურსს. ამასთან, სასჯელი კარგავს თავის არსს, რომელიც მდგომარეობს – შინ (სახლში) პატიმრობაში.

სათანადო ყურადღებას საჭიროებს საკითხი ელექტრონული მონიტორინგის ცდომილებისა და ტექნიკური დეფექტების შესახებ, რომლებიც, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებით, არც თუ ისე იშვიათია. ხშირად ხდება ამ მოწყობილობის დაზიანება და საჭიროებს შეცვლას, რამაც შეიძლება, ასევე, ხელი შეუშალოს სასჯელის სათანადოდ აღსრულებას. ამ ცდომილების გამო 2012 წლის აპრილში კალიფორნიის პენიტენციურმა სისტემამ 4000 ელექტრონული ბორკილი გამოცვალა.<sup>346</sup> მონიტორინგის სისტემის მწარმოებელი კომპანიის მტკიცების მიუხედავად, ბრიტანეთის პრობაციის სამსახურის 2012 წლის ანგარიშიდან იკვეთება, რომ დაფიქსირდა უამრავი ხარვეზი. კერძოდ, ანგარიშის თანახმად, მოწყობილობა მოიშალა რამდენიმე შემთხვევის დროს, მაგ.,

---

<sup>346</sup> Beckford M., "Half of Offenders with Electronic Tags Breach Curfews, Inspectors Claim", *The Telegraph*, 2012, Available at: <http://www.telegraph.co.uk/news/uknews/law-and-order/9330200/Half-of-offenders-with-electronic-tagsbreach-curfews-inspectors-claim.html> [Last seen: 01.02.2021].

ფეხბურთის თამაშის ან დაცემისას, მაკონტროლებელმა ცენტრმა რამდენჯერმე ვერ შეძლო დაედგინა პირის ადგილსამყოფელი გადამცემის ხარვეზის გამო და ა.შ.<sup>347</sup>

ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ ელექტრონული სამაჯურის მანიპულაცია შესაძლებელია სრულიად უბრალო ფოლგის ქაღალდით. თუ ამ ხელსაწყოს ფოლგის ქაღალდს შემოვახვევთ, პირის ადგილმდებარეობის დადგენა შეუძლებელი გახდება. ასევე, ცენტრალურ ოფისში არ მიდის ინფორმაცია ხელსაწყოზე არასასურველი ზემოქმედების შესახებ.<sup>348</sup> დადგენილია, რომ ელექტრონული სამაჯურის ცდომილება მრავალსართულიან სახლებში ხშირია, ისევე როგორც ცდომილება შესაძლებელია ადგილსამყოფელის განსაზღვრისას.<sup>349</sup> აქ იკვეთება კიდევ ერთი საკითხი. შეიძლება ელექტრონული მონიტორინგის მოწყობილობა ვერ განსაზღვრავდეს ზუსტად რადიუსს. კერძოდ, რადიუსის არეალში შეიძლება მოექცეს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ბინის გარდა სადარბაზო, მეზობელი საცხოვრებელი ბინები, ეზო ან მიმდებარე ტერიტორია და ა.შ., რაც, რა თქმა უნდა, ასევე, ამ მოწყობილობის ხარვეზია. ამ სასჯელის მთავარი არსია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს აქვს ერთ ადგილას ყოფნის ვალდებულება, რომელიც შეიძლება დაირღვეს და ამას არ მოჰყვება არანაირი რეაგირება, რადგან არ გახდეს ცნობილი შესაბამისი ორგანოსთვის.

იმ შემთხვევაში, თუ აღსრულება ხდება ხარვეზების გარეშე და მოწყობილობა ზუსტად განსაზღვრავს რადიუსს, სასურველია, კანონმდებლობაში ნათლად გაიწეროს თუ რა ჩაითვლება საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის ვალდებულების დარღვევად. კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ფარგლებში, არ არის მიზანშეწონილი,

---

<sup>347</sup> Beckford M., "Half of Offenders with Electronic Tags Breach Curfews, Inspectors Claim", *The Telegraph*, 2012, Available at: <http://www.telegraph.co.uk/news/uknews/law-and-order/9330200/Half-of-offenders-with-electronic-tagsbreach-curfews-inspectors-claim.html> [Last seen: 01.02.2021].

<sup>348</sup> მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., „შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე“, ქ. „სამართალი და მსოფლიო“, №2, თბილისი, 2015, გვ. 61.

<sup>349</sup> Beukelmann, *Elektronischen Fußfessel*, *NJW Spezial* 2011, S. 632; იხ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., „საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთ ქვეყნებში“, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 712.

ნებისმიერი მცირე გადაცდომა დარღვევად იქნეს მიჩნეული. მაგ., მსჯავრდებულის რამდენიმე წუთიანი რადიუსის ფარგლების გაცდენა, როცა აღნიშნულს ახლავს სათანადო მიზეზი ან გადაუდებელი საჭიროება.<sup>350</sup> საჭიროების გარდა, ეს შეიძლება, ასევე, იყოს არასრულწლოვნის წამიერი დაუფიქრებელი ქმედება, რომელიც სხვადასხვა ფაქტორის გავლენით ჩაიდინა. არასრულწლოვნობის დროს მიმდინარეობს ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური დიფერენციაციის პროცესი. მათ ახასიათებთ ემოციურობა, დეპრესიული მდგომარეობა. ბევრი არასრულწლოვანი საკუთარი მომავლის განჭვრეტისას მხედველობაში იღებს მხოლოდ სასურველი შედეგის მიღწევას და არა მისი მოპოვების საშუალებებსა და გზებს, იმ შესაძლებლობებს, რომლებიც საბოლოო შედეგის დამკვიდრებისთვისაა აუცილებელი.<sup>351</sup> არასრულწლოვანს ამ პერიოდში შეემჩნევა ხშირი უხასიათობა, ხასიათის უცაბედი და უმიზეზო გაუარესება ან პირიქით, სურვილთა მრავალფეროვნება, ზედმეტი ემოციურობა, საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება, გულმავიწყობა, წინდაუხედაობა, მოზღვავებული ენერჯია.<sup>352</sup> არასრულწლოვანთა მოქმედების ფარგლები, ზრდასრულ ადამიანებთან შედარებით, ვიწროა, ცხოვრების გამოცდილება მეტად ღარიბია. სამაგიეროდ, მდიდარია მათი მისწრაფებები. მათი ხასიათი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, ამიტომ მათ მიერ გარკვეული მიზნების განხორციელებისაკენ მიმართული აქტივობები გაფანტული და არათანმიმდევრულია.<sup>353</sup> არასრულწლოვნებზე, ასევე, ხშირია მათზე უფროსი ადამიანების ან თუნდაც თანატოლების გავლენის შანსი. ეს გავლენა შეიძლება იყოს როგორც ერთჯერადი, ისე მრავალჯერადი, რომელიც განსაზღვრავს

---

<sup>350</sup> იბ., ასევე, *Dodgson K., Goodwin Ph., Howard Ph., Llewellyn-Thomas S., Mortimer E., Russell N., Weiner M., Electronic Monitoring of Released Prisoners: An Evaluation of the Home Detention Curfew Scheme, Home Office Research, Development and Statistics Directorate, 2001, P. 13.*

<sup>351</sup> *ქარუმიძე ვ., დარგალი ე., არასრულწლოვანი, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება, თბილისი, 1998, გვ. 16.*

<sup>352</sup> *შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია – მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011, გვ. 37-38.*

<sup>353</sup> *როგავა ნ., გობეჩია ფ., არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხები, თბილისი, 1980, გვ. 3.*

არასრულწლოვნის ქცევას. ყველა პიროვნებას არ შეუძლია ერთნაირად აკონტროლოს თავი შექმნილ სიტუაციაში და შესაძლებელია მისი ქცევა გარშემომყოფ პირთა ქცევამ ან სიტყვამ განსაზღვროს.<sup>354</sup> არასრულწლოვანების ასაკში ადამიანი ჯერ კიდევ არ არის სრულად ჩამოყალიბებული, მასზე ადვილია ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა. ასაკიდან გამომდინარე, შეიძლება არ ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა ქმედების საშიშროებაზე.<sup>355</sup> აღნიშნული ფაქტები სათანადოდ უნდა იქნეს შესწავლილი და შეფასებული. შედეგად კი, მცირე ზომის დარღვევა არ უნდა იყოს სამართლებრივი შედეგის მომტანი.<sup>356</sup>

---

<sup>354</sup> დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 223.

<sup>355</sup> გოთუა ზ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბილისი, 2001, გვ. 40.

<sup>356</sup> მახარობლიძე თ., „ელექტრონული ზედამხედველობა, როგორც შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი იუვენალურ იუსტიციაში“, მაია ივანიძე – 50, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2017, გვ. 52.



## 5. საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, როგორც სასჯელის სახე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

ამკ-ის კიდეც ერთი ალტერნატიული სასჯელის სახეა – საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. კოდექსის 70-ე მუხლით, არასრულწლოვანს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ენიშნება 1-დან 3 წლამდე ვადით. სსკ-ის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ძირითად სასჯელის სახედ ინიშნება 1-დან 5 წლამდე ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად – 6 თვიდან 3 წლამდე ვადით, მაშინ, როდესაც, ამკ-ით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შესაძლებელია დაინიშნოს როგორც ძირითად, ასევე, დამატებით სასჯელადაც ერთი და იმავე ვადით, რაც არ არის მართებული. გარდა ამისა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სრულწლოვნისთვის დამატებით სასჯელად დანიშვნის შემთხვევაში, სასჯელის მინიმალური ზომა უფრო ნაკლებია, ვიდრე არასრულწლოვნის შემთხვევაში, რაც ეწინააღმდეგება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგად პრინციპს. კანონმდებლობით არასრულწლოვნისთვის ყოველთვის უფრო მსუბუქი ზომა უნდა იყოს გათვალისწინებული, ვიდრე სრულწლოვნისთვის.

ამასთანავე, ძნელი წარმოსადგენია რამდენად ხშირად შეიძლება იყოს გამოყენებული აღნიშნული სასჯელის სახე არასრულწლოვანთა მიმართ,<sup>357</sup> რადგან,

---

<sup>357</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2016-2020 წლებში, არც ერთი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართ (ამ წლებში სასამართლოში მსჯავრი დაედო 519 არასრულწლოვანს) არ გამოყენებულა საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი №1-0412/1296-1297, 26.01.2021; ასევე, რუსთავის საქალაქო სასამართლოში, იგივე წლებში, არც ერთი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართ (ამ წლებში სასამართლოში მსჯავრი დაედო 34 არასრულწლოვანს) არ გამოყენებულა საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; რუსთავის საქალაქო სასამართლოს წერილი №12/გ, 18.01.2021; იგივე სტატისტიკაა ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ამ წლებში სასამართლოში მსჯავრი დაედო 97 არასრულწლოვანს); ბათუმის საქალაქო სასამართლოს წერილი №16გ/ვ, 22.01.2021; ასევე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ამ წლებში სასამართლოში მსჯავრი დაედო 85 არასრულწლოვანს); ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წერილი №648-2, 28.01.2021; ასევე, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (ამ წლებში სასამართლოში მსჯავრი დაედო 35 არასრულწლოვანს); ზუგდიდის რაიონული სასამართლოს წერილი №12, 20.01.2021; ასევე, გორის რაიონულ სასამართლოში (ამ წლებში

როგორც წესი, აღნიშნულ კატეგორიაში ჭარბობს ისეთი დანაშაულები, რომელთა ჩადენა რაიმე სფეროში პროფესიონალიზმსა და განსაკუთრებულ უნარს არ მოითხოვს.<sup>358</sup> ასევე, დასაფიქრებელია, რამდენად ეფექტური სასჯელია საქმიანობის უფლების ჩამორთმევა კანონთან კონფლიქტში მყოფი პირისთვის. სასჯელის ამ სახის გამოყენებამ შეიძლება მძიმე მატერიალური მდგომარეობის წინაშე დააყენოს არასრულწლოვანი. ის მცირედი, ელემენტარული შემოსავალიც გაუქროს, რაზეც შეიძლება დამოკიდებული იყოს მისი ნორმალური ცხოვრება და განვითარება.

ალტერნატიული სასჯელების მთავარი უპირატესობა არის ის, რომ არასრულწლოვანი არ მოხვდეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, რათა ხელი არ შეეშალოს მის ჩვეულ, ნორმალურ ცხოვრებას, მათ შორის, მუშაობასა და სწავლას. დღეს საქართველოში დასაქმების პრობლემა ძალიან მწვავე თემაა, მით უმეტეს, არასრულწლოვნების შემთხვევაში. საქმიანობის უფლების ჩამორთმევა არ არის ისეთი სასჯელი, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის სასჯელის მიზნების აღსრულებას შეუწყობს ხელს. „სასჯელის მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევასაკენ მიისწრაფვის სახელმწიფო თავის მიერ დადგენილი იძულებით ღონისძიებათა გამოყენების მეშვეობით“.<sup>359</sup> როგორ მოხდება ამ სასჯელით არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია? ან ახალი დანაშაულის თავიდან აცილება? თუ პირი დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა, ეს ხომ ისედაც აკრძალული აქვს ამ სასჯელის შეფარდების გარეშე. დასაქმება და შრომა კი, პირიქით, ხელს უწყობს სასჯელის მიზნების შესრულებას. შესაბამისად, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, არასრულწლოვანთან მიმართებით, არ არის სასჯელის მიზნებზე ორიენტირებული სასჯელის სახე. აქედან გამომდინარე, უმჯობესია, ამოღებულ იქნეს ამკ-დან.

---

სასამართლოში მსჯავრი დაედო 7 არასრულწლოვანს); გორის რაიონული სასამართლოს წერილი №გ/გ-205, 27.01.2021.

<sup>358</sup> ასევე, იხ. დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 215.

<sup>359</sup> ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(43), თბილისი, 2011, გვ. 23.

## 6. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, როგორც სასჯელის სახე

### არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

ალტერნატიული სასჯელის სახეებიდან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სასჯელის სახეს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს მსჯავრდებულის მიერ, ბიუჯეტისა და საზოგადოების სასარგებლოდ, სხვადასხვა სამუშაოს შესრულებას. ასევე, მას უწოდებენ – „აუნაზღაურებელ შრომას საზოგადოების სახელით“.<sup>360</sup>

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ყველაზე ნოვატორული სასჯელია, რომელიც კანონმდებელმა XX საუკუნეში შექმნა. ბრალდებული ვალდებულია განსაზღვრული საათების განმავლობაში უსასყიდლოდ იმუშაოს საზოგადოების სასარგებლოდ. სასჯელის იდეა არის ის, რომ, ამ მუშაობით, მსჯავრდებულმა საზოგადოებას აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, მეორე მხრივ კი, უზრუნველყოფილი იყოს მისი რესოციალიზაცია. ამკ-ის 71-ე მუხლი ითვალისწინებს – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას.

### 6.1. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ზომა არასრულწლოვანთა

#### მართლმსაჯულებაში

ამკ-ის 71-ე მუხლის პირველი ნაწილით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს ენიშნება 40-დან 300 საათამდე ვადით. ამკ-ის ამოქმედებამდე, სსკ-ში მოქმედი ეს ნორმა, აღნიშნული სასჯელის დანიშვნას ითვალისწინებდა 40-დან 320 საათამდე. მისასალმებელია, რომ ახალ კოდექსში სასჯელის ზომის მაქსიმუმი შემცირდა, თუმცა, მცირედით, რაც არ არის საკმარისი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტით, სრულწლოვნების შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის საათებია 40-დან 400

<sup>360</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (99) 22 ციხის გადატვირთულობის და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე, (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1999 წლის 30 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების 681-ე შეხვედრაზე), მუხლი 15.

საათამდე,<sup>361</sup> რაც ძალიან მიახლოებულია ამ სასჯელის არასრულწლოვნისათვის დადგენილ ზომასთან. ესეც ცხადყოფს, რომ, სასურველია, სასჯელის ზომის მაქსიმუმი კიდევ შემცირდეს. აღსანიშნავია, რომ სლოვაკეთში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 40-დან 300 საათამდე ენიშნებათ სრულწლოვან მსჯავრდებულებს,<sup>362</sup> რაც, ასევე, მოწმობს, რომ არასრულწლოვნებისთვის იგივე ზომა არ უნდა იყოს დადგენილი.

ამასთან, ამკ-ის 71-ე მუხლის პირველი ნაწილით, ყოველდღიურად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. ამკ-ის მიღებამდე არსებული სსკ-ის რედაქცია ითვალისწინებდა ამ სასჯელის ვადას თხუთმეტ წლამდე არასრულწლოვნისთვის არა უმეტეს დღეში 4 საათს, ხოლო თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნისთვის – დღეში 6 საათს. ამ მხრივაც ლიბერალიზაციას ვხვდებით, რაც, ასევე, დადებითი კუთხით უნდა აღინიშნოს.

## 6.2. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

ამკ-ის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილით, არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება არასრულწლოვნის პიროვნულ განვითარებას, განათლებას და ამ მხრივ, ქართული იუვენალური იუსტიცია წინ წავიდა. შინაპატიმრობის მსგავსად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შემთხვევაშიც, კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის განათლებაზე და მუშაობაზე, რაც, კვლავ, დადებით შეფასებას იმსახურებს.

<sup>361</sup> იხ. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, 30.06.2014, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2383542?publication=0> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021].

<sup>362</sup> Tobiasova L., *Development and Construction of the European Legal System, Alternative Penalties, Bratislava, 2007, P. 271*; იხ. ივანიძე მ., „ალტერნატიული სასჯელები“, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 355.

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილით, თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის ან მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო მეტი ვადითაც დაინიშნოს. დამატებით სასჯელად კი, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო ნაკლები ვადითაც დაინიშნოს. არ არის მართებული აღნიშნული ნორმა. ამ შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია, კანონის განსაზღვრულობის პრინციპი. „კანონმდებელი ვალდებულია, თვითონ მიიღოს პრინციპული გადაწყვეტილებები სავარაუდო სამართლებრივი შედეგების სახესა და მასშტაბთან დაკავშირებით და მოსამართლეს შეძლებისდაგვარად მკაფიოდ მიუთითოს ზღვარი, რომლის ფარგლებშიც იგი იმოქმედებს“.<sup>363</sup> მან შესაძლებელი უნდა გახადოს მოქალაქისათვის მისთვის მოსალოდნელი სასჯელის განჭვრეტა, რის გარანტიასაც აღნიშნული დანაწესი ნამდვილად არ იძლევა.

ამასთან, არ არის სწორი 300 საათზე მეტი დროით აღნიშნული სასჯელის შეფარდება. რამდენით მეტი შეიძლება იყოს ეს? ეს, მოსალოდნელია, იყოს იმ ზომითაც ან კიდევ უფრო მეტითაც, რაც სრულწლოვნების შემთხვევაში არის კანონმდებლობით გათვალისწინებული. ასეთი რამ კი, რა თქმა უნდა, ვერ იქნება მართებული.<sup>364</sup>

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესები შეუთავსებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების დროს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან.<sup>365</sup> კანონმდებელი ცდილობს, რომ საპროცესო შეთანხმებას მიაბას სასჯელის ზომის დანიშვნა, რაც არ არის მიზანშეწონილი. სასჯელის სახისა და ზომის დანიშვნა მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა.

---

<sup>363</sup> შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, გვ. 374.

<sup>364</sup> ასევე, იხ. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 144.

<sup>365</sup> შალიკაშვილი მ., „შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან დაკავშირებით“, ქ. „კრიმინოლოგიის ჟურნალი“, №1, 2016, გვ. 79.

აღნიშნული ნორმა კი ზღუდავს მოსამართლის უფლებამოსილებას. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტით ხდება არასრულწლოვანთან სასჯელზე „ვაჭრობის“ მცდელობა, რაც ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს. სახელმწიფო, ასეთ შემთხვევაში, ცდილობს კონფლიქტის სწრაფ მოგვარებას და პრიორიტეტს არ ანიჭებს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის საუკეთესო ინტერესებს. არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესები კი, მისთვის ისეთი ხასიათის სანქციის დაწესებაა, რაც მის აღზრდას, რესოციალიზაციას უზრუნველყოფს.

გერმანიაში, არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში, სრულწლოვანთა სისხლის სამართლისგან განსხვავებით, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გამოყენება დაუშვებელია. გერმანიის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ ითვალისწინებს საპროცესო შეთანხმების საკანონმდებლო რეგულირებას. აღნიშნული ინსტიტუტი არასრულწლოვანთა სისხლის სამართლისთვის უცხო სხეულად განიხილება.<sup>366</sup> კანონის განსაზღვრულობის პრინციპი უზრუნველყოფს სამართლებრივ სტაბილურობას, შესაბამისად, რომც იყოს რამეზე მიბმული სასჯელის ვადა, რა ფარგლებში იქნება, ეს მაინც აუცილებელად კონკრეტულად უნდა იყოს გაწერილი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი არ უნდა იქნეს გამოყენებული.

ასევე, აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ ენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე, გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს. რადგან სასჯელები დარეგულირებულია ამკ-ით შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი არ ვრცელდება არასრულწლოვნებზე. *„არასრულწლოვანი პირები, სულ მცირე, უნდა სარგებლობდნენ*

---

<sup>366</sup> *Streng F., Jugendstrafrecht, 4 Aufl., Heidelberg, 2016, 121-122, §7 VII Rn. 241; Ostendorf H., Drenkhahn K., Jugendstrafrecht, 9 Aufl., Baden-Baden, 2017, 64, II 5, Rn. 57; იხ. ცეიტიშვილი თ., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მატერიალურსისხლისსამართლებრივი საკითხების რეგულირების ცალკეული ასპექტები“, ჟ. „სამართლის ჟურნალი“, №1, თბილისი, 2019, გვ. 192.*

იმვე გარანტიებითა და დაცვით, როგორც სრულწლოვანი პირებისთვისაა“.<sup>367</sup> სსკ-ის ამ დათქმით კი, საქმე გვაქვს კვლავ არასრულწლოვანთა შედარებით, სრულწლოვნის უკეთეს მდგომარეობაში ჩაყენებასთან, რაც ეწინააღმდეგება იუვენალური იუსტიციის ზოგად მიდგომას. აღნიშნულ „შეღვათს“, რიგ შემთხვევებში, აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ამკ-იც.<sup>368</sup>

---

<sup>367</sup> UN Human Rights Committee (HRC), CCPR General Comment No. 13: Article 14 (Administration of Justice), Equality before the Courts and the Right to a Fair and Public Hearing by an Independent Court Established by Law, 13 April 1984, Article 4.

<sup>368</sup> ზოგადად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების პრაქტიკა საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაში ძალიან დაბალია. თბილისის საქალაქო სასამართლოში – 2016 წელს, 71 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირიდან – 1 პირს შეეფარდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; 2017 წელს, 99 პირიდან – 3 პირს; 2018 წელს, 84 პირიდან – 4 პირს; 2019 წელს, 151 პირიდან – 7 პირს; 2020 წელს, 114 პირიდან – 1 პირს; თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი №1-0412/1296-1297, 26.01.2021; რუსთავის საქალაქო სასამართლოში – 2016 წელს, 5 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირიდან – 1 პირს შეეფარდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; 2017 წელს, 12 პირიდან – 1 პირს; 2018 წელს, 3 პირიდან – 1 პირს; 2019 წელს, 11 პირიდან – 1 პირს; 2020 წელს, 3 პირიდან – 2 პირს; რუსთავის საქალაქო სასამართლოს წერილი №12/გ, 18.01.2021; ბათუმის საქალაქო სასამართლოში, იგივე წლებში, 97 არასრულწლოვანს დაედო მსჯავრი, მათ შორის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეეფარდა 2017 წელს – 1 პირს, ხოლო, 2019 წელს – ასევე, 1 პირს; ბათუმის საქალაქო სასამართლოს წერილი №16გ/კ, 22.01.2021; ქუთაისის საქალაქო სასამართლოში – 2016 წელს, 7 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირიდან – 1 პირს შეეფარდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; 2017 წელს, 9 პირიდან – 1 პირს; 2018 წელს, 26 პირიდან – 3 პირს; 2019 წელს, 24 პირიდან – 2 პირს; 2020 წელს, 18 პირიდან – 2 პირს; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წერილი №648-2, 28.01.2021; ზუგდიდის რაიონურ სასამართლოში, 35 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირიდან, 2017 წელს – 1 პირს, 2018 წელს – 2 პირს; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს წერილი №12, 20.01.2021; გორის რაიონურ სასამართლოში, 2016-2020 წლებში, 7 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირიდან – 2017 წელს – 1 პირს, ხოლო 2019 წელს, ასევე, 1 პირს შეეფარდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; გორის რაიონული სასამართლოს წერილი №გ/ფ-205, 27.01.2021.

### 6.3. საზოგადოებისათვის სასარგებლოს შრომის აღსრულება არასრულწლოვანთა

#### მართლმსაჯულებაში

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება იყოს: ტყის გაწმენდა ფიჩხისა და ბუჩქნარისგან, სკვერში სკამების მოწესრიგება, სახლების შეღებვა, უსინათლოების დახმარება, საავადმყოფოში მუშაობა<sup>369</sup> და ა.შ. ამკ-ის 71-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას, სასურველია, არასრულწლოვანი მსჯავრდებული სამუშაოდ ისეთ ადგილას გამწესდეს, სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისთვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს. კანონმდებელი ამ ფაქტორებს სასურველად მიიჩნევს და არა სავალდებულოდ, რაც არ არის მართებული და პირდაპირ ეწინააღმდეგება სასჯელის ერთ-ერთ მიზანს – რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, როდესაც მას არასრულწლოვნები ასრულებენ, უნდა ითვალისწინებდეს კონსტრუქციულ და საინტერესო საქმიანობას, მაგ., ისეთს, რომელიც ბავშვს საშუალებას მისცემს დაეუფლოს რაიმე უნარს და აგრძნობინებს, რომ სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას. სავარაუდოდ, უფრო შედეგიანი იქნება აღნიშნული სასჯელის აღსრულებაში სწავლების ელემენტების ჩართვა. ზოგიერთი ქვეყნის საკანონმდებლო სივრცეში საზოგადოების სასარგებლოდ შესრულებული შრომა განიხილება მსხვერპლთან ან საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად და ამ შემთხვევაში, ის შეიძლება კონკრეტულად ეხებოდეს დანაშაულის არსს. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, დანაშაულის ეფექტიანი მართვისათვის უნდა დაიგეგმოს ყურადღებით, რათა დააკმაყოფილოს არასრულწლოვნის საჭიროებები.

ამ სასჯელის აღსრულებისას ხდება საზოგადოების ჩაბმა მართლმსაჯულების განხორციელებაში, რამაც შეიძლება განსაზღვროს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მომავალი. კერძოდ, სასჯელის მოხდის დროს გამოიკვეთოს ინტერესები, შეისწავლოს საქმე და მომავალში საქმიანობა გააგრძელოს თუნდაც იმავე ადგილას, სადაც სასჯელს

<sup>369</sup> პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 477.



იხდოდა. „თუ ჩვენ ახალგაზრდებს მივცემთ იმ უნარ-ჩვევებს, რაც მათი ცხოვრების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს, ჩავრთავთ მათ ადგილობრივი თემების გაუმჯობესების საქმეში, ჩვენ ამით ინვესტირებას ვახდენთ იმ საზოგადოების გაძლიერებაში, რომლის წევრებიც ეს ახალგაზრდები არიან“.<sup>370</sup> „საზოგადოებრივი სანქციები და ზომები უნდა აღსრულდეს იმგვარად, რომ მათ მნიშვნელობა ჰქონდეთ არასრულწლოვანთათვის და ხელი შეუწყონ მათ აღზრდასა და განვითარებას და მათი სოციალური უნარ-ჩვევების ამაღლებას“.<sup>371</sup> აუცილებელია, არასრულწლოვანი სამუშაოდ ისეთ ადგილზე გამწესდეს, სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკაში ყურადღება უნდა გამახვილდეს პრევენციულ სტრატეგიაზე, რაც ხელს შეუწყობს ყველა ბავშვის წარმატებულ სოციალიზაციასა და ინტეგრაციას, განსაკუთრებით ოჯახის, თემის, თანატოლთა ჯგუფების, სკოლების, პროფესიული განათლებისა და სამუშაოს მეშვეობით.<sup>372</sup> „არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის პრევენცია საზოგადოებაში დანაშაულის აღკვეთის უმნიშვნელოვანესი ასპექტია. კანონიერ, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში ჩართვით და საზოგადოებისა და ცხოვრების მიმართ ჰუმანური შეხედულებების ჩამოყალიბებით ახალგაზრდობამ შეიძლება გამოიმუშავოს

---

<sup>370</sup> ლეიკი ე., ბავშვთა უფლებები განათლებაში და განათლებისათვის, საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის, თბილისი, 2015, გვ. 108.

<sup>371</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2008) 11 წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2008 წლის 5 ნოემბერს მინისტრების მოადგილეთა 1040-ე შეხვედრაზე), მუხლი 31(1).

<sup>372</sup> United Nations General Assembly, Human Rights Council, Joint Report of the Office of the High Commissioner for Human Rights, the United Nations Office on Drugs and Crime and the Special Representative of the Secretary-general on Violence against Children on Prevention of and Responses to Violence against Children within the Juvenile Justice System, 27 June 2012, P. 5, 16.

არაკრიმინოგენული დამოკიდებულებები“.<sup>373</sup> „არასრულწლოვანთა დამნაშავეობის ეფექტიანი პრევენციის მიზნით, აუცილებელია, მთელი საზოგადოების ძალისხმევა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოზარდთა ჰარმონიული აღზრდა, ადრეული ბავშვობის ასაკიდანვე მათი პიროვნების პატივისცემით და განვითარების ხელშეწყობით“.<sup>374</sup> საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ყოველივე ზემოხსენებულის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა, თუ სწორად იქნა შერჩეული მისი აღსრულების ადგილი.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაშიც კი, „სასარგებლო ხელობის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეთ იმ არასრულწლოვან პატიმრებს, რომლებიც საამისოდ დიდ მონდომებას და უნარს ამჟღავნებენ“.<sup>375</sup> ზუსტად იგივე უნდა მოხდეს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების დროსაც. სასარგებლო ხელობაში სწორედ ის საქმიანობა იგულისხმება, რომელიც მომავალში გამოადგება არასრულწლოვანს და დასაქმების შესაძლებლობას მისცემს. კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებს მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი, რათა სასჯელის მოხდის შემდეგ წარმატებით შეძლონ ცხოვრების გაგრძელება.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ადგილი, პირველ რიგში, ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ ასეთმა შრომამ არასრულწლოვანზე ნეგატიური გავლენა არ მოახდინოს და აღმზრდელობითი ხასიათის მატარებელი იყოს. მას არ უნდა ჰქონდეს

---

<sup>373</sup> *United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency (The Riyadh Guidelines), Adopted and Proclaimed by General Assembly Resolution 45/112 of 14 December 1990, Principle 1.*

<sup>374</sup> იქვე, *Principle 2.*

<sup>375</sup> პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მიღებულია 1955 წელს ჟენევაში გამართულ გაეროს პირველ კონგრესზე, რომელიც ეძღვნებოდა დანაშაულის პრევენციას და სამართალდამრღვევებთან მოპყრობას, დამტკიცებულ იქნა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციით და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციით), წესი 71(5).

დამამცირებელი (მასტიგმატიზებული) ხასიათი.<sup>376</sup> „შეფარდებული სანქციები და ზომები არ უნდა იყოს არასრულწლოვნებისათვის შეურაცხყოფელი ან დამამცირებელი“.<sup>377</sup> შრომა არასრულწლოვნის დადებითი მხარეების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, თუ იგი არ ემსგავსება არაადამიანურ, მონურ შრომას.

„მსჯავრდებულს უნდა ჰკითხონ თუ რა სახის სამუშაოს შესრულება შეუძლია“.<sup>378</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის შემთხვევაში, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მის შრომით უნარ-ჩვევებსა და მიდრეკილებებს, რათა სასჯელის აღსრულების პროცესში არასრულწლოვანმა მაქსიმალურად გააცნობიეროს ჩადენილი დანაშაულის სოციალური არსი.<sup>379</sup> არასრულწლოვნის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულების პირობები უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილ ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტებს.<sup>380</sup> ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების ზომები სათანადოდ უნდა იცავდეს დამნაშავეებს, მათ მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულებისას. ასეთი ზომები არ უნდა იყოს

---

<sup>376</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010) 1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 20 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 1075-ე სხდომაზე), მუხლი 47.

<sup>377</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2008) 11 წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2008 წლის 5 ნოემბერს მინისტრების მოადგილეთა 1040-ე შეხვედრაზე), მუხლი 7.

<sup>378</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010) 1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 20 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 1075-ე სხდომაზე), მუხლი 52.

<sup>379</sup> დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 216-217.

<sup>380</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2008) 11 წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2008 წლის 5 ნოემბერს მინისტრების მოადგილეთა 1040-ე შეხვედრაზე), მუხლი 36.1.

იმაზე ნაკლები, ვიდრე ჩვეულებრივი მუშაკებისთვის დადგენილი სტანდარტები.<sup>381</sup> ამასთან დაკავშირებით, ქართულ საკანონმდებლო სივრცეში არსებობს ორი ბრძანება – საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 17 ივნისის №17 ბრძანება „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომამისჯილისათვის კვების ხარჯების დანიშვნის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე“ და ამავე მინისტრის 2012 წლის 29 თებერვლის №31 ბრძანება „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომამისჯილის სათანადო სახის დაზღვევით უზრუნველყოფის წესისა და პირობების დადგენის თაობაზე“, რომლებიც არეგულირებენ აღნიშნულ საკითხებს, თუმცა, არასაკმარისად. ბევრი საკითხი მაინც ღიად არის დარჩენილი და ამით სარგებლობენ დამსაქმებლები, რომელთათვის იაფი მუშახელი ყოველთვის ხელსაყრელია. „არავინ უნდა აღიჭურვოს უფლებით იმ ღონისძიებების განსახორციელებლად, რაც ზიანის მიაყენებს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას“.<sup>382</sup>

მართალია, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, თუ სწორად იქნება აღსრულების ადგილი შერჩეული, ხელს უწყობს არასრულწლოვნის მშრომელ პიროვნებად ჩამოყალიბებას, მისი სამუშაო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, თუმცა, ზოგიერთ არასრულწლოვანთან მიმართებით არც ისე მარტივადაა საქმე. გარკვეული კატეგორიის მსჯავრდებულებისთვის რთულია ამ სასჯელის მოხდა. ძირითადად ამის მიზეზი არის – მენტალობა. მათ ეთაკილებათ, ზოგადად, მუშაობა ან ისეთ ადგილას მუშაობა, რომელიც მათი „შესაფერისი“ არ არის. ამან შეიძლება არასრულწლოვანს უარყოფითი შედეგები მოუტანოს. კერძოდ, ფსიქოლოგიური სტრესი, სირცხვილის შეგრძნება, რამაც შეიძლება გააბოროტოს მსჯავრდებული, გაუჩინოს აგრესია, პროტესტისა და უსამართლობის გრძნობა და კიდევ უბიძგოს დანაშაულის ჩადენისკენ. ეს სასჯელი შეიძლება იქცეს ე.წ. „შემარცხვენელ სასჯელად“. ეს განსაკუთრებით

---

<sup>381</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010) 1 წვერი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 20 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 1075-ე სხდომაზე), მუხლი 50.

<sup>382</sup> NEULINGER AND SHURUK v. SWITZERLAND, ECHR, (Application no. [41615/07](#)), 6 July 2010.

იმოქმედებს იმ არასრულწლოვნებზე, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ საზოგადოებასთან და ზრუნავენ საკუთარ სოციალურ სტატუსზე. შესაბამისად, აღნიშნული სასჯელის აღსრულების ადგილის შერჩევასაც ესეც გასათვალისწინებელია.

აშშ-ის სისხლის სამართალში, ალტერნატიული სასჯელის არსის განხილვისას, თეორიულად იკვლევენ საკითხს ე.წ. „შემარცხვნილი სასჯელების“ ბუნების, მისი დადებითი და უარყოფითი ფაქტორების შესახებ. პრაქტიკულად კი, სხვადასხვა შტატი ახორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სხვადასხვა პროექტს, რათა დაეხმარონ კანონმდებელს სისტემის რეფორმირებაში, რომელიც იუვენალური იუსტიციის ფოკუსირების გადატანას ახდენს დასჯიდან რეაბილიტაციაზე.<sup>383</sup> არასრულწლოვანი იმისთვის, რომ თანატოლებში დაიმკვიდროს ადგილი ან არ დაკარგოს პატივისცემა, ხშირად მათთვის მოსაწონ ქცევებს ახორციელებს.<sup>384</sup> ამ სასჯელიდან გამომდინარე ქცევა კი, ზოგ შემთხვევაში, არასრულწლოვნებისთვის მოსაწონი და სასურველი არ არის. შესაბამისად, მსჯავრდებულმა შეიძლება ვერ დაიმკვიდროს თავი ან დაკარგოს პატივისცემა, რაც ძალიან ცუდად აისახება მის ფსიქიკაზე. სასურველია, ამ სასჯელის აღსრულების ადგილის შერჩევაზე კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის აზრი გათვალისწინებული იყოს, უფრო მეტიც, მისი თანხმობაც კი იყოს სავალდებულო. არასრულწლოვნები განსხვავებული კატეგორიაა სრულწლოვნებთან შედარებით, შესაბამისად, იძულების შემთხვევაში მათი სტრესი გარდაუვალია, რაც ცუდად აისახება მათ ფსიქიკურ მდგომარეობაზე, რომელიც ისედაც არამდგრადია.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ორეგონის შტატში ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა უფრო იაფია, ვიდრე პატიმრობა. ასევე, ამ სასჯელმა რეციდივის უფრო დაბალი დონე აჩვენა, ვიდრე

---

<sup>383</sup> ხერხულიძე ი., „პრობაციის ინსტიტუტი – არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014, გვ. 179.

<sup>384</sup> დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 222.

თავისუფლების აღკვეთამ.<sup>385</sup> ზოგადად, „სახელმწიფოს სასჯელი ძვირი უჯდება“.<sup>386</sup> ეკონომიკურად სუსტი ქვეყნებისთვის, ისიც ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია, რომ სასჯელის აღსრულება ნაკლებ ეკონომიკურ დანახარჯებთან იყოს დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური დანახარჯების საკითხი უმნიშვნელო ნამდვილად არ არის არც ერთი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით, ეკონომიკურად სუსტი ქვეყნებისთვის, პრიორიტეტული მაინც ის უნდა იყოს, რომ არასრულწლოვნის სასჯელი უპირველესად ემსახურებოდეს მის – რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას.

#### **6.4. არასრულწლოვანთა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით**

საინტერესოა, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომასთან დაკავშირებით. ეს სასჯელი პირველად 1966 წელს ამოქმედდა აშშ-ის ერთ-ერთ შტატში, კერძოდ, კალიფორნიაში. მოგვიანებით კი, მთელ აშშ-ში გავრცელდა. პირველად იგი გამოიყენებოდა მხოლოდ სატრანსპორტო დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების მიმართ. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა უმეტესად გამოიყენებოდა, როგორც დამატებითი სასჯელი, ხოლო ძირითად სასჯელად იყენებდნენ „თეთრსაყელიანი“ (White-collar) კრიმინალების, არასრულწლოვანი დელიკვენტებისა და იმ დამნაშავეების მიმართ, რომლებსაც არ ჩაუდენიათ სერიოზული დანაშაული.<sup>387</sup>

ამ სასჯელით მსჯავრდებულ პირებს, როგორც წესი, მოეთხოვებოდათ ემუშავათ როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო არაკომერციულ სააგენტოებში. სამუშაო შეიძლება ყოფილიყო: სკვერების დასუფთავება, მცენარეთა დარგვა, გზისპირა

---

<sup>385</sup> Martin G., “The Effectiveness of Community-based Sanctions in Reducing Recidivism”, *Journal “Corrections Today”*, 2003, P. 28.

<sup>386</sup> გამყრელიძე ო., *სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბილისი, 2013, გვ. 111.*

<sup>387</sup> ხერხელიძე ი., „არასრულწლოვანთა სასჯელის გამოყენების შედარებითი ანალიზი აშშ-სა და საქართველოში“, *არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 214.*

ნაგვის შეგროვება, საზოგადოებრივი ღონისძიებებისთვის სკამების მოწყობა, საზოგადოებრივი პროექტების შეღებვა, სამშენებლო საქმიანობა, შესაბამისი დაწესებულებების საექთნო საქმიანობაში დახმარება და ა.შ. ასევე, ამ სასჯელით მსჯავრდებულები მუშაობდნენ მეხანძრეებად. მდედრობითი სქესის მსჯავრდებულებს კი, შეიძლება დავალებოდათ ისეთი ძალების გამოკვება და გაწვრთნა, რომლებიც ეხმარებოდნენ სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებს.<sup>388</sup>

მართლმსაჯულების სტატისტიკის ბიურომ (BJS) 2000 წლის ივნისში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა მიიჩნია, როგორც გამონაკლისი არაკონსტიტუციური კატორღული სამუშაოებიდან, რომელიც ირიბად ეხებოდა აშშ-ის კონსტიტუციის მე-13 შესწორებას. აღნიშნული შესწორების თანახმად, დაუშვებელია, მონობა და იძულებითი კატორღული შრომა, გარდა ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელისა, რომელიც აქვს პირს შეფარდებული აშშ-ის ან სხვა ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ.<sup>389</sup>

ამჟამად, აშშ-ში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა გაერთიანებულია პრობაციასთან, რის შედეგადაც მოსამართლე, გარკვეულ შემთხვევაში, დამნაშავეს ავალებს ლტოლვილების ასოციაციისათვის კონკრეტული დახმარების გაწევას. სასამართლოები საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოებს რეაბილიტაციის საუკეთესო საშუალებად თვლიან. არიზონას შტატში პრობაციის გაძლიერებული მეთვალყურეობის პირობებში, არასრულწლოვნებმა პრობაციის ისეთი პირობების მორჩილად დაცვასთან ერთად, რომლებსაც მიეკუთვნება სავალდებულო საშუალო განათლების მიღება და მკურნალობის სავალდებულო კურსის გავლა, უნდა

---

<sup>388</sup> ხერხულიძე ი., „არასრულწლოვანთა სასჯელის გამოყენების შედარებითი ანალიზი აშშ-სა და საქართველოში“, არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 214.

<sup>389</sup> იქვე.

ადასრულონ, ასევე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა (Community Work Service), მასზე მეთვალყურეობის განხორციელებით, სულ მცირე 32 საათი ყოველკვირეულად.<sup>390</sup>

„ახალგაზრდული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების“ კანადის აქტი ითვალისწინებს, რომ ახალგაზრდული მართლმსაჯულების სასამართლო, აღიარებს რა ახალგაზრდას დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში, შეიძლება დაუნიშნოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულება სასამართლოს მიერ დადგენილ დროსა და ადგილზე. ასევე, მოსთხოვოს იყოს ანგარიშვალდებული ახალგაზრდული მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დანიშნული რეგიონური დირექტორის თუ პირის მიმართ და დაექვემდებაროს ზედამხედველობას აღნიშნული პირის მხრიდან.<sup>391</sup>

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინგლისში 1972 წელს გამოიყენეს (Criminal Justice Act 1972, Community Service Orders). აღნიშნული სასჯელის სახე დასაწყისიდანვე დადებითი განწყობითა და წარმატებით სარგებლობდა. იგი გათვალისწინებული იყო სულ ცოტა 17 წლის ასაკის დამნაშავეებისთვის, 40-დან 240 საათამდე. მნიშვნელოვანია, რომ ამ დროს ეს სასჯელი გამოიყენებოდა მსჯავრდებულის თანხმობით. 1972 წლის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინგლისური კანონის მე-3 მუხლით, „*არავინ შეიძლება აიძულონ შეასრულოს ძალდატანებითი ან სავალდებულო სამუშაო*“, გარდა პატიმრობის ან ზოგიერთი სხვა განსაკუთრებული შემთხვევებისა. ინგლისში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ავტონომიური სასჯელია.<sup>392</sup>

გერმანიაში აღნიშნული სასჯელი ავტონომიური სასჯელის სახით არ არსებობს, რადგან კონსტიტუციასთან შეუსაბამობაშია. კერძოდ, მე-12 მუხლით, იკრძალება

---

<sup>390</sup> Thompson E., „Rules for Juvenile Probation“, Available at: <https://legalbeagle.com/6520738-utah-probation-rules.html> [Last seen: 01.02.2021].

<sup>391</sup> ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი, ბავშვთა დაცვის განყოფილება, თბილისი, 2011, გვ. 106.

<sup>392</sup> პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 437.



იძულებითი შრომის გამოყენება, გარდა პატიმრობის შემთხვევებისა.<sup>393</sup> გერმანიის კანონმდებლობა ითვალისწინებს არასაპატიმრო ღონისძიებების შემდეგ სახეებს: აღმზრდელობითი ღონისძიებები და დისციპლინური ღონისძიებები. დისციპლინურ ღონისძიებებს მიეკუთვნება ვალდებულების დაკისრება, რომელიც თავის თავში მოიაზრებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. დაკისრებული ვალდებულების ბრალეულად შეუსრულებლობისას, იგი შეიძლება შეიცვალოს მცირე ვადით თავისუფლების აღკვეთით.<sup>394</sup>

საფრანგეთის 1983 წლის 10 ივნისის კანონი, რომლის ნორმებიც განმეორებულია საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსშიც, ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. იგი ორი სახისაა: ავტონომიური, ინგლისის მსგავსი, ან პირობითი სასჯელის ერთ-ერთი ფორმა გამოსასწორებელ რეჟიმთან ერთად. კანონში საუბარია პირობით სასჯელზე, რომელსაც ემატება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულების ვალდებულება. საათების ხანგრძლივობა აქაც იგივეა, 40-დან 240 საათამდე. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსითაც, ასევე, სავალდებულოა მსჯავრდებულის თანხმობა.<sup>395</sup>

„ბავშვთა და მოზარდთა შესახებ“ ბრაზილიის კანონით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განხორციელება შედგება ზოგადი სარგებლობისათვის გარკვეული ამოცანების უანგაროდ შესრულებისაგან, ვადით არა უმეტეს 6 თვისა, ისეთი ობიექტების დახმარების მიზნით, როგორცაა საავადმყოფოები, სკოლები და სხვა მსგავსი ინსტიტუტები. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულება ინიშნება ბავშვისა და მოზარდის შესაძლებლობების მიხედვით და უნდა

---

<sup>393</sup> პრადელი ჟ., *შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999*, გვ. 438.

<sup>394</sup> JGG, 1988, §13, 15, Available at: <https://dejure.org/gesetze/JGG/16.html> [Last seen: 01.02.2021].

<sup>395</sup> პრადელი ჟ., *შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999*, გვ. 437.

განხორციელდეს მაქსიმუმ კვირაში 8 საათის განმავლობაში შაბათს, კვირას ან/და უქმე ან არასამუშაო დღეებში, ისე, რომ ხელი არ შეეშალოს სწავლის ან მუშაობის პროცესს.<sup>396</sup>

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ“ შვეიცარიის კანონი იცნობს სასჯელის სახეს – ქმედებების განხორციელების პერსონალურად დაკისრება, რომელიც თავის თავში მოიცავს რამდენიმე ვალდებულებას, მათ შორის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. ამ სასჯელის ფარგლებში მსჯავრდებულს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ენიშნება 10 დღის ვადით, 15 წელს მიღწეულ არასრულწლოვანს კი, 3 თვემდე ვადით. თუ არასრულწლოვანი არ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს, მას სასჯელის სახე შეიძლება შეეცვალოს ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით, რომლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს არასაკატიმრო სასჯელისათვის განსაზღვრულ ვადას.<sup>397</sup>

ჩეხეთის კანონმდებლობით არასრულწლოვნის მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იყოს სამი სახის არასაკატიმრო სასჯელი: საგანმანათლებლო, დამცავი და სისხლისსამართლებრივი. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა მიეკუთვნება სისხლისსამართლებრივ სასჯელს. მისი დანიშვნა შეიძლება არა უმეტეს სისხლის სამართლის კოდექსით სრულწლოვნებისთვის გათვალისწინებული ვადის ნახევრით და მხოლოდ მაშინ, თუ სხვა უფრო ნაკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს კანონის მიზნების შესრულებას. საგანმანათლებლო სასჯელების დანიშვნა ხდება იმ დანაშაულების შემთხვევაში, რომლებისთვისაც სანქციის სახით გათვალისწინებულია არა უმეტეს 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. ეს სასჯელი გულისხმობს პედაგოგიურ ჩარევას ბავშვის აღზრდის მიზნით და მისი აღსრულება მიმდინარეობს

---

<sup>396</sup> *ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი, ბავშვთა დაცვის განყოფილება, თბილისი, 2011, გვ. 106.*

<sup>397</sup> *JStG, 2003, Art 22-23, Available at: <https://www.admin.ch/opc/de/classified-compilation/20031353/index.html> [Last seen: 01.02.2021].*

სპეციალურ აღსაზრდელ ან სამედიცინო დაწესებულებაში, თუ ეს აუცილებელია არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე.<sup>398</sup>

---

<sup>398</sup> *Criminal Code of Czech, 2009, Section 85, Available at:*

[https://www.legislationline.org/download/id/6370/file/Czech%20Republic\\_CC\\_2009\\_am2011\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/6370/file/Czech%20Republic_CC_2009_am2011_en.pdf) [Last seen: 01.02.2021].

## 7. თავისუფლების აღკვეთა, როგორც სასჯელის სახე არასრულწლოვანთა

### მართლმსაჯულებაში

თავისუფლების აღკვეთა ოდითგანვე აღიარებული იყო, როგორც ყველაზე მძიმე სასჯელის სახე. XIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, განმანათლებელთა ფილოსოფიის ზეგავლენით, თავისუფლების აღკვეთა განიხილებოდა მეტად მკაცრი და არაადამიანური სასჯელების ალტერნატივა, სიკვდილის დასჯისა და დაზიანების სხვადასხვა სახეებთან შედარებით.<sup>399</sup> უდავოა, რომ თავისუფლების აღკვეთა ყველაზე მძიმე სასჯელის სახეა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაშიც. ამ დროს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი სრულად კარგავს თავისუფლებას, შესაბამისად, ყველაზე დიდი სიფრთხილე ამ სასჯელთან მიმართებით არის საჭირო.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად სისხლისსამართლებრივი სასჯელი განიხილება უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებელ სანქციად, თავისუფლების აღკვეთის გამოყენებასთან დაკავშირებით მოთხოვნები კიდევ უფრო მკაცრია, რამეთუ იგი ყველაზე მეტად ზღუდავს მსჯავრდებულის თავისუფლებას. როდესაც საქმე არასრულწლოვანს ეხება, მისი საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის გამოყენების შესაძლებლობა კიდევ უფრო იზღუდება.<sup>400</sup>

საერთაშორისო სამართალი ბავშვის თავისუფლების აღკვეთის სრულ აკრძალვას არ ითვალისწინებს, თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ ამ მიმართულებით მიდის. არსებობენ სახელმწიფოები, სადაც დაუშვებელია 18 წლამდე პირების დაპატიმრება. იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა ახალგაზრდების დაკავება, ისინი უნდა განთავსდნენ გამოსასწორებელ და არა სადამსჯელო დაწესებულებაში. ციხეები გამოიყენება საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საშიში პირების დასაკავებლად. ძალიან ცოტა არასრულწლოვანი თუ მოხვდება ამგვარი საფრთხის მომტანი ადამიანების სიაში.

<sup>399</sup> Kalmhont A.M., Tak P. J. P., *Sanction System in the Member States of the Council of Europe, 1988, P. 22.*

<sup>400</sup> ცქიტიშვილი თ., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მატერიალურსისხლისსამართლებრივი საკითხების რეგულირების ცალკეული ასპექტები“, ჟ. „სამართლის ჟურნალი“, №1, თბილისი, 2019, გვ. 205.

ისინი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა მოხვდნენ მხოლოდ გამოუვალი მდგომარეობისას, როდესაც არ არსებობს სხვა ალტერნატივა. მთელი რიგი ქვეყნების პრაქტიკაზე დაყრდნობით, დასტურდება, რომ, რაც უფრო ადრე განთავსდება არასრულწლოვანი ციხეში, მით მეტია შანსი, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, იგი სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებებში ჩაერთოს.<sup>401</sup> სკანდინავიაში არასრულწლოვანთა ციხეები, შვედეთის გარდა, ყველგან გაუქმებულია.<sup>402</sup> ინგლისისა და უელსის კანონმდებლობით, 21 წლამდე პირის მიმართ, აკრძალულია თავისუფლების აღკვეთის შეფარდება, თუმცა, ეს მუხლი არ გამორიცხავს, რომ ასეთი პირის მიმართ გამოყენებული იყოს პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით. ამასთან, თუ არასრულწლოვანი ან მოზარდი მსჯავრდებულია ისეთი დანაშაულისათვის, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია 14 ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთა ან მსჯავრდებულია ისეთი სქესობრივი ხასიათის თავდასხმისთვის, რომელიც არ გულისხმობს გაუპატიურებას და სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისუფლების აღკვეთის გარდა, სხვა სახის სასჯელი არაეფექტური იქნება, მაშინ ასეთ პირს შეიძლება მიესაჯოს გარკვეული პერიოდით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ადგილსა და პირობებს განსაზღვრავს სახელმწიფო მდივანი.<sup>403</sup>

როგორც წესი, არასრულწლოვანთა და მოზარდთა მიმართ სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთა არ უნდა გამოიყენებოდეს.<sup>404</sup> სანამ თავისუფლების აღკვეთის

---

<sup>401</sup> კოელი ე., *პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისთვის, თბილისი, 2007, გვ. 133.*

<sup>402</sup> კრისტი ნ., *ტკვილის საზღვრები, სასჯელის როლი სასჯელადსრულების პოლიტიკაში, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, თბილისი, 2017, გვ. 36.*

<sup>403</sup> Patton W. W., *History of Juvenile Courts, 2006, P. 27.*

<sup>404</sup> *პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მიღებულია 1955 წელს ჟენევაში გამართულ გაეროს პირველ კონგრესზე, რომელიც ეძღვნებოდა დანაშაულის პრევენციას და სამართალდამრღვევებთან მოპყრობას, დამტკიცებულ იქნა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციით და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციით), წესი 5(2).*

ალტერნატივები წესად და მსოფლიო მასშტაბის პრაქტიკად გადაიქცევა, არსებული საერთაშორისო სტანდარტები სახელმწიფოებს ავალდებულებს დაიცვას ზოგადი პრინციპი. კერძოდ, თავისუფლების აღკვეთა არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული იქნეს მხოლოდ უკიდურეს ზომად და მინიმალური ხანგრძლივობით. არც ერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად. ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და განიხილება, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა, რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში.<sup>405</sup> „დაჭერა, დაკავება და დაპატიმრება სავსებით კანონიერი ქმედებაა იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომელთაც უკვე მიაღწიეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს, მაგრამ დასჯის ეს ფორმა უნდა გამოვიყენოთ, როგორც უკიდურესი ზომა და სასჯელის ვადაც მინიმალური უნდა იყოს. მსოფლიო, რომლის აშენებაც ჩვენ ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად გვსურს, იმ ბავშვებსაც გულისხმობს, რომელთა ცხოვრებაც ცუდად დაიწყო“.<sup>406</sup>

ამკ-ის მე-9 მუხლში, ნორმა-პრინციპის სახით, არის დათქმა, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით არის შესაძლებელი. არასრულწლოვნის დაკავება, დაპატიმრება და მისთვის თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ, როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული.

---

<sup>405</sup> ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია, 1989, მუხლი 37(ბ); ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 17 ნოემბერს, მინისტრთა მოადგილეების 1098-ე შეხვედრაზე), მუხლი 19; United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"), Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985, Rules 13, 18.

<sup>406</sup> Hammarberg T., "Georgia in transition", Report on the Human Rights Dimension: Background, Steps Taken and Remaining Challenges, 2013, P. 19-20.

ამკ-ის 73-ე მუხლი კი, ეხება უშუალოდ თავისუფლების აღკვეთას. აღნიშნული მუხლის სათაურია – ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. უვადო თავისუფლების აღკვეთა არის ცალკე სასჯელის სახე, ვადიანი თავისუფლების აღკვეთისგან დამოუკიდებლად, თუმცა, შინაარსით ერთი და იგივეა ორივე სასჯელის სახე. მათ შორის სხვაობა მხოლოდ ხანგრძლივობაა. შესაბამისად, პირველი სიტყვა სწორედ ამ განსახვავებას ასახავს სსკ-ში, თუმცა, ამკ-ში უვადო თავისუფლების აღკვეთა გათვალისწინებული არ არის. არც ერთმა ბავშვმა არ უნდა განიცადოს სამუდამო პატიმრობა.<sup>407</sup> უვადო თავისუფლების აღკვეთას არასრულწლოვნებისთვის არ ითვალისწინებდა სსკ-იც.<sup>408</sup> ეს სტანდარტი ამკ-მაც გაიზიარა, შესაბამისად, სიტყვა „ვადიანი“, მიზანშეწონილია, ამოღებულ უნდა იქნეს,<sup>409</sup> რადგან მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ დატვირთვას.

### 7.1. თავისუფლების აღკვეთის ზომა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

ნორმალური საზოგადოება ვალდებულია ისწრაფვოდეს სპეციალურად დანიშნული სანქციის სიმძიმის მინიმუმისკენ.<sup>410</sup> კაცობრიობას ჯერ არ ძალუძს უარი თქვას თავისუფლების აღკვეთაზე, როგორც სასჯელის ღონისძიებაზე, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში უნდა შესუსტდეს სასჯელის ნეგატიური თვისებები.<sup>411</sup> თავისუფლების აღკვეთის მცირე ვადით შეფარდება ერთ-ერთი საშუალებაა თავისუფლების აღკვეთის ნეგატიური გავლენის შესამცირებლად.

<sup>407</sup> ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია, 1989, 37(ა).

<sup>408</sup> სსკ-ის 2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციის 51-ე მუხლის მეორე ნაწილით – „უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი...“.

<sup>409</sup> ასევე, იხ. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 147.

<sup>410</sup> Duff R. A., Garland D., *A Reader on Punishment*, 1994, P. 8.

<sup>411</sup> ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(43), თბილისი, 2011, გვ. 32.

როგორც არა ერთხელ აღინიშნა, ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციით, ბავშვის დაკავება და დაპატიმრება განიხილება, როგორც უკიდურესი ზომა და მისი გამოყენება უნდა მოხდეს, რაც შეიძლება, ნაკლები პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული მიდგომის საფუძველი სწორედ ის არის, რომ ბავშვისათვის თავისუფლების წართმევა და ოთხ კედელში გამოკეტვა დიდი ფსიქოლოგიური სტრესის მომტანია. სწორედ ამიტომ, არასრულწლოვანთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისას, სასჯელის ზომა განსაკუთრებით დიდი ინტერესის საგანია.

ამკ-ის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 14-დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა  $\frac{1}{3}$ -ით მცირდება. ამასთანავე, საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 16-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა  $\frac{1}{4}$ -ით მცირდება. ხოლო, საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს, მაშინ როდესაც 2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი სსკ-ის 88-ე მუხლის რედაქციით 15 წელი იყო გათვალისწინებული. ამკ-ში 14-დან 16 წლამდე არასრულწლოვანთან დაკავშირებით ლიბერალიზაცია არ გვაქვს, მაგრამ სასჯელის საერთო ვადა შემცირებულია 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვნის შემთხვევაში, თუმცა, არასაკმარისად.

მოცემული დანაწესები არასრულწლოვანს უმსუბუქებს სასჯელის ზომას და ამით მოსამართლეს გარკვეულ ჩარჩოში სვამს სასჯელის დანიშვნისას, რაც მისასაღმებელია, თუმცა, კანონმდებელმა სწორება კვლავ სასჯელის მიზნებზე უნდა გააკეთოს, როგორც სასჯელის სახის, ასევე, მისი ზომის შერჩევის დროს. სასჯელის მაღალი ზომის დაწესება არაპედაგოგიურია სასჯელის მიზნებთან მიმართებით. მაგ., 15 წლის დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნის რესოციალიზაციას არ იწვევს და არ არის პედაგოგიურად გამართლებული სასჯელი, რომლის ზომაც სცილდება 5 წლით



თავისუფლების აღკვეთას.<sup>412</sup> კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში დავაა იმაზე, არასრულწლოვნისათვის მისჯილი მოკლევადიანი (ექვსი თვიდან ერთ წლამდე) თუ გრძელვადიანი (ერთი წლიდან სამ წლამდე) სასჯელი არის თუ არა რესოციალიზაციის მომტანი. კრიმინოლოგიაში დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ოთხი ან ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა ხელს უწყობს არა პირის რესოციალიზაციას, არამედ ფრუსტრაციასა და სოციალიზაციის დაკარგვას.<sup>413</sup> გამონაკლისია განსაკუთრებით მძიმე ხასიათის დანაშაულები, მაგ., მკვლელობა, ყაჩაღობა, გაუპატიურება და ა.შ.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ევროსასამართლომ ერთ-ერთ საქმეში აღნიშნა სასჯელის განსაკუთრებული სიმკაცრე, სადაც 15 წლის განმცხადებელს სასჯელის სახით დაენიშნა 7 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ მიუთითა, რომ მცირე ასაკის გამო დაკისრებული სასჯელი არაპროპორციული იყო დანაშაულის თავიდან აცილების, უწყსრიგობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე.<sup>414</sup>

უმჯობესი იქნება, კანონმდებელმა შეამციროს ამკ-ის 73-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში მითითებული სასჯელის ზომები. კერძოდ, 14-დან 16 წლამდე არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის საბოლოო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს, გამონაკლისის სახით შესაძლებელია გაკეთდეს დათქმა, მის მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე ხასიათის დანაშაულების გარდა. ხოლო 16-18 წლამდე არასრულწლოვნისთვის – 10 წელს. სასჯელის ზომის დაწევით, გამართლებული იქნებოდა სასჯელის პედაგოგიური მიზანიც – არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.

---

<sup>412</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, 2011, გვ. 93.

<sup>413</sup> Ostendorf, H., 2009. S. 152; Peters, K., 1960. S. 193; Mollenhauer, W., 1961, S. 162; იხ. იქვე, გვ. 81.

<sup>414</sup> GÜLCÜ v. TURKEY, ECHR, (Application no. [17526/10](#)), 19 January 2016.

ასევე, აღსანიშნავია, ამკ-ის 73-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებისა და სსკ-ის იმ მუხლებს შორის მიმართება, რომლებიც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებენ 10-ზე წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას და  $\frac{1}{3}$ -ით ან  $\frac{1}{4}$ -ით შემცირების შემთხვევებშიც 10 და 12 წელზე მეტი გამოდის. მაგალითისთვის განვიხილოთ სსკ-ის კერძო ნაწილის პირველივე მუხლი. სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით თექვსმეტიდან ოც წლამდე. მინიმალური ზომაც რომ ავიღოთ – 16 წელი, 14-დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის შემთხვევაში სასჯელის ზომა გამოდის 10 წელზე მეტი, 16-18 წლამდე არასრულწლოვნისთვის კი, ზუსტად 12 წელი. იგივე სიტუაცია გვექნება 16-18 წლამდე არასრულწლოვნების შემთხვევაში იმ მუხლებში, რომლებიც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 17 წლიდან. გამოდის რომ, ასეთ შემთხვევებში მოსამართლემ ინდივიდუალურად უნდა ჩამოაკლოს არასრულწლოვანს თვეები ან წლები, რომ 73-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები დაიცვას, რაც, სასურველია, სულ მცირე კანონში იყოს მითითებული.

## **7.2. თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში**

ამკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით, არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ან/და მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი. მოსამართლეს დისკრეცია აღარ აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის არასრულწლოვანს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდოს, რაც მისასაღმებელია. აღნიშნული სასჯელის შეფარდება ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ნამდვილად გადაჭარბებულია. გარდა

ამისა, აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს ალტერნატიული სანქციების გამოყენებას.<sup>415</sup>

„არასრულწლოვანი დამნაშავე არ უნდა იქნეს დატუსაღებული, გარდა ისეთი შემთხვევებისა, თუ არ არსებობს რეაგირების სხვა შესაბამისი საშუალება“.<sup>416</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ინსტიტუციონალიზაცია მაქსიმალურად უნდა იქნას თავიდან აცილებული.<sup>417</sup> თავისუფლების აღკვეთა უნდა გამოიყენებოდეს, როგორც „Ultima Ratio“, უკანასკნელი გადაწყვეტილება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. თავისუფლების აღკვეთის სასჯელის დანიშვნის საბოლოო

---

<sup>415</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოში – 2016 წელს, 71 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირიდან – 27 პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა; 2017 წელს, 99 პირიდან – 24 პირს; 2018 წელს, 84 პირიდან – 28 პირს; 2019 წელს, 151 პირიდან – 32 პირს; 2020 წელს, 114 პირიდან – 43 პირს; თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი №1-0412/1296-1297, 26.01.2021; რუსთავის საქალაქო სასამართლოში – 2016 წელს, 5 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირიდან – 2 პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა; 2017 წელს, 12 პირიდან – 8 პირს; 2018 წელს, 3 პირიდან – არც ერთს; 2019 წელს, 11 პირიდან – 5 პირს; 2020 წელს, 3 პირიდან – არც ერთს; რუსთავის საქალაქო სასამართლოს წერილი №12/გ, 18.01.2021; ბათუმის საქალაქო სასამართლოში – 2016 წელს, 17 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირიდან – 6 შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა; 2017 წელს, 20 პირიდან – 4 პირს; 2018 წელს, 15 პირიდან – 4 პირს; 2019 წელს, 32 პირიდან – 5 პირს; 2020 წელს, 14 პირიდან – 3 პირს; ბათუმის საქალაქო სასამართლოს წერილი №16გ/კ, 22.01.2021; ქუთაისის საქალაქო სასამართლოში – 2016 წელს, 7 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირიდან – 6 პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა; 2017 წელს, 9 პირიდან – 8 პირს; 2018 წელს, 26 პირიდან – 20 პირს; 2019 წელს, 24 პირიდან – 20 პირს; 2020 წელს, 18 პირიდან – 16 პირს; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წერილი №648-2, 28.01.2021; ზუგდიდის რაიონურ სასამართლოში, 2016 წელს, 6 პირიდან – 6 პირს, 2017 წელს, 7 პირიდან – 2 პირს, 2018 წელს, 12 პირიდან – 6 პირს, 2019 წელს, 7 პირიდან – 6 პირს, 2020 წელს, 4 პირიდან – 4 პირს; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს წერილი №12, 20.01.2021; გორის რაიონურ სასამართლოში, 2016-2020 წლებში, 7 კანონთან კონფლიქტში მყოფი პირიდან – 2019 წელს – 4 პირს, ხოლო 2020 წელს – 1 პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა; გორის რაიონული სასამართლოს წერილი №გ/ვ-205, 27.01.2021.

<sup>416</sup> გაეროს მეექვსე კონგრესის ანგარიში დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის შესახებ, A/CONF.87/14/Rev.1, 1980.

<sup>417</sup> ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ წესები, (ბანგკოკის წესები), (გაეროს გენერალურმა ასამბლეის 2010 წლის დეკემბრის A/RES/65/229 რეზოლუციამ), წესი 65.

მიზანი არის საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა და დაზღვევა სახიფათო დანაშაულებისგან.<sup>418</sup> თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოების გათავისუფლება დამნაშავეებისგან შესაძლებელია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთით. პირიქით, სიტყვა სახიფათო, სწორედ იმას მიუთითებს, რომ თავისუფლების აღკვეთა არ უნდა იყოს გამოყენებული ყველა დანაშაულის შემთხვევაში. არაერთმა კვლევამ დაადასტურა, რომ თავისუფლების აღკვეთა არც ისე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაში დანაშაულის შემცირებაზე. ამდენად, სამართლიანად არის აღნიშნული, რომ დამნაშავეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსება არის უკიდურესი ზომა, რომელსაც უნდა მივმართოთ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოების უსაფრთხოებას სერიოზული საშიშროება ემუქრება.

სასჯელის სახე და ზომა უნდა იყოს მაქსიმალურად ადეკვატური არასრულწლოვნისთვის. „ადეკვატურობა არ არის უბრალოდ შესაბამისობა. ადეკვატურობა თავის თავში ატარებს „შესატყვისობის სისწორის“ იდეას. სასჯელთა ადეკვატურობა დანაშაულთან მიმართებაში არის სასჯელის სწორედ ისეთი შესატყვისობა დანაშაულთან, რომლის დროსაც შესატყვისობის კრიტერიუმი პასუხობს თანაზომადობისა და თანაზომიერების მოთხოვნებს“.<sup>419</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება უფლებას ანიჭებს პროკურორსა და მსჯავრდებულს, სააპელაციო წესით გაასაჩივროს განაჩენი მისი არაადეკვატურობის

---

<sup>418</sup> პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მიღებულია 1955 წელს ჟენევაში გამართულ გაეროს პირველ კონგრესზე, რომელიც ეძღვნებოდა დანაშაულის პრევენციას და სამართალდამრღვევებთან მოპყრობას, დამტკიცებულ იქნა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციით და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციით), წესი 58.

<sup>419</sup> თუმანიშვილი გ., „სასჯელის ადეკვატურობის საკითხი დანაშაულთან მიმართებაში“, ჟ. „სამართლის ჟურნალი“, №1-2, თბილისი, 2003, გვ. 127.

საფუძვლით,<sup>420</sup> რაც ძალიან კარგია და ამ ფილტრის დაწესება სასურველი იქნებოდა არასრულწლოვანთა სასჯელის შეფარდებისას.

ისტორიული კვლევები და პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დამნაშავეისთვის სანქციები ადეკვატური, ზოგჯერ „აუცილებელი“ საშუალებაა სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების შესამცირებლად. დამნაშავეობასთან მკაცრი სანქციებით ბრძოლა საზოგადოების წევრთა მიერ შეფასებულია „ნორმალურად“. ამავე დროს ასეთ სასჯელთა დადებითი და უარყოფითი მხარეები საზოგადოების დიდი ნაწილის განსჯის საგანია,<sup>421</sup> მაგრამ ეს არ იქნება გამოსადეგი კანონთა კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანებთან მიმართებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ვერ აცნობიერებენ საკუთარ ქმედებებს და სიმკაცრე, პირიქით, უარესი შედეგების მომტანი შეიძლება იყოს. თუ არსებობს, თუნდაც ძალიან მცირე ალბათობა, რომ არასრულწლოვანი შეიძლება თავისუფლების აღკვეთის გარეშეც გამოსწორდეს, ალტერნატიული სასჯელი აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული.<sup>422</sup>

ინგლისის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების 1991 წლის კანონში მკაცრადაც არის კრიტერიუმები განსაზღვრული რა შემთხვევაში შეიძლება მოსამართლემ შეუფარდოს ბრალდებულს თავისუფლების აღკვეთა, როდესაც დანაშაული ძალზე მძიმეა და მხოლოდ ამგვარი სასჯელი შეეფერება მას. ასევე, ძალადობის ან სექსუალური დანაშაულის შემთხვევაში, მხოლოდ ეს სასჯელია ადეკვატური ბრალდებულის საშიშროებისგან საზოგადოების დასაცავად. აქედან ჩანს, რომ კანონმდებლის ტონი თავისუფლების აღკვეთისადმი არის ძალზედ

---

<sup>420</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, (მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე 1998 წლის 17 ივლისს), მუხლი 81(2).

<sup>421</sup> კური ჰ., ფუტკარაძე ე., ვიურგერი მ., „სისხლისსამართლებრივი სანქციები ქართველ სტუდენტთა შეფასებით“, ოთარ გამყრელიძე 80, საიუბილეო სამეცნიერო კრებული, თბილისი, 2016, გვ. 374.

<sup>422</sup> Laubenthal, K./Baier H., 2006, S. 275; იხ. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 159.

იმპერატიული.<sup>423</sup> შესაბამისად, მძიმე კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში, დიდი სიფრთხილე მართებს მოსამართლეს. კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის დანაშაულის სიმძიმის ხარისხი მეტად გასათვალისწინებელია ამ სასჯელის სახისა თუ შემდგომ უკვე მისი ზომის შეფარდების დროს.

თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს რა ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ზოგადად, სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა იყოს მისი უკიდურეს შემთხვევაში გამოყენებაზე ორიენტირებული. ამასთან, უნდა იგულისხმებოდეს არა მხოლოდ მოსამართლის მიერ მისი ასეთი მიდგომით გამოყენება, არამედ კანონის დონეზეც ამა თუ იმ ქმედებისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის მხოლოდ იმ შემთხვევაში გათვალისწინება, როდესაც ეს ობიექტურად აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც თუ არა საზოგადოებისგან პირის იზოლირება, შეუძლებელი იქნება მისგან პოტენციურად მომდინარე სხვა საფრთხეების განეიტრალება და სასჯელის მიზნების მიღწევა. ამასთან, მაშინაც კი, როდესაც პირის ქმედების რეგულირება აუცილებელია, თუ პასუხისმგებლობის სხვა ზომები/სახეები ობიექტურად საკმარისია კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნების მისაღწევად, კანონი უნდა უბიძგებდეს სამართალშემფარდებელს სწორედ არასაპატიმრო ალტერნატივების გამოყენებისკენ.<sup>424</sup>

ამკ-ის მე-7 მუხლით, „*კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა ჩადენილი ქმედების თანაზომიერი უნდა იყოს და მის პიროვნებას, ასაკს, საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს*“. ამ ნორმაში, ალბათ, ყველაზე მეტად მოიაზრება ღონისძიებები, რომლებიც თავისუფლების შეზღუდვას უკავშირდება, როგორცაა თავისუფლების

<sup>423</sup> პრადელი ჟ., *შედარებითი სისხლის სამართალი*, თბილისი, 1999, გვ. 444.

<sup>424</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §96.

აღკვეთა. ამ დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არა ერთხელ განმარტა, რომ უფლების შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მიზნის მიღწევის არა მხოლოდ გამოსადეგ, არამედ ყველაზე ნაკლებად შემზღუდველ, თანაზომიერ საშუალებასაც. *„ვინაიდან ნებისმიერი სამართლებრივი წესრიგი მიზნისა და საშუალების მიმართებაზე აგებული, ეს ავალდებულებს სახელმწიფოს, მიზნის მისაღწევად გამოიყენოს ისეთი საშუალება, რომლითაც, როგორც მიზნის მიღწევა იქნება გარანტირებული, ასევე თანაზომიერების პრინციპი იქნება დაცული“*.<sup>425</sup> თითოეული შემზღუდველი ხასიათის ღონისძიება უნდა იყოს თანაზომიერი. თანაზომიერების პრინციპი კრძალავს მმართველობითი ღონისძიების ადრესატის შეუსაბამო შეზღუდვას. ეს პრინციპი, თავის მხრივ, გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპიდან. თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად, *„უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავ დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“*.<sup>426</sup>

სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად სწორად არის შერჩეული პირის უფლების შემზღუდველი ღონისძიება და ლეგიტიმური მიზნის მიღწევა ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი ალტერნატიული, ნაკლებად შემზღუდველი ღონისძიების

---

<sup>425</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერგია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“, §29.

<sup>426</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჰეისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §60.

გამოყენებით.<sup>427</sup> პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულზე რეაგირება ყოველთვის უნდა იყოს არა მარტო დანაშაულის ვითარებისა და სიმძიმის პროპორციული, არამედ არასრულწლოვნის ასაკის, ნაკლები ბრალეულობის, არასრულწლოვნის მდგომარეობისა და საჭიროებების, ასევე, საზოგადოების სხვადასხვა გრძელვადიანი საჭიროების პროპორციულიც.<sup>428</sup> „სანქციებისა და ზომების შეფარდება და მათი აღსრულება უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ინტერესებს, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის ანგარიშის გაწევით (პროპორციულობის პრინციპი) და მათი ასაკის, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის, განვითარების, შესაძლებლობებისა და პირადი გარემოებების გათვალისწინებით (ინდივიდუალიზაციის პრინციპი), რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, დგინდება ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული და სოციალური გამოკვლევის შედეგებით“.<sup>429</sup>

### 7.3. არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით

„არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის შესახებ“ შვეიცარიის ფედერალური კანონი თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს 15 წლის ასაკიდან იმ

---

<sup>427</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §32.

<sup>428</sup> *Committee on the Rights of the Child, General Comment No. 10 (2007), Children's Rights in Juvenile Justice, Para. 93.*

<sup>429</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია *Rec (2008) 11* წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2008 წლის 5 ნოემბერს მინისტრების მოადგილეთა 1040-ე შეხვედრაზე), მუხლი 5.



არასრულწლოვნის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული ან გადაცდომა.<sup>430</sup> თავისუფლების აღკვეთა გამოიყენება ერთ წლამდე ვადით. თუ არასრულწლოვანი დანაშაულის ჩადენისას არის 16 წლის, თავისუფლების აღკვეთა გამოიყენება 4 წლამდე ვადით და ამისათვის საჭიროა შემდეგი პირობები: ჩადენილი ქმედებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს სამ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა. არასრულწლოვანს ჩადენილი უნდა ჰქონდეს სხეული მძიმე დაზიანება, ყაჩაღობა, ან სხვა დანაშაული დამამძიმებელ გარემოებებში ან/და განსაკუთრებული სისასტიკით ისე, რომ მისი მოტივი, მიზანი ან დანაშაულის ჩადენის ხერხი განსაკუთრებით მიუღებლად აღიქმება.<sup>431</sup>

ავსტრიის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტით კი, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედების ჩადენის შემთხვევაში, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 10-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა, გამოიყენება სასჯელი 6 თვიდან 10 წლამდე ვადით. ყველა სხვა შემთხვევაში, არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის ვადის ნახევარია.<sup>432</sup>

იტალიის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ძირითადი მიზანია, შეზღუდოს არასრულწლოვანთა ურთიერთობა სამართლებრივ სისტემასთან. ხელისუფლების პოლიტიკა ამ საკითხთან მიმართებით აღიარებს, რომ თავისუფლების აღკვეთა უარყოფითად მოქმედებს არასრულწლოვანთა განვითარებასა და განათლებაზე. 1988 წელს იტალიაში მიიღეს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცედურული რეფორმის შესახებ“, რომელიც ავალდებულებს სასამართლოებს განიხილონ და გამოიყენონ განრიდების ყველა საშუალება

---

<sup>430</sup> შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსი, გერმანულის მსგავსად, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებებს ორ კატეგორიად ყოფს: დანაშაული და გადაცდომა (*Crime and Misdemeanor*).

<sup>431</sup> JStG, 2003, Art 21-25, Available at: <https://www.admin.ch/opc/de/classified-compilation/20031353/index.html> [Last seen: 01.02.2021].

<sup>432</sup> JGG, 1988, §5, Available at: <https://www.jusline.at/gesetz/jgg/paragraf/7> [Last seen: 01.02.2021].

არასრულწლოვნების მიმართ საპატიმრო სასჯელების გამოყენებამდე. კანონმა განსაზღვრა განრიდების სამი მეთოდი. მოსამართლეს შეუძლია: 1) დანაშაული ჩათვალოს უმნიშვნელოდ (Irrelevant) და უარი თქვას საქმის განხილვაზე; 2) ბრალდებული გაათავისუფლოს პასუხისმგებლობისგან (Issue a Pardon), თუ არსებობს ვარაუდი, რომ ბრალდებული აღარ ჩაიდენს სამართალდარღვევას; 3) გამოიტანოს გადაწყვეტილება „Messa alla Prova“-ს შესახებ, რაც გულისხმობს წინასასამართლო პრობაციას.<sup>433</sup>

საფრანგეთს აქვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სისტემა. სახელმწიფოში 1945 წელს მიიღეს ბრძანება, რომლითაც უპირატესობა მიენიჭა საგანმანათლებლო ღონისძიებების გამოყენებას და განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთის გამოყენების კონკრეტული შემთხვევები. ბრძანებით, ასევე, დაარსდა არასრულწლოვანთა სასამართლო და მოსამართლეებს მიეცათ შესაძლებლობა გამოეყენებინათ საზედამხედველო და საგანმანათლებლო სანქციები არასრულწლოვანთა პიროვნული თვისებებისა (სინანულის გრძნობა) და დანაშაულის გარემოებათა (ძალადობის ხარისხი) გათვალისწინების შედეგად. დროთა განმავლობაში, არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულთა ზრდის გამო, ხელისუფლებამ შეცვალა პოზიცია და გადავიდა თავისუფლების აღკვეთის სანქციებზე. 16-დან 18 წლამდე ბრალდებულები განმეორებითი დანაშაულებისთვის ისჯებოდნენ ისევე, როგორც იმავე დანაშაულის ჩამდენი სრულწლოვანი პირები. ბრძანებით არასრულწლოვანთა სასამართლოებს ღონისძიებათა 2 სახის განსაზღვრის შესაძლებლობა მიეცათ: საპატიმრო სასჯელები და საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომლებიც გულისხმობენ არასრულწლოვანთა ჩართვას აკადემიურ და პროფესიული განვითარების აქტივობებში.<sup>434</sup> საგანმანათლებლო ღონისძიებები განკუთვნილია 10-დან 18 წლამდე ასაკის მსჯავრდებულებისთვის და გულისხმობს მონაწილეობას

---

<sup>433</sup> Muncie J., Goldson B., *Comparative Youth Justice*, 2006, P. 164.

<sup>434</sup> Ordonnance n° 45-174 du 2 Février 1945 Relative à l'enfance Délinquante, Available at: <https://www.legifrance.gouv.fr/affichTexte.do?cidTexte=JORFTEXT000000517521&categorieLien=cid> [Last seen: 01.02.2021].

სამოქალაქო განათლებაში, ასევე, დანაშაულის მსხვერპლისა და ადგილის მონახულების აკრძალვას. გარდა ამისა, მოსამართლეებს შეუძლიათ გამოიყენონ: ზედამხედველობის დაწესება, დაჯარიმება, საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოები, ელექტრონული მეთვალყურეობა და გადავადებული სასჯელები. მიუხედავად ასეთი მიდგომებისა, საფრანგეთის სასამართლოებს, რა თქმა უნდა, შეუძლიათ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ პოლიციას არ შეუძლია არასრულწლოვნის დაკავება პროკურატურის თანხმობის გარეშე. სასამართლოების მიერ თავისუფლების აღკვეთის სასჯელების გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ შეზღუდულია კანონმდებლობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სასჯელის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენება არაეფექტური იქნება. მოსამართლეებს თავისუფლების აღკვეთის სასჯელის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ 16 ან მეტი წლის ასაკის არასრულწლოვნების მიმართ. 13-დან 16 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების მიმართ არ შეიძლება ასეთი სასჯელის გამოყენება გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პოტენციური სასჯელი მინიმუმ 5 წლით თავისუფლების აღკვეთასა და მსჯავრდებულების მიმართ უკვე გამოყენებულია საგანმანათლებლო ღონისძიება<sup>435</sup> ან თავისუფლების აღკვეთა. დღევანდელი

---

<sup>435</sup> საგანმანათლებლო ღონისძიებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, ევროსასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება. 13 და 14 წლის ბიჭები სკოლის სასადილოდან საკვებისა და სამზარეულო ნივთების მოპარვისათვის 30 დღის განმავლობაში მოათავსეს არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ დაწესებულებაში. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭებმა აღიარეს ქურდობა, დააბრუნეს ნაქურდალი და ასევე იყვნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მინიმალური ზღვრის ქვევით, სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვების დაკავება, ამ შემთხვევაში, იყო თვითნებური, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ განახორციელეს საჭირო „საგანმანათლებლო ზედამხედველობა“, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის („1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, ესენია: a) უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება; b) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შესრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად; c) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო

კანონმდებლობა, ასევე, უფლებას აძლევს მოსამართლეს, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, გამოიყენოს არასრულწლოვნის მიმართ თავისუფლების აღკვეთა, თუ დანაშაული ისჯება 7 ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთით.<sup>436</sup>

პაკისტანის, სადაც ჯერ კიდევ არსებობს სასჯელის სახით სიკვდილით დასჯა, კანონმდებლობაც კი ითვალისწინებს შეღავათს 15 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფი პირისთვის. კერძოდ, პაკისტანის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ბრძანებით, 15 წლამდე არასრულწლოვანს, რომელსაც ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას არა უმეტეს 10 წლით, არ შეიძლება შეეფარდოს პატიმრობა. ამ ასაკის კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის დაპატიმრება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ბრალდებულია ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც სასჯელის სახედ ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას ან სიკვდილით დასჯას ან ასეთი დანაშაულისთვის წარსულში უკვე ნასამართლევია ან თუ ბრალდების მხარე დაარწმუნებს სასამართლოს,

---

*ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა; d) არასრულწლოვნის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან მისი კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად; e) პირთა კანონიერი დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა თუ მანქანების კანონიერი დაპატიმრება; f) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, ან იმ პირის დაკავება თუ დაპატიმრება, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები დეპორტაციისა თუ ექსტრადიციის მიზნით“)* დარღვევას; იხ. *ICHIN AND OTHERS v. UKRAINE, ECHR, (Applications nos. [28189/04](#) and [28192/04](#)), 21 December 2010.*

<sup>436</sup> *Loi n° 2002-1138 du 9 Septembre 2002 D'orientation et de Programmation Pour la Justice, Article 11-12, Available at: <https://www.legifrance.gouv.fr/affichTexte.do?cidTexte=JORFTEXT000000775140> [Last seen: 01.02.2021].*

რომ მას დანაშაული სასტიკი მეთოდებით აქვს ჩადენილი ან მისი ქმედება მორალურად შოკისმომგვრელია.<sup>437</sup>

### 7.3.1. არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთა გერმანულ სისხლის სამართალში

„არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“ გერმანიის აქტი განსაზღვრავს სასჯელის სახეებს, რომლებიც გამოიყენება არასრულწლოვანთა მიმართ. აღმზრდელობითი ღონისძიებების, ზიანის ანაზღაურების, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გარდა, ზემოაღნიშნული აქტი ითვალისწინებს სასჯელის კიდევ ორ სახეს: დაკავება (Jugendarrest) და პატიმრობა (Jugendstrafe). დაკავება, როგორც ჭკუის სასწავლებელი საშუალება გამოიყენება თავისუფალი დროის შეზღუდვის ფორმით – მოკლევადიანი დაკავება მაქსიმუმ 4 დღე ან გრძელვადიანი დაკავება მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 4 კვირის ვადით. ამ ღონისძიების მიზანია, არასრულწლოვანი დროებით მოსწყდეს მავნე ზეგავლენის მქონე გარემოს ან საცხოვრებელ პირობებს.<sup>438</sup>

რაც შეეხება პატიმრობას, იგი არასრულწლოვანთა საპატიმრო დაწესებულებებში გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ახალგაზრდის დანაშაულებრივი მიდრეკილებების გამო აღმზრდელობითი ღონისძიებები არ არის საკმარისი ან ამას დანაშაულის სიმძიმე მოითხოვს. თუმცა, მიუხედავად სასჯელის ამ სახის გამოყენებისა, აღმზრდელობითი მხარე სასჯელის აღსრულების დროსაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. სასჯელის ხანგრძლივობა არის მინიმუმ 6 თვე, მაქსიმალური ვადა კი, არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადი ნორმებით განსაზღვრული სასჯელის ზომა აღემატება 10 წელს, არასრულწლოვნის შემთხვევაში

---

<sup>437</sup> *Juvenile Justice System Ordinance of Pakistan, 2000, Article 10(5, 7“c“), Available at:*

<https://www.ilo.org/dyn/natlex/docs/ELECTRONIC/81784/88955/F1964251258/PAK81784.pdf> [Last seen: 01.02.2021].

<sup>438</sup> *JGG, 1988, §16, Available at: <https://dejure.org/gesetze/JGG/16.html> [Last seen: 01.02.2021].*

სასჯელის მაქსიმალური ზომა მაინც 10 წელია.<sup>439</sup> მოზარდთა შემთხვევაშიც, თუ მათ მიმართ ხდება არასრულწლოვანთათვის განსაზღვრული ნორმების გამოყენება, სასჯელის მაქსიმალური ზომაა 10 წელი, ხოლო თუ საქმე ეხება მკვლელობას და 10 წელი საკმარისი არ არის, სასჯელის მაქსიმალური ზომაა 15 წელი.<sup>440</sup> ამ ნორმებთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ კანონი არ აკეთებს ხისტ რეგულირებას, კონკრეტულად რამდენად მძიმე დანაშაულებისას შეიძლება იქნეს პატიმრობა გამოყენებული. აქ გადამწყვეტია მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც, ზოგადად, მოსამართლის მიერ არასრულწლოვანთა მიმართ პროცესის წარმოებისას მიიღება მხედველობაში.

რაც შეეხება პატიმრობის გამოყენებას სამართალდარღვევებთან მიმართებით, სამართალდარღვევათა შესახებ გერმანიის კანონი პირველივე მუხლში სამართალდარღვევას განმარტავს, როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას, რომლის შემადგენლობა გათვალისწინებულია კანონით და რომლის ჩადენისთვისაც სახდელად გათვალისწინებულია ჯარიმა.<sup>441</sup> გამომდინარე აქედან, არასრულწლოვან სამართალდარღვევებთან მიმართებით, თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული პრობლემა გერმანიაში არ დგას. ხოლო არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ“ გერმანიის აქტი ადგენს რიგ შეზღუდვებს. კერძოდ, აქტის 72-ე მუხლით, არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მიზანი ვერ იქნება მიღწეული სხვა, მაგ., დროებითი აღმზრდელობითი

---

<sup>439</sup> JSStG, 2003, Art 105(3), Available at: <https://www.admin.ch/opc/de/classified-compilation/20031353/index.html> [Last seen: 01.02.2021].

<sup>440</sup> Heinz W., *Das Deutsche Jugendstrafrecht Ziel, Handhabung, Wirkungen, Vortrag, Gehalten am 8.11.2008 Hokkai-Gakuen Universität, Sapporo, P. 5*, Available at: <http://www.uni-konstanz.de/rtf/kis/DasDeutscheJugendstrafrecht.pdf> [Last seen: 01.02.2021].

<sup>441</sup> Ordnungswidrigkeitengesetz, 1987, §1, Available at: <https://dejure.org/gesetze/OWiG/1.html> [Last seen: 01.02.2021].

ღონისძიების გამოყენებით. გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ჩვეულებრივი თანაზომიერების პრინციპისა, ამ დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას ის დატვირთვა და სიმძიმე რაც პატიმრობას, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას ექნება არასრულწლოვანზე. აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებიდან ცხადი უნდა იყოს, რომ სხვა ღონისძიება, მაგ., არასრულწლოვნის დროებითი მოთავსება აღმზრდელით დაწესებულებაში, არაა საკმარისი და პატიმრობა თანაზომიერია.<sup>442</sup> თუ არასრულწლოვანს ჯერ არ შესრულებია 16 წელი, მიმალვის პრევენციის მიზნით, აღკვეთის ღონისძიება გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც არასრულწლოვანს დააკავებენ უშუალოდ მიმალვის მცდელობისას ან როდესაც იგი იღებს ზომებს მიმალვის უზრუნველსაყოფად, ან არასრულწლოვანს არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან ღამის გასათევი.<sup>443</sup> იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა გამოიყენეს, სისხლის სამართლის პროცესი უნდა წარიმართოს დაჩქარებული წესით.<sup>444</sup>

ამკ-ის 64-ე მუხლის პირველი ნაწილით კი, არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების, გამოყენება დასაშვებია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას: ა) სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა; ბ) პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა; გ) მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს. ეს ჩანაწერი, ამავე კოდექსის 73-ე მუხლის პირველ ნაწილთან („არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე

<sup>442</sup> *Jugendgerichtsgesetz, 1988, §72(1)*, Available at: <https://dejure.org/gesetze/JGG/72.html> [Last seen: 01.02.2021].

<sup>443</sup> *JGG, 1988, §72(2)*, Available at: <https://dejure.org/gesetze/JGG/72.html> [Last seen: 01.02.2021].

<sup>444</sup> *იქვე, §72(6)*.

დანაშაული ჩაიდინა...“) ერთად თუ იქნება განხილული, აღნიშნულ ნორმათა ერთობლივი ანალიზით, ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, პატიმრობის გამოყენება დაუშვებელია, ისევე როგორც, თავისუფლების აღკვეთის. უმჯობესია, კანონი უფრო ნათელი და მკაფიო იყოს და ამკ-ის 64-ე მუხლში პირდაპირ ჩაიწეროს, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, პატიმრობის გამოყენება არ არის შესაძლებელი.

#### 7.4. თავისუფლების აღკვეთის გავლენა არასრულწლოვანზე

თავისუფლების აღკვეთას იმდენად ცუდი შედეგები მოაქვს არასრულწლოვნისთვის, რომ ამერიკელ მეცნიერ გრინვუდს ამასთან დაკავშირებით ერთგვარი მათემატიკური ფორმულაც აქვს დაწერილი. კერძოდ, დანაშაული გამრავლებული თავისუფლების აღკვეთაზე უდრის დანაშაულს.<sup>445</sup>

თავისუფლების აღკვეთას განსაკუთრებული უარყოფითი გვერდითი მოვლენები აქვს არასრულწლოვანთა მიმართ და ხშირ შემთხვევაში, მათი მხრიდან დანაშაულებრივი კარიერის დასაწყისს ითვალისწინებს.<sup>446</sup> თავისუფლების აღკვეთის გავლენა არასრულწლოვანზე გაცილებით დიდია, ვიდრე სრულწლოვანზე. ამას მიზეზი ბევრია, თუმცა, მთავარი მაინც მათი მოუმწიფებელი ბუნება და სენსიტიურობაა. ესეც უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იმისა, რომ თავისუფლების აღკვეთა, რაც შეიძლება ნაკლებად იქნეს გამოყენებული, რადგან არასრულწლოვანი, რომელიც სასჯელის მოხდის შემდეგ დაუბრუნდება საზოგადოებას, აღარ იყოს საშიში.

აშშ-ში არასრულწლოვნებს სუპერ მტაცებლებსაც ეძახიან (Super-predators), რადგან ამ ასაკში ადამიანი არის ყველაზე იმპულსური და დაუნდობელი, განსაკუთრებით ეს ეხება თინეიჯერ ბიჭებს. მათ არ ეშინიათ დაპატიმრების სტიგმის,

<sup>445</sup> Levitt S. D., “Juvenile Crime and Punishment“, Journal “Political Economy“, Vol. 106, No. 6, 1998, P. 1162.

<sup>446</sup> ბიორგო ტ., დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, 2016, გვ. 134.



ციხის ტკივილის ან სინდისის ქენჯნის. მათთვის სიტყვებს – კარგი (Right) და ცუდი (Wrong), ერთნაირი მნიშვნელობა აქვს.<sup>447</sup> არასრულწლოვნების პერიოდს ბუნებასაც კი ადარებენ, რადგან ამ დროს ადამიანი არის ყველაზე „Natural“ (ბუნებრივი, რეალური, ნამდვილი),<sup>448</sup> მაგრამ ეს პერიოდი არის ყველაზე ინტენსიურად სამართავი ადამიანის ცხოვრებაში.<sup>449</sup> ამ დროს არასრულწლოვნებს ახასიათებთ ყოყმანი ნებადართულ და აკრძალულ ქცევებს შორის.<sup>450</sup> თუ გარემო პირობები უწყობთ ხელს, აკრძალული ქცევებისკენ იხრებიან.

არასრულწლოვნობის პერიოდს მოიხსენიებენ, როგორც წინააღმდეგობის მეტაფორას და არსს, რადგან ამ ასაკში ჭარბად არის დისციპლინის დარღვევის სურვილი,<sup>451</sup> ამიტომ, კანონმდებელმა ისეთი მართლმსაჯულება, მათ შორის, სასჯელთა სახეები და ზომები უნდა შესთავაზოს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს, რომ დროის მცირე მონაკვეთში, დაუბრუნდეს საზოგადოებას გამოსწორებული და რეაბილიტირებული. თავისუფლების აღკვეთის ლიმიტირება, როგორც რაოდენობრივად, ასევე ხანგრძლივობის თვალსაზრისით, საერთაშორისო პრინციპების ქვაკუთხედიანია. ცნობილია, რომ პენიტენციურ სისტემაში ყოფნა დაკავშირებულია გახანგრძლივებულ სტრესთან. სტრესი განსაკუთრებულ კვალს ტოვებს არასრულწლოვნის ფსიქიკაზე. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის ძირითადი მიზანი უნდა იყოს არასრულწლოვნის რეინტეგრაცია და მის მიერ მომავალში საზოგადოებაში სასარგებლო როლის შესრულება. ამკ-ის მიხედვით, სასჯელის მიზნებიც სწორედ ეს არის –

---

<sup>447</sup> Bennett W. J., DiIulio, J. J., Walters, J. P., *Body Count: Moral Poverty... and How to Win America's War against Crime and Drugs*, New York, 1996, P. 27.

<sup>448</sup> Mcgillivray A., *Governing Childhood*, Dartmouth, USA, 1997, P. 2.

<sup>449</sup> Rose N., *Governing the Soul*, London, 1989, P. 44.

<sup>450</sup> Stone L., *“The Revival of Narrative: Reflections on a New Old History”*, Oxford University Press, Past & Present, No. 85, 1979, P. 13.

<sup>451</sup> Finkelhor D., Korbin J., *“Child Abuse as an International Issue”*, Child Abuse and Neglect, 1988, P. 12.

არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არასრულწლოვანი მომავალი დანაშაულის ჩადენისკენაა მომართული, სწავლობს და ხვეწს დანაშაულის ჩადენის ხერხებს და მეთოდებს, რათა გაამართლოს მისი სტატუსი.<sup>452</sup> ციხეში არასრულწლოვნებს შორის სწორედ იმაზე მიმდინარეობს საუბარი, თუ როგორ ჩაიდინონ მორიგი დანაშაული გათავისუფლების შემდეგ.<sup>453</sup> ამ დროს არასრულწლოვანი მის მიერ ჩადენილ დანაშაულს ძალიან გაზვიადებულად აღიქვავს და შეიძლება ისეთ ქმედებებშიც კი ადვილად დარწმუნდეს, რაც რეალურად არ ჩაუდენია. რადგან მან დაიმსახურა „ციხე“, სხვა თანატოლებისგან განსხვავებით, ე.ი. იგი საშიში დამნაშავეა და შეცდომას ვერასდროს გამოასწორებს. ეს კი უბიძგებს მას კიდევ ჩაიდინოს დანაშაული.

უკვე დიდი ხანია აღიარებულია, რომ ბავშვის ციხეში მოთავსებამ შეიძლება ისეთი უარყოფითი გავლენა იქონიოს მასზე, რომელიც ვერ დაბალანსდება შესაბამისი მოპყრობის მცდელობებით. ინსტიტუციონალიზაციის ეფექტი, რომელიც მოიცავს ოჯახსა და საზოგადოებასთან დაშორებას, თითქმის ყოველთვის მძიმე შედეგებს გულისხმობს. ციხის ცხოვრებამ, ასევე, შესაძლებელია მგრძობიარე ახალგაზრდა დამნაშავეები დატოვოს ძალადობის კულტურის პირისპირ.<sup>454</sup> ამ ტიპის გამოცდილება კი, არასრულწლოვანს ხდის დაუცველს, უქმნის ფსიქოლოგიურ პრობლემებს და კვლავ უბიძგებს დანაშაულისკენ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბავშვების

---

<sup>452</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო)*, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 49.

<sup>453</sup> ბიორგო ტ., *დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია*, 2016, გვ. 141.

<sup>454</sup> ვინტერი რ., *„არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის გამოყენებისას გასათვალისწინებელი ზოგიერთი საერთაშორისო სტანდარტის შესახებ“*, *სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე*, თბილისი, 2015, გვ. 230.

ინსტიტუციონალიზაციას უფრო მეტად მოჰყვება მათ მიერ შემდგომში დანაშაულის ჩადენა, ვიდრე არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებას.

*„ბავშვისთვის თავისუფლების წართმევა ზრდის მის აგრესიულობას“.<sup>455</sup>*

საპატიმრო სასჯელი უსამართლობის განცდას და ფსიქიკური პრობლემების წარმოშობას უწყობს ხელს, გარიყულად აგრძნობინებს თავს პიროვნებას. სასჯელის მიმართ უსამართლობის განცდამ კი, შესაძლებელია მსჯავრდებულის ფრუსტრაცია გამოიწვიოს და ხელი შეუწყოს მასში სახელმწიფო ორგანოების მიმართ აგრესიის ჩამოყალიბებას.<sup>456</sup> ამან შეიძლება უფრო მეტად უბიძგოს დამნაშავეს მომავალშიც დაარღვიოს კანონი და არასდროს გახდეს კანონმორჩილი პიროვნება. „...სასამართლომ და სამართალდამცავმა ორგანოებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ ის, რომ არასრულწლოვანი საზოგადოების ჯგუფის წევრს წარმოადგენს, მისი განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე და მათი ზეგავლენის ერთგვარი შედეგია, ხოლო თავად არასრულწლოვანი ძალიან მგრძნობიარეა მის გარშემო არსებული ემოციური კლიმატის და მიმდინარე მოვლენების მიმართ. ზოგადად, არასრულწლოვან დამნაშავეებს, გამონაკლისის გარდა, სრულწლოვან დამნაშავეთაგან განსხვავებით, არ შეუძლიათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და ხარისხის მთლიანად სრულყოფილად გაცნობიერება, რაც ზოგიერთი მოზარდის მცირე ასაკის ან არასაკმაო ინტელექტუალური მომზადების ან გამოუცდელობასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ (სასამართლომ, პროკურატურამ) პოზიტიური როლი ითამაშოს არასრულწლოვანი დამნაშავე პირების ხელახალი აღზრდისათვის ხელის შეწყობასა და მათი რესოციალიზაციის მიზნით“.<sup>457</sup>

---

<sup>455</sup> Hammarberg T., “Georgia in transition“, Report on the Human Rights Dimension: Background, Steps Taken and Remaining Challenges, 2013, P. 19-20.

<sup>456</sup> შალიკაშვილი მ., ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, 2012, გვ. 24-25.

<sup>457</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება, საქმე №1გ/178-15.

კრიმინოლოგიაში ჩატარებული კვლევებით, ნორმალური ცხოვრების დანაკლისი და განსაცდელი, რომელიც თან სდევს თავისუფლების აღკვეთას, აახლოებს პატიმარს ციხის ნორმებთან და დანაშაულებრივ სამყაროსთან, რის შედეგადაც ხშირია საყოველთაოდ მიღებული სოციალური ფასეულობების უარყოფა.<sup>458</sup> ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნებისმიერ შემთხვევაში არასრულწლოვნის პიროვნება ციხეში სხვანაირად ყალიბდება და გათავისუფლების შემდეგაც მისი ცხოვრება ყოველთვის კარგად ვერ წარიმართება. შესაბამისად, ამ სასჯელის შეფარდებით, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის შესაბამისი მომავლის გარანტია სახელმწიფოს ვერასდროს ექნება.

---

<sup>458</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელადსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 470.

## 8. კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა

### არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

ამკ-ის 76-ე მუხლით, მოსამართლე უფლებამოსილია არასრულწლოვანს დაუნიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა და არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, რის გამოც, მიზანშეწონილია, კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა. მაშინ როდესაც, სასჯელის მინიმალური ზღვრის დანიშვნა მოსამართლეს მხოლოდ საპროცესო შეთანხმების შემთხვევაში შეეძლო და ეს დღემდეც ასეა სრულწლოვნების შემთხვევაში, აღნიშნული ნორმა არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ლიბერალიზაციაზე მიუთითებს, რაც მისასაღმებელია. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უფლება, სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, არასრულწლოვანს შეუფარდოს შესაბამისი სასჯელი. ასეთი სასჯელი კი, შესაძლებელია კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული არ იყოს. ეს არის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება, რომელიც ასეთი პრიორიტეტულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. საპროცესო შეთანხმებას, რომ უკავშირდება მოსამართლის უფლება მინიმალურ ზღვაზე ნაკლები სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში, არ არის მართებული. არასრულწლოვნების შემთხვევაში კი საერთოდ, დაუშვებელია. ამ ნორმამ გამოასწორა ამ კუთხით კანონმდებლობაში არსებული ხარვეზი.

ამკ-ის 76-ე მუხლით, კანონმდებელი, ერთი მხრივ, სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას ითვალისწინებს, თუმცა, მეორე მხრივ, წარსულში ჩადენილი დანაშაულის გამო, მოსამართლეს არ აძლევს შესაძლებლობას, რომ აღნიშნული ნორმა გამოიყენოს, რადგან ეს ორი პირობა კუმულატიურად უნდა არსებობდეს. ეს ჩანაწერი არ აძლევს არასრულწლოვანს საშუალებას, რომ თუ მან მოიხადა სასჯელი, გაქარწყლებული აქვს ნასამართლობა, გამოსწორებული და რესოციალიზებული დაუბრუნდა საზოგადოებას, თავისუფლად განვითარდეს.

ეს ნორმა დასაფიქრებელია ორმაგი მსჯავრდების (Ne bis in idem) ცნებასთან მიმართებითაც. არავინ უნდა იყოს გასამართლებული და დასჯილი ისეთი დანაშაულის ბრალდებით, რომლის გამოც იგი უკვე იყო დასჯილი ან გამართლებული.<sup>459</sup> აღნიშნული ჩანაწერი, მართალია, განმეორებით მსჯავრდებას არ გულისხმობს, მაგრამ უკვე მოხდილი დანაშაული გავლენას ახდენს სხვა დანაშაულზე, რაც ამ ცნების ფართო გაგებით, სახეზეა უკვე სასჯელმოხდილი არასრულწლოვნის არაპირდაპირად „დასჯა“. ამ ნორმით, კანონმდებელი სასამართლოს ართმევს საშუალებას არასრულწლოვნის მიმართ გამოიყენოს მსუბუქი სასჯელი. იგი მოსამართლეს მკაცრად განუსაზღვრავს კრიტერიუმს და არ აძლევს საშუალებას თავად გადაწყვიტოს საკითხი ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე და არასრულწლოვანს, ჩადენილ კონკრეტულ ქმედებაში, საკუთარი ბრალეულობისა და პიროვნების მიხედვით, შეურჩიოს სასჯელი.

სამართლის დოქტორ იოსებ ვარძელაშვილის აზრით, ამკ-ის 76-ე მუხლში სიტყვები – „თუ მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა“ უნდა შეიცვალოს შემდეგი სიტყვებით – „თუ არასრულწლოვანი ნასამართლევი არ ყოფილა“.<sup>460</sup> აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი პირდაპირ ეწინააღმდეგება სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილს, რომლის მიხედვითაც, „გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას“. ანუ თუ პირი ოდესღაც მსჯავრდებული იყო და მას გაქარწყლებული ან მოხსნილი აქვს ნასამართლობა, დაუშვებელია, სასჯელის დანიშვნისას, ამ ფაქტის მხედველობაში მიღება. ამასთან

---

<sup>459</sup> სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, 1966, მუხლი 14(7); *Bill of Rights of the United States, Amendment V, 1791*, Available at: <https://billofrightsinstitute.org/founding-documents/bill-of-rights/> [Last seen: 01.02.2021].

<sup>460</sup> ვარძელაშვილი ი., „არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)“, *არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა*, თბილისი, 2017, გვ. 140.

დაკავშირებით არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება, რომლებშიც სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მსჯავრდებულებს, სწორედ ამ მუხლზე დაყრდნობით შეუცვალა კვალიფიკაცია, შესაბამისად, სასჯელის ოდენობაც.<sup>461</sup>

პროფ. ნონა თოდუა ამ ჩანაწერს სხვა პრობლემებსაც უკავშირებს. კერძოდ, წარსულში გამამტყუნებელ განაჩენგამოტანილად ჩაითვლება ის პირიც, რომლის მიმართაც პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი იყო გამამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ მესამე ინსტანციამ გაამართლა. ასევე, ის არასრულწლოვანი, რომლის მიმართაც, სსსკ-ის 310-ე მუხლის (ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძვლები) საფუძველზე, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯა გამამტყუნებელი განაჩენი და შეიცვალა გამამართლებელი განაჩენით (განსაკუთრებით ეს საკითხი შეიძლება დაისვას ამ მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის დროს, როდესაც ახალმა კანონმა შეიძლება გააუქმოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო).<sup>462</sup> ასეთ პირთა მიმართ განსაკუთრებით უსამართლო იქნება ეს ჩანაწერი, რაშიც სრულიად ვეთანხმები პროფესორს. აღნიშნული ნორმა მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე მიუთითებს და არა ლიბერალურზე, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთავარი მახასიათებელი ნიშანია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამკ-ის 76-ე მუხლიდან ამოღებულ უნდა იქნას სიტყვები – „თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა“.

---

<sup>461</sup> მაგ., იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმე №67აპ.-16.

<sup>462</sup> თოდუა ნ., „არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის ზოგიერთი სადავო საკითხი“, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, გვ. 107-108.

## 9. არასრულწლოვანთა სასჯელები 18-დან 21 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდებისთვის

ფსიქოლოგებმა და ექიმებმა დიდი ხნის წინ დაადგინეს, რომ 18 წლის ასაკს მიღწეული პირი ჯერ კიდევ არ არის სრულფასოვანი. სრულასაკოვანი პირის ჩამოყალიბება ხდება 22, ზოგჯერ კი 25 წლისთვის. მოზარდებისთვის განკუთვნილი სასჯელი უნდა განსხვავდებოდეს უფროსების სასჯელისაგან ან წარმოადგენდეს შუალედურ რგოლს არასრულწლოვანთა და უფროსების სასჯელთა შორის. ასე შეიქმნა კანონმდებლობაში მოზარდთა კონცეფცია.<sup>463</sup>

ზოგიერთი სახელმწიფო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას ავრცელებს 18-დან 21 წლამდე ინდივიდებზე. ამგვარი პოლიტიკა ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციასთან წინააღმდეგობაში არ არის. პირიქით, ეს კანონთან კონფლიქტში მყოფი ახალგაზრდა ადამიანების უფლებათა კუთხით, პოზიტიურ ნაბიჯად განიხილება.<sup>464</sup> საფრანგეთის, ნიდერლანდების, გერმანიისა და ინგლისის კანონმდებლობით, მოზარდი არის 18-დან 21 წლამდე ახალგაზრდა, პორტუგალიაში – 16-დან 21 წლამდე, ხოლო შვეიცარიაში – 18-დან 25 წლამდე პირი.<sup>465</sup>

მოზარდები, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია განხილულ იყვნენ არასრულწლოვნებად და მათდამი მიდგომაც შესაბამისი უნდა იყოს.<sup>466</sup> „მოზარდი სრულწლოვანი დამნაშავე“ ნიშნავს 18-დან 21 წლამდე ნებისმიერ ახალგაზრდას,

---

<sup>463</sup> პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 485.

<sup>464</sup> Committee on the Rights of the Child, General Comment No. 10 (2007) Children's Rights in Juvenile Justice, Articles 36-39.

<sup>465</sup> პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 485.

<sup>466</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2008) 11 წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2008 წლის 5 ნოემბერს მინისტრების მოადგილეთა 1040-ე შეხვედრაზე), მუხლი 17.



რომელსაც ბრალად ედება ან ჩაიდინა დანაშაული და მასზე ვრცელდება არასრულწლოვნებისთვის დადგენილი წესები“.<sup>467</sup>

დღევანდელი კვლევებით, გარდატეხის პერიოდი 21 წლამდე გრძელდება,<sup>468</sup> შესაბამისად, ამკ-ის ნორმები, სასჯელების ნაწილში, მართებული იქნება 18-დან 21 წლამდე მოზარდებზეც გავრცელდეს, როგორც ეს ხდება, მაგ., განრიდების შემთხვევაში. ამკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით, „...ამ კოდექსის 38-ე–48-ე მუხლებით (გარდა 42-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლისა) დადგენილი ნორმები ვრცელდება აგრეთვე 18 წლიდან 21 წლამდე პირზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე დანაშაული ან მძიმე დანაშაული“. ამასთან, მე-15 მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილით, 18-დან 21 წლამდე ასაკის ბრალდებული ან მსჯავრდებული სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით. 90-ე მუხლის მე-4 ნაწილით კი, 18 წელს მიღწეული მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში შეიძლება დატოვებულ იქნეს არა უგვიანეს 21 წლის მიღწევისა. აღნიშნული მუხლებით, მითითებულ ასაკში შეღავათების არსებობა ამკ-ში უკვე სახეზეა და რატომ არ შეიძლება, რომ სასჯელებთან მიმართებითაც დაწესდეს მსგავსი გამონაკლისი. მხოლოდ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებული ნორმების მოზარდზე გავრცელება ძალიან ვიწრო მიდგომაა. მოზარდებზე, აუცილებელია, პირველ რიგში, გამოყენებულ იქნეს კოდექსის ძირითადი პრინციპები, რასაც სწორედ უკავშირდება სასჯელთა სახეები და ზომები, რომლებსაც ამკ გვთავაზობს.

---

<sup>467</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2008) 11 წვერი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2008 წლის 5 ნოემბერს მინისტრების მოადგილეთა 1040-ე შეხვედრაზე), მუხლი 21(2).

<sup>468</sup> Schafstein, F. /Beukle, W./ Swoboda, S., 2014. S. 7; იხ. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 13.

მოზარდობის ასაკი, ისევე მნიშვნელოვანია ადამიანის მომავლისთვის, როგორც 18 წლამდე პერიოდი. ყველას ერთდროულად ვერ ასრულებს გარდატეხის ასაკს. 18-დან 21 წლამდე პირებიც იმსახურებენ იმ ნდობასა და მოპყრობას, რომელსაც კანონმდებელი არასრულწლოვანი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების შემთხვევაში უშვებს. არ არის მართებული ხშირად გამოთქმული მოსაზრება, რომ დანაშაული მხოლოდ მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკით შეიძლება დამარცხდეს. პირიქით, ზუსტად ამგვარმა პოლიტიკამ, ახალგაზრდა ადამიანების შემთხვევაში, შეიძლება ცუდი შედეგი გამოიწვიოს. არასრულწლოვნები დაბალი კრიმინალური ენერჯით გამოირჩევიან. გარდატეხის ასაკიდან სრულად ჩამოყალიბებამდე, ადამიანმა შეიძლება ნებისმიერ დროს ჩაიდინოს დანაშაული.<sup>469</sup> არაერთი კვლევა ადასტურებს იმას, რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა, 18 წლის ასაკში არ სრულდება პირის ჩამოყალიბება. მხოლოდ ასაკობრივი ბარიერის მიღწევით არ მთავრდება ადამიანის არასრულწლოვნობა. კანონი არ უნდა იყოს ხისტი და უხეში მოზარდების მიმართ. დაუშვებელია, ამ შუალედური რგოლის უგულებელყოფა და სსკ-ის ამარა დატოვება. მართებული იქნება თუ 18-დან 21 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებსაც მიეცემათ სასჯელებთან დაკავშირებით იმ „შეღავათებით“ სარგებლობის უფლება, რომლებიც არასრულწლოვნებს აქვთ.

მთელი რიგი ქვეყნების პრაქტიკაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ რაც უფრო ადრეულ ასაკში მოთავსდება პირი პენიტენციურ დაწესებულებაში, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ გათავისუფლების შემდეგ ხელახლა ჩაიდინოს დანაშაული.<sup>470</sup> 18-დან 21 წლამდე ასაკიც საკმაოდ მცირეა, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე კვლევებს, რომელთა მიხედვითაც, გარდატეხის ასაკი 21 წლის ასაკში არ სრულდება. შესაბამისად, სრულიად არასამართლიანია იმ სასჯელის სახეებისა და ზომების გამოყენება 18-დან 21 წლამდე პირებში, რომლებიც გამოიყენება სრულწლოვნების შემთხვევაში.

---

<sup>469</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 48.

<sup>470</sup> მიქანაძე გ., არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებადაკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, თბილისი, 2008, გვ. 10.

18-დან 21 წლამდე ასაკის პირებთან დაკავშირებით, საინტერესოა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება, რომელშიც „საგამომიებო კოლეგია საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ბრალდებული გ. ფ. არის თვრამეტი წლის. საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მეორე მუხლის თანახმად, ეს კოდექსი გამოიყენება 18-დან 21 წლამდე პირის მიმართაც. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ძალაში შედის 2016 წლის 01 იანვრიდან. აღნიშნულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა დანიშნულია 2016 წლის 04 თებერვალს. ცხადია, რომ რამდენიმე დღეში (2016 წლის 01 იანვრიდან) ბრალდებულ გ. ფ.-ს მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს ყველა ის შეღავათი და საგამონაკლისო წესი, რომელიც დაწესებულია 18-დან 21 წლამდე პირების მიმართ, მათ შორის, ის რომ აღნიშნული პირების მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება. ამდენად, საჩივრის მოთხოვნა ბრალდებულ გ. ფ.-ს მიმართ პატიმრობის გამოყენების შესახებ ეწინააღმდეგება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს“.<sup>471</sup>

მოსამართლემ მნიშვნელოვანი სამართლებრივი შეცდომები დაუშვა აღნიშნულ განჩინებაში. კოდექსი დასაშვებად მიიჩნევს მისი ცალკეული დებულების გავრცელებას 18-დან 21 წლამდე პირებზე და ეს, ბუნებრივია, არ გულისხმობს იმას, რომ მთელი კოდექსი ვრცელდება კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებზე. კანონმდებელი კონკრეტულ მუხლებზე მითითებით, გვამცნობს, რა შემთხვევებში შეიძლება გავრცელდეს კოდექსი 18-დან 21 წლამდე პირებზე. კერძოდ, ამკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით, „ამ კოდექსის 38-ე–48-ე მუხლებით (გარდა 42-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლისა) დადგენილი ნორმები ვრცელდება აგრეთვე 18 წლიდან 21 წლამდე პირზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე დანაშაული ან მძიმე დანაშაული“. 38-ე–48-ე მუხლები ეხება განრიდებასა და მედიაციას. შესაბამისად, კოდექსის სხვა მუხლები (ამკ-ის ამ პერიოდის

<sup>471</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინება, საქმე №1გ/2081-15.

რედაქციით) არ ვრცელდებოდა მოზარდებზე. ამასთან, განჩინებაში მოსამართლე ბრალდების მხარის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე დაყენებულ მოთხოვნას, უპირისპირებს ამკ-ის, რომელიც უნდა ამოქმედებულიყო სულ რამდენიმე დღის შემდეგ. საჩივრის მოთხოვნა როგორ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რაიმე კანონს, რომელიც ძალაში არ არის შესული? გარდა იმისა, რომ მოსამართლე კოდექსს ავრცელებს არასწორ სუბიექტზე, ასევე, მოქმედ საკანონმდებლო აქტს წინააღმდეგობაში აყენებს კანონთან, რომელიც ამოქმედებული არ არის, რაც არ არის მართებული.

### **9.1. 18-დან 21 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდთა სასჯელები**

#### **საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით**

გერმანიის კანონმდებლობით, 18-დან 21 წლამდე მოზარდებისთვისაც დასაშვებია იგივე ნორმები, რომლებიც გამოიყენება არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს მოზარდის მიმართ რომელი ნორმები იქნება გამოყენებული. თუ დამნაშავე პიროვნულად ან თავისი ქმედებით არასრულწლოვნის მომწიფების დონესთან უფრო ახლოსაა, ვიდრე სრულწლოვანთან, გამოიყენება არასრულწლოვანთა მიმართ მოქმედი ნორმები. იგივეა აშშ-ის ზოგიერთ შტატში. უფრო მეტიც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ზოგიერთ შტატში (კალიფორნია, ორეგანო, უისკონსინი) 25 წლამდე მოქმედებს.<sup>472</sup>

ინგლისის კანონმდებლობაში დადგენილია ზოგადი დებულება, რომ სასამართლომ 21 წლამდე მიუღწეველი პირის მიმართ არ უნდა გამოიყენოს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით,<sup>473</sup> გამონაკლისი შემთხვევების გარდა. ამით

---

<sup>472</sup> *National Research Council and Institute of Medicine, Juvenile Crime, Juvenile Justice, The National Academies Press, Washington, DC, 2001, P. 212.*

<sup>473</sup> *Powers of Criminal Courts (Sentencing) Act 2000 of UK, 2000, Article 89(1), Available at: <http://www.legislation.gov.uk/ukpga/2000/6/section/89> [Last seen: 01.02.2021].*

კანონმდებელი თავისუფლების აღკვეთის ხასიათის მავნებლობაზე მიუთითებს, ასევე, 21 წლამდე პირს, მიიჩნევს როგორც არასრულწლოვანს. გამონაკლისები შემდეგია: 18 წლამდე ასაკის პირებს, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან მკვლელობისთვის, შეიძლება მიესაჯოთ თავისუფლების აღკვეთა, თუმცა, დაუშვებელია უვადო თავისუფლების აღკვეთა; თუ არასრულწლოვანი მსჯავრდებულია ისეთი დანაშაულისათვის, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია 14 ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთა ან მსჯავრდებულია ისეთი სქესობრივი ხასიათის თავდასხმისთვის, რომელიც არ გულისხმობს გაუპატიურებას (Indecent Assault) და სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისუფლების აღკვეთის გარდა, სხვა სახის სასჯელი არაეფექტური იქნება; თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ 18-დან 21 წლამდე მსჯავრდებულის მიმართ უნდა იქნას გამოყენებული უვადო თავისუფლების აღკვეთა თუ პირი მსჯავრდებულია ისეთი დანაშაულისათვის, რომლისთვისაც 21 წლის ან უფრო მეტი ასაკის პირის შემთხვევაში გათვალისწინებულია უვადო თავისუფლების აღკვეთა.<sup>474</sup>

ნიდერლანდების სისხლის სამართლის კოდექსით, მოსამართლეს შეუძლია არასრულწლოვნისთვის განკუთვნილი სასჯელი შეუფარდოს მოზარდს, თუ ეს გამართლებულია მისი პიროვნების გათვალისწინებით.<sup>475</sup>

არასრულწლოვნებისა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ერთი საკანონმდებლო აქტი არეგულირებს ხორვატიაში.<sup>476</sup> აღნიშნული კანონით, თავისუფლების აღკვეთა სასჯელის სახედ არ არის გათვალისწინებული, თუმცა, არსებობს რამდენიმე დაწესებულება, რომელშიც შეიძლება განთავსდეს არასრულწლოვანი ან მოზარდი. არასრულწლოვანი ან მოზარდი

---

<sup>474</sup> Powers of Criminal Courts (Sentencing) Act 2000 of UK, 2000, Articles 91, 94, Available at:

<http://www.legislation.gov.uk/ukpga/2000/6/section/89> [Last seen: 01.02.2021].

<sup>475</sup> პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 485.

<sup>476</sup> Juvenile Courts Act of Croatia, 1997, Article 2, Available at:

<http://ilo.org/dyn/natlex/docs/ELECTRONIC/86585/97865/F132133903/HRV86585%20English.pdf> [Last seen: 01.02.2021].

გამოსასწორებელ ცენტრში შეიძლება მოთავსდეს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო მიიჩნევს, რომ გამოსასწორებელი ზომების მიზნის მისაღწევად საჭიროა გავლენა მათ პიროვნებასა და ქცევაზე შესაბამისი მოკლევადიანი ზომების მიღებით. არასრულწლოვანი ან მოზარდი გამოსასწორებელ ცენტრში შეიძლება მოთავსდეს მუდმივად ან გარკვეული საათების განმავლობაში. ამ ღონისძიების გამოყენებისას, ზრუნვა ისე უნდა განხორციელდეს, რომ ისინი არ მოწყდნენ სწავლას ან სამუშაო გარემოს. მათი ყოფნა ცენტრში უნდა შეივსოს ისეთი აქტივობებით, რომელიც შეესაბამება მათ ხასიათს, შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად, ასევე საგანმანათლებლო პროგრამებით, რომლებიც მიმართული იქნება მათი პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებისაკენ.<sup>477</sup> გამასწორებელი ღონისძიების აღსრულება შესაძლებელია მცირე საცხოვრებლებში. არასრულწლოვანი ან მოზარდი გამოსასწორებელ დაწესებულებაში უნდა დარჩეს სულ ცოტა 6 თვე, არა უმეტეს 2 წლისა და სასამართლომ ყოველ 6 თვეში უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა საფუძვლები იმისა, რომ მოხდეს ამ ღონისძიების შეჩერება ან ჩანაცვლება სხვა გამოსასწორებელი ღონისძიებით.<sup>478</sup>

---

<sup>477</sup> *Juvenile Courts Act of Croatia, 1997, Article 10, Available at:*

<http://ilo.org/dyn/natlex/docs/ELECTRONIC/86585/97865/F132133903/HRV86585%20English.pdf> [Last seen: 01.02.2021].

<sup>478</sup> *ოქვე, Articles 14, 15.*

## 10. თავისუფლების შეზღუდვა, როგორც სასჯელის სახე არასრულწლოვანთა

### მართლმსაჯულებაში

ამკ-ის პირველი რედაქცია ითვალისწინებდა არასრულწლოვნებისთვის კიდევ ერთ სასჯელის სახეს, რომელიც, საინტერესოა, განხილულ იქნეს ნაშრომში. ამკ-ის 2017 წლის 1 ივნისამდე მოქმედი 72-ე მუხლი ეხებოდა – თავისუფლების შეზღუდვას. აღნიშნული სასჯელის სახე გაუქმდა სსკ-შიც და ჩანაცვლდა შინაპატიმრობით. შესაბამისად, ამავე წელს მოხდა თავისუფლების შეზღუდვის ერთადერთი დაწესებულების ლიკვიდაცია, რომელიც სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის იყო განკუთვნილი.

1999 წლის სსკ-ის პირველი რედაქციით, თავისუფლების შეზღუდვა, როგორც სასჯელის სახე, არასრულწლოვნების შემთხვევაში გათვალისწინებული არ იყო. ეს სასჯელის სახე საკანონმდებლო აქტს უფრო მოგვიანებით, 2000 წლის 15 მაისიდან დაემატა.<sup>479</sup> სსკ-ის 86<sup>1</sup> მუხლით, არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელი იყო დანიშნულიყო განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებისას – ორ წლამდე ვადით, ხოლო გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის მსჯავრდებისას – ოთხ წლამდე ვადით. კანონმდებელი სასჯელის ვადას უკავშირებდა დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობას, რაც არ იყო მართებული. ამავე წლის ივლისის ცვლილებით,<sup>480</sup> აღნიშნული მუხლი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა – „*არასრულწლოვანს თავისუფლების შეზღუდვა ენიშნება ოთხ წლამდე ვადით*“.

ამკ-ის 72-ე მუხლით კი, თავისუფლების შეზღუდვის მაქსიმალური ვადა იყო 3 წელი. სასჯელის ზომის ლიბერალიზაცია მისასაღმებელია, თუმცა, აქაც იგივე პრობლემას ვხვდებით, რასაც ჯარიმის შემთხვევაში. ამ სანქციისთვის არ იყო

---

<sup>479</sup> „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

საქართველოს კანონის პროექტი, 15.05.2000, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1720?publication=0> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021].

<sup>480</sup> „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

საქართველოს კანონის პროექტი, 17.07.2000, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/17182?publication=0> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021].

განსაზღვრული სასჯელის მინიმალური ზღვარი, რაც ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პრინციპებს. აღსანიშნავია, რომ იგივე სასჯელის სახე სრულწლოვნების შემთხვევაში ითვალისწინებდა მინიმალურ ზღვარს. 2017 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სსკ-ის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით, თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება დანიშნონდა ნასამართლეობის არმქონე პირს, ერთიდან ხუთ წლამდე ვადით.

ნასამართლეობის არქონასთან დაკავშირებით ჩანაწერი არ იყო ამკ-ში, რაც, ასევე, კოდექსის დადებით მხარეზე მიუთითებს. არასრულწლოვანი მსჯავრდებული შეიძლება წარსულში ნასამართლევი იყოს, მაგრამ მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის თავისუფლების შეზღუდვის შეფარდება პროპორციული აღმოჩნდეს და აღწევდეს სასჯელის მიზნებს. თავისუფლების შეზღუდვა არც ისე ლიბერალური სასჯელია. იგი მსჯავრდებულს უზღუდავს თავისუფლებას, შესაბამისად, მისი გამოყენება არასრულწლოვნის მიმართ, რომელიც წარსულში ნასამართლევი, შესაძლებელია, რიგ შემთხვევებში, რელევანტური იყოს.

როგორც სსკ-ის, ასევე, ამკ-ის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის გარდა, თავისუფლების შეზღუდვა იყო ის სასჯელი, რომელიც შეიძლებოდა დანიშნულიყო მხოლოდ, როგორც ძირითადი სასჯელი. 2017 წლის 1 ივნისიდან აღნიშნული სასჯელის სახე ორივე კოდექსიდან ამოღებულ იქნა. თავისუფლების შეზღუდვა ძალიან დიდი ხანი იყო ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, როგორც ერთ-ერთი ალტერნატიული სასჯელის სახე, მათ შორის, არასრულწლოვნებისთვის, თუმცა, ისე გაუქმდა, რომ სრულწლოვნებისგან განსხვავებით, არასრულწლოვნებში ერთხელაც კი არ გამოყენებულა. ამის ძირითადი მიზეზი კი გახლდათ ის, რომ საქართველოში არ არსებობდა არც ერთი თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისთვის. ვინაიდან, სრულწლოვანი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულები არ შეიძლება ერთად განთავსდნენ, არასრულწლოვნების შემთხვევაში შეუძლებელი იყო ამ სასჯელის აღსრულება. ქვეყანაში არსებობდა მხოლოდ ერთი თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება, ისიც მხოლოდ სრულწლოვნებისთვის.



საქართველოში არსებული ერთადერთი თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება დედაქალაქში, 2014 წელს გაიხსნა. დაწესებულება წარმოადგენდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ ტერიტორიულ ორგანოს, სადაც სასჯელს იხდიდნენ მსჯავრდებულები, რომლებსაც საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს მიერ შეეცვალათ სასჯელის სახე თავისუფლების აღკვეთა – თავისუფლების შეზღუდვით. აღნიშნული სასჯელის შეფარდების საშუალება, როგორც სრულწლოვანების, ასევე, არასრულწლოვნების შემთხვევაში, სასამართლოსაც უნდა ჰქონოდა, თუმცა, ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, ეს ნორმა არასდროს ამოქმედებულა.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების გერმანული შესატყვისია „ღია დაწესებულება“, რადგან ამ დაწესებულებაში მავთულხლართიანი ღობეები, გისოსებიანი ფანჯრები, საკნის მძიმე რკინის კარებები, შეიარაღებული დაცვა, შეზღუდულად ან საერთოდ არ გხვდება.<sup>481</sup> თავისუფლების შეზღუდვის მიზანს წარმოადგენს მსჯავრდებულთა საზოგადოებაში რეინტეგრაცია, რეაბილიტაცია და გათავისუფლებისთვის მომზადება. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებს არ აქვთ შეზღუდული ერთმანეთთან ურთიერთობა და გადაადგილება დაწესებულების ტერიტორიის ფარგლებში. რაც ყველაზე მთავარია, მათ აქვთ უფლება დასვენების დღეებში დატოვონ დაწესებულების ტერიტორია და დაუბრუნდნენ ოჯახებს. შაბათ-კვირის გარდა, მსჯავრდებულები სარგებლობენ ყველა სხვა ოფიციალური უქმე დღით წელიწადის განმავლობაში.

თავისუფლების შეზღუდვა ეფექტური სასჯელია, რომელიც მსჯავრდებულის ინტენსიურ რეაბილიტაციაზეა ორიენტირებული, რაც კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის საზოგადოებაში უმტკივნეულო დაბრუნებას და განმეორებითი დანაშაულის

---

<sup>481</sup> K. Laubenthal, *Strafvollzug. Sechste Auflage. Heidelberg 2011. S. 200; იხ. არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 144.*

პრევენციას უწყობს ხელს. ეს სასჯელი ასრულებს ხიდის ფუნქციას არასრულწლოვანსა და საზოგადოებას შორის. სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ფარგლებში, სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი, რომ არასაპატიმრო სასჯელები, რაც შეიძლება, მეტი იყოს კანონმდებლობაში. კონტაქტი გარესამყაროსთან კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის აუცილებელი წინაპირობაა. ეს სასჯელი შესაძლებელს ხდის, რომ მსჯავრდებული არ მოწყდეს დაწესებულების გარეთ არსებულ ცხოვრებას, იცხოვროს ნახევრად თავისუფალ გარემოში სასჯელის მოხდის პერიოდში, არ დაივიწყოს და ისწავლოს საჭირო უნარ-ჩვევები, რომელიც საზოგადოებაში დაბრუნებისთვის არის საჭირო. სასურველია, სახელმწიფომ მოიძიოს საკმარისი სახსრები კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების აშენებისთვის, რათა კიდევ ერთი, სასჯელის მიზნებზე ორიენტირებული, ალტერნატიული სასჯელის სახე დაუბრუნდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას.

## დასკვნა

XX საუკუნემ კაცობრიობის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა. როგორც იქნა, ბავშვის უფლებების სუბიექტად აღიარება მოხდა, რომელსაც ღირსეულად და პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ. მსოფლიოს ყველა განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ არასრულწლოვანს განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება, მით უფრო, თუ საქმე გვაქვს ისეთ არასრულწლოვანთან, რომელიც კანონთან კონფლიქტში იმყოფება.

XXI საუკუნემ მოიტანა ბავშვთა უფლებებსა და სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებული კანონმდებლობის აუცილებლობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, რადგან აღნიშნული სფერო მეტად ფაქიზი და საყურადღებოა. ევროპული მიდგომების საკვანძო მახასიათებელია ორიენტაცია პრობლემის აღიარებაზე და მის მიმართ პრაგმატული და რეალისტური სტრატეგიის განხორციელებაზე. არასრულწლოვანთა მიმართ არასწორი სასჯელის შეფარდებისას გამოწვეული ზიანი თავს იჩენს ინდივიდის, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფო დონეზე და საჭიროებს კომპლექსურ და თანმიმდევრულ მიდგომას. სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის უმნიშვნელოვანესია ზრუნვა კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებზე.

არასათანადო კანონმდებლობის გამო, საქართველოს ისტორიაში, ბევრ სისხლის სამართლის საქმე ჰქონდა ადგილი, როდესაც არასრულწლოვნები წლობით იხდიდნენ სასჯელს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. მოსამართლეს არ ჰქონდა შესაძლებლობა მინიმალურ ზღვარზე ნაკლები დაენიშნა, გარდა საპროცესო შეთანხმების შემთხვევებისა, კანონმდებლობაში არ იყო საკმარისი ალტერნატიული სასჯელები და მათი გამოყენების პრაქტიკა და ა.შ. საბოლოოდ, ბევრი არასრულწლოვნის თავისუფლება შეეწირა საკანონმდებლო ხარვეზებს, რაც მომავალში აღარ უნდა განმეორდეს. საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სასჯელთა სისტემა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა რთულ წარსულთან და მკაცრ სადამსჯელო პოლიტიკასთან საბრძოლველად.

წინამდებარე ნაშრომში განხილულ იქნა არასრულწლოვანთა სასჯელები და მათთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომლებსაც დღეს ქართული კანონმდებლობა, კერძოდ კი – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გვთავაზობს.

ჯარიმა, როგორც ერთ-ერთი ალტერნატიული სასჯელის სახე, ფულად თანხასთან არის დაკავშირებული და მეტად ფაქიზ მიდგომას საჭიროებს. ამკ-ის მონაპოვარია ის, რომ არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი. ამით მეტად გამოიკვეთა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი და მოისპო ის მახინჯი პრაქტიკა, რომლითაც არასრულწლოვნის ჯარიმის გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. ამასთან, კვლევის დროს, გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური საკითხი აღნიშნულ სასჯელთან დაკავშირებით.

ამკ, რომელიც თავად არეგულირებს სასჯელთა საკითხებს, მასში მითითება სასჯელთა ზომის შესახებ სხვა საკანონმდებლო აქტებზე, ამ შემთხვევაში სსკ-ზე, არ არის მართებული. საკანონმდებლო აქტი, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისთვის, თავად უნდა ადგენდეს სასჯელის ზომას. ნაცვლად ამისა, კოდექსში მითითებაა სსკ-ზე, რომელიც ჯარიმის მხოლოდ მინიმალურ ოდენობას ადგენს, რაც, ასევე, არ არის სწორი. პასუხისმგებლობის დაწესებისას კანონმდებელი შებოჭილია კანონის განსაზღვრულობის პრინციპით. იგი ვალდებულია დაადგინოს გასაგები, არაორაზროვანი და კონკრეტული სისხლისსამართლებრივი ნორმები, რათა შესაძლებელი იყოს კანონის ნორმათა გაგება და შესაბამისად მოქმედება. არასრულწლოვანს უნდა შეემდოს ზუსტად გაარკვიოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონმდებელი და მიუსადაგოს ამ მოთხოვნას თავისი ქცევა. შესაბამისად, მართებული იქნება, ამკ-ის 68-ე მუხლი ადგენდეს ჯარიმის ზომის, როგორც მინიმალურ, ასევე, მაქსიმალურ ოდენობას.

გარდა, ამისა აღსანიშნავია, რომ ჯარიმა თავისი ბუნებით ისედაც ეკონომიკური ეფექტის მქონეა სახელმწიფოსთვის, შესაბამისად, გადამეტებული და უსამართლოა

კანონში არსებული ნორმა, რომელიც ჯარიმის შეცვლას თავისუფლების აღკვეთით ითვალისწინებს, განსაკუთრებით არასრულწლოვნების შემთხვევაში, მაშინ, როდესაც, ამკ-ით თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ, როგორც უკიდურესი ღონისძიება.

ჯარიმის აღსრულების კუთხით კი, სასურველია, ე.წ. „განაწილვადების წესის“ შემოღება, რომელიც უფრო გაუადვილებდა კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს სასჯელის მოხდას, ასევე, აარიდებდა საპატიმრო სასჯელს. ამასთან, გაიზრდებოდა სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობა. ჯარიმას, როგორც სასჯელის სახეს, ყველა ქვეყანაში აქვს პერსპექტივა, მათ შორის, საქართველოში, რომლის ხშირად გამოყენებაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში შეამცირებს თავისუფლების აღკვეთის გამოყენების სტატისტიკურ მაჩვენებელს.

სადისერტაციო ნაშრომში სათანადო ყურადღება ეთმობა სრულიად ახალ სასჯელის სახეს – შინაპატიმრობას. მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანი მაქსიმალურად იქნეს არიდებული პენიტენციურ დაწესებულებას. შინაპატიმრობა არის ალტერნატიული სასჯელის სახე, რაც თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ შინაპატიმრობაში მყოფი პირი მუდმივად სახლის პირობებში უნდა იყოს. მოსამართლე, გამომდინარე არასრულწლოვნის ყოველდღიური ცხოვრებიდან, განუსაზღვრავს მას იმ საათებს, რომლის განმავლობაშიც უნდა იყოს სახლში. დანარჩენ დროს იგი თავისუფალია იმისთვის, რომ განაგრძოს თვითრეალიზაცია და განვითარება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული სასჯელი მაინც დიდი რისკის შემცველია, რადგან თავისუფლების აღკვეთის ელემენტებს შეიცავს და აუცილებელია დიდი სიფრთხილე.

ნაშრომში გამოკვლეულია შინაპატიმრობის სხვადასხვა ფორმები, რომლებიც სასჯელის გაფართოების შესაძლებლობას იძლევა. მისი გამოყენება, სასურველია, შესაძლებელი გახდეს მძიმე დანაშაულის შემთხვევაშიც, რადგან აღნიშნული სასჯელის სახე არც თუ ისე მსუბუქია. მოსამართლეს სასჯელის დანიშნისას მიეცემა უფრო მეტი ლავირების საშუალება და მეტი შესაძლებლობა თავი შეიკავოს თავისუფლების აღკვეთის სასჯელის სახით დანიშნისგან.

გადასახედია, ასევე, შინაპატიმრობის როგორც მინიმალური, ასევე, მაქსიმალური ზომები. ამკ-ით მისი შეფარდება შესაძლებელია 6 თვიდან 1 წლამდე, მაშინ, როდესაც, შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი მუდმივ ელექტრონულ მონიტორინგს გულისხმობს, რომლის ხანგრძლივად გამოყენება როგორც არასრულწლოვანი, ისე სრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ, მიზანშეუწონელია. ამან შესაძლოა, გამოიწვიოს ფსიქოლოგიური გადახრა ან სხვა მძიმე შედეგი. რაც შეეხება შინაპატიმრობის მინიმალურ ზომას, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში, შესაძლებელია, 6 თვეზე ნაკლები ვადითაც მიღწეულ იქნეს სასჯელის მიზნები. ამ სასჯელის მინიმალური ვადა იგივეა, რაც სრულწლოვნების შემთხვევაში. ეს ვადა, ასევე, იგივეა, რაც თავისუფლების აღკვეთისთვის დადგენილი მინიმალური ზომა. ჩვენზე კანონმდებლობის ანალიზითაც დგინდება, რომ შინაპატიმრობის მინიმალური ვადა ამკ-ში ნაკლები უნდა იყოს, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვნებისთვის უფრო მსუბუქი ზომები უნდა იყოს დადგენილი, ვიდრე სრულწლოვნებისთვის, ამასთანავე, შინაპატიმრობა არის თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელი.

კოდექსში ერთ-ერთი საკითხი, რომელიც, ასევე, გაუმჯობესებას საჭიროებს, არის შინაპატიმრობის დანიშვნა. დაუშვებელია, სასჯელის სახე და დამატებითი ღონისძიება იდენტური შინაარსის იყოს, როგორც არის შინაპატიმრობა და შინიდან გასვლის აკრძალვა. ამასთან, კოდექსში მეტი ინფორმაცია უნდა იყოს სასჯელთან ერთად დასანიშნი დამატებითი ღონისძიებების შესახებ. კერძოდ, ისეთი საკითხები, როგორცაა, ღონისძიებების მოქმედების ვადა, დანაშაულის კატეგორიები, რომელთა შემთხვევაშიც ის შეიძლება იყოს გამოყენებული, აღსრულების მექანიზმი და ა.შ. აგრეთვე, დამატებით გაანალიზებას საჭიროებს შინაპატიმრობის დამატებით სასჯელად დანიშვნის შესაძლებლობა იუვენალურ იუსტიციაში. სანქცია, რომელიც თავისუფლების აღკვეთის ელემენტებს შეიცავს და მას შემდეგ ყველაზე მძიმეა სასჯელთა ნუსხაში, არ არის მართებული, რომ დამატებითი სასჯელის სახით იქნეს გამოყენებული.

ნაშრომში სათანადო ყურადღება ეთმობა შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმს – ელექტრონულ ზედამხედველობას. საკითხი განხილულია

კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჭრილში, გამოკვლეულია მისი მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტები, ასევე, ტექნიკური მახასიათებლები. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ელექტრონული ზედამხედველობის დროს, სავალდებულო იყოს არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ამ შემთხვევაში, მეტად მიიღწევა სასჯელის მიზნები. ამასთან, მეტად დაცული იქნება როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის, ასევე, მესამე პირების უფლებები.

ამკ ითვალისწინებს კიდევ ერთ ალტერნატიული სასჯელის სახეს – საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, რომელიც შესაძლებელია დაინიშნოს როგორ ძირითად, ასევე დამატებით სასჯელად ერთი და იმავე ვადით, რაც არ არის სწორი. ამასთან, საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სრულწლოვნისთვის დამატებით სასჯელად დაინიშნის შემთხვევაში სასჯელის ზომა უფრო ნაკლებია, ვიდრე არასრულწლოვნის შემთხვევაში, რაც ეწინააღმდეგება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგად პრინციპებს. აღნიშნული სასჯელის სახე, ასევე, დასაფიქრებელია მისი ეფექტურობის თვალსაზრისით. სასჯელის ამ სახის გამოყენებამ შეიძლება მძიმე მატერიალური მდგომარეობის წინაშე დააყენოს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი. ის მცირედი, ელემენტარული შემოსავალი მოუსპოს, რაზეც შეიძლება დამოკიდებული იყოს მისი ნორმალური ცხოვრება და განვითარება. ალტერნატიული სასჯელების მთავარი უპირატესობა არის ის, რომ არასრულწლოვანი არ მოხვდეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, რათა ხელი არ შეეშალოს მის ჩვეულ, ნორმალურ ცხოვრებას, მათ შორის, მუშაობასა და სწავლას. ამ სასჯელით კი, საქმიანობის უფლება ერთმევა არასრულწლოვანს. შესაბამისად, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, არასრულწლოვანთან მიმართებით, არ არის სასჯელის მიზნებზე ორიენტირებული სასჯელის სახე. აქედან გამომდინარე, უმჯობესია, ამოღებულ იქნეს კოდექსიდან.

ამკ-ის კიდევ ერთ ალტერნატიულ სასჯელის სახეს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა წარმოადგენს. აღნიშნულ სასჯელთან მიმართებით, დასაფიქრებელია, მისი მაქსიმალური ზომა, რაც, სასურველია, კიდევ უფრო შემცირდეს. გარდა ამისა, ამკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის ან მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო მეტი ვადითაც დაინიშნოს. დამატებით სასჯელად კი, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო ნაკლები ვადითაც დაინიშნოს, რაც არ არის მართებული. ამ შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია კანონის განსაზღვრულობის პრინციპი. ამასთან, არ არის სწორი თუ 300 საათზე მეტი დროით შეეფარდება არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ზომა არათუ მიუახლოვდეს, არამედ გასცდეს კიდევ იგივე სასჯელის შემთხვევაში სრულწლოვნებისთვის დადგენილ მაქსიმალურ ზომას. გარდა ამისა, დადგენილია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესები შეუთავსებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების დროს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან, შესაბამისად, სასჯელის ზომის შერჩევას კანონმდებელი საპროცესო შეთანხმებას არ უნდა უკავშირებდეს.

ასევე, აღსანიშნავია, რომ სსკ-ის მიხედვით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ ენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე, გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს. აღნიშნულ შეღავათს, რიგ შემთხვევებში, აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ამკ-იც, რადგან ამის გარეშე, არასრულწლოვანთა შედარებით, სრულწლოვანი უკეთეს მდგომარეობაშია, რაც ეწინააღმდეგება იუვენალური იუსტიციის ზოგად მიდგომებს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ კოდექსით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას, სასურველია, არასრულწლოვანი მსჯავრდებული სამუშაოდ ისეთ ადგილას გამწესდეს, სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისთვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს. კანონმდებელი ამ ფაქტორებს სასურველად მიიჩნევს და არა სავალდებულოდ, რაც არ არის მართებული და პირდაპირ ეწინააღმდეგება სასჯელის ერთ-ერთ მიზანს – რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, როდესაც მას არასრულწლოვნები ასრულებენ,



უნდა ითვალისწინებდეს კონსტრუქციულ და საინტერესო საქმიანობას, მაგ., ისეთს, რომელიც ბავშვს საშუალებას მისცემს დაეუფლოს რაიმე უნარს და აგრძნობინებს, რომ ამის გაკეთებით მან სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას. უმჯობესია, ამ სასჯელის აღსრულების ადგილის შერჩევაზე კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის აზრი გათვალისწინებული იყოს. სასურველია, მისი თანხმობაც კი იყოს სავალდებულო. არასრულწლოვნები განსხვავებული კატეგორიაა სრულწლოვნებთან შედარებით, შესაბამისად, იძულების შემთხვევაში მათი სტრესი გარდაუვალია, რაც ცუდად აისახება მათ ფსიქიკურ მდგომარეობაზე, რომელიც ისედაც არამდგრადია.

რაც შეეხება თავისუფლების აღკვეთას, უდავოა, რომ თავისუფლების აღკვეთა ყველაზე მძიმე სასჯელის სახეა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. ამ დროს, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი სრულად კარგავს თავისუფლებას, შესაბამისად, ყველაზე დიდი სიფრთხილე ამ სასჯელთან მიმართებით არის საჭირო. ახალი კოდექსით, მოსამართლეს დისკრეცია აღარ აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის არასრულწლოვანს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდოს, რაც სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის თვალსაჩინო გამოხატულებაა. აღნიშნული სასჯელის შეფარდება ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ნამდვილად გადაჭარბებულია.

რაც შეეხება, თავისუფლების აღკვეთის ზომას, კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში დავაა იმაზე, არასრულწლოვნისათვის მისჯილი მოკლევადიანი (ექვსი თვიდან ერთ წლამდე) თუ გრძელვადიანი (ერთი წლიდან სამ წლამდე) სასჯელი არის თუ არა რესოციალიზაციის მომტანი. კრიმინოლოგიაში დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ოთხი ან ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა ხელს უწყობს არა პირის რესოციალიზაციას, არამედ ფრუსტრაციასა და სოციალიზაციის დაკარგვას.<sup>482</sup>

---

<sup>482</sup> Ostendorf, H., 2009. S. 152; Peters, K., 1960. S. 193; Mollenhauer, W., 1961, S. 162; იხ. შალიკაშვილი მ., მიქსანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, 2011, გვ. 81.

უმჯობესი იქნება, კანონმდებელმა შეამციროს ამკ-ის 73-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში მითითებული სასჯელის ზომები. კერძოდ, 14-დან 16 წლამდე არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის საბოლოო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს, გამონაკლისის სახით შესაძლებელია გაკეთდეს დათქმა მის მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე ხასიათის დანაშაულების გარდა, ხოლო 16-18 წლამდე არასრულწლოვნისთვის – 10 წელს. სასჯელის ზომის დაწევით, გამართლებული იქნებოდა სასჯელის პედაგოგიური მიზანიც – არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.

ნაშრომში სათანადო ყურადღება ეთმობა 18-დან 21 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებს. არაერთი კვლევა ადასტურებს, იმას რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა, 18 წლის ასაკში არ ასრულებს პირი ჩამოყალიბებას და მხოლოდ ასაკობრივი ბარიერის მიღწევით არ მთავრდება მისი არასრულწლოვნობა. შესაბამისად, კანონი არ უნდა იყოს ხისტი და უხეში ასეთი პირების მიმართ. მართებული იქნება, ამკ-ის გათვალისწინებული სასჯელთა სისტემა კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებზეც გავრცელდეს. დაუშვებელია, ამ შუალედური რგოლის უგულებელყოფა და სსკ-ის ამარა დატოვება. 18-დან 21 წლამდე პირებიც იმსახურებენ იმ ნდობასა და მოპყრობას, რომელსაც კანონმდებელი არასრულწლოვანი პირების შემთხვევაში უშვებს.

სადისერტაციო ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა სასჯელის სახეს – თავისუფლების შეზღუდვას, რომელიც აღარ არის ამკ-ით გათვალისწინებული სასჯელის სახე, თუმცა, ბევრი წლის განმავლობაში იყო ქართულ კანონმდებლობაში და დაწესებულების არარსებობის გამო, არასრულწლოვნების შემთხვევაში, ვერ სრულდებოდა. თავისუფლების შეზღუდვა მსჯავრდებულის ინტენსიურ რეაბილიტაციაზეა ორიენტირებული, რაც კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის საზოგადოებაში უმტკივნეულო დაბრუნებას და განმეორებითი დანაშაულის პრევენციას უწყობს ხელს. ეს სასჯელი ასრულებს ხიდის ფუნქციას არასრულწლოვანსა და საზოგადოებას შორის. თავისუფლების შეზღუდვის არსი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ამკ-ში იარსებოს

და ხელი შეუწყოს თავისუფლების აღკვეთის გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლის შემცირებას.

დიდი ხანია, რაც საქართველომ აირჩია ევროპული გზა და შესაბამისად, ინტენსიურად უნდა განხორციელდეს ქართული კანონმდებლობის მორგება საერთაშორისო სტანდარტებზე. აუცილებელია, ჩვენს ქვეყანაში თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა გაგრძელდეს ეროვნული სამართლებრივი ბაზების, პოლიტიკისა და ღონისძიებების ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციასთან უფრო მეტად შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო რეკომენდაციები და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცოს საქართველოს მისწრაფება და ერთგულება საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული პრინციპებისადმი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, უდავოდ, წინგადადგმული ნაბიჯია. საკანონმდებლო აქტი შედგენილია თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით და ემსახურება მართლმსაჯულების მაღალ სტანდარტს, თუმცა, აუცილებელია, კანონის ნორმებისა და დანაწესების დახვეწა და მისადაგება ამა თუ იმ გარემოებებზე. მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელმა თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღოს არასრულწლოვანთა წინაშე და ამით წვლილი შეიტანოს ქვეყნის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისკენ. კანონი არც ისე დიდი ხანია რაც არსებობს ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, თუმცა, აქედანვე გვმართებს, პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, მეტი თეორიული კვლევა. ამით სახელმწიფო და კანონმდებელი მეტად გამოხატავს იმას, რომ მისი განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტი არის ერთი რიგითი არასრულწლოვანი, მომავალი თაობის წარმომადგენელი.

## ბიბლიოგრაფია

### საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები:

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950;
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948;
- ბავშვის უფლებათა ქენევის დეკლარაცია, 1924;
- ბავშვის უფლებების დეკლარაცია, 1959;
- ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია, 1989;
- ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“, 2000;
- ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი „შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ“, 2000;
- ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი „მეტყობინებების პროცედურების შესახებ“, 2011;
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, 1966;
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966;
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, 1998;
- *African Charter on the Rights and Welfare of the Child, Adopted by the Organisation of African Unity (OAU), 1990, Available at:*  
<https://www.un.org/en/africa/osaa/pdf/au/afrc charter rights welfare child africa 1990.pdf>  
[Last seen: 01.02.2021];
- *American Convention on Human Rights, Adopted at the Inter-American Specialized Conference on Human Rights, San José, Costa Rica, 1969, Available at:*  
[https://www.oas.org/dil/treaties\\_B-32\\_American\\_Convention\\_on\\_Human\\_Rights.pdf](https://www.oas.org/dil/treaties_B-32_American_Convention_on_Human_Rights.pdf) [Last seen: 01.02.2021];

- *Arab Charter on Human rights, Adopted by the Council of the League of Arab States, 2004, Available at: <http://www.humanrights.se/wp-content/uploads/2012/01/Arab-Charter-on-Human-Rights.pdf> [Last seen: 01.02.2021];*
- *Charter of Fundamental Rights of the European Union, 2000, Available at: [https://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text\\_en.pdf](https://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text_en.pdf) [Last seen: 01.02.2021].*

### საქართველოს კანონმდებლობა:

- *„დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2007;*
- *„ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 31 დეკემბრის №178 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება;*
- *„პატიმრობის შესახებ“ კანონი, 1999;*
- *„შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 28 დეკემბრის №146 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება;*
- *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015;*
- *საქართველოს კონსტიტუცია, 1995;*
- *საქართველოს პატიმრობის კოდექსი, 2010;*
- *საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, 1928;*
- *საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, 1960;*
- *საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1923;*
- *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997;*

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა:

- *Bill of Rights of the United States of America, 1791, Available at: <https://billofrightsinstitute.org/founding-documents/bill-of-rights/> [Last seen: 01.02.2021];*
- *Code Pénal Français, 1992, Available at: [https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070719&fbclid=IwAR1ol9nWyVu1svL8V25gbnGUT51yT6xTk\\_3QudWCnkiAFbdaaX2nIS4oM9o](https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070719&fbclid=IwAR1ol9nWyVu1svL8V25gbnGUT51yT6xTk_3QudWCnkiAFbdaaX2nIS4oM9o) [Last seen: 01.02.2021];*
- *Criminal Code of Czech, 2009, Available at: [https://www.legislationline.org/download/id/6370/file/Czech%20Republic\\_CC\\_2009\\_am2011\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/6370/file/Czech%20Republic_CC_2009_am2011_en.pdf) [Last seen: 01.02.2021];*
- *Criminal Code of Republic of Belarus, 1999, Available at: <https://cis-legislation.com/document.fwx?rgn=1977> [Last seen: 01.02.2021];*
- *Criminal Code of Spain, 1995, Available at: [https://www.legislationline.org/download/id/6443/file/Spain\\_CC\\_am2013\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/6443/file/Spain_CC_am2013_en.pdf) [Last seen: 01.02.2021];*
- *Jugendgerichtsgesetz, 1988, Available at: <https://dejure.org/gesetze/JGG/72.html> [Last seen: 01.02.2021];*
- *Jugendstrafgesetz, 2003, Available at: <https://www.admin.ch/opc/de/classified-compilation/20031353/index.html> [Last seen: 01.02.2021];*
- *Juvenile Courts Act of Croatia, 1997, Available at: <http://ilo.org/dyn/natlex/docs/ELECTRONIC/86585/97865/F132133903/HRV86585%20English.pdf> [Last seen: 01.02.2021];*

- *Juvenile Justice Code of Kosovo, 2004, Available at: <https://md.rks-gov.net/desk/inc/media/B5AFE545-3908-4F63-98E0-0A8DD593B499.pdf> [Last seen: 01.02.2021];*
- *Juvenile Justice System Ordinance of Pakistan, 2000, Available at: <https://www.ilo.org/dyn/natlex/docs/ELECTRONIC/81784/88955/F1964251258/PAK81784.pdf> [Last seen: 01.02.2021];*
- *Kod för Föräldrarnas Rättigheter och Skyldigheter och Förmyndarskap, 1979, Available at: [https://e-justice.europa.eu/content\\_parental\\_responsibility-302-se-sv.do?member=1](https://e-justice.europa.eu/content_parental_responsibility-302-se-sv.do?member=1) [Last seen: 01.02.2021];*
- *Krimināllikums, 1998, Available at: <http://likumi.lv/doc.php?id=88966> [Last seen: 01.02.2021];*
- *Laki Lapsen Huollosta ja Tapaamisoikeudesta, 1983, Available at: <https://www.finlex.fi/fi/laki/ajantasa/1983/19830361> [Last seen: 01.02.2021];*
- *Law on Juvenile Criminal Offenders and Criminal Protection of Juveniles of Serbia, 2005, Available at: [https://www.refworld.org/pdfid/4b56c9952.pdf?\\_cf\\_chl\\_jschl\\_tk\\_=2a4fe24bd69962c8f8fca22c61a85d8af2f81db2-1581253827-0-AdSKmCOzxsKxGzw2y9DqSMA1il47rCplfHp6KIpiCWiR7qFX5PhqiiJzVrP3bzPYTC1YxwgaEpi-Pxji5ROJLpLLV4Uk12tRX0MC1pAv8S5N5uHZK1ZX9kTJ8VNjCtVKGx2gOY5sdEj3VuwizQEyzcDCIFMj-TYJQAlGAmugvpg9s5LyZMXDbuw77xKYplZEbA9JNTzj7KFCHhmmo2jX9FwxwzOq0f\\_k056q2k6SYT9arvqOjngEHZOUtvlkiexu3Iy8Xoval8YBhLUi8X6pTgDGvZ8iAvk06CBMawJMUFxC](https://www.refworld.org/pdfid/4b56c9952.pdf?_cf_chl_jschl_tk_=2a4fe24bd69962c8f8fca22c61a85d8af2f81db2-1581253827-0-AdSKmCOzxsKxGzw2y9DqSMA1il47rCplfHp6KIpiCWiR7qFX5PhqiiJzVrP3bzPYTC1YxwgaEpi-Pxji5ROJLpLLV4Uk12tRX0MC1pAv8S5N5uHZK1ZX9kTJ8VNjCtVKGx2gOY5sdEj3VuwizQEyzcDCIFMj-TYJQAlGAmugvpg9s5LyZMXDbuw77xKYplZEbA9JNTzj7KFCHhmmo2jX9FwxwzOq0f_k056q2k6SYT9arvqOjngEHZOUtvlkiexu3Iy8Xoval8YBhLUi8X6pTgDGvZ8iAvk06CBMawJMUFxC) [Last seen: 01.02.2021];*
- *Loi n° 2002-1138 du 9 Septembre 2002 D'orientation et de Programmation Pour la Justice, 2002, Available at: <https://www.legifrance.gouv.fr/affichTexte.do?cidTexte=JORFTEXT000000775140> [Last seen: 01.02.2021];*

- *Ordnungswidrigkeitengesetz, 1987, Available at: <https://dejure.org/gesetze/OWiG/1.html> [Last seen: 01.02.2021];*
- *Ordonnance n° 45-174 du 2 Février 1945 Relative à l'enfance Délinquante, 2002, Available at: <https://www.legifrance.gouv.fr/affichTexte.do?cidTexte=JORFTEXT000000517521&categorieLien=cid> [Last seen: 01.02.2021];*
- *Par Audzinoša Rakstura Piespiedu Līdzekļu Piemērošanu Bērniem, 2002, Available at: <https://likumi.lv/ta/id/68489-par-audzinosa-rakstura-piespiedu-lidzeklu-piemerosanu-berniem> [Last seen: 01.02.2021];*
- *Penal Code of Estonia, 2001, Available at: [https://www.legislationline.org/download/id/8244/file/Estonia\\_CC\\_am2019\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/8244/file/Estonia_CC_am2019_en.pdf) [Last seen: 01.02.2021];*
- *Powers of Criminal Courts (Sentencing) Act 2000 of UK, 2000, Available at: <http://www.legislation.gov.uk/ukpga/2000/6/contents> [Last seen: 01.02.2021];*
- *Strafgesetzbuch, 1974, Available at: <https://www.jusline.at/gesetz/stgb/paragraf/19> [Last seen: 01.02.2021];*
- *Swiss Criminal Code, 1937, Available at: [https://www.legislationline.org/download/id/8561/file/Swiss\\_CC\\_1937\\_am112019\\_en.pdf](https://www.legislationline.org/download/id/8561/file/Swiss_CC_1937_am112019_en.pdf) [Last seen: 01.02.2021].*

#### საერთაშორისო რეკომენდაციები:

- *ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010) 1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 20 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 1075-ე სხდომაზე);*



- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (2006) 2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე);
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (2014) 4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2014 წლის 19 თებერვალს, მინისტრთა მოადგილეების 1192-ე შეხვედრაზე);
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (99) 22 ციხის გადატვირთულობის და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე, (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1999 წლის 30 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების 681-ე შეხვედრაზე);
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2008) 11 წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2008 წლის 5 ნოემბერს მინისტრების მოადგილეთა 1040-ე შეხვედრაზე);
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 17 ნოემბერს, მინისტრთა მოადგილეების 1098-ე შეხვედრაზე);
- ევროპის საბჭოს სტრატეგია ბავშვთა უფლებების შესახებ (2016-2021), (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2016 წლის 3 მარტს, მინისტრთა მოადგილეების 1249-ე შეხვედრაზე);
- პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მიღებულია 1955 წელს ჟენევაში გამართულ გაეროს პირველ კონგრესზე, რომელიც ეძღვნებოდა დანაშაულის პრევენციას და სამართალდამრღვევებთან მოპყრობას, დამტკიცებულ

იქნა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციით და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციით);

- ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები („ბანგკოკის წესები“), (გაეროს გენერალურმა ასამბლეის 2010 წლის დეკემბრის A/RES/65/229 რეზოლუციამ);
- *Committee on the Rights of the Child, General Comment No. 10 (2007), Children’s Rights in Juvenile Justice;*
- *Committee on the Rights of the Child, General Comment No. 14 (2013) on the Right of the Child to Have His or Her Best Interests Taken as a Primary Consideration;*
- *Committee on the Rights of the Child, General Comment No. 5 (2003), General Measures of Implementation of the Convention on the Rights of the Child;*
- *Directive (EU) 2016/800 of the European Parliament and of the Council of 11 May 2016 on Procedural Safeguards for Children Who are Suspects or Accused Persons in Criminal Proceedings;*
- *General Comment No. 8, The Right of the Child to Protection from Corporal Punishment and Other Cruel or Degrading Forms of Punishment, Arts. 19; 28, Paras. 2, 37, inter alia, 2006;*
- *Guidelines for Action on Children in the Criminal Justice System, Recommended by Economic and Social Council Resolution 1997/30 of 21 July 1997;*
- *UN Human Rights Committee (HRC), CCPR General Comment No. 13: Article 14 (Administration of Justice), Equality before the Courts and the Right to a Fair and Public Hearing by an Independent Court Established by Law, 13 April 1984;*
- *United Nations General Assembly, Human Rights Council, Joint Report of the Office of the High Commissioner for Human Rights, the United Nations Office on Drugs and Crime and the Special Representative of the Secretary-general on Violence against Children on Prevention of and Responses to Violence against Children within the Juvenile Justice System, 27 June 2012;*

- *United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency (The Riyadh Guidelines), Adopted and Proclaimed by General Assembly Resolution 45/112 of 14 December 1990;*
- *United Nations Rules for the Protection of Juveniles Deprived of Their Liberty (Havana Rules), Adopted by General Assembly Resolution 45/113 of 14 December 1990;*
- *United Nations Standard Minimum Rules for Non-custodial Measures (The Tokyo Rules), Adopted by General Assembly Resolution 45/110 of 14 December 1990;*
- *United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"), Adopted by General Assembly Resolution 40/33 of 29 November 1985.*

#### ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა:

- ალკინი მ., ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო პროკურორებისთვის, პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია, თბილისი, 2008;
- არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015;
- ბეკარია ჩ., დანაშაულისა და სასჯელისთვის, თბილისი, 2003;
- ბენიძე ვ., დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბილისი, 2003;
- ბიორგო ტ., დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, 2016;
- ბოხაშვილი ი., ბენიძე მ., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები (მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მიხედვით)“, ჟ. „სამართლის ჟურნალი“, №2, თბილისი, 2009;

- ბრანდერი პ., ოლივეირა ბ., გომესი რ., ონდრაჩკოვა ი., კინი ე., სურიანი ა., ლემინერი მ., სუსლოვა ა., კომპასი, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით, 2004;
- გაბისონია ი., „დაკავების, მისი დაპატიმრებად ტრანსფორმირებისა და აღკვეთის სხვა ღონისძიებათა გამოყენების პრობლემები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, სამართალგამოყენებითი პრაქტიკისა და ახალი კოდექსის პროექტის მიხედვით“, ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 7, №4, თბილისი, 2004;
- გაბისონია ი., აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2003;
- გაბუნია მ., შესავალი კრიმინოლოგიაში, თბილისი, 2011;
- გამყრელიძე ო., „სასჯელი სამართლიანი და სასჯელი უსამართლო“, ჟ. „ცხოვრება და კანონი“, №1(22), თბილისი, 2016;
- გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008;
- გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბილისი, 2013;
- გამყრელიძე ო., სისხლის სამართლებრივი სასჯელის ცნება, ჟ. „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, №1/2016, ხელმისაწვდომია: <http://www.library.court.ge/upload/2016%20wlis%20pirveli.pdf> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021];
- გოთუა ზ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბილისი, 2001;
- გოლობი რ., კრაფი პ., ბავშვთა უფლებების კვლევა, სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ, წიგნი V, 2007;
- გოცირიძე ე., „კონსტიტუციის პრინციპებიდან გამომდინარე სხვა უფლებების აღიარება“, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა; ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013;
- გოცირიძე ე., „პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა; წამების ან სხვაგვარი არაკუმანური მოპყრობის აკრძალვა“, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი,

თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013;

- გოძიაშვილი ი., კრიმინოლოგია, თბილისი, 1998;
- დაუთაშვილი პ., „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესი და პრობაციის კანონი სტიგმათა და ზოგიერთი თეორიის ჭრილში“, ჟ. „სამართლის ჟურნალი“, №1-2, თბილისი, 2003;
- დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013;
- დოევი ი., კვლევის ანგარიში, რეკომენდაციები მუნიციპალიტეტებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი, თბილისი, 2018;
- ვარძელაშვილი ი., „არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)“, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017;
- ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016;
- ვინტერი რ., „არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის გამოყენებისას გასათვალისწინებელი ზოგიერთი საერთაშორისო სტანდარტის შესახებ“, სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015;
- თოდუა ნ., „არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის ზოგიერთი სადავო საკითხი“, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017;
- თოდუა ნ., „არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2016;
- თუმანიშვილი გ., „სასჯელის ადეკვატურობის საკითხი დანაშაულთან მიმართებაში“, ჟ. „სამართლის ჟურნალი“, №1-2, თბილისი, 2003;

- ივანიძე მ., „ალტერნატიული სასჯელები (შედარებითი ანალიზი)“, მზია ლეკვეიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014;
- ივანიძე მ., „ალტერნატიული სასჯელები“, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016;
- კოელი ე., პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისთვის, თბილისი, 2007;
- კრისტი ნ., ტკივილის საზღვრები, სასჯელის როლი სასჯელადსრულების პოლიტიკაში, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, თბილისი, 2017;
- კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2008;
- კური ჰ., ფუტკარაძე ე., ვიურგერი მ., „სისხლისსამართლებრივი სანქციები ქართველ სტუდენტთა შეფასებით“, ოთარ გამყრელიძე 80, საიუბილეო სამეცნიერო კრებული, თბილისი, 2016;
- ლეიკი ე., ბავშვთა უფლებები განათლებაში და განათლებისათვის, საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის, თბილისი, 2015;
- ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი“, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016;
- ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(43), თბილისი, 2011;
- მახარობლიძე თ., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წარმოშობისა და განვითარების ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები (შედარებითი ანალიზი)“, ჟ. „სამართლის ჟურნალი“, №1, თბილისი, 2020;
- მახარობლიძე თ., „ელექტრონული ზედამხედველობა, როგორც შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი იუვენალურ იუსტიციაში“, მაია ივანიძე – 50, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2017;

- მახარობლიძე თ., „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“, ჟ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, თბილისი, 2017;
- მახარობლიძე თ., „შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში“, გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016;
- მახარობლიძე თ., „შინაპატიმრობის დანიშვნის სადავო საკითხები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“, ჟ. „სამართლის მაცნე“, №1, თბილისი, 2020;
- მიქანაძე გ., არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, თბილისი, 2008;
- მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, თბილისი, 1994;
- მოსულიშვილი მ., „არასრულწლოვანთა დანაშაულისა და ზედამხედველობის პროფილაქტიკის ზოგიერთი საკითხი“, ჟ. „სამართალი“, №4-5, თბილისი, 2000;
- მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., „საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთ ქვეყნებში“, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016;
- მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., „შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში – ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება“, ჟ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, თბილისი, 2017;
- მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., „შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე“, ჟ. „სამართალი და მსოფლიო“, №2, თბილისი, 2015;
- ნაცვლიშვილი შ., მოსწავლეთა სამართალდარღვევების მიზეზები და მათი პროფილაქტიკა, თბილისი, 1988;
- ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011;
- ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრო, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო,

<http://www.library.court.ge/upload/International%20legal%20framework%20.pdf> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021];

- პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999;
- როგავა ნ., გობეჩია ფ., არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხები, თბილისი, 1980;
- საქართველოს პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭო, გაეროს ბავშვთა ფონდი, არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია, საწვრთნელი მოდულები არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრირების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები, თბილისი, 2003;
- საქართველოს უზენაესი სასამართლო, მართლმსაჯულება საქართველოში – 2015 წლის სტატისტიკა, ნაწილი III – სისხლის სამართლის საქმეები, ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2015-weli-wigni-sixxli.pdf> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021];
- საქართველოს უზენაესი სასამართლო, სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015;
- ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009;
- ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2010;
- ფუტყარაძე ე., „სასჯელი და მისი დანიშვნის საკითხი საზღვარგარეთის ქვეყნებში (ზოგიერთი პრობლემის შედარებითი ანალიზი)“, ჟ. „ცხოვრება და კანონი“, №1(22), თბილისი, 2016;
- ქარუმბიძე ვ., დარგალი ე., არასრულწლოვანი, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება, თბილისი, 1998;
- შალიკაშვილი მ., „ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში“, მზია ლეკვეიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014;



- შალიკაშვილი მ., „არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების სახეები“, არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011;
- შალიკაშვილი მ., „არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“, ოთარ გამყრელიძე 80, საიუბილეო სამეცნიერო კრებული, თბილისი, 2016;
- შალიკაშვილი მ., „შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან დაკავშირებით“, ჟ. „კრიმინოლოგიის ჟურნალი“, №1, 2016;
- შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013;
- შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია – მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011;
- შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011;
- შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016;
- შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, 2011;
- შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელადსრულების სამართალი, თბილისი, 2014;
- შალიკაშვილი მ., ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, 2012;
- შაჰოვიჩი ნ. ვ., დოეკი ი. ე., ცერმატენი ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში: ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ, თბილისი, 2015;

- შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011;
- ციმაკურიძე ე., ბრალდებულის უარი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე, საპროცესო შეთანხმების შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2019;
- ცქიტიშვილი თ., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მატერიალურსისხლისსამართლებრივი საკითხების რეგულირების ცალკეული ასპექტები“, ჟ. „სამართლის ჟურნალი“, №1, თბილისი, 2019;
- ცქიტიშვილი თ., „სასჯელის შეფარდების საკითხისთვის“, გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016;
- ცქიტიშვილი თ., სასჯელი და მისი შეფარდება, თბილისი, 2019;
- წულაია ზ., კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი), თბილისი, 2005;
- ხერხეულიძე ი., „არასრულწლოვანთა სასჯელის გამოყენების შედარებითი ანალიზი აშშ-სა და საქართველოში“, არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011;
- ხერხეულიძე ი., „პრობაციის ინსტიტუტი – არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014;
- ხერხეულიძე ი., „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – არასაკატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი)“, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(29), თბილისი, 2011;
- ხუბუა გ., „contra legem საქართველოს სახელით?“, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“, 2015, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/340147-contra-legem-sakartvelos-saxelit/>  
[ბოლოს ნანახია: 01.02.2021];

- ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004;
- ჯავახიშვილი დ., „უფლისწულ ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონის წინაპრები და მისი პირდაპირი შთამომავლები“, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 15(2), 2014;
- ჯორბენაძე ო., „ადკვეთის ღონისძიების სახით შინაპატიმრობის შერჩევის ზოგიერთი საკითხი“, ჟ. „სამართლის ჟურნალი“, №7-8, თბილისი, 2002;
- ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი, ბავშვთა დაცვის განყოფილება, თბილისი, 2011.

#### უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა:

- *Albrecht H. J., “Electronic Monitoring in Europe“, (A Summary and Assessment of Recent Developments in the Legal Framework and Implementation of Electronic Monitoring), Freiburg, 2005;*
- *Bazemore G., Umbreit M., “Rethinking the Sanctioning Function in Juvenile Court: Retributive or Restorative Responses to Youth Crime“, Journal “Crime and Delinquency“, No. 41(3), United States, 1995;*
- *Beckford M., “Half of Offenders with Electronic Tags Breach Curfews, Inspectors Claim“, The Telegraph, 2012, Available at: [http://www.telegraph.co.uk/news/uknews/law-and-order/9330200/Half-of-offenders-with-electronic tagsbreach-curfews-inspectors-claim.html](http://www.telegraph.co.uk/news/uknews/law-and-order/9330200/Half-of-offenders-with-electronic-tagsbreach-curfews-inspectors-claim.html) [Last seen: 01.02.2021];*
- *Bennett W. J., DiIulio, J. J., Walters, J. P., Body Count: Moral Poverty... and How to Win America's War against Crime and Drugs, New York, 1996;*
- *Beolens R., “Electronic Monitoring in The Netherlands“, In: Mayer M., Haverkamp R., Levy R., “Will Electronic Monitoring Have a Future in Europe?“, Freiburg, 2002;*

- *Brown M. L. T., McCabe A. S., Wellford C., "Global Positioning System (GPS) Technology for Community Supervision: Lessons Learned", Center of Criminal Justice Technology, United States, 2007;*
- *Chrisman O., Paidology the Science of the child, The Historical Child, Richard G. Badger Gorham Press, Boston, 1920;*
- *Cintron L. A., Rehabilitating the Juvenile Court System: Limiting Juvenile Transfers to Adult Criminal Court, Northwestern University Law Review, Vol. 90, Chicago, United States, 1996;*
- *Clinard M.B., Meier R.F., Sociology of Deviant Behavior, USA, 2014;*
- *Coopriider, K.W., Kerby J., "A Practical Application of Electronic Monitoring at the Pretrial Stage", Federal Probation, 54(1), Illinois, United States, 1990;*
- *Cunneen C., White R., Juvenile Justice: An Australian Perspective, Oxford University Press, England, 1995;*
- *Davis S. M., Children's Rights Under and the Law, Oxford University Press, England, 2011;*
- *Dawson R. O., The Future of Juvenile Justice: Is it Time to Abolish the System, Journal of Criminal Law and Criminology, Vol. 81, Chicago, United States, 1990;*
- *Die Österreichische Justiz, Elektronisch Überwachter Hausarrest, Available at: <https://www.justiz.gv.at/home/wwwjustizgvat/strafvollzug/elektronisch-ueberwachter-hausarrest~2c94848544ac82a60144c0789c900912.de.html?highlight=true> [Last seen: 01.02.2021];*
- *Difonzo J. H., Parental Responsibility for Juvenile Crime, Vol. 80, No. 1, New York, 2001;*
- *Dodgson K., Goodwin Ph., Howard Ph., Llewellyn-Thomas S., Mortimer E., Russell N., Weiner M., Electronic Monitoring of Released Prisoners: An Evaluation of the Home Detention Curfew Scheme, Home Office Research, Development and Statistics Directorate, 2001;*
- *Dodgson K., Mortimer E., "Home Detention Curfew – The First Year of Operation", Research Findings, Vol. 49, London, 2000;*

- *Duff R. A., Garland D., A Reader on Punishment, 1994;*
- *Farrington D.P., “Cross-national Comparative Research on Criminal Careers, Risk Factors, Crime and Punishment“, Journal “European Journal of Criminology”, Vol. 12(4), New York, United States, 2015;*
- *Federle K. H., Children, Curfews, and the Constitution, Washington University Law Review, 1995;*
- *Feld B. C., “Abolish the Juvenile Court: Youthfulness, Criminal Responsibility and Sentencing Policy“, The Journal “Criminal Law and Criminology“, Chicago, United States, 1997;*
- *Feld B. C., Criminalizing the American Juvenile Court, Crime and Justice, Minnesota, United States, 1993;*
- *Finkelhor D., Korbin J., “Child Abuse as an International Issue“, Child Abuse and Neglect, 1988;*
- *Fletcher H., “Electronic Tagging a Flawed System“, 2012, Available at: <https://www.napo.org.uk/sites/default/files/Electronic%20Tagging%20a%20flawed%20system.pdf> [Last seen: 01.02.2021];*
- *Gomme I. M., “From Big House to Big Brother: Confinement in the Future“, The Canadian Criminal Justice System, Toronto, Canadian Scholars' Press, 1995;*
- *Hammarberg T., “Georgia in Transition“, Report on the Human Rights Dimension: Background, Steps Taken and Remaining Challenges, 2013;*
- *Handbook of Basic Principles and Promising Practices on Alternatives to Imprisonment, Criminal Justice Handbook Series, United Nations, New York, 2007;*
- *Haney C., Reforming Punishment, Psychological Limits to the Pains of Imprisonment, American Psychological Association Washington, DC, 2006;*
- *Hart H. L. A., “The Presidential Address: Prolegomenon to the Principles of Punishment“, Journal “Proceedings of the Aristotelian Society“, New Series, Vol. 60, Oxford University Press, England, 1960;*

- *Heinrich B., Kherkheulidze I., Perfection of the Trends in Juvenile Justice Systems on the Basis of Comparison of German, Georgian and the U.S. Juvenile Law, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, 12/2014, Available at: [http://www.zis-online.com/dat/artikel/2014\\_12\\_871.pdf](http://www.zis-online.com/dat/artikel/2014_12_871.pdf) [Last seen: 01.02.2021];*
- *Heinz W., Das Deutsche Jugendstrafrecht Ziel, Handhabung, Wirkungen, Vortrag, Gehalten am 8.11.2008 Hokkai-Gakuen Universität, Sapporo, Available at: <http://www.uni-konstanz.de/rtf/kis/DasDeutscheJugendstrafrecht.pdf> [Last seen: 01.02.2021];*
- *Hofer P. J., Meierhoefer B. S., Home Confinement: An Evolving Sanction in the Federal Criminal Justice System, Federal Judicial Center, Washington, DC, 1987;*
- *Ifrim J., "Various Techniques of Individualising Punishments in the New Criminal Law, Proceedings of the Challenges of the Knowledge Society Conderence", Journal "Challenges of the Knowledge Society", Romania, 2011;*
- *Jensen E. L., Metsger L. K., "A Test of the Deterrent Effect of Legislative Waiver on Violent Juvenile Crime", Journal "Crime and Delinquency", Vol. 40, United States, 1994;*
- *Kalmhont A.M., Tak P. J. P., Sanction System in the Member States of the Council of Europe, 1988;*
- *Kelly A., Introduction to the Scottish Children's Panel, Waterside Press, United Kingdom, 1996;*
- *Kendrick M., Reducing Disproportionate Minority Contact in the Juvenile Justice System: Promising Practices, Aggression and Violent Behavior, United States, 2007;*
- *Kerber-Ganse W., Children Living Together in a Home: Korczak and Kohlberg's Concept of "Just Community", The Year of Janusz Korczak 2012, There Are No Children, There Are People, Warszawa, 2012;*
- *Kinder K., Harland J., Wilkin A., Wakefield A., Three to Remember: Strategies for Disaffected Pupils, The National Foundation for Educational Research, England, 1995;*
- *Krisberg B., Schwartz I., "Rethinking Juvenile Justice", Journal "Crime and Delinquency", Vol. 41, United States, 1983;*

- Lapidos J., "You're Grounded! How Do You Qualify for House Arrest?", Journal "Slate", 2009, <https://slate.com/news-and-politics/2009/01/how-do-you-qualify-for-house-arrest.html> [Last seen: 01.02.2021];
- Larsen K. L., *With Liberty and Juvenile Justice for All: Extending the Right to a Jury Trial to the Juvenile Courts*, *William Mitchell Law Review*, Vol. 20, United States, 1994;
- Levitt S. D., "Juvenile Crime and Punishment", Journal "Political Economy", Vol. 106, No. 6, 1998;
- Lindenberg M., *Elektronisch Unerwünschte Hausarrest auch in Deutschland*, Germany, 1999;
- Lou H. H., *Juvenile Courts in the United States*, Chicago, Illinois, United States, 1927;
- Mack J. W., *The Juvenile Court*, *Harvard Law Review*, Vol. 23, No. 2, Cambridge, MA, United States, 1909;
- Mague M., Morgan R., Reiner R., *The Oxford Handbook of Criminology*, New York, 2007;
- Mallett Ch. A., "Predicting Juvenile Delinquency: The Nexus of Childhood Maltreatment, Depression and Bipolar Disorder", Journal "Criminal Behaviour and Mental Health", 19(4), Ohio, United States, 2009;
- Martin G., "The Effectiveness of Community-based Sanctions in Reducing Recidivism", Journal "Corrections Today", 2003;
- Mcgillivray A., *Governing Childhood*, Dartmouth, USA, 1997;
- Moncrieffe J., Eyben R., *The Power of Labelling: How People are Categorized and Why it Matters*, UK and USA, 2007;
- Moore M. H., Wakeling S., *Juvenile Justice: Shoring up the Foundations*, *Crime and Justice: A Review of Research*, Vol. 22, The University of Chicago Press, Chicago, 1997;
- Muncie J., Goldson B., *Comparative Youth Justice*, 2006;
- National Research Council and Institute of Medicine, *Juvenile Crime, Juvenile Justice*, The National Academies Press, Washington, DC, 2001;

- *Nellis M., Standards and Ethics in Electronic Monitoring, Handbook for Professionals Responsible for the Establishment and the Use of Electronic Monitoring, Glasgow, United Kingdom, 2015;*
- *Observations on the Third and Fourth Periodic Reports of Italy to the Committee on the Rights of the Child, Available at:*  
<http://www.unionedirittiumani.it/wpcontent/uploads/2012/07/UFTDU-alternative-report.pdf> [Last seen: 01.02.2021];
- *Orsagh T., Chen J. R., "The effect of Time Served on Recidivism: An Interdisciplinary Theory", Journal "Quantitative Criminology", Vol. 4, No. 2, England, 1988;*
- *Patton W. W., History of Juvenile Courts, 2006;*
- *Petersilia J., "A Man's Home is his Prison", Criminal Justice (American Bar Association), Vol. 2, No. 4, United States, 1988;*
- *Pitsch M., "State Budget Committee Rejects GPS Monitoring Expansion", 2013, Available at: [http://host.madison.com/news/local/govt-and-politics/state-budget-committee-rejects-gps-monitoring-expansion/article\\_17f6213e-5584-5d90-9e57-81b4f147a89b.html](http://host.madison.com/news/local/govt-and-politics/state-budget-committee-rejects-gps-monitoring-expansion/article_17f6213e-5584-5d90-9e57-81b4f147a89b.html) [Last seen: 01.02.2021];*
- *Pletcher K., Aung San Suu Kyi, 2019, Available at:*  
<https://www.britannica.com/biography/Aung-San-Suu-Kyi> [Last seen: 01.02.2021];
- *Redding R. E., The Effects of Adjudicating and Sentencing Juveniles as Adults: Research and Policy Implications, Youth Violence and Juvenile Justice, United States, 2003;*
- *Roman K. J., Leberman A. M., Taxy S., Downey P. M., "The Costs and Benefits of Electronic Monitoring for Washington, D.C.", 2012;*
- *Roman Polanski Begins House Arrest in Swiss Chalet, Support The Guardian, 2009, Available at: <https://www.theguardian.com/film/2009/dec/04/roman-polanski-house-arrest-switzerland> [Last seen: 01.02.2021];*
- *Rose N., Governing the Soul, London, 1989;*
- *Rosenheim M. K., Zimring F. E., Tanenhaus D. S., A Century of Juvenile Justice, Chicago, Illinois, United States, 1983;*



- Schlossman S., "Love and the American Delinquent", *Journal "Juvenile Family Court"*, The University of Chicago Press, Chicago, 1977;
- Schlossman S., *Coalition for Juvenile Justice*, DeKalb, Illinois, United States, 1998;
- Schlossman S., Sedlak M., *The Chicago Area Project Revisited*, Vol. 29, United States, 1983;
- Schmidt A., "Electronic Monitoring: What Does the Literature Tell Us?", *Federal Probation*, Vol. 62, No. 2, Washington, DC, 1998;
- Schwartz B., *Psychology of Learning and Behavior*, United States, 1989;
- Serwer A., *Beyond Bars*, *Journal "The American Prospect"*, 2009, Available at: <http://prospect.org/article/beyond-bars-0> [Last seen: 01.02.2021];
- Sklaver L. S., "The Pros and Cons of Using Electronic Monitoring Programs in Juvenile Cases", *American Bar Association, Juvenile Justice Committee Newsletter*, United States, 2004;
- Smith R. K. M., *International Human Rights Law*, Oxford University Press, England, 2018;
- Soringer W. D., Roberts R. A., Brownell P., Torrente M., Lippman P. D. A., Deitch M., *A Brief Historical Overview of Juvenile Justice and Juvenile Delinquency*, United States, 2006;
- Stack M. K., *Israel Once More Forces Arafat into House Arrest*, *Los Angeles Times*, 2002, Available at: <https://www.latimes.com/archives/la-xpm-2002-jun-11-fg-izpals11-story.html> [Last seen: 01.02.2021];
- Stone L., "The Revival of Narrative: Reflections on a New Old History", *Oxford University Press, Past & Present*, No. 85, 1979;
- Taylor F., Ariel B., "Protocol: Electronic Monitoring of Offenders: A Systematic Review of Its Effect on Recidivism in the Criminal Justice System", *Oslo, Norway*, 2012;
- Thompson E., "Rules for Juvenile Probation", Available at: <https://legalbeagle.com/6520738-utah-probation-rules.html> [Last seen: 01.02.2021].

- *Tinta M. F., The Landmark Rulings of the Inter-American Court of Human Rights on the Rights of the Child, Protecting the Most Vulnerable at the Edge, International Studies in Human Rights, Vol. 96, Leiden, Boston, 2008;*
- *Torbet P., State Responses to Serious and Violent Juvenile Crime, U.S. Department of Justice, Office of Justice Programs, Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention, United States, 1996;*
- *Torbet P., Szymanski L., Griffin P., Trying Juveniles as Adults in Criminal Court: An Analysis of State Transfer Provisions, U.S. Department of Justice, Office of Justice Programs, Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention, United States, 1998;*
- *U.S. Department of Justice, “Electronic Monitoring Reduces Recidivism“, Washington, DC, 2011, Available at: <https://www.ncjrs.gov/pdffiles1/nij/234460.pdf> [Last seen: 01.02.2021];*
- *Wade S., Nizhny Novgorod: Soviet “Closed City“ Teems with Tourists, 2018, Available at: <https://apnews.com/847f81d25c7d4743b9e7ae2ff6070789/Nizhny-Novgorod:-Soviet-%27closed-city%27-teems-with-tourists> [Last seen: 01.02.2021];*
- *Warren S. D., Brandeis L. D., The Right to Privacy, Harvard Law Review, Vol. 4, No. 5, 1890;*
- *Waters M. V., Parents on Probation, New York: New Republic Company, 1927;*
- *Wiley B., The General Laws and Liberties of the Massachusetts Colony (1672) in Juvenile Offenders for a Thousand Years, New York, 1970;*
- *Williams P. F. III, McShane D. M., Criminology Theory, Selected Classic Readings, Second Edition, United States, 2015.*

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- *A. v. THE UNITED KINGDOM, ECHR, (Application no. [100/1997/884/1096](#)), 23 September 1998;*
- *ABASHIDZE v. GEORGIA, ECHR, (Application no. [6926/10](#)), 13 September 2016;*

- *ADAMKIEWICZ przeciwko POLSCE*, ECHR, (Skarga nr [54729/00](#)), 2 marca 2010;
- *BOUYID v. BELGIUM*, ECHR, (Application no. [23380/09](#)), 28 September 2015;
- *CIOBANU c. ROUMANIE ET ITALIE*, ECHR, (Requête no [4509/08](#)), 9 juillet 2013;
- *DOORSON v. THE NETHERLANDS*, ECHR, (Application no. [20524/92](#)), 26 March 1996;
- *E. S. AND OTHERS v. SLOVAKIA*, ECHR, (Application no. [8227/04](#)), 15 September 2009;
- *GIORGI NIKOLAISHVILI v. GEORGIA*, ECHR, (Application no. [37048/04](#)), 13 January 2009;
- *GÜLCÜ v. TURKEY*, ECHR, (Application no. [17526/10](#)), 19 January 2016;
- *GÜVEÇ v. TURKEY*, ECHR, (Application no. [70337/01](#)), 20 January 2009;
- *ICHIN AND OTHERS v. UKRAINE*, ECHR, (Applications nos. [28189/04](#) and [28192/04](#)), 21 December 2010;
- *MALONE v. THE UNITED KINGDOM*, ECHR, (Application no. [8691/79](#)), 2 August 1984;
- *MANCINI v. ITALY*, ECHR, (Application no. [41812/04](#)), 13 October 2005;
- *N. TS. AND OTHERS v. GEORGIA*, ECHR, (Application no. [71776/12](#)), 2 February 2016;
- *NART v. TURKEY*, ECHR, (Application no. [20817/04](#)), 6 May 2008;
- *NEULINGER AND SHURUK v. SWITZERLAND*, ECHR, (Application no. [41615/07](#)), 6 July 2010;
- *PATSURIA v. GEORGIA*, ECHR, (Application no. [30779/04](#)), 6 November 2007;
- *S.L. AND J.L. v. CROATIA*, ECHR, (Application no. [13712/11](#)), 7 May 2015;
- *SALDUZ v. TURKEY*, ECHR, (Application no. [36391/02](#)), 27 November 2008;
- *SINGH v. THE UNITED KINGDOM*, ECHR, (Application no. [23389/94](#)), 21 February 1996;
- *T. v. THE UNITED KINGDOM*, ECHR, (Application no. [24724/94](#)), 16 December 1999;
- *TAXQUET v. BELGIUM*, ECHR, (Application no. [926/05](#)), 13 January 2009;
- *TYRER v. UNITED KINGDOM*, ECHR, (Application no. [5856/72](#)), 25 April 1978;
- *Z.J. v. LITHUANIA*, ECHR, (Application no. [60092/12](#)), 29 April 2014.

## საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბერის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/2-389 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერჯია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის №3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №516-542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა

ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 14 მაისის 1/2/575 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 1997 წლის 21 ივლისის №1/51 გადაწყვეტილება ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებაზე.

#### **საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები:**

- ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 28 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/431-2015;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 10 თებერვლის განაჩენი, საქმე №1ა/გ-26-16;

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 თებერვლის განაჩენი, საქმე №1ა/გ-213-16;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 18 თებერვლის განაჩენი, საქმე №1ა/გ-143-16;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის განაჩენი, საქმე №1ბ/1052-15;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება, საქმე №1გ/178-15;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინება, საქმე №1გ/2081-15;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 ივლისის განაჩენი, საქმე №1/5040-14;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/486-15;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის განაჩენი, საქმე №1/571-16;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 იანვრის განაჩენი, საქმე №1/340-16;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №67აპ.-16;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 მარტის განაჩენი, საქმე №1ა/გ-39-2016.

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- “*Breed v. Jones*“, *United States Supreme Court*, 421 U.S. 519, 1975;
- “*Gault v. United States*“, *United States Supreme Court*, 387 U.S. 1, 1967;
- “*In re Winship*“, *United States Supreme Court*, 397 U.S. 358, 1970;
- “*Kent v. United States*“, *United States Supreme Court*, 383 U.S. 541, 1966;

- “McKeiver v. Pennsylvania“, *United States Supreme Court*, 403 U.S. 528, 1971.

### საქართველოს კანონის პროექტები:

- „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, 15.05.2000, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1720?publication=0> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021];
- „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, 17.07.2000, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/17182?publication=0> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021];
- „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, 28.04.2006, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113482> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021];
- „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, 29.12.2006, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/22468?publication=0> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021];
- „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, 30.06.2014, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2383542?publication=0> [ბოლოს ნანახია: 01.02.2021].

### ვებ-რესურსები:

- აშშ-ის ბავშვის კეთილდღეობის საკითხებში საქველმოქმედო ფონდის ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.aecf.org/> [ზოლოს ნანახია: 01.02.2021];
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika> [ზოლოს ნანახია: 01.02.2021];
- სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <http://probation.moc.gov.ge/eng/main/index/1303> [ზოლოს ნანახია: 01.02.2021];
- *Elektronische Fußfessel*, Available at: [https://de.wikipedia.org/wiki/Elektronische\\_Fu%C3%9Ffessel](https://de.wikipedia.org/wiki/Elektronische_Fu%C3%9Ffessel) [Last seen: 01.02.2021];
- *G4S, UK*, Available at: <http://www.g4s.uk.com/en-GB/What%20we%20do/Services/Care%20and%20justice%20services/Electronic%20monitoring/Tagging/> [Last seen: 01.02.2021];
- *Interagency Panel on Juvenile Justice (IPJJ)*, Available at: <http://www.ipjj.org/resources/glossary/> [Last seen: 01.02.2021];
- *The Trial of Galileo Galilei*, Available at: <http://chnm.gmu.edu/history/faculty/kelly/wciv/science/galileo.htm> [Last seen: 01.02.2021].

### სხვა წყაროები:

- ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ბავშვის უფლებათა კომიტეტის მოხსენება, მეცხრე სესია, 1995, გაეროს დოკ. CRC/C/43;
- გაეროს მეექვსე კონგრესის ანგარიში დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის შესახებ, A/CONF.87/14/Rev.1, 1980;



- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ წერილი №638, 20.09.2016;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი №1-0412/1296-1297, 26.01.2021;
- რუსთავის საქალაქო სასამართლოს წერილი №12/გ, 18.01.2021;
- ზუგდიდის რაიონული სასამართლოს წერილი №12, 20.01.2021;
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს წერილი №16გ/კ, 22.01.2021;
- გორის რაიონული სასამართლოს წერილი №გ/ფ-205, 27.01.2021;
- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წერილი №648-2, 28.01.2021.